

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კაფეირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№13-14
2011

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის მაღით აკრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:
ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),
ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდიგანი),
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირავაშვილი, ალექსი ჭედია, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.
საკონტაქტო ტელეფონები:
99-00-35, 99-94-46, 93-43-10
877-52-31-31, 877-50-29-84

ISBN 5-89512-248-5

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

შესავალი

ახალი პრობლემების წინაშე	4
გამოხმაურება წერილზე - "აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზების შესახებ"	8
მეცნიერება	
მოსაზრებანი მთიანეთია განვითარების აქტუალურ პრობლემებზე	19
ახალგაზრდობის პრობლემები და მათი დაძლევის გზები	34
სომხები ეკლესიების გადაცემას ისევ მოითხოვენ	38
ხელოვნება	
თემო ჯაფარიძე. ცხოვრება და შემოქმედება	43
ამაგლართა გახსენება	
ღვაწლმოსილი ადამიანის გახსენება	87
ქართველი ხალხის მეგობარი	65
ნათლობა საქართველოში	70
მართალი და საინტერესო წიგნი	75
თარგმანები	
სერენდრა კრიშნა გოიალი, დაყოფა (თარგმნა მაია ნიკოლაძემ)	82
უოლტერ დე ლა მარი, ვერცხლისფერები (თარგმნა მაია ნიკოლაძემ) . .	84
სატიშ გუპტა, დიდი (თარგმნა მზია ქაბზინაძემ)	85
ლიტერატურა, შურნალისტიკა, პრიტიკა	
რეტრო, გამოფხიზლება, გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას	89
„შაშას რევოლუცია“ ანუ რევოლუცია ორთაჭალაში „ბამბის რიგზე“ .	92
ბელა კოკაია, ლექსები	130
გიორგი შალამბერიძე, პატარა ბიჭის ფიქრები	135
55 წლის შემდეგ,...	139
პრიტიკა	
ვერ შემდგარი... ვერ შემდგარი... ვერ შემდგარი...	147
„ალავერდის“ გამარჯვებულები	156
გამოსათხოვარი	
მაია ქურციკიძის გამოსათხოვარი	158
გაზაფხულზე წასული და ლექსებში დარჩენილი ლალი სურმავას გახსენება	159

ახალი პროგლობის შინაგა

უკვე შორეულად ქცეულ 1947 წლის დასაწყისიდან საქართველოში ფართოდ ფუნქციონირებდა და დღესაც აგრძელებს საქმიანობას კარგად ცნობილი საზოგადოება „ცოდნა“, რომელსაც დასაწყისიდანვე ჰქონდა განსაზღვრული მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელება-პოპულარიზაცია, ამ 20-21 წლის წინ კი საქართველოს სახელმწიფოს კანონების მოთხოვნათა მიხედვით საზოგადოება კავშირად გადაკეთდა და ძირითადად სამოქმედო ფუნქციებად განასაზღვრა სამეცნიერო, კულტურული, საინფორმაციო, ახსნა-განმარტებითი, სარეაქციო-საგამომცემლო მოღვაწეობა.

„საზოგადოება ცოდნის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი ორგანიზაცია თავიდანვე ორიენტირებული იყო სულიერ ღირებულებებზე, უპირველესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული საქართველოს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, იურისპრუდენციას, საერთაშორისო საკითხებს, ეკონომიკას, ეკოლოგიას და ა.შ. ცნობილი დოკუმენტები საგნებსა და დისციპლინებს თითქმის საერთოდ არ ექცეოდა ჭურადღება. ჩვენ ხალხს, მთ უმეტეს ახალგაზრდობას ვერავინ გააგონებდა ისტმატს, დიამატს, პარტიისტორიას, სოციალისტურ ფილოსოფიას, მავნე, უინტერესო და გაუგებარ საგნებს.

როცა დრო კარდინალურად, ძირი ფესვიანად, ეპოქალურად შეიცვალა, „საზოგადოება ცოდნას“ უმთავრესად სწორედ იმან შეუწყო ხელი ყველა ფორმაციაში გაეგრძელებინა საქმიანობა, რომ სულიერი ღირებულებები ისევ

დარჩა და ყველა დროის წარმომადგენლებისთვის საინტერესო იყო. ეროვნული სულიერების პროპაგანდის პროცესი ბუნებრივად გრძელდებოდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის წარმართვაში ქვეყნის ხელმძღვანელობა მუდმივად გვიჭრდა მხარს, რასაც მოწმობს უამრავი დოკუმენტი, უმაღლესი ხელმძღვანელობის წერილები „საზოგადოება ცოდნის“ შესახებ, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობისადმი მითითებები, „ცოდნის“ აუცილებელი დახმარებისა და საქმიანობაში ქმედითი ხელშეწყობის შესახებ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ასეთი მიმართულების დახმარება შესუსტდა, თუმცა მოგვეცა თავისუფლება და ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ ვიფიქროთ, ვეძეოთ, ვიშრომოთ და ისე ვაკეთოთ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო, სასარგებლო საქმე, ვაკეთოთ უანგაროდ და რაც შეიძლება მაღალ დონეზე, პრობლემებს ახლებურად, გაანგარიშებულად, შემოქმედებითად მივუდვეთ.

ამ უკანასკნელ პერიოდში ლექციური საქმიანობა უამრავი ხელშეწყობილი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო მეტისმეტად შესუსტდა. უამრავი პარტიის ასე თუ ისე განსხვავებულმა, საკმაოდ არეულმა იდეოლოგიამ ხელი შეუწყო საზოგადოების დაქსაქსვას, გაუცხოებას, გათოთოკაცებას, ხალხში არეულობის შეტანას. სწორედ ასეთი ვითარების გამო ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა ჩვენი ლექტორები დუშეთის, ქარელის თუ ახალქალაქის რაიონებში იძულებული გახადეს ლექციები ჩაეშალათ და

უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ. ამასთან ერთად არავის არ უნდა კარგ საჯარო ლექციაში თუნდ 40-50 ლარი მაინც გადაიხადოს, ყველა მიზეზებს ეძებს, საბაზრო ეკონომიკასა და ფინანსურ კრიზისს იშველიებს: ლექციურ-საინ-ფორმაციო საქმიანობაში დიდი როლი ითამაშეს მრავალარხიანმა ტელევიზიუ-ბმა, კომპიუტერულმა ინტერნეტმა, ლექ-ტორებისა და ლექციებისადმი პატივის-ცემა კი მოდუნდა, ამაზე მრავალ უმაღ-ლესში ცუდ დონეზე სწავლებამაც მოახდინა ზემოქმედება. ჩვენი ლექ-ტორებიც ძირითადად დაკავდნენ 250 თუ 300 აკრედიტებულ და არააკრედ-იტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ახლა უკვე ქვეყნის ქალაქებსა, რაიონ-ებსა თუ სოფლებში მივლინებით წას-ვლას და ხალხის გათვითცნობიერება-ში მონაწილეობას ყოფილი პატრი-ოტები აღარც კადრულობენ. „საზოგა-დოება ცოდნის“ გამგეობა თუნდ ფისკალური თვალსაზრისით ძალიან მძიმე დღეშია. ერთი ან ორი ლექ-ტორის გაგზავნას რაიონში საგრძო-ბი თანხა სჭირდება, ბუნებრივია, გაიზარ-და მგზავრობის, სასტუმროს, კვების ანუ ე.წ. დღიური ხარჯები. „ცოდნის“ გამ-გეობას კი ამდენი თანხები არც გააჩნ-და და მით უმეტეს არც დღეს გააჩნია. ამიტომ ჩაიშალა კავშირები ოლქებთ-ან, ქალაქებთან, სოფლებთან, რაც სამ-წუხაროდ მხოლოდ ეპიზოდურ ხასი-ათს ატარებს. დაიკარგა აგრერიგად საჭირო სისტემატურობის ფაქტორი. თუ ადრინდელი წლების პრაქტიკის თანახმად დახმარება არ იქნება მთავრობისაგან, „საზოგადოება ცოდ-ნა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით საქმი-

ანობას უბრალოდ ვერანაირად ვეღარ შეძლებს.

მიუხედავად სიძნელეებისა, დღეს მაინც ტარდება ლექციები თბილისში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში და სხვა-გან, რაც ბუნებრივია, სრულიადაც არ არის საქმარისი და ერთი დიდი მიზნისაკენ სწრაფვას გერ ემსახურება, თანაც ეს ჩატარებული ლექციები ძირ-ითადად არის უფასო, საქველმოქმედო, იშვიათად თუ გამოერევა ფასიანი. მი-უხედავად ასეთი ცხოვრებისეული სირთულეებისა, „საზოგადოება ცოდ-ნა“ მაინც ამჟამებს და ამზადებს ახალ, თანამდეროვე საღებულებით თემატიკას, ახდენს ლექტორებთან მოლაპარაკებებ-სა და ლექტორთა სიების შედგენას, აგრეთვე სიების შედგენას იმ ორგა-ნიზაცია-დაწესებულებებისა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩია სურვილი ლექციებით აიმაღლონ თვითგანვითარების დონე და ხელი შეუწყონ მოზრდილთა უწყვეტი განათლების პროცესს, რაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში წარმატე-ბით მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, ლექციურ-საინფორმაციო საქმიანობასთან ერთად „საზოგადოება ცოდნის“ ძირითადი სამოქმედო სფეროები საგანმანათლებ-ლო და საგამომცემლო საქმიანობაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ უბნებზე უფრო მეტ წარმატებას მივაღწიეთ. დაუდალავი შრომის შემდეგ მივიღეთ ძალიან ძნელად მოსაპოვებელი სახ-ელმწიფო აკრედიტაცია საქართველოს განათლების სამინისტროსაგან და სამი წლის წინ ასე დაარსდა „საზოგადოე-ბა ცოდნის“ ჰუმანიტარულ-ფარ-მაცევტული ინსტიტუტი, შემდგომ კი სასწავლო უნივერსიტეტი. „ცოდნის“

შენობის გამოუყენებული და უვარგისი ნაწილების გასხვისების საშუალებით მიღებული თანხებით მთლიანად გავარემონტეთ კუთვნილი სართული და სალექციო დარბაზი, შევიძინეთ ოთხი ლაბორატორიისათვის საჭირო მოწყობილობა, ასობით წიგნი და ურნალი ბიბლიოთეკისათვის, საჭირო ინვენტარი: კარადები, მაგიდები, სკამები, შევქმნით კომპიტერული ცენტრი, ჩამოვაყალიბეთ ფარმაცევტული სკოლა, სადაც ასწავლიან მთელი ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები. ფარმაციის სპეციალობის არჩევა იმან განაპირობა, რომ საქართველოში არ გვყოფილა კვალიფიციური კადრები – მშენებლები, ფარმაცევტები და სხვა დარგების წარმომადგენლები. ჩვენც შევეცადეთ გარკვეულწილად ხელი შევვეწყო ამ ცხოვრებისეული პრობლემისათვის და მოგვეზადებინა ახალგაზრდა ქართველი ფარმაცევტების მაღალკვალიფიციური კადრები, რაც დარწმუნებული ვართ, უკვე შევძლით და მომავალში კიდევ უფრო მეტ თვალსაჩინო წარმატებებსაც მივაღწევთ.

„საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე სტუდენტებს ასწავლიან ისეთი ცნობილი, აღიარებული პროფესორები, როგორებიც არიან დღევანდელი ქართული ფარმაციის პატრიარქად წილებული აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბატურიძე, ფარმაცევტული და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, სრული პროფესორები ნაილი შენგელიძე, თამაზ ჭუმბატურიძე, ელდარ როინიშვილი, თამაზ მურთაზიშვილი, ნანა გორგასლიძე, ნელი ფხალაძე და სხვები, რომლებიც ახალგაზრდებს ყოველდღიურად აზიარებენ

სწავლისა და შრომის საუკეთესო თანამედროვე მიღწევებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტის მეორე ფაკულტეტი, ანუ განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ფილიალად წოდებული უმაღლესი სასწავლებელი უუნქციონირებს ახალქალაქში. ძირითადად სომხურენოვან რეგიონში მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სადაც ქართველი ახალგაზრდები სწავლობენ და პროფესორ როინ ყავრელიშვილის კოლეჯის ქართველ სტუდენტებთან ერთად ქართულ სიტყვას ახმიანებენ მაღალმთიან ახალქალაქში. ძალიან მკაცრი ზამთრისა და სიშორის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდები მაინც მიდიან ამ როულ რეგიონში და ცდილობენ დაუუფლონ არჩეულ სპეციალობას. თუმცა, შემძევ ბევრი უკან ბრუნდება, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადადიან, მაგრამ საქმე მაინც კეთდება - ქართული სიტყვა მკვიდრება სომხურენოვან მაღალმთიან რეგიონში, რაც მაღალკვალიფიციური კადრების მუშაობის პირობებში კარგ პერსპექტივებს სახავს.

აქტიურად მოქმედებს „საზოგადოება ცოდნის“ მესამე ორგანული მიმართულებაც, როგორიცაა სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა. დროიყო „საზოგადოება ცოდნაში“ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ ტექნიკის სფეროდან 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა გამოდიოდა, რაც ხელმოწერის საშუალებით ურიგდებოდათ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებლებს. „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა წიგნებიც,

უურნალებიც, ბიულეტენებიც: „მუცნიერება და ტექნიკა“, „გულახლილი დალოგი“, „კითხვა, პასუხი, პრობლემა“. ეს გამოცემებიც ფართო მკითხველი საზოგადოების საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. შემდგომ განვლილი წლების მანძილზე კვლავაც გასხვისების გზით მიღებული თანხებიდან შევიძინეთ აუცილებელი მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები და ჩამოვაყალიბებთ საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამომცემლობა, სტამბა, რისი უფლებაც საზოგადოება ცოდნას დაარსებიდან გააჩნია.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ეგიდით უკვე ჩვენი ლექტორების, პროფესორ-მასტერლებების, სპეციალისტებისა თუ თანამშრომლების მრავალი საინტერესო წიგნი გამოდის. აქ თუნდაც მხოლოდ სახელმძღვანელოებსა და დამსმარე სახელმძღვანელოებს დავასახელებთ: ზ. ჭანტურია - ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ნაწილი 1 (სახელმძღვანელო); ზ. ჭანტურია - ფარმაციის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ნაწილი 2 (სახელმძღვანელო); მ.ბახია, ა.მანჯავიძე - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, (სახელმძღვანელო); თ.ალექსიძე, ნ.რუხაძე - საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (პრაქტიკული-სემინარული სამუშაო-სათვის); ს.ჩოჩიშვილი - წარმოების ეფექტურიზაციის ამაღლების მიმართულებები (დამსმარე სახელმძღვანელო); ქ.რობაქიძე, ბ.ბაშიძე - ჯიშთმცოდნებობა, (ვაზის, ხილ-ბოსტნეულისა და მარცვლეული კულტურების), სახელმძღვანე-

ლო; ა.თხელიძე, რ.ლი პარტელიანი - სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა (სახელმძღვანელო); ს.გიორგაძე, თ.ქაცარავა - ჭარბტენიანი მიწების მელიორაცია (დამსმარე სახელმძღვანელო); ს.თურმანიძე - შრომის ეკონომიკა (დამსმარე სახელმძღვანელო); ზ.ბერიძე - ხარისხის მენეჯმენტი (დამსმარე სახელმძღვანელო); ი.ნადირაძე - ინკოდერმატოლოგია (სახელმძღვანელო).

ამასთან ერთად აღვადგინეთ ან უფრო ზუსტად არ დავკარგეთ ჩვენი ტრადიცია და 2006 წლიდან გამოსვლა დაიწყო „საზოგადოება ცოდნის“ ორგანომ სქელტანიანმა სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალმა „სიტყვაშ“, რომლის მოცულობა 150-200 გვერდით არის განსაზღვრული და აქვეყნებს მეცნიერების, მწერლების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საყურადღებო ნაშრომებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა და წერილებს. უკვე გამოვიდა უურნალის 14 ნომერი, მზადდება მეთხუთმეტე ნომერი, ისიც უნდა თქვას, რომ ეს სოლიდური, გაწონასწორებული გამოცემა უკვე სარგებლობს მკითხველების მოწონებით.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, თანამედროვე გამოწვევების წინაშე და მონდომებით ცდილობს მაღალ დონეზე წარმართოს საკუთარი საქმიანობა.

გამოხატულება ფერილზე - "აკაპი ფერეთლის ფინდანი კანონიზების შესახებ"

გასული წლის დეკემბერში, საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, რომელიც მიწვეული იყო საპატიო-არქეში აკაპი წერეთლის ქართული ეკლესიის წმინდანად კანონიზების დისკუსიაზე, ჩვენც გვხვდა პატივი მონაწილეობის მიღებისა. დისკუსიას წარმართავდა მუუფე დანიელი, ესწრებოდა მუუფე ანანია და ოპონირებას უწევდა ჩვენთვის უცნობი სამღვდელო პირი. კამათის თემა ერთი იყო-ეკუთვნის თუ არა აკაპი წერეთლს შერაცხილი იქნეს ქართული ეკლესიის წმინდათა რანგში. ცხრა გამომსვლელთაგან რომელთა შორის იყვნენ ფილოლოგები, ისტორიკოსები, თეატრის მოღვაწეები და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, ცხრავემ დადგებითი დამოკიდებულება გამოხატა აღნიშნული საკითხის მიმართ. ოპონენტად მოწვეულმა სამღვდლო პირმა, თავის მოკლე გამოსვლაში, წინ წამოსწია უკვე ცნობილ საკითხთა წრე, რომელიც აკაპი წერეთლის ვნებათაღელვიან ცხოვრებას უკავშირდება და შეგვახსენა, რომ ამ მიზეზთა გამო მის წმიდათა რანგში შერაცხვას შესაძლებელია სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეს. ეს კითხვა ამ დისკუსიაზე უნდა დასმულიყო და დაისვა კიდევაც.

ხელისშემშლელი მიზეზები, რომლებიც ოპონენტმა ზოგადად გაახმოვანა, თითქმის ყველასათვისაა ცნობილი და მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ რაიმე დოკუმენტური მასალა ამ ბრალდებათა

შესახებ არ არსებულა, არც არსებობს და იმ ორმოცდათზე მეტ წიგნში, რომლებიც აკაპის შესახებაა დაწერილი, ასობით მოგონებასა თუ "პორტრეტში", რომელთა შორის აკაპის არაკეთილმოსურნე ავტორებიც ერივნენ, ვერავინ შესძლო რაიმე არსებითი დოკუმენტური მასალა წარმოედგინა რაც პოეტის ცნობილ "დანაშაულებებს" დაადასტურებდა.

ესა მარადიული ჭორი, რომლის გავრცელებისთვის საგანგებო სამსახურები არსებობდა და არსებობს, იქ მომუშავე ადამიანებს დავალებები ქონდათ მიცემული, რომელთა კარგად შესრულებისათვის საზოგადოებაში წინაურდებოდნენ, თანამდებობებს აღწევდნენ, პარტიულ ინტერესებს ატარებდნენ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი სამსახურისათვის ხელფასს იღებდნენ., რაც ასე სჭირდება ადამიანს ყოველდღიური არსებობისათვის. სხვათამორის ამ ინსტიტუციის არსი მთელი სიღრმით წარმოაჩინა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა თავის "დათა თუთაშნიაში". ესა ულმობელ ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც კერძო ინტერესებისათვის ყველაფერს კადრულობენ, იღლა ჭავჭავაძე მოკლეს, ხოლო აკაპი წერეთელი ლოთად და მექალთანედ გამოაცხადეს. ეს ერთხელ აგორებული ჭორი აგერ უკვე საუკუნეზე მეტია დაგორავს ჩვენს შორის –უსაბუთოდ, უღოგიოდ, ადამიანის ლირსებებისა და დამსახურების მიმართ ლიანგური



აზროვნებითა და ნიპილისტური დამოკიდებულებით. მისი ქმედითობა არა თუ ძველი ინერციითაა გამოწვეული, არამედ ახალთახალი მხარდაჭერებითაა გაძლიერებული და იგი მანმადე არ მოიშლება, სანამ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ეროვნული ინტერესების გაბიაბრუების საჭიროება და ამ ინტერესების სამსახურში ჩამდგარ ადამიანთა ვნებანი. ამიტომ, ამ მიზეზთა გამო, ანუ სრული საგამომძიებლო პროცედურების ჩამოუყალიბლებლად, სათანადო მამხილებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლად და ყველა დანარჩენი არსებითი გარემოებების გამოუკვლევად, უზნებად მიგვაჩნია აკაკის ბრალეულობათა შესახებ კამათი და უფლებას ვიტოვებთ, არ გავიზიაროთ ისინი. ასეთი იყო და არის ჩვენი რწმენა, ასე შევყურებით ამ საკითხს მუდამ და არასოდეს მოგვსვლია აზრად, ამ არასა-

სიამოვნო ოპუსებისაგან დაგვეცვა ჩვენი დიდი მგოსანი.

ამას არც ახლა ვაპირებთ, მაგრამ შეუძლებელია არ გამოვეხმაუროთ ცნობილი თეოლოგის, ბატონი ქლიშერ ჭელიძის წერილს – "აკაკი წერელის წმინდანად კანონიზების შესახებ". უფლებას ვერ მივცემთ ჩვენს თავს ბატონი ედიშერი მივიჩნიოთ იმ წრის წევრად, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. პირიქით, იგი გვეგულება საქართველოში თეოლოგიური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლად, საეკლესიო მწერლობის ჩინებულ მცოდნედ და, ზოგადად, ჩვენი ეკლესიის ძლიერების მოსურნედ.

ვფიქრობთ, რომ ამ სურვილმა უკარნახა მას დაეწერა წერილი, რომელიც უფრო ვრცელი დასკვნის სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე დასაბუთებულ გამოკვლევად და მიზნად ისახავს პასუხი გასცეს აკაკის კანონიზაციასთან დაკავშირებული დისკუსიის ყველა იმ მონაწილეს, რომელმაც მხარი დაუჭირა პოეტის წმინდანად შერაცხვას, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მას სურს, ეკლესია ააცილოს გარკვეულ უხერხელობას და, ამავე დროს, როგორც ეკლესიის საკითხების ყველაზე მეტად მცოდნემ წონიანი სიტყვით თავის ადგილას დაააყენოს "საერო სახელგანთქმულობის მქონე ავტორიტეტები", რომელიც უფრო ხშირად ასეთ საკითხებს არა ცოდნით, არამედ საკუთარი "გუნება-განწყობილების მიხედვით სწყვეტენ".

ჩვენ გუნება-განწყობილებასა და სახელგანთქმულებაზე არაფერს მოგახსენებით, ყველას აქვს უფლება, თავისი

აზრი გააჩნდეს სხვა ადამიანთა შეძლების ან შეუძლებლობის შესახებ, მაგრამ ის კი ნამდვილად გაგვკვირვებია, ედიშერ ჭელიძეს როგორ იოლად გადაუჭრია თავისი ექტენდერლიანი წერილით აკაკის უზარმაზარი მემკვიდრეობის ათეისტურობის საკითხი, უფრო მეტიც – პოეტის მტრობამდე მისული დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, რომელსაც თითქოს "ვანდალური სიშლეგით ფანატიკურად გაუნადგურებია წარმართული საქართველოს დიდი კულტურა." ვისაც თუნდ ერთი წერილი წაუკითხავს აკაკისა, როგორ დაიჯერებს, რომ ეს სასტიკი ფრაზა მას ეკუთვნის და თუ არ ეკუთვნის და ამას ბატონი ედიშერი პოეტს მიაწერს, მაშინ უფლებას ვიტოვებთ, მის პოლემისტურ სამართლიანობაში ეჭვი შევიტანოთ. სხვათა შორის, ბატონი ედიშერი საქართველოს წარმართულ კულტურაზე ერთობ უარყოფითი წარმოდგენისაა და, საერთოდ, კატეგორიულად წინააღმდეგია წარმართული და ქრისტიანული კულტურების ურთიერთმიმართებისა. იგი არ აღიარებს ქართველთა ქრისტიანულ ყოფაში რაიმე გადმონაშთების არსებობას და მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულებანი ჩვენი მეცნიერების "ზედაპირული ხედვის ნაყოფია".

ადრეულ წერილებში გატარებული ეს აზრი მას სურს, ეფექტურად გამოიყენოს აკაკის წინააღმდეგ, რომლის "დანაშაული" მხოლოდ ისაა, რომ პოეტი წარმართული ხელოვნების და, მასთან ერთად, ქართული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, რომელიც შესაძლოა თავისი იდეურობის გამო

ქრისტიანობამ გაანადგურა. ბატონი ედიშერი თეოლოგიის გარდა ისტორიულ მეცნიერებასაც რომ სწყალობდეს უთუოდ ეცოდინებოდა, რომ ეს აზრი ეკუთვნის ჩვენს დიდ ისტორიკოსებს და არა აკაკის, რომელიც ბატონი ედიშერისგან განსხვავდით, პატივს სცემდა ქართველ მეცნიერთა ნაღვაწს, საუკეთესოდ იცოდა საქართველოს ისტორიის წყაროები და თავისი ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევანი.

როგორც უკვე ითქვა, ბატონი ედიშერი თეოლოგია და "პირადი გუნება-განწყობილების პერსონებთან" შედარებით, ორი თუ არა ერთი თავით მაინც მაღლა დგას. უპირატესობის ასეთი განცდით მოსილი შეგვაგონებს, რომ "მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიზებული წმინდანი უპირველესად, ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი უზაკველობისა და მართალმადიდებლური აღმსარებლობისადმი თავდადების ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს და არა მარტოდენ პატრიოტულ თუ საქველმოქმედო საქმეთა სიმრავლით. ამასთან, ამა თუ იმ პირთან დაკავშირებით როდესაც, ვთქვათ ასი ფაქტიდან ოთხმოცდაცხრამეტი მის ღირსებაზე მეტყველებს მაგრამ, ერთი ფაქტი საწინააღმდევოა, ამგვარი პირის კანონიზება არ ხდება". ბატონ ედიშერს აქ რომ ერთი სიტყვით მაინც ეთქვა, რომ ეს ეხება საეკლესიო მოღვაწეს, დავეთანხმებოდით და მართალიც იქნებოდა, რადგან ასეთი საეკლესიო პირი ჭეშმარიტად სამაგალითო უნდა იყოს თავისი განვლილი მოღვაწეობით, ასევე გასაგებია

მისი მოტანილი მაგალითი კირილე ალექსანდრიელისადმი თეოდორიტე კვირელის კრიტიკული დამოკიდებულების წმინდანად არშერაცხვისა, მაგრამ ავიწყდება, რომ აქ ლაპარაკია ეკლესის ორი დიდი მოღვაწის შესახებ, რომლებთაც ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ ნესტორის მწვალებლური დოგმატის ირგვლივ ანუ ქრისტიანობის უძირითადების საკითხის – რწმენის სიმბოლის განმარტებასთან დაკავშირებით (თეოდორიტე ნესტორის მწვალებლობას იცავდა) და მიუხედავად იმისა, რომ თეოდორიტემ მოგვიანებით შეცდომა მოინანია, ეკლესიამ მას მაინც არ აპატია და წმიდათა რანგში არ აიყვანა. დანაშაულს უთუოდ გააჩნია თავისი კატეგორია, რასაც ეკლესის კანონიკური წყობა საუკეთესოდ აყალიბებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს კომპრომისს იქ, სადაც მისი მორალის ავტორიტეტულობას ეხება საქმე.

რაც შეეხება საერო პირებთან დამოკიდებულებას აქ ეკლესიის მიდგომა ცოტა უფრო სხვანაირია, ვიტყოდით, რომ უფრო შემწყნარებლურია. შესაძლოა, კანონმდებლობაში ასეთი რამ ასახული არ იყოს, მაგრამ ეკლესიის პრაქტიკული ცხოვრება ამის უამრავ მაგალითს გვთავაზობს. კლესიის ძალისა და, თუ გნებავთ, შემწყნარებლობის სიძლიერე სწორედ ისაა, რომ მას აქვს უფლება აპატიოს და შეუნდოს საერო ადამიანს თავისი შეცოდება. ქართული ეკლესიის მესვეურებს შეუძლებლად რომ მიეჩნიათ ამ საკითხის გადაწყვეტა და აკაკი ჩაეთვალათ ისეთივე მკრეხელად, როგორც ედიშერ

ჭელიძე თვლის, მაშინ საერთოდ არ დაყენებლენენ განსახილველად. ის რომ ეკლესიამ თავის დროზე დაუშვა საერო პირთა წმინდანებად აღიარების პრეცენდენტი, უცილებლად გაითვალისწინა საერო პირთა ცოდვილობის შესაძლებლობაც. როგორი ორთოდოქსული მიმართულებისაც უნდა იყოს ეკლესია, მას გააჩნია თავისი საეკლესიო დიპლომატია, წინდახედულება და პრაქტიკული განჭვრეტა. ეკლესია თავს ვერ მოიზღუდავს ხალხისაგან, ვერ აღმართავს გამყოფ ბარიერს "სუსტ" საერთო ფეხნასა და ასკეტ მორწმუნებებს შორის. ქრისტიანობას რომ ამ განჭვრეტით არ დაეწყო თავისი ისტორია იგი სათავეშივე დამარცხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება მის მორალსა და დოგმატს. ეს ეხება მისი მოწყობის საკითხს, საყოფაცხოვრებო ყოველდღიურობასთან მის დამოკიდებულებას. ქრისტიანობა იქ პოულობს თავის გამართლებას, სადაც სულიერად ამყარებს უფლებას მორწმუნებზე, ამისთვის კი საჭიროა არა ასკეტური მოღვაწეობის საყოველთაოდ დაკანონება, არამედ საზოგადოების ანუ უბრალო ადამიანთა შესაძლებლობის განსაზღვრა და იმ წრეში მოქანვა სადაც მათვის ღმრთის სამსახურის აღსრულება ტანჯვად არ იქცევა. სულიერი მოღვაწეობის უმაღლესი ხარისხი ყველასთვის როდია მისაღწევი. ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შეხედულებით, აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას არასდროს უარუყვია ორი ხელისუფლების იდეა, ესაა ე.წ. "ბიზანტიური სიმფონია" და იგი გარკვეულწილად აისახა საეკლე-

სიო და საერთო ხელისუფალთა კანონ-მდებლობაში. ეს იყო აუცილებელი პრაქტიკულობით ნაკარნახევი პრობლემა რისი მოგვარების აუცილებლობას კარგად ხედავდნენ – როგორც საეკლესიო ისე სასულიერო ხელისუფალნიც. უფრო ძეგის თქმაც შეიძლება – ეს პროცესი შეიმჩნევა თვით ადრეულ ქრისტიანობაშიც – ასკეტური მოღვაწეობის შეგნით. ბერ-მონაზვნობის საფუძლების ჩამყრელი ანტონი დიდი, ოცდათხუმეტწლიანი ასკეტური ცხოვრების შემდეგ გამოვიდა მლვიმიდან და დაარსა ბერ-მონაზვნობის კინოვიური ფორმა რომელიც შემდგომში განავრცო და კანონიკურ ჩარჩოებში მოაქცია პახომი დიდმა.

მაკარ მეგვიპტელს დიდი სურვილი ჰქონდა ბოლომდე განდევილ ასკეტ ბერად დარჩენილიყო, მაგრამ ანტონის მითითებით იგი სათავეში ჩაუდგა სამონასტრო მოძრაობას, დააფუძნა ბერ-მონაზვნობის ფართო კორპორაციები – "ღმრთის შვილებისა და შვილიშვილების" გამოსაზრდელად, რაც ქრისტიანობის გაძლიერების პრაქტიკული მიზნებით იყო გამოწვეული. უდიდესი საეკლესიო მამის ბალისი დიდის ცნობილი თეზა "ქრისტიანული სრულყოფა", რაც გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის ქრისტეში ერთიანობას, არის უგონიერესი დამოკიდებულების ნიმუში ეკლესიის გამარჯვების გზაზე. შეუძლებელია ჭეშმარიტება განსაკუთრებული ეთიკის სფერო იყოს ორთოდოქსი ასკეტი ბერებისათვის და გაუგებარი დანარჩენი ქრისტიანებისათვის, ვისაც არ შეუძლია იყოს გმირი – შეუძლებელია

ამისათვის დაისაჯოს და სამუდამოდ დაეხშოს სალოცავის კარები. დიდმა ასკეტმა გრიგოლ ნოსელმა ცოლი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ მორწმუნეთავის დაენახვებინა ამ მოქმედების უდანაშაულობა და ეკლესიას კი არ მოწყვიტა დაქორწინებულნი არამედ დაუახლოვა მას.

სხვათაშორის, ანახორეტული პედანტიზმის საპირისპიროდ, ქართულ ეკლესიას განსხვავებული თვისება ჩამოუყალიბდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II სიტყვებით რომ ვთქათ: "გიორგი მთაწმინდელი ეკლესიაში წეს – ჩვეულებების სიზუსტეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.., იგი უფრო ჭეშმარიტ-ქრისტიანულ, ნამდვილ-ქრისტიანულ განწყობილებასა და სულიერებას აფასებდა, ქრისტიანულ სიყვარულში ერთიანობის გულისათვის მზად იყო შემწყნარებელი ყოფილიყო".

საყოვალთაოდ ცნობილი ფაქტია: სასულიერო პირთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც რუსი ეგზარხოსის მეთაურობით მიმდინარეობდა, ეს მაღალი სამღვდელო პირი აღუშფოთებდა იმ გარემოებას, რომ წმ. ნინოს სასწავლებელში პატარა მეჩეთი ყოფილა მუსულმანთათვის და როცა მას-აღშფოთებულს – განმარტება მოუთხოვია ამის თაობაზე მუზე კალისტრატეს (ცინცაძე), რომელიც მაშინ მღდვლის ხარისხში ყოფილა, მიუგია რომ ეს ფაქტი სავსებით ნორმალურად მიაჩნია, რომ ადამიანები ღმერთს ლოცვას აღუვლენენ თავიანთი შეგნების, ცოდნისა და განვითარების შესაბამისად, ტამარი და მეჩეთი ერთი

ცარგვალის ქვეშაა და არაფერია აქ გასაკვირიო.

ყველა აქ მოხმობილი მაგალითი ნიმუშია წინდახედულობის, პრაქტიკულობის, ტოლერანტობის, შემწყნარებლობის, ადამიანთა სუსტი ბუნების თანაგრძნობის და თუ რამდენად სკილდებიან ისინი "უცვლელი დოგმატიკის სფეროს" ამის გარკვევას ბატონ ედიშერ ჭელიძეს მივანდობთ.

ბატონი ედიშერ ჭელიძის მოტანილი მაგალითები აკაკის "სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრული შეუსაბამობისა მართლმადიდებული ეკლესიის წმინდანის ხარისხთან", მეტი რომ არ ვთქვათ სუსტია, რამდენადმე პროვოკაციული და მოკლებულია კეთილგანწყობას. ჩვენ ვეთანხმებით ოპონენტს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აკაკის პუბლიცისტიკას "სახუმარო ტონი", "შეუფერებელი სილალე "მართლაც ახასიათებს მაგრამ მას ავიწყდება, რომ აკაკი თავის ფელეტონების პერსონაჟია, რომლის პოზიცია არავითარ შემთხვევაში არ ეთანადება მისი მწერლურ-მართლმადიდებულ პოზიციას, იგი საუბრობს თავის მობაასე — მოპაექრებთან, იმ ენითა და ენაკვიმატობით, რომელიც ყოველდღიურობას ახასიათებს, ამას ემატება კალმის ლაფსუსებიც, რომლისაგან არავინ არაა დაზღვეული. ყველაზე მეტად აკაკიმ იცოდა თავისი პუბლიცისტიკას ეს ნაკლი და თავის თხზულებაში არაერთგზის აქვს გულისტყივილით ნათქვამი, რომ მას როგორც ცხოვრების შუაგულში მოტრიალე კაცს, ძალაუნებურად უწევდა ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ისეთი ინტერესების

დაკმაყოფილება და ისეთ საქმეებში ჩართვა მის სულიერ მიღრეკილებებთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდათ, ამიტომ ჩემს ნაწერებში მეათედიც კი არაა იმის ღირსი, ყურადღებას რომ იმსახურებდესო" — ეს ნათქვამი ბატონმა ედიშერ ჭელიძემ მიიღოს აკაკის მონანიებად, ოლონდ გებაბატიოს თუ ვერ დავუზუსტებთ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე თქვა თუ ერთი საათით. კი შეგვახსენებს; "მოლვაწეს შეიძლება სრულად შეენდოს ბევრი რამ ულირსი ნამოქმედარი ადრეული ცხოვრებიდან, თუ მან ისინი შემდგომში გულწველად მოინანია". სამწუხაროდ, აკაკის ასეთი რამ არ გაუკეთებიაო — ქვეტექსტით გვაწვდის ავტორი. როგორც ბატონ ედიშერს აქვს იმის საბუთი, რომ აკაკის თავისი შეცოდებანი არ მოუნანიებია სიკვდილის მიწურულს, ისევე ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომ 1915 წლის 2 თებერვალის, სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის მღვდელმა ვლადიმერ აბრამიშვილმა მას შეუძღვო თავისი შეცოდებანი . . .

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესის წმინდანმა, ცოტნე დადიანმა, კოხტასთვის შეთქმულების შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და როგორც საერო კაცს, შესაძლებელია ცხოვრების მიწურულს დაეშვა შეცდომა. ეს შეიძლება გავრცელდეს თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე, ექვთიმე თაყაიშვილზე და თვით ილია ჭავჭამეზეც, რომელიც მოწამეობრივად კი არ აღესრულა, არამედ მოკლეს. რა გვგონია, ბატონ ედიშერზე ნაკლებ პატივს სცემდნენ "უცვალებელი დოგმატის" საკ-

ითხებს ქართული ეკლესიის მამები, როცა ჩამოთვლილი საერთო მოლგა-წენი წმინდათა რანგში აამაღლეს. მაშრა იყო ამ შემწყნარებლობის, მიმტევებლობისა და აღიარების მიზეზი? — რა თქმა უნდა სამშობლოსთვის გაღუ-ბული ღვაწლი, ვალდებულება ქვეყნისა და ერის წინაშე რაც მათ პირნათლად აღასრულეს. თუ მართლმადიდებლობა და ქართველობა ჩვენში ერთმანეთს დაეტოლა, როგორც ილია მართალმა ბრძანა, მაშ რითაა აკაკი წერეთელი ისეთი სუსტი თავისი ქართველობით, რომ ღირსეულ მართლმადიდებლად ვერ ქცეულა. საბედნიეროდ აკაკის ყველა უმნიშვნელოვანეს ნაშრომში ღვთის ნებაა გაცხადებული, ვის არ შესძრავს "ბაშიაჩუქში" მოთხოვნილი სიზმარი მოძღვრისა და წმინდა მხედრის ხა-ტისა, ქართულ სიწმინდეს დაუფლე-ბულ ურჩხულს რომ უგმირავს გულს. "თორნიკე ერისთავისა" და "ჩემი თავ-გადასავალი"-ს მხატვრული ქსოვილი, რომელიც მართლმადიდებლური რწ-მენისადმი უფაქიზესი ნიუანსებითაა ნაკერი. აკაკის არ ავიწყდება გვითხრას თუ როგორ განიცდიდა დედამისი, როცა როსტომი (მისი მეუღლე) სახარების კითხვისას ქრისტეს აღსრულებულ საქმეებს თავი-სი კომენტარებით ამკობდა და თვლი-და, რომ ასეთი რამ მიუღებელი იყო წმინდა წიგნის მიმართ. ასეთი დედის გაზრდილი აკაკის ნამდვილად მეტი კუთილგანწყობა უქნებოდა მართლმა-დიდებლობის მიმართ, ვიდრე ამას ბა-ტონი ედიშერ ჭელიძე წარმოგვიდგენს.

ბატონი ედიშერი თავის წერილ-ში ერთ გვერდს უთმობს იმის ახსნას

თუ რა დაემართება დიდი მგოსნის სულს თუ მას წმინდანად შერაცხავენ.

ამ მმიმე სტილით დაწერილი შე-ბრალების ოპუსიდან იმ აზრის გამო-ტანა შეიძლება, რომ აკაკის წმინდან-ად აღიარების შემთხვევაში, მისი სახ-ელის ეკლესიური მოხსენიება, კანონი-კიდან გამომდინარე, უნდა შეწყდეს. იგი ამ აქტით ვერც წმინდანობას მიაღწ-ევს როგორც უღირსი, და ჩვეუ-ლებრივი მოკვდავთათვის დანიშნულ საპაშვიდო მსახურებასაც დაკარგავს. სამწუხაროდ, ამ აზრს ბატონი ედიშ-ერს ვერც გულმოწყალებად ჩავუთვ-ლით და ვერც თანაგრძნობად; ეს უფრო ირონიაა — უადგილო და შეუფერებელი.

გაკვირვებას იწვევს ჩვნი თპონენ-ტის საყვედური — აკაკის თეატრალურ ხელოვნებასთან დამოკიდებულების შესახებ. ესაა ყოვლად უსაფუძვლო, ეჭვით დამბიმებული ბრალება, რომელ-საც ბატონი ედიშერ ჭელიძე ასე აყ-ალიბებს: "აკაკის მიერ მხოლოდ ხე-ლოვნება, მათ შორის თეატრალური, მიჩნეულია ყველაზე რჩეულ საქმედ, ხოლო ხელოვანნი, მათ შორის თეა-ტრალები, "მომავალი აღთქმის მო-ციქულ წინასწარმეტყველებად", რომ-ლებითაც პოეტი მიერ ფაქტობრი-ვად ხდება ეკლესიის ჩანაცვლება, რად-გან მხოლოდ ისინი ცდილობენ თურ-მე კაცობრიობის "სულისა და გუ-ლის გასპეტაკებას" და ამას აღწევენ სცენაზე, რაც აკაკის თქმით "სწორედ რომ ტრაპეზია". ეს აზრი სრულიად უცხოა ეკლესიისათვის . გვაპატიოს ღმერთმა თუ ვცდებით, მაგრამ ამ სი-ტყვებში შუა საუკუნეების ინკვიტი-

ის ინტონაცია იგრძნობა. გამოდის, რომ თუ აკაკი თეატრალურ ხელონებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ იგი ამით მართლმადიდებლობის როლს ამცირებდა. არა და აյ სულ საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: აკაკი სცენას ადარებს წმინდა ტრაპეზის, ხოლო თეატრალებს მომავალი აღთქმის ახალ მოციქულ-წინასწარმეტყვილებს უწოდებს. რა არის აյ დასაძრახი და შეუფერებელი. თუ ადამიანი ღმერთის სახედ და მის მსგავსად შეიქმნა და ამით ღმერთი არ მცირდება, მაშ რატომ უნდა დამცირდეს ასეთი შედარებით წმინდა ტრაპეზის და მოციქულები. აკაკიმ ესეც თქვა: "ჩემი ხატია სამშობლო"-ო, ამ კონტექსტიდან გამომდინარე მაშ ხატის მიმართაც მისი უპატივცემულობა უნდა ვალიაროთ.

გვსურს მკითხველს შევახსენოთ, რომ ეს სიტყვები დაწერილია ქართული ეკლესიის დამცრობის ხანაში, რუსული ეკლესიის ბატონობის დროს, მართლმადიდებლური სიწმინდების განადგურებისა და დატაცების ჟამს (სხვათაშორის ამ ნადგურცემაში ზოგიერთი ქართველი სამღვდელო და საერთო პირიც იღებდა მონაწილეობას). ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი ცდილობდა არ შეგუებოდა ამ ვითარებას და ვისაც როგორ შეეძლო და ხელეწიფებოდა ისე იღვწოდა ქართველთა შეურაცხყოფილი ავტორიტეტის დასაცავად. სამღვდელო პირთაგან ამის ქრესტომატიული მაგალითი გვიბოძა დიდმა სამღვდელო პირმა, ქართული ეკლესიის წმინდანმა, იმერე-

თის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რომელიც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არნახული ძალმოსილებით, უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში, არა თუ ქართველები, მუსულმანი აფხაზების დიდი ნაწილიც მოაქცია ქრისტიანობაზე, მან ხალხის ენაზე გასაგები ქადაგებით, გონიერებითა და წინდახედულობით (და არა დეკლარაციული და ხისტი გამოსვლებით) მოახერხა აეღორძინებინა ერში მართლმადიდებელი რწმენის უპირატესობა და ნიკილისტურად განწყობილი ხალხი ქრისტიანული სულიერებისაკენ შემოაბრუნა.

გაბრიელ ეპისკოპოსი სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობდა და იღვწოდა ისე, როგორც ჭეშმარიტ სასულიერო პირს შეეფერება, აკაკი საერთო ასპარეზზე გამოდიოდა და წინ წამოსწევდა ისეთ თემებს, რაც საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებში შედიოდა. ადამიანთა საზოგადოებას რელიგიის გარდა სხვა რამეც რომ ესაჭიროება ეს ფაქტია და იმ პერიოდში, ანუ ისევ და ისევ რუსული მმართველობის ჟამს, როცა ჩვენს ენას და კულტურას ასე უკირდა, თეატრი იყო ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უძლიერეს სფერო, საიდანაც არა მხოლოდ ქართული სიტყვა გაისმოდა, არამედ მთელი ერის პატრიოტული სულისკვეთება იღებდა სათავეს. ამ აზრის დასტურად მკითხველს შევახსენებ თუ როგორი რეზონანსი ქონდა და "სამშობლოს" დადგმას ქართული თეატრის სცენაზე, როგორი სული შთაბერა ამ ერთმა სპექტაკლმა მაშინდელ საზოგადოებას და რამდენი რწმ-

მენაშერყეული ადამიანი შემოაბრუნა ეროვნულობისაკენ.

თეატრის ეს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა აკაკის მხედველობაში მაშინდელი საქართველოსათვის და ამიტომაც უწოდებდა მის მოღვაწეებს "ახალ მოციქულებს". გაბრიელ ეპისკოპოსიცა და აკაკი წერეთელიც, სხვადასხვა ასპარეზზე მოღვაწეობით, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ – ქართველობასა და მართლმადიდებლობას. მართლმადიდებლობასა და ქართველობას – " ერთმანეთს დატოლებულთა და განუყოფლოთ", ამიტომ არიან ისინი თანაბარი სიდიდის მოღვაწენი.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ბატონი ედიშერ ჭელიძის წერილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ნაჩეკარევად, გამოუძიებლად და სულსწრაფობითაა" დაწერილი. მან ძალიან იოლად შებედა აკაკის, შებედა ამაყობით და არავითარ ნიშანს არ ატარებს მისი წერილი, რომ ასეთი საბასუხისმგებლო განაჩენის გამოტანის წინ, გულდასმით, დაკვირვებითა და კეთილგანწყობით წაიკითხა აკაკის ის თხუთმეტი ტომი, სადაც მეტნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი პოეტის დიდი მემკვიდრეობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბატონი ედიშერის წარმოდგენები ამ მიმართულებით დამყარებულია იმ მავნე ტრადიციაზე, აკაკისთან დაკავშირებით, რომ ჩაუყარეს საფუძველი მისსავე სიცოცხლეში და ასე უანგარიშოდ იმეორებს ყველა არაკეთილმოსურნე. ღიმილის მომგვრელია ბატონი ედიშერის მუქარა როცა გვაშინებს: აღარ ვიკადრე აკაკის შემო-

ქმედების დაწერილებითი ჩხრეკა და მძიმე ციტირებისაგან თავს ვიკავებ თორებ სრულიად ვაჩვენებდი "მისი სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრულ შეუსაბამობას მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანობასთანო". მართლაც რომ სწორუპოვარი დიდისულოვნებაა, ამაზედაც მაღლობელნი ვართ რომ დანდობის გრძნობა გასჩენია და ოდნავი საჭიროება უგრძვნია ზომიერების დაცვისა.

ჩვენ არ ვიცით ვინაა ბატონი ედიშერისათვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ქართველ საერო მოღვაწეთაგან, მისი აზრი რომ მოგვეტანა აკაკის შესახებ, მაგრამ იქნებ გაეხსენებინა აკაკის მოღვაწეობის შეფასება მის თანამედროვეთაგან, ხომ არ იცნობდნენ ისინი მასზე უკეთესად აკაკის "ცოდვა-ბრალიან" ცხოვრებას და თუ იცნობდნენ, რატომ არ წერდნენ ასე ხელალებით მისი "უღმერთობის" შესახებ?!

იაკობ გოგებაშვილმა თქვა: "აკაკი პატარა საქართველოა", თუ ვისმეს გონია, რომ ამ თქმაში მხოლოდ ქება იგულისხმება ძალზე შემცდარა. აკაკი თავისი ბედითა და ცხოვრებით გავს საქართველოს, იგი მიკრომოდელია თავისი ქვეყნისა – ნიჭიერებით, იმედგაცრუებით, წარმატებით, ტანჯვით და ნაკლით. აკაკი არც სიმონ მესვეტეა და არც სალამან მდუმარე, მათსავით არადამიანური ნებისყოფით რომ მოეპოვებინა ქრისტიანული დიდება. ადამიანური თვალსაზრისით იგი იყო ჩვეულებრივი მოკვდავი, მისთვის დამახასიათებელი ნაკლით, ისეთივე როგორც თითოეული ჩვენთაგანი, მა-

გრამ თავისი მიზანმიმართულებით იყო შეუმცდარი, თავის სამშობლოსთან იყო მართალი.

აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედების მიზანს, მისი დაუმრტეტელი და მაძიებელი სულის საგანს სამშობლო წარმოადგენს. იგი განსაკუიფრებლად მიზანდასახულია, რადგან ამორჩული ყავს თავისი სათაყვანო და როგორც პილიგრიმი, ჯიუტად მიაბიჯებს ხიფათით საგეს გზებზე – "აღთქმული ქვეყნისაკენ" – რათა გულმხურვალეთ ილოცოს მისთვის.

მას შეურყევლად სჯერა თავისი ქვეყნის სიდიდისა და პოეზის ლითონიდან ადნობს სტრიქონებს – "ჩემი ხატია სამშობლო". ამ მიმართებით უმტკიცესია მისი ნება და საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილი, რომელიც ძალუმად ისვრის ჭუჭყიან ქაფს, სამშობლოს უღელი შეურყვნელად და ფაქიზად აქვს გამოტარებული. აკაკი შენივთებულია თავის სამშობლოს, როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა – "მისი ბუნება ქართველთა ბედის ნატეხია. ჩვენი ერის მებრძოლი სული მის ბუნებაში განსახიერდა. აკაკის ღიმილი ქართველთა სულის სუნთქვას აუცნაურებდა და რუსთაველის შემდგომ, ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია".

XIX-XX საუკუნეთა საქართველოს გონიერივი ცხოვრება წარმოუდგენილია აკაკი წერეთლის შემოქმედების გარეშე. მისი მოღვაწეობის პერიოდში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, ყურადღების მიღმა რომ დარჩენოდა. მწერალმა თამაზ ჭილაძემ აკაკის "წელ-

ში გაწყვეტილი, ხელებდაკოურილი, მშრომელი ადამიანი" უწოდა და ეს შეფასება არის ყველაზე მართალი, რომელიც კი ოდესმე უთქვამთ მისი მოღვაწეობის შესახებ, ჩვენი ერის ბელნიერება იყო ის, რომ ამ პრაქტიკას შეერწყა "ღვთიური სიმსუბუქით მქროლავი სიტყვის მაგია პოეტისა და აკაკი იქცა ახალი პოეზიის წინამორბედად" (გ. რობაქიძე).

მნელია ჩვენს მწერლობაში დასახელდეს მეორე პოეტი, რომელიც ისე ახლო ყოფილიყო ხალხთან, როგორც აკაკი. მისი შემოქმედების ზეობის საფუძველს ხალხის ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნა და საქართველოს სულიერ კულტურასთან თანაზიარობა წარმოადგენდა.

თუ ადამიანი ნამდვილი გულით არ მიცემა თავისი ოცნების საგანს, თუ არაა სრულყოფილი და გულწრფელი იგი ვერასდროს დამძგვედრებს დიდიებას. ერი გულთამნილავის ძალით გრძნობს ჭეშმარიტი სიმაღლის შემოქმედს, მას უყვარს თავისი დამფასებელი, ერობული სულიერების დამცველი და გამღვივებელი, არ არსებობს ძალა ამ სიყვარულზე მაღლა რომ იდგეს. სწორედ ამ თვისებათა გამოა აკაკის პოპულარობა უმაგალითო. ამითაა იგი წმინდა კაცი.

აკაკის მოღვაწეობის ასპარეზი ვებერთელაა, განცდათა სპექტრი მრავალფეროვანი, ინტერესთა სფერო უფართოესი, დამოკიდებულებები ვნებათაღელვით სავსე, ხოლო უმთავრესი, რითაც იგი თავის კოლოსალურ ენერგიას წარმართავს, სამშობლოს სიყვარულია. ამ გზაზე მისი დევიზი

ლაკონურია – "წინ სამშობლოსაკენ". ესაა მისი მოწოდება და გასაღები ყოველ ქმედებისა.

ეს ხმა ახლაც ზარივით რეკს ყოველი ქართველისათვის. ესაა ხმა

ჩვენი კულტურის გადარჩენისა. ეს ხმა აკაკის ხმაა, რომელსაც დადუმება არ უწერია.

ამიტომ იმსახურებს იგი, რომ შე-რაცხულ იქნეს ქართველი ეპლესის წმინდანთა რიგში.

**ელდარ ნადირაძე
თამაზ ტყემალაძე**

რედაქციისაბან

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ორგანო ჟურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგია და პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი, ვინც მოასწორ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე გასცნობოდა უდიდესი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის კანონიზაციისადმი მიძღვნილ წერილს, სავსებით ეთანხმება საქართველოში ფართოდ ცნობილი ავტორების ელდარ ნადირაძისა და თამაზ ტყემალაძის ძალზე საინტერესო წერილში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს. ამასთან სარედაქციო კოლეგია იზიარებს აზრს, რომ სრულიად უდროო და შეურაცხმყოფელია ჩვენი უკვდავი წინაპრის შესახებ ერთი საუკუნისა თუ საუკუნე-ნახევრის წინათ რუსული „ოხრანკის“ ან მათი დაქირავებული აგენტების მიერ აგორებულ ჭორებს დღეს ავყვეთ. ყველა ეს ჭორი და სახალხო მნიშვნელობის სახელებისათვის სამწუხაროდ ჩრდილის მიენება რუსეთის აგენტურის მიერ მიმართული იყო ძირითადად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშეთა წინააღმდეგ.

ისიც გვინდა შევახსენოთ ელდარ ნადირაძისა და თამაზ ტყემალაძის წერილში სამართლიანად გაკრიტიკებულ ავტორს, რომ საკუთარი თავის წარმო-საჩენად და საკუთარი განსწავლულობის დონის აფიშირებისათვის თითქმის უგვირგვინო მეფედ აღიარებული აწ გარდაცვლილი წინაპრის ძალით მოქმინილი კრიტიკა უმაღური და მიუღებული ქმედებაა. სჯობია არ დავივიწყოთ – ქართული ეკლესის წმინდა არეალში კანონიზაციის უმაღლეს დანიშნულებასთან ერთად, რასაც ჩვენს თანამედროვეთაგან საეჭვოა ვინმემ მიაღწიოს, იგივე ეკლესისა და საერო ცხოვრებაში მკრეხელისა და სულიერი თუ შემოქმედებითი დამნაშავის ცნებაც არსებობს. ამიტომაა საჭირო მეტი სიკეთე, მიმტევებლობა, პატივისცემა, პატიოსნება და ნებისმიერი სახის მორალური კანონის განუხრელი დაცვა.

სარედაქციო კოლეგია

მოსაზრებანი მთიანეთის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე

საქართველო მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 79% მთაგორიანია. დღეისათვის ჩვენი მთიანი რეგიონები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება: უგზოობა, უსინათლობა, ინფორმაციული ვაკუუმი, დაბალი დონის განათლების სისტემა და სამედიცინო მომსახურება, პრიმიტიული სოფლის მეურნეობა, განუვითარებელი მრეწველობა, მძიმე ეკოლოგიური ვითარება. აი, რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობეს მთის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია. მთაში გაჩნდა გაუკაცრიელებული სოფლები, რომელთაც მეზობელი უცხო ტომების შემოჭრის გამო დაკარგვა ემუქრებათ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სწორედ ჩვენ მთიან რეგიონებზე გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და სოფლებთან ერთად ტერიტორიებსაც ვპარგავთ.



დღეს მსოფლიოში აღიარებულია, რომ მთა იყო, არის და იქნება ქვეყნის უდიდესი დასაყრდენი, რადგანაც მფლობელია იმ ურიცხვი სიმდიდრისა, რომელიც ესოდენ საჭიროა კაცობრიობის არსებობისათვის. სწორედ მთაშია ამოუწურავი რესურსები მტკნარი წყლისა, ტყის მასივებისა, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, მინერალური წიაღისეულისა, ეგზოტიკური ცხოველებისა და მცენარეულობისა, ულამაზესი ლანდშაფტებისა და კულტურული მემკვიდრეობისა.

მიუხედავად იმისა, რომ მთის განვითარებამ შესაძლოა საკმაო როლი შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ მცირეოდენ ყურადღებას იჩენს მთისადმი. მაგალითისათვის იმის აღნიშვნაც კმარა, რომ 1999 წ. 19 ივნისს მიღებული „მთიანი რეგიონების სო-

ციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონი“ დღემდე არ ამჟავებულა, ხოლო ამ კანონის დამატებები და ცვლილებები (ჩვენს მიერ შემუშავებული და გადაცემული პარლამენტში) არც განხილულა .


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია 1969 წლიდან იკვლევს მთაში არებულ პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს აწვდის საქართველოს მთავრობას. დღეს ლაპარაკია არა ჩვენი მთიანეთის აღორძინებაზე, არამედ მის გადარჩენაზე. ჩვენ შევისწავლეთ მთაში ცხოვრებისა და საქმიანობის პრობლემები (იხ. ტაბულა № 1), რომლის ბაზაზე შემუშავდა მაკეტი მთის განვითარების კომპლექსური პროგრამისა (იხ. მაკეტი № 2).

რა არის საჭირო დღეს ჩვენი მთის გადასარჩენად? შესწავლამ გვაჩვენა, რომ ესაა გარემოს დაცვა, მთაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, სამეურნეო ჩვევათა შენარჩუნება, ბალანსის დამყარება ქვეყნის ცენტრისა და რეგიონების ინტერესებს შორის, დეცენტრალიზაცია, მთის მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური განათლება, საკუთარი რესურსების რაციონალური განვითარება, მცირებული მოსახლეობის გარემოსთან, მათ საცხოვრებელ ადგილებთან, ტერიტორიასთან. სწორედ აქაა საჭირო მოსახლეობის ჩვევების სოციალური ხელშეწყობა, მათი შეთანაწყობა ცხოვრების თანამედროვე ნორმებთან.

მთიანეთის პრობლემათა განხილვისას მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების მოსახლეობათა თავისებური მენტალიტეტი, რაც მრავალმხრივ დაკავშირებულია გეოგრაფიულ გარემოსთან, მათ საცხოვრებელ ადგილებთან, ტერიტორიასთან. სწორედ აქაა საჭირო მოსახლეობის ჩვევების სოციალური ხელშეწყობა, მათი შეთანაწყობა ცხოვრების თანამედროვე ნორმებთან.

რადგან სოციალური და დემოგრაფიული ბუნებრივი სამყარო ბირთვია მთიელთა რეალური ცხოვრებისა, საჭიროა ვიცოდეთ მოსახლეობის გარემო, მისი თუნდაც პრიმიტიული ეკონომიკური ტრადიციები, რომელიც წარმოიშვა მთელი ისტორიის განმავლობაში და არა გარედან ჩარევით. მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათიც, რომელიც გამოხატულია მათ სასიცოცხლო მოქმედებაში, ურთიერთ-დამოკიდებულებაში, რელიგიურ

Schem. No. 1



四百

卷之三

卷之三

1

六

विद्युत वितरण के लिए विद्युत उपकरणों का उपयोग किया जाता है। इनमें से एक महत्वपूर्ण उपकरण है विद्युत बोल्टिंग या विद्युत ब्रॉडबैंडिंग।

- In der Regel: Menge, Position, Zeitpunkt, Wert, Größe
- Menge ist gewöhnlich klein, geprägt durch
- Abgrenzung schwierig, so dass verschiedene Begriffe unterschieden werden müssen
- Zu unterscheiden: Physisches und psychisches Objekt
- Ein Objekt kann mehrere Phasen aufweisen

THE JOURNAL OF CLIMATE

प्राप्ति विद्या की विभिन्न विधियों के बारे में जानकारी प्राप्त करने के लिए इस ग्रन्थ का अध्ययन करना अत्यधिक उपयोगी है।

Digitized by srujanika@gmail.com

卷之三

აღმსარებლობაში, შრომასა და ბუნების სიყვარულში.

მთის ეკოსისტემები, რომელშიც მთის მოსახლეობას უხდება ცხოვრება, განსაკუთრებულად მრავალფეროვანია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო (ციცაბო ფერდობები, მთის სპეციფიკა, ექსტრემალური ბუნებრივი პირობები) ისინი ძლიერ მყიფეა და ხშირად დეგრადირებულიც. ეს გამოწვეულია, აგრეთვე, სოფლის მურნეობაში მათი გამოყენებისადმი არარაციონალური მიდგომით.

საქართველოს ყველა მთის რეგიონში ჩვენ გვაქვს კრიზისული სიტუაცია სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ და პოლიტიკურ სფეროში. სწორედ მათ უნდა ეფუძნებოდეს რაიონისა და სოფლის მმართველობა, სინამდვილეში კი სახელმწიფოსა და რეგიონების მოსახლეობის მიდგომები აღმინისტრაციის, მმართველობისა და განვითარებისადმი სრულიად განსხვავებულია. მიგვაჩნია, რომ სოფლისა და რაიონის მართვა უნდა მოხდეს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების გათვალისწინებით, უნდა აღდგეს თანამედროვე მთის რეგიონების შესაბამისად მმართველობის ტრადიციული ფორმები. მოსახლეობის უფლებები კანონით უნდა იყოს გარანტირებული, ხოლო მოვალეობანი – განსაზღვრული.

დღეისათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მთის რესურსების გამოყენებაზე, მიიღება მმართველი ხელისუფლების მიერ, მაგრამ იგი კომპენსაციის სახით

არაფერს აძლევს მთის მოსახლეობას, პირიქით, ზღუდავს მას საკუთარი ბუნებრივი რესურსების მოხმარებაში.

მიზანი, რომელსაც მთის კომისია ისახავს, ისაა, რომ მთის რეგიონები იქცნენ ურთიერთშემავსებელ ტერიტორიებად, რომლებიც უნდა ვითარდებოდნენ საკუთარი რესურსების გამოყენებით მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად ისე, რომ პრობლემები არ შეუქმნან შთამომავლობას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

საქართველოს მთიანეთის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა სავალალოა. ყველგან, როგორც კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ისე მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში, შეიმჩნევა მძიმე ვითარება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიამ გააანალიზა მთიანი რეგიონების დღევანდელი მდგომარეობა და დასახა მათი განვითარების პერსპექტივები. საქართველოს მთიანი ზოლის რეგიონების შინაგანი ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული თვისებების გამო, მთის განვითარების პერსპექტივები გულისხმობს დიფერენციულ რეგიონულ მიდგომას, რაც უნდა ემყარებოდეს ყველა რაიონის შინაგან ძირითად თვისებათა სრულ გათვალისწინებას.

მთის მომავალი საწარმოო ეკონომიკური პროფილისა და სფეროების განსაზღვრისათვის აუცილებელია ერთიანი კომპლექსური სტრუქ-

ტურის შემუშავება, რომელსაც საფუძვლად დაედება დარგობრივი პროგრამები. მხედველობაშია მისაღები, რომ რეგიონული საკვლევი კომპლექსის ნაწილები, როგორც წესი, განსხვავებულია კვლევის კონკრეტული ობიექტებითა და ხერხებით. ამიტომ ისინი უნდა დაფუძნორჩილოთ კვლევის ერთიან ხაზს. ყველა პრობლემა, რომელიც არსებობს მთის სოფლის მეურნეობაში, სოციალურ სფეროში, ეკონომიკაში და სხვ., უნდა განიხილებოდეს მთის განვითარების ერთიან პროგრამაში.

მთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ობიექტურად ისახება, ერთი მხრივ, ადგილობრივი საწარმოო ბაზის სამეურნეო და საწარმოო მიმართულება, მეორე მხრივ, ტურიზმის, ალპინიზმის, ზამთრის სპორტისა და კურორტების კომპლექსური განვითარება. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვნად ცვლის რაიონებში არსებულ ეკონომიკურ პროფილს.

რადგან მთიანეთში არსებობს რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და მეურნეობის სპეციფიკა, წარმოიქმნება ეკონომიკის პირდაპირი რეგულირების სიმუშავებელი ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრო და შიგა განვითარების პროგრამები. საჭირო გახდა მთის აღორძინების ისეთი გრძელვადიანი გადაწყვეტილებების დამუშავება და განხორციელება, როგორიცაა რესურსების მართვის მეთოდები. მთას აქვს მრავალმხრივი რესურსები, საჭიროა მათი რაციონალური მართვა, ამიტომ აუცილებელია მირითადი

დატვირთვა მოხდეს თვითრეალიზაციაზე, ეკონომიკურ დივერსიფიკაციაზე, სასოფლო სამეურნეო დასაქმებაზე, რესურსების გამოყენების პოლიტიკაზე, ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემაზე. რეგიონული რესურსები გამოყენებულ უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი შემოსავლების შესავსებად.

მნიშვნელოვანია საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების მიმართულებების მეცნიერული განსაზღვრა და მოსახლეობის სოციალურ მოთხოვილებათა დაკმაყოფილების ღონისძიებათა შემუშავება.

მთის რეგიონების განვითარების კომპლექსურ გამოკვლევაში საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო-საწარმოო და სოციალურ-კულტურული ორიენტაციის დადგენა, რათა ხელი შეეწყოს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ აქტივიზაციას და შემდგომ ღონისძიებათა სწორ შემუშავებას. დასადგენია, აგრეთვე, მთის მოსახლეობაში არსებული ტრადიციები, საწარმოო ჩვევები და გამოცდილებანი, რათა მისი სასარგებლო ნაწილი გონივრულად გამოვიყენოთ. სწორი გადაწყვეტილება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საწარმოო მიმართულება იქნება არჩეული ამა თუ იმ რეგიონის განვითარებაში. აქ მთავარია ეკონომიკის აქტუალური პრობლემების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი სიმდიდრეებისა და შრომითი რეზერვების გამოყენების,

სამეურნეო შესაძლებლობების განსაზღვრა-გაანალიზება. მთიანი ტერიტორიების ბუნებრივი გარემოს თავისებურებანი არსებით და ამასთანავე მრავალმხრივ დაღს ასვამს მათ ფარგლებში ჩამოყალიბებულ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, რაც გამოხატულებას პოულობს მთიან რეგიონებში შექმნილ ეროვნულ შემოსავლაში.

მთიანი რეგიონებისათვის ერთერთ მტკიცებულ პრობლემას წარმოადგენს გზა, რომელიც იქ, გარკვეულ ფარგლებში, ცხოვრების წესის განშესაზღვრელ როლს იდენტის. საჭიროა გზათა ქსელის სატრანსპორტო კომუნიკაციების რაც შეიძლება რაციონალური განლაგება, მათი მიზანშეწონილი კეთილმოწყობა და მაღალი ხარისხი. ამასთან უნდა აშენდეს საბაგირო გზები, რომლებიც გამოყენებული იქნება ჯანმრთელობის, სასწავლო, კულტურულ, მეცნიერებების, სათიბ-საძოვრების, მრეწველობის და სხვა კურებთან კავშირის დასამყარებლად. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტურისტული, საკურორტო, სპორტული და ალპინისტური ქსელის განვითარებას. გზების სარეკრეაციო ქსელის განვითარება, ენერგეტიკულ პრობლემებთან ერთად, გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს ცხოვრების არა მარტო მატერიალურ, არამედ სოციალურ სფეროშიც.

მთის განვითარების ფონზე მნიშვნელოვანია სოფლების განსახლება. განსახლების პერსპექტიულ სისტემაში უნდა განისაზღვროს თითოეული დასახლებული პუნქტის ადგილი, პერ-

სპექტივაში მოსახლეობის რაოდენობა, ჩამოსულ სტუმართა რაოდენობა (ტურისტები, მოთხილამურენი, ალპინისტები, სამკურნალოდ ჩამოსულნი და სხვ.), მომსახურე ობიექტების მოცულობა. უნდა შეიქმნას სარეკრეაციო რაიონები, რაც გულისხმობს ტურისტულ-ალპინისტური ქსელის განვითარებას. მთის რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობა კარნახობს ტურისტული ქსელის ხაზობრივ განვითარებას ხეობების გაყოლებით. აქ უნდა შეიქმნას ადგილობრივი მნიშვნელობის ტურისტული სასტუმროები და ბაზები, მაგრამ რადგან ტრადიციული დასახლებებიც ძირითადად ხეობების გასწვრივ მდებარეობს, ბუნებრივია, ტურისტული ქსელის საბაზო პუნქტებად შეიძლება მივიჩნიოთ არსებული ტრადიციული დასახლებები, როგორც ტურისტული რაიონის ან ქსელის მიკროცენტრები. ტრადიციული დასახლებები ხასიათდება თავისი ისტორიულ-არქიტექტურული ფასეულობებით. საჭიროა მათი შენარჩუნება გეგმარებითი სტრუქტურის რეკონსტრუქციით.

მთის რეგიონების განვითარების ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპონენტია ტურიზმი. ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოქმედების სახეობა, წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის მრავალი დარგის კოორდინაციას. ტურიზმი არ არის მარტო ეკონომიკური საქმიანობის ნაირსახეობა. მის საფუძველს წარმოადგენს ხალხის მასობრივი და კომპლექსური ურთ-

იერთქმედება, რომელსაც სჭირდება მომსახურების სფეროს ფართო სპექტრი და იგი მოთხოვს მნიშვნელოვანი ოდენობით დანახარჯებს. ტურიზმის როგორც სოციალური და ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური შემადგენელი კარგად უნდა იყოს კოორდინირებული, რათა მოუტნოს მოგება მოსახლეობას და დიდად არ დააზარალოს ბუნება. თუ ამ პროცესებს ფრთხილად არ წარვმართავთ, ვერც მოგებას მივიღებთ სასურველი ოდენობით და გარემო ბუნებაც ეკოლოგიურად იზარალებს. საერთოდ, ტურიზმი განიხილება როგორც მთიანი რეგიონების პროგრესული ცვლილებების კატალიზატორი, ამიტომაც გვმართებს გააზრებულად მოვეკიდოთ ჩვენში სამთო ტურიზმის განვითარებას. საჭიროა მკაცრად აღირიცხოს და მეცნიერულად დასაბუთდეს ბუნებათ-სარგებლობის პროცესები ყველა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რადგან ტურისტული ჯგუფებით გაუაზრებელმა დატვირთვამ, რა მცირედროშიც არ უნდა ხდებოდეს, შესაძლოა მიგვიყვანოს რელიეფის და საერთოდ ბუნების დეგრადაციამდე.

რა არის საჭირო ტურიზმის განვითარებისათვის? ა) მიმზიდველობა (ბუნების სილამაზე, მოსახლეობა თავისი ზნე-ჩვეულებებით, კულტურული მემკვიდრეობა); ბ) ხელსაყრელი მისადგომობა (გზა, ტრანსპორტი, მანძილი); გ) რეკლამა, მეგზურები; დ) მომსახურების სფერო (სასადილოები, ბაზები, გიდები და სხვ.).

რა ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ტურიზმი? ა) ადიდებს აღგილობრივ შემოსავალს; ბ) ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს; გ) ანვითარებს წარმოების ყველა დარგს, რომელიც დაკავშირებულია ტურისტულ მომსახურებასთან; დ) ტურისტულ ცენტრებში ანვითარებს სოციალურ და საწარმოო ინფრასტრუქტურას; ე) ააქტიურებს ხალხური რეწვის ცენტრებს, ანვითარებს კულტურას; ვ) უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას; ზ) აჩერებს მიგრაციის პროცესებს; თ) ზრდის ქეყნის სავალუტო შემოსავალს.

ჩვენი მთიანი რეგიონები წარმოადგენენ ტურისტულ-საკურორტო მშენებლობის შესანიშნავ არეალს. ისინი ზამთარში ექსპლუატაციის მზარდი პოპულარობითაც სარგებლობენ და გააჩნიათ მრავალმხრივი სპეციალიზაცია ტურისტულ-სპორტულ-რეკრეაციული ფუნქციის სიჭარბით. ტურიზმი, სპორტი და საკურორტო ობიექტების მშენებლობა საგრძნობ ბიძვს მისცემს ჩვენი მთიანი რეგიონების არასაწარმოო ფუნქციების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას. ტურიზმის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ხელშეწყობით. ამისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საგადასახადო შეღავათები. მიზანშეწონილია, რომ ტურისტული მშენებლობისათვის ადგილები მსურველებს მიეყიდოს შედარებით იაფად, შეიქმნას ინვესტიციური გარემო, გაუმჯობესდეს ტურიზ-

მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხელი შეეწყოს იმ სამურნეო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირებს, რომლებიც ემსახურებიან ტურიზმს (კვების პროდუქტების წარმოება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ადგილობრივი წარმოება), კვალიფიკაციური კადრების მომზადებას, გადამზადებასა და სტიმულირებას, ტურისტული რეგიონების რეკლამირებას.

მომსახურების სფეროს განვითარება უშუალოდაა მჭიდრო კავშირში რეგიონის ეკონომიკურ სიძლიერესა და მოსახლეობის განსახლების თავისებურებებთან. მომსახურების სფერო უწინარეს ყოვლისა მოიცავს ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებას. ამ სფეროზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა და საქონელბრუნვის მოცულობა რეგიონის ერთ მცხოვრებზე საშუალოდ. რაიონში ვაჭრობის მხრივ არსებული მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასურსათო და არასასურსათო საქონელბრუნვას შორის თანაფარდობა. მთანეთში ადგილი აქვს არასასურსათო საქონელბრუნვის უფრო სწრაფ ზრდას, რადგან მოსახლეობა ძირითადად პირად მეურნეობას იყენებს საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. სასურსათო საქონელბრუნვის მოცულობის ზრდა კი თავის მხრივ, მოსახლეობის კვების გაუმჯობესების პროცესს ასახავს.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ერთ-ერთი მთავარი საკითხია სავაჭრო ქსელის განლაგება. საზოგა-

დოებრივი კვების ობიექტების განლაგება უშუალოდაა დაკავშირებული მოსახლეობის განსახლების თავისებურებასთან. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი კვების ობიექტებით;

ბ) დაწესდეს დატარებითი ვაჭრობა იქ, სადაც მოსახლეობის მცირე კონტინგენტია და არ არსებობს სავაჭრო წერტები. ვაჭრობის ეს სახეობა უნდა ემსახურებოდეს, აგრეთვე, საგაზაფხულო სამუშაოებს, ტურისტულ ბანაკებს, სათხილამურო ტრასებს და სხვ.;

გ) შეტანილ იქნას მეტი რაოდენობით სხვადასხვა ასორტიმენტის სასურსათო და არასასურსათო საქონელი და მისი რეალიზაცია მოხდეს არა მარტო რაიონულ ცენტრებში, არამედ სასოფლო დასახლებებშიც;

დ) სავაჭრო ქსელში შეტანილ იქნას ხანგრძლივი მოხმარების საგნები, რათა მოსახლეობას არ უხდებოდეს მათი შემენა მხოლოდ ქალაქებში.

მთის განვითარების ძირითადი, გადამწყვეტი ფაქტორია ყველა არსებითი რესურსის რაციონალური მართვა. ამ მხრივ ძირითადი დატვირთვა მოდის ორ მიმართულებაზე: ენერგიტიკასა და სოფლის მეურნეობაზე. ცნობილია, რომ ენერგეტიკული (როგორც პიდრო, ისე მზის, ქარის, ბიომასები) რესურსების მაქსიმალურმა ათვისებამ შესაძლოა სრულიად შეცვა-



ლოს ადამიანთა ცხოვრება, რადგან ელექტროენერგია ძირითადი წყაროა როგორც მრეწველობასა და სოფლის მურნეობაში, ისე საოჯახო საქმიანობაში.

ძირითად მტკიცნეულ პრობლემას ჩვენ მთან რეგიონებში წარმოადგენს სოფლის მურნეობა. მთლიანად სოფლის მურნეობის ინტენსიფიკაცია მიზანშეწონილია წარიმართოს სასოფლო-სამურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზით. ცნობილია, რომ მთის მოსახლეობას თავისი მურნეობის გაძლიერების დრიდი და მძიმე შრომის გაწევა უხდება, რადგან მთანი რეგიონები მცირებინიანობით ხასიათდება და სხვადასხვა მიზეზების გამო (ციცაბო ფერდობები, ექსტრემალური ბუნებრივი პირობები და სხვ.) ისინი ძლიერ მყიფეა. ფერდობთა არასწორი ექსპლუატაციის გამო ეროზიის განვითარების შედეგად, მცირებიწიანობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება. მნიშვნელოვანია ნიადაგური საფარის მდგრადობაც, რომლის გარებისიანობას განსაზღვრავს რიგი პრობ-

ლემებისა: გენეზისი, კლასიფიკაცია, გეოგრაფია, სოფლის მურნეობაში მათი გამოყენება. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა შედგეს სრულყოფილი მხვილმასშტაბიანი ნიადაგური რუკა, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად გადავჭრათ მიწის რაციონალური გამოყენების საკითხი.

მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით, შესაძლოა დახრილ ფერდობთა დატერასება, რაც გაზრდის მიწის დასამუშავებელ ფართობს და შეაჩერებს ნიადაგის ეროზიას.

მთის მიწათმოქმედებაში ძირითადია მეცარტოფილეობა და, ნაწილობრივ, მებალეობა. მთათა ეკოლოგიური პირობების მიხედვით, მთა-ხეობათა და დაბალმთანი ზონა (600-1200მ) წარმოადგენს უპირატესად ვაშლის, მსხლისა და ქლიავის გავრცელების არეალს. გარდა ამისა, აქ გვხვდება: კაპალი, მარწყვი, ჟოლო, მოცხარი, ხურტკმელი. 1200-1500 მ-ის სიმაღლის ზონაში იზრდება ტყემალი, ალუბალი და კენკროვანები. მაღალი მთის ზონაში (1500-1800მ) იზრდება ყინვაგამძლე საადრეებული ვაშლის და მსხლის ხეები. ამრიგად, მიწის ფართობის რაციონალური გამოყენებით მთაში შესაძლებელია მებალეობის განვითარებაც. მაგრამ მთიანეთის სოფლის მურნეობის განვითარება უპირატესად მეცხოველეობით შემოიფარგლება, რაც აიხსნება საძოვრებისა და სათიბების უპ-

ირატესობით სახნავ ფართობთან შედარებით და მთის ბუნებრივი თავისებურებებით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 90%-ზე მეტი ბუნებრივ სათიპ-საძოვრებს უჭირავს, სახნავი მიწები კი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. მეცხოველეობის წამყვანი დარგება მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) და მეცხვარეობა. თუმცა, მთიანეთში საკმაოდ კარგი პირობები გვაქვს მეთხევეობის, მეცხნეობის, მეღოროეობის, მეფუტკრეობის, იხტიოფაუნის და კავკასიური ნაგაზის განვითარებისათვის. სხვადასხვა ხეობაში შესაძლოა მოეწყოს ხელოვნური ტბორები საკალმახე მეურნეობისათვის. მეფუტკრეობას დიდი გასაქანი შეიძლება მიეცეს განსაკუთრებით სუბალპურ ზონებში, მომთაბარეობის გამოყენებით. მეთხევეობისათვის კი კარგი პირობებია მდინარეთა სათავეებში, სადაც ტყე არ არის, გამოიყენება საზაფხულო საძოვრებიც და ფერდობები, სადაც დიდი დახრილობაა. ზამთრის საკვები კი შეიძლება დამზადდეს ტყეში არსებული მსხვილეროიანი ბალახეულისაგან.

მეცხოველეობის სტაბილურ განვითარებისათვის აუცილებელია ცხოველთა ჯიშების შერჩევა, ადგილობრივი ჯიშებისა და სახორცე ჯიშის კუროების სამრეწველო შეჯვარება, რაც გაზრდის მთის რეგიონებში ხორცის წარმოებას. რამდენადც საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ქართული მთის საქონელი, საჭიროა შეიქმნას ამ ჯიშის სანაშენე მეურნეობა, ფართოდ გავრცელდეს ხელოვნური განაყოფიერება, სანაშენე საქმე, ცხოველთა ხელოვ-

ნური დათესვის სახელმწიფო სადგურები. მეცხოველეობაში საჭიროა გამოყენებულ იქნას დანადგარები ტექნოლოგიური პროცესების ელექტრომექანიზაციისათვის. საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება ფურების უნაყოფობის წინააღმდეგ.

მთიან რეგიონებში ზამთრობით ხორციელდება ცხოველთა ბაგური კვება. ბაგური კვების პერიოდი სხვადასხვა ადგილებში 180-210 დღე გრძელდება. გასათვალის-წინებელია, რომ მთაში ზაფხულის პერიოდში საკვების ბაზა ზამთრის პერიოდისას 7,5-ჯერ აღემატება, რაც მეცხოველეობის რაციონალური გაძლილის თავისებური სისტემის შემუშავებას მოითხოვს. ცხოველთა ბაგური კვების ხანგრძლივობის გამო გროვდება ბევრი ნაკელი ცხოველთა საღომებთან. ეს კი, სათანადო გადამუშავების შემდეგ, საუკეთესო საკვებია. ის იაფფასიანიცაა და საკმაოდ გავცრელებულია უცხოეთში.

საქართველოს ზოგიერთ მთიან რეგიონში (თუშეთი, ხევი) მესაქონლეობის ძირითად მიმართულებას მეცხვარეობა წარმოადგენს. თუშეთში, ცნობილ თუშურ ცხვართან ერთად, მნიშვნელოვანია ნაზმატყლიანი მერინოსული ჯიშიც. სვანეთში ცნობილი იყო იმერული ცხვრის სვანური პოპულაცია, რომელსაც ყარაჩაულის გავლენაც ეტყობოდა. საქართველოს ცხვრის ჯიშების ძვირფასი თვისებაა მაღალი ხარისხის ხორცი, მრავალნაყოფიერება (ზოგიერთი ჯიშისა), მატყლის ძვირფასი ხარისხი და სხვ.

მნიშვნელოვანია ჩვენს მთიანეთში ისეთი ქართული ენდემური ჯიშის ცხენების მომრავლება, როგორებიცაა თუშური, ხევსურული და მეგრული. როგორც ცხობილია, მთაში ძირითად გამწევ ძალად გამოიყენებოდა ზარები. ამან განაპირობა ცხენების თავისებური სპეციალიზაცია მხოლოდ საკლომ-საპალნედ მეცხოველეობის ფერმებში, სპორტში და დღესასწაულებზე. ცხენი დღესაც ერთადერთი საშუალებაა ისეთ ადგილებში შეღწევისა, სადაც ტექნიკური საშუალებებით შესვლა შეუძლებელია. ტურიზმის განვითარებასთან ერთად ცხენი შესაძლოა ჩაერთოს ტურისტულ მურნეობაშიც, რამდენადაც მთაში გვაქვს ცხენით სავალი შესანიშნავი ტრასები, შეუდარებელი ისილამაზის ლანდშაფტები, რაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს ცხენით მოგზაურ ტურისტზე. მეცხენების განვითარება უეჭველად გახდის მას შემოსავლიან დარგად, ამასთან შეგვინარჩუნებს ზემოთ ნახსენებ უნიკალურ ჯიშებს.

მთაში მეცხოველეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკვები ბაზა. ამისათვის აქ არსებობს ყოველმხრივ წელსაყრელი პირობები ალპური და სუბალპური საზაფხულო საძოვრების სახით. ალპური საძოვრები დიდ ფართობზეა გადაჭიმული, მაგრამ ზოგიერთ მთიან რეგიონში უგზობის გამო ათასობით ჰექტარი საძოვარი სრულიად აუთვისებელია (ხევსურეთი) ან ნახევრადაა ათვისებული. მესაქონლეობაში მნიშვნელოვანია საძოვრების ხარისხი, მათი ნოეთერება. ჩვენ მთიანეთში საძოვრების ბოტანიკური შედგენილობა

მდარეა, მისი გამოყენების კოეფიციენტი კი მცირე. დაბალია აგრეთვე სათიბების საჰექტარო მოსავლიანობა. უგზობის გამო გამოუყენებელი რჩება მექანიკური თიბგისათვის ვარგისი სუბალპური ზონის ვაკე სათიბები. ანთროპოგენური მოქმედების შედეგად, დიდ ფართობებზეა წარმოდგენილი მეორადი მდელოები, რომლებიც უმთავრესად გახვდება მიტოვებულ სახნავ-სათიბ მიწებზე. ამგვარი მდელოები მცირემოსავლიანია. ეკოსისტემების დარღვევა იწვევს მცენარეულობის დეგრადაციის შეუქცევადობას. სუბალპურ და ქვედაალპურ სარტყლებში გავრცელებულია ფართოფოთლიანი, ნაირაბალაზოვნი მდელოები. აქ მოსავლიანობა დიდია, მაგრამ დაბალია კვებითი ღირებულება. საჭირო ხდება ხელოვნური სათიბების მოწყობა. შესწავლის საფუძველზე, შესაძლებელია მეცენარეობის განვითარების პროგნოზირება და ეკოსისტემების პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების ოპტიმალური დონის შერჩევა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეროზიული პროცესების მაქსიმალური შეკავება. აღსანიშნავია მთის საძოვრების მცირე პროდუქტიულობა, რაც გამოწვეულია მათი უსისტემო ექსპლუატაციით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობით, ეკალ-ბარღებისა და ქვებისაგან გაუწმენდაობით, ხშირ შემთხვევაში უგზობითაც.

მთის საზაფხულო საძოვრები, ინტენსიური დასერილობისა და დახრილობის გამო, მსხვილფეხარქოსანი პირუტყვისათვის ხშირად მიუდგომელია და არსებითი საძოვრე-

ბის დიდი ფართი მთლიანად გამოუყენელი რჩება. მთის საძოვრების გაუმჯობესებისათვის უნდა შემუშავდეს ბალახთესვის, საძოვრების კორდის შექმნის, ბოტანიკური შედგენილობის გამდიდრების, ბალახისა და თივის აღების ტექნოლოგიის, სამთო ტექნიკისა და მისი გამოყენების, საგარეულოთა ზედაპირული დამუშავების კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სწორი სისტემა, ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. სათიბ-საძოვრები უნდა გაიწმინდოს სარეველა ბალახებისაგან, მოხდეს კვების მაღალი თვისებების მქონე ბალახების მომრავლებით შეთესვა, ნაკვეთმორიგეობითი ძო ვება, სათიბ-საძოვრული ბრუნვის შემოღება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს მთიანეთში სხვადასხვა რაოდენობით იზრდება ძვირფასი სამკურნალო მცენარეულობა: დიღი, დეზურა, ხბოშუბლა, ტილჭირი, მირმწარა, სამყურა, ძალლყურძნას სახეობები და სხვ. მაგალითად, წამწამოვანი სათითურა უნიკალური სამკურნალო ნედლეულია გულსისხლძარღვთა დაავადებისათვის.

განვიხილეთ რა ის პრობლემები, რომლებიც მთიანი რეგიონების გადარჩენასა და აღორძინებას შეეხება, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული მაკეტი მთიანეთის განვითარების კომპლექსური პროგრამისა (ტაბ. № 2) ეფუძნება სწორედ ისეთ ძირითად კომპონენტებს, როგორიცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, ენერგეტიკა და სოციალური სფერო. ბუნებრივი რესურსების შეფასებისას კი ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება

ისეთ პრობლემებს, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი და წარმოება (მცირე მრეწველობა).

ეკოლოგია მოიცავს გარემოს ფიზიკურ მდგომარეობას, რომლის დეგრადაცია დაუშვებელია. აյ შედის ბრძოლა ეროზისთან, ფერდობთა არამდგრადობის ზრდასთან, ნიადაგების ნაყოფიერების დაცემასთან, გარემოს ქიმიურ დაბინძურებასთან, ტყის გადაჭარბებულ ჭრასთან, საძოვრების დაბალ ნაყოფიერებასთან, არსებული რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან.

ეკონომიკური კომპონენტი – ეს სამუერნეო საქმიანობის გამოსახულებაა, რომელიც დამოკიდებულია ტექნიკის განვითარებაზე, თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე და სხვა ფაქტორებზე.

სოციალური კომპონენტი გულისხმობს დაბალანსებულ დემოგრაფიულ სტრუქტურას, რეალურ შემოსავლებს, მაღალ მყიდველობითურიანობას, შრომისა და ცხოვრების უსაფრთხოებას, აუცილებელ სოციალურ ინსტიტუტებს, პირობებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის და სხვ.

მთის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებას, რომელიც უნდა იყოს კონკურენტუნარიანი და საშუალება მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღოს ნორმალური ანაზღაურება. წარმოების სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ გამორიცხოს უმუშევრობა და უზრუნ-

ველყოს ეკონომიკის მყარი განვითარება. შესამუშავებელია სპეციალური პროგრამები, თუ სად და როგორ განვითარდეს სხვადასხვა ტიპის მცირე საწარმოო ობიექტები, რომლებშიც დასაქმებული იქნება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა. აუცილებელია, რომ მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს რესურსების რაციონალურ განაწილებასა და მათი ტრადიციული მექანიზმების რეგულირებაში, კომუნიკაციების მშენებლობასა და მომსახურების კველა დარგში. ეს წარმოადგენს დღევანდელობის უპირველეს ამოცანას. მხოლოდ ადგილზე დასაქმება და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა შეაჩერებს მთაში მიგრაციულ პროცესებს.

მთის აღორძინება და იქ არსებული პრობლემების მოგვარება ვერ განხორციელდება სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე. ვფიქრობთ, რომ დროა ჩვენმა ხელისუფლებამ გაითავისოს მთის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, გამოუყოს მთიანეთს შეღავათიანი კრედიტები, მისცეს მის რეგიონებს ეკონომიკური ავტონომია, მთის მოსახლეობის მიმართ გაატაროს მფარველობითი (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოახდინოს მთის რეგიონების ეკონომიკური დივერსიფიკაცია. ინფრასტრუქტურაში ჩადოს ხანგრძლივი ინვესტიციები და ხელი შეუწყოს მათ მოზიდვას დიდი მასშტაბით, მთის მოსახლეობისა და იქ არსებული წარმოებების მიმართ გაატაროს შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა, მოახდინოს მთაში მემკენარეობისა და მეცხოველეობის პროდუ-

ქტების წარმოებაზე მოსახლეობის წახალისება ფულადი დახმარებისა და გარკვეული შეღავათების სახით; უზრუნველყოს მთის მოსახლეობის დაგავშებული ცენტრალურ ბაზრებთან და მთაში არსებული პროდუქციის ადგილზე კოოპერაციული შესყიდვა და სხვ. ესაა ის ძირითადი, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს, რათა საქართველოს მთიანეთი იქცეს განვითარებულ (ტურისტულ და რეკრუციულ), ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან მხარედ.

ყველამ ერთსულოვნად უნდა გავითავისოთ ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ მთიანეთის აღორძინება ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთერთი უნიშვნელოვანესი საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. რჩეულიშვილი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთის პრობლემებისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. თბილისი, 1982.

2. ბ. გომშვილი, ვ. ჩხეიძე. - „საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია“. სახელმძღვანელო. გამომც. „განათლება“, თბილისი, 2001.

3. თ. ონიანი, ბ. გომშვილი. - „საქართველოს მთიანეთი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში“. კრებული „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“. ბათუმი-თბილისი, 2001.

4. ბ. გომშვილი. - „მთები და კანონმდებლობა“. კრებული „მთიანე-ეობისა და მეცხოველეობის პროდუ-

თის მდგრადი განვითარების პრობლემები“. თბილისი, 2002.

5. თ. ონიანი, ბ. გოიშვილი. - „საქართველოს ჩრდილო საზღვარი და მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივები“. – შრომების კრებული. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2002.

6. ბ. გოიშვილი, ა. გოგიტიძე. – მონტოლოგია (მთათმცოდნეობა). სახელმძღვანელო. - გამომც. „ინოვაცია“. თბილისი, 2004.

7. ბ. გოიშვილი. - „მოგესალმებით, თუშებო“. – გამომც. „საზოგადოება ცოდნა“. თბილისი, 2005.

8. ბ. გოიშვილი. - „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სასარგებლო წიაღისეული“ (ცნობარი). – გამომც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2009.

9. . . – "

" . –

, N 5.

, 2001.

10. . . , . .

" . – . " "

, 1999.

11. IV

" . . – . , 2001.

B. Goishvili
Doctor of Sciences

Considerations about Urgent Problems
of Mountain Development

Abstract

The mountainous Regions of Georgia live in the extremely severe conditions and the population is deserting them; though their development would greatly contribute to the economical progress of the country. The Commission of Complex Study of the Mountainous Regions of the National Academy of Sciences of Georgia makes researches of the problems of our mountainous regions since 1969. It elaborated the Mountain Law (1999) and amendments and addenda to this law (2010), though they are not complied with. Today it is necessary to create the national program for mountain development, to make decentralization. Mountain development shall be relied on four systems: economical, environmental, energetic and socio-political. In resolving mountain problems the following play important role: roads, village settlement, mechanization of agriculture, development of small entrepreneurship, maintaining and growing of biodiversity and endemic species of plants and animals, tourism and recreation industry.

The Government of Georgia shall accomplish set of measures and take into consideration that revival of the mountainous regions would secure the economic strength of the country.

ბ. გოიშვილი
(მეცნიერებათა დოქტორი)

ახალგაზრდობის პრობლემები და მათი დამკავშირებელი

ცხოვრება უამრავ თავსატებს გვიჩენს. სულ უფრო ადრეულ ასაკში ვხვდებით ისეთ პათოლოგიურ გამოვლინებებს, როგორიცაა ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია, ქურდობა, მკვლელობა, ბოროტი ხულიგნობა, თვითმკვლელობა, ძალადობა და ა. შ. თუ ამას დაგამატებთ კომპიუტერზე და აზარტულ თამაშებზე ძლიერ დამოკიდებულებას, სურათი მეტისმეტად არასახარბიელო გამოდის. შევეხოთ განსაკუთრებით მასობრივად გამოვლენილ პათოლოგიებს.

პირველ რიგში, ეს არის ნარკომანია. იგი ყველგან უბედურებად ითვლება, ჩვენნაირი მცირე ერისთვის კი შეიძლება კატასტროფად გადაიქცეს. საქართველოში ასიათასობით ნარკომანს ითვლიან. ისინი საზოგადოების თითქმის ყველა კატეგორიას წარმოადგენს: ექიმები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, სამხედროები, სტუდენტები, მოსწავლეები. რაც ყველაზე საგანგაშოა, მათი ასაკი თანდათანობით კლებულობს და 12-13 წლიანებსაც კი შექო.

ნარკომანია ბუნებრივად დაუკავშირდა ნარკობიზნებს და სხვა სახის დანაშაულებებს. მიზნებუნ, რომ ამ მიზეზოთაა განპირობებული დანაშაულთა 80-90%. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რამდენადაც ნარკომანს ყოველდღიურად დიდალი თანხა ესაჭიროება თავისი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. ეს თანხა მიღიონებით იზომება. თუ ამას დავამატებთ მორალურ,

ფსიქოლოგიურ და გენეტიკურ დამახინჯებებს, ერის კატასტროფის პერპექტივა მნელი დასანახი არ უნდა იყოს. ადრევე დაისვა საკითხი, ნარკომანია დანაშაულია თუ ავადმყოფობა? თითქოს მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ნარკომანი ავადმყოფია, მაგრამ მას ხშირად ექცევიან როგორც დამნაშავეს. იჭერენ იმის გამო, თუ ნარკოტიკს ინახავს ან გადააქვს. მას უჭირს დაამტკიცოს ამას თავისთვის აკეთებს თუ გამოიყენებს გასაღებისთვის.

სწორია, როცა ნარკომანს ავადმყოფად თვლიან და უნიშნავენ მკურნალობას, თუმცა გატარებული ღონისძიებები არ მიგვაჩნია ადეკვატურად. მკურნალობისას, ძირითადად, სამი გზა გამოიყენება. პირველ შემთხვევაში იყენებენ შედარებით მსუბუქ საშუალებას, მაგალითად, მეტალის. მეორე ვარიანტში ყურადღება ექცევა სამკურნალო დაწესებულების ტექნიკურ აღჭურვილობას, კვებას, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, პერსონალის ყურადღებიანობას, გართობის ორგანიზებას. მესამე გზა ყველაზე მკაცრია, როცა ეწ. მშრალ ულუფაზე ჰყავთ ნარკომანები. მათ ნებაყოფლობით თუ იძულებით საიმედოდ ჩაეტავენ, რათა აბსტინენციის შეტევისას არ ჰქონდეს ნარკოტიკის მიღების საშუალება. ავადმყოფს აიძულებენ რამდენიმე ხნის განმავლობაში გაუძლოს საშინელ ტანჯვას, ამასობაში კი სუსტდება ორგანიზმის ტოლერანტობა და ბოლოს ქრება კიდეც.



გარკვეული დროის შემდეგ ნარკომანს ეხსნება ასტინენცია, შევნებულიც აქვს, თუ რაოდენ დამღუპველი იქნება მისთვის ნარკოტიკის მცირე დოზით მიღებაც კი და თითქოს მტკიცე გადაწყვეტილებაც აქვს მიღებული. ბევრი რამოდენიმე წელსაც კი უძლებს ცდუნებას, მაგრამ ბოლოს მაინც უბრუნდება ნარკოტიკს. ნარკომანთა უმრავლესობა ძალზე სწრაფად უბრუნდება ჩვეულ ამპლუას.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რაშია საქმე? თუ ზემოთ აღნიშნული გზით ნამკურნალევ ადამიანს გავსინჯავთ, აღმოჩნდება, რომ მისი „ორგანიზმი სუფთაა“, ე. ი. ფიზიოლოგიური დამოკიდებულება მოხსნილი აქვს. აქედან ნათლად ჩანს, რომ ასეთ მკურნალობას აზრი არა აქვს. ამ ვითარებამ საჭირო გახადა ახალი გზის ძიება.

კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ნარკომანია დაავადე-

ბა კი არაა, არამედ ავადმყოფობის სიმპტომი. რეალური დაავადება არის ფსიქიკური აშლილობა, ხოლო ნარკომანია მისი გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა.

სამედიცინო გზით ხდება სიმპტომის მკურნალობა და არა ავადმყოფობის გამომწვევი რეალური მიზეზისა. ჩვენ პაციენტს ვუცნობიერებთ თავისი პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ვასწავლით მისი აღკვეთის საშუალებას, რასაც შედეგად მოყვება ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მოთხოვნილების აღკვეთა.

ამგვარად, სახეზეა მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდური სიახლენი, რომელთა სისწორე პრაქტიკით იქნა დადასტურებული. ჩვენი ჯგუფის მიერ არაერთი ნარკომანი იქნა განკურნებული, თუმცა არ შეიძლება არ ვთქვათ გარკვეული სიძნელების შესახებ. ცნობილია, რომ ფსიქოთერაპიული მკურნალობისას პაციენტი თავისდა უნებურად გვიწევს წინააღმდეგობას. ამიტომ სიძნელის აღმოცენების დროს მან შეიძლება მიმართოს ნარკოტიკს, რომ იგრძნოს შვება. თუ ნარკომანს არ აღმოაჩნდა სათანადო მოტივაცია და ნებისყოფა, იგი შეიძლება საერთოდ არ მიუბრუნდეს მკურნალობას. ამიტომ დღეს შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი შეიძლება იყოს ნარკომანთა მკურნალობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც ნარკოტიკის მიღების საშუალება არ არის. ნარკომანია ფიზიკურად ანადგურებს ადამიანს, მაგრამ არანაკლები უბედურების მომტანია აზარტული თამაშები.

დღეს უამრავი ახალგაზრდა მიჯაჭვულია კომპიუტერულ თამაშებს, სლოტ კლუბებს თუ კაზინოებს, რომელთა გარეშე ცხოვრებაც კი ვერ წარმოუდგენიათ. ზოგი ცდილობს კიდეც თავის დაღწევას, მაგრამ ხშირად უშედეგოდ. ამ შემთხვევაში მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზარალს ხშირად მოყვება ქურდობა, მკვლელობა, თვითმკვლელობა და ა. შ.

თითქოს რა საერთო აქვს ერთმანეთთან ნარკომანიას და აზარტულ ქმედებებს? ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივეს ერთი საერთო მიზეზი აქვს, ხოლო ვლინდება სხვადასხვა სიმპტომის სახით. მიზეზი არის ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც გამოვლენის უამრავი ფორმა აქვს. ამიტომ ვამბობთ, რომ აშლილობა ედება საფუძვლად, როგორც ნევროზს თუ ფსიქოზს, ასევე ფსიქოსომატურ დაავადებებს და ანტისოციალურ ქცევებს.

ფსიქიკური აშლილობის ფორმირება ხდება ექვს წლამდე ასაკში პათოლოგიური განწყობის სახით. იგი არაცნობიერი და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, რის გამოც ადამიანს უჭირს პრობლემაში გარკვევა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. ეს განწყობა მას მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებს. ამიტომ ცდილობენ იყვნენ დაკავებული საქმით ან გართობით, ანდა გათიშულები.

ვითარებიდან გამოსვლის ძიებისას ბევრი საშუალებაა ნაცადი. ტარდება აქციები, როცა ცნობილი ადამიანები მოუწოდებენ ცხოვრების ჯანსაღი წესისაკენ. ხდება ნარკომანიის,

აზარტული თამაშების და მსგავსი ქმედებების დაგმობა და აქცენტის გადატანა სპორტზე, სწავლაზე, შემოქმედებაზე. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ასეთ მორალურ სუნტერიციებს შედეგი არ მოაქვს, რამდენადაც ზნეობა თვითონაა ფსიქიკაზე დამოკიდებული.

მეორე მხრივ, მშობლები ცდილობენ დატვირთონ შვილები სწავლით, სპორტით, ცეკვით, სიძლერით და კომპიუტერითაც კი, რათა არ ჰქონდეთ თავისუფალი დრო ქუჩაში გასასვლელად. აღმოჩნდა, რომ არც ესაა გამოსავალი.

ოფიციოზი ცდილობს მკაცრი დასჯით შეაშინოს აზალგაზრდები. ხდება კანონების გამკაცრება. სჯიან ნარკორეალიზატორებს, აზარტული თამაშების დაწესებულებათა მფლობელებს, ნარკომანებს და მოთამაშებს, მაგრამ ვითარების გაუმჯობესებას პირი არ უჩანს.

არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი – ფსიქიკური სიჯანსაღის მიღწევა, რაც უნდა განხორციელდეს ფსიქოთერაპიის საშუალებით. ჩვენი სამკურნალო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფსიქიკური აშლილობის განგურნება წამლებით შეუძლებელია და მხოლოდ სიტყვიერი ზემოქმედებაა რეალური შედეგის მომტანი.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ახალი ფსიქოთერაპიული მიმდინარეობა „ანთროპოანალიზი“. იგი ემყარება პრინციპს, რომ პრაქტიკულად ყველა ადამიანს ესაჭიროება ფსიქოთერაპეტის დახმარება, ზოგს კი – სერიოზული მკურნალობა.

„ანთროპოანალიზი“ სამპლანიანი სისტემაა. პირველი პლანია ინდივიდუალური თერაპია, რომელიც გამოიყენება ყველაზე მძიმე პაციენტების შემთხვევაში.

მეორე პლანს წარმოადგენს ჯგუფური თერაპის მოდერნიზებული ვარიანტი და გამოიყენება შედარებით მსუბუქი ნევროზებით და ფსიქოსომატური დაავალებების მქონე პაციენტებთან. მისი მთავარი მიზანია ბევრი ადამიანის ერთდროული დახმარება. ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება სპორტსმენებთან, მძღოლებთან, ძალოვნებთან, გახდომის მსურველებთან და ა. შ. ასეთი დახმარება ყველასთვის სასურველია.

მესამე პლანი კიდევ უფრო ფართო კონტიგენტს მოიცავს. ეს არის „ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა“. რამდენადაც აშლილობას საფუძველი ბავშვობაში ეყრება, ჩვენ მშობლებსა და

აღსაზრდელებს ვასწავლით როგორ უნდა მოახდინონ ფსიქიკური ჭრაგმების განეიტრალება. მეთოდის მასობრივი გამოყენება შეიძლება საბავშვო ბაღებში და დაწყებით კლასებში.

შედეგი ყველა შემთხვევაში დადგებითია და, რაც მთავარია, საჭირო კონდიციამდე მიყვანის შემთხვევაში ხელახალ რეციდივებს ადგილი არა აქვს.

ვითარების უფრო დაწვრილებით გასაცნობად გთავაზობთ ლიტერატურას:

1. გ. მერაბიშვილი. ფსიქოთერაპია. თბ., 1999 წ.

2. გ. მერაბიშვილი. ბავშვთა ფსიქოფილაქტიკა. თბ., 1999 წ.

3. გ. მერაბიშვილი. ფსიქიკური სიჯანსაღის ფორმულა. ანთროპოანალიზი. თბ., 2005 წ.

4. გ. მერაბიშვილი. ფსიქიკისა და სხეულის პარმონია. თბ., 2009 წ.

*ვივი მერაბიშვილი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი*

პოლი არავლაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნადვილი წევრი, გამოჩენილი ქართველი არმენოლოგი, საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის წევრი და ლექტორი, მიხეილ ჯავახიშვილის სახელმწიფო პრემიისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი, მრავალი მეცნიერული წიგნის მონოგრაფიისა და პუბლიკაციების ავტორი.

სომხები ეპლესიების გადაცემას ისევ მოითხოვთ

საქართველოს სომხურმა ეპარქიამ, რა თქმა უნდა, ეჯიმიაწინის დასტურით, ინტერნეტის საშუალებით, ამ დღეებში გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც ისევ მოითხოვა რამდენიმე ეკლესიის გადაცემა. ეს მოთხოვნა არ ახალია, ძველია, მაგრამ მას ისევ როგორც მათ აღრინდელ მოთხოვნას დასაბუთება აკლია. სანამ ულტიმატუმის ტონით წამოყენებულ ამ პრესრელიზის შესახებ ვიტყვი, მანამდე მსურს მკითხველი საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ერთ თვალშისაცემ გარემოებაზე. ამ სადავო ეკლესიების შესახებ სომხური ეპარქია კაი ხანი ხმას არ იღებდა და გაყუჩებული იყო, მაგრამ რუსეთის აგრესის შემდეგ, როცა რუსულმა ავიაციამ და ტანკებმა მიწასთან გაასწორეს ქართული სოფლები და ქალაქები, რამდენიმე ათასი ქართველი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად აქციეს და მოახდინეს ქართული ტერიტორიის გარევეული ნაწილის ოკუპაცია, მაშინვე წამოყო თავი სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთმა წყებამ და სისინი დაიწყო. მათგან განსაკუთრებით გამ-

ოირჩევა სომხეთის ნაპრეზიდენტალი ლევონ ტერ-პეტროსიანი. მან არც აცივა, არც აცხელა და ამ ომში საქართველო ცალსახად დაადანაშაულა და რუსეთის ფაშისტური აგრესია გაამართლა. ხოლო რუსეთის დუმის დეპუტატებმა სიმონ ბალდასაროვმა ცინიკური გულახდილობით განაცხადა – „სომხები მანამ არ მოისვენებენ, სანამ საქართველოს არ დაშლიანო“. ქართველი ხალხის ამ ტრაგიკულ დღეებში საეჭვოდ გააქტიურდა სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი. მან დაშნაკების საუკუნოვანი ოცნების პროექტი არქივიდან ამოიღო და მოითხოვა საგზაო დერეფანი – მელრი-ერევანი-გიუმრი-ნინოწმინდა-ახალქალაქი-ახალციხე-ბათუმი. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტი. ამ დრო სასწრაფოდ ჩავიდა ერევანში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, იგივე თბილისელი სერიოზა ქალანთარიანი. ამ ვიზიტის დასრულებისთანავე ერევანს მიაშურა რუსეთის



პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და სერე სარქისიანთან რაღაც საქმეები მოაკვარახჭინა. დათბა, საუკუნოვანი მოსისხლე მტრების თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობა. ძალიან დიდი ეჭვია, ეს დათბობა საქართველოს საზიანოდ ხდება.

აი, ამ მოვლენების ფონზე გააქტიურდა საქართველოს სომხური ეპარქია და სასწრაფოდ პრესრელიზის ფორმით საქართველოს საპატრიარქოს ულტიმატუმი წაუყენა და ეკლესიები მოითხოვა. აქ არ შევუდგები ამ სადაც ვო ეკლესიების ისტორიის თხრობას. თუმცა ერთი უნდა ვთქვა. ამ რამდენიმე წლის წინ პროფ. ს. კარაპეტიანმა საქართველოში სომხური ეკლესიების ფანტასტიური რაოდენობა – 650 მეტი ეკლესია და საეკლესიო ნაგებობა „აღმოაჩინა“ (დაწვრილებით იხ. ჩვენი წიგნი – „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში“, 1996, ქართინგ. რუს. უნგბზე).

ასეა თუ ისე სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში ფაქტია, რაც სომები ხალხი ტრაგიკული ბედით უნდა აიხსნას. ეს კია ასე, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – ქართული კანონმდებლობის დაცვით არის კი აშენებული საერთოდ სომხური ეკლესიები საქართველოში?

აი, ამ ძირითად კითხვას უნდა გასცეს

პასუხი სომხურმა მხარემ. მათ უნდა წარმოადგინონ ყოველი სომხური ეკლესიების აშენების შესახებ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. ეს უნდა იყოს ქართველი მეფის წერილობითი საბუთი, ბრძანება ან სიგელი. თუ ამგვარ დოკუმენტს არ წარმოადგენენ, მაშინ 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებაზე არ სებული სომხური ეკლესიები საქართველოში, კანონმდებლობის დარღვევით ე. ი. უკანონოდ არის აშენებული.

შემდეგ, ქართველი მეფის ნებართვის გარეშე, მტრის ხელით გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის გადაკეთება, მასზე დაშენება, მიშენება ანდა --- ეკლესიის დანგრევა და მისი მასალით სომხური ეკლესიის აგება და სომხურ წესზე კურთხევა არასამართლებრივი აქტია და კვალიფიცირდება ძალადობად – სხვის ტერიტორიაზე, სხვის საკუთრების მიტაცე-

ბით. ასეთი ქმედება ყველა დროის კანონით მიუღებელია.

არის აგრეთვე მოარული თქმულება – ქართველი მეფები გაჭირვების უამს თითქოს ეკლესიებს მდიდარ სომხებზე ყიდვენო. ხაზგასმით უნდა ითქვას, ზეპირ მასალას მაშინ აქვს ლირებულება, როცა მას რაიმე ფაქტობრივი არგუმენტით ან დოკუმენტით გაამაგრებ, თორებ ასეთი საბუთის გარეშე მისი გამოყენება მიუღებელია, როგორც სამართლებრივი ისე მეცნიერული თვალსაზრისით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ასეთი სომხური ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს.

ეს რაც შეეხება სომხების მიერ ქართული ეკლესიების მიტაცების პირველ პერიოდს (1801 წალმდე). ახლა ვნახოთ როგორ განვითარდა ქართული ეკლესიების მისაკუთრების პროცესი შემდგომ პერიოდში. რუსეთმა არ იკმარა ქართული სამეფოს ანექსია და 1811 წელს ყოველგვარი სასულიერო კანონების დარღვევით გააუქმა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია და მას სათავეში ჩაუყენა რუსის ეგზარხოსები. ცარიზმა არამარტო ქართული ეკლესია, არამედ მთელი საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო.

რუსის ეგზარხოსებმა კი ქართული ეკლესიის ქონება გაძარცვეს და გაფლანგეს. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული საბუთები მეტყველებენ, რომ ქართულ ეკლესიე-

ბს რუსის ზოგიერთი ეგზარხოსი სომხურ ეპარქიას გადასცემდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი სომხური ეკლესია რუსის იმპერატორის ან გენერალ-გუბერნატორის ნებართვით არის აგებული საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერიის, არც რომანოვების და არც ლენინსტალინის, სამართალმემკვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა არ არის, მაშინ ამ ნებართვას თუ ბრძანებას დღეს კანონიერი ძალა აქვს და იგი იურიდიული თვალსაზრისით ბათილია.

ამდენად, ამ საკულტო ძეგლების კანონიერი პატრონი ქართველი ხალხია.

ვფიქრობ, აღნიშნულის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ: საქართველოს სომხური ეპარქია რომ მოითხოვს ეკლესიების გადაცემას (ვგულისხმობ 650 „სომხურ“ ეკლესიას) საჭიროა, ჯერ დოკუმენტურად დაამტკიცოს სხვის ქვეყანაში მათი აშენების კანონიერება. ამ ქვეყნის კანონმდებლობის სრული დაცვითაა აშენებული ისინი შემდეგ, შეიძლება დაისვას მათი გადაცემა არ გადაცემის საკითხი. აქვე დავძენ, – საქართველოში სომხური ეკლესიების აშენების შესახებ სომხებიცნიერთა შრომებში წარმოდგენილი ხარჯაღრიცხვა – რამდენი ურემი კირი, სიღა, აგური და სხვა საამშენებლო მასალა დაიხარჯა ამათუები ეკლესიის აგებაზე, მათი კანონიერი აშენების დასამტკიცებლად არ გამოდგება.

საქართველოს სომხურ ეპარქიის მესვეურთ შევახსენებ, ქართულ მხ-



არესაც აქვს სამართლიანი მოთხოვნა ეჯიმიაწინის მიმართ. ქართველი ბოლშევიკების ეროვნული უნიათობის გამო ლორე-ტაშირი მოექცა სომხეთის საზღვრებში. ეს მხარე კი უძველესი ქართული მიწაა, სადაც განთავსებულია ძველი ქართული ეკლესიები. ეს ეკლესიები რომ ქართულია, ამას სომხი მეცნიერებიც არ უარყოფენ (პროფ. ლ. მელიქესთბეგი პროფ. პ. მურადიანი და სხვ.) სახელდობრ, ეს ეკლესიებია – ახტალა (XIII), თევარიუქი (XII-XIII), ჰნევანქი (XII-XIII), ქობერი (XII-XIII), ოსკიპარი (XII-XIII), შაპნაზარი (XI-XII) და სხვ.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2006 წლის 7 თებერვლის დადგენილებით აქ აღდგა ქართული ეპარქია და ეწოდა – აგარაკ-ტაშირის ეპარქია. ეს ქართული ეკლესიები ამ ეპარქიაში შედის. ამდენად, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია მოთხოვოს ლორე-ტაშირში არსებული ქართული ეკლესიების გადმოცე-

ბა. მართალია, ქართული მრევლი აღარ არის იქ, მაგრამ ამ საგანებებში შეუძლიათ გააჩაღონ სასულიერო მოღვაწეობა ქართველმა ბერ-მონაზენებმა.

პრესრელიზმი ლაპარაკია რაღაც ანტისომხურ განწყობასა და სტატიებზე საქართველოში. ამას ჰქვია – „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“. მეხუთე საუკუნიდან დღემდე სომეხი სწავ-

ლულები ქართველი ხალხის ისტორიის შეჭრა-შემოჭრა და მითვისებაში არიან დაოსტატებულნი. სწორედ, ასეთ სომეხ მეცნიერთა მხილებაა იღიას „ქვათა დალადი“. ამ საქმეში XX ს-ში თავი ისახელეს პ. მურადიანმა, ს. კარაპეტიანმა, ალ. ქანანიანმა და სხვებმა. უფრო მეტი ს. კარაპეტიანმა უკადრებელი იყადრა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღია II შეურაცხეყო (იხ. „მისი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები“, 2000).

ამ მოთხოვნაში ერთგვარი მუქარის ტონით ლაპარაკია ქართული მხარის რაღაც პასუხისმგებლობაზე. სომეხ მაღალ სასულიერო პირებს შევახსენებ: ვიდრე სხვის პასუხისმგებლობაზე დაწყებენ ლაპარაკს, უმჯობესია ჯერ თვითონ აიღონ პასუხისმგებლობა მათი სულიერი შვილების ბაგრამიანის სომხური ბატალიონის წევრების მიერ აფხაზეთში ჩადენილ მხეცურ დანაშაულზე. (იხ. ბონდო არველაძე, თეიმურაზ მიბჩუანი – „ბაგრამიანის სომხური ბატალ-

იონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხ-
აზეთში“, 2007 წ.).

აქვე აღვნიშნავ, ქართულ პერი-
ოდიკასა და საზოგადოებაში არავი-
თარი ანტისომხური განწყობა არ არის
– როგორც პრესრელიზმია აღნიშნუ-
ლი. თუ რამე ქვეყნდება ეს არის ერ-
ევნის უურნალ-გაზეთებსა და ცალკეულ
გამოცემებში გამოქვეყნებულ ანტი-
ქართულ შრომებზე პასუხი. შემიძლია
მთელი პასუხისმგებლობით განვაცხა-
დო საქართველოში სომეხი ხალხის
დამამცირებელი ერთი სტრიქონიც არ
გამოქვეყნებულა. ამ დროს სომხეთში
სისტემატურად იძეჭდება ქართველი
ერის ლირსების დამაკნინებელი და
შეურაცხმყოფელი შრომები. ამის დას-
ტურად სურენ აივაზიანის სტატიებიც
კმარა. თავდასხმა ტრადიციულად მო-
დის სომეხი მეცნიერებიდან და სომხ-
ეთიდან. გავიხსენოთ 1919 წლის დე-
კემბრის ომი, რომელიც სომხეთის
დაშნაკურმა მთავრობამ წამოიწყო

საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის წინააღმდეგ. ეს ომი დაშ-
ნაკური სომხეთის დამარცხებით
დამთავრდა.

მოგმართავთ თქვენ – სომხეთის
უმაღლეს სასულიერო პირებს – დროა
თუ დაგვიანებული არ არის –
შეაგნებინოთ თქვენ სულიერ შვილებს
– სიმონ ბალდასაროვს, ანდრანიკ მი-
ჰრანიანს, არტურ ჩილინგაროვს, ედუ-
არდ აბრამიანს და მათ შვილებს შხამი-
ან დაშნაკუბს დიდი ოვანეს თუმანი-
ანის ანდერძი: – საქართველოს უბე-
დურება, სომხეთს ბედნიერებას არ
მოუტანს და პირიქით. ამ რუსულ
რუბლზე სულგაყიდული კაცუნების
იმედი ამაռა – ქართველი ერის დაშლას
ვერ ეღირსებიან. საქართველო მალე
აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას
და სამუდამოდ დაიმკვიდრებს კუთვ-
ნილ ადგილს ცივილიზაციულ ევროპ-
ულ სამყაროში.

თემო ჰაზარიძე ცხოვრება და შემოქმედება

ახალ მცხებას გაძლევთ თქვენ:
რათა გიყვარდეთ ერთმანეთი,
როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ,
თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი.
ოთანე სახარება. 13:34

თემო ჰაზარიძე

გასული 2010 წლის ბოლოს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მაგთის ოფისში მოეწყო გამოჩენილი ქართველი მხატვრის თემო ჰაფარიძის მხატვრული ალბომის პრეზენტაცია.

მაგთის მიერ გამოცემული ალბომი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გადაწყვეტილი. აქ ნაჩვენებია ის ნაყოფიერი გზა, რაც უშეცდომოდ გაიარა მხატვარმა დასაწყისიდან დღემდე.



იმის გამო, რომ თემო ჰაფარიძის ალბომისადმი ინტერესი ძალიან დიდია, ურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს სელოვნებათმცოდნე ნანა შერგამიძის შესანიშნავი წერილი გამოჩენილი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რათა დაინტერესებული მკითხველი გაეცნოს თემო ჰაფარიძის მიერ განვლილ დიდ შემოქმედებითს გზას.

ვრცელი შესავალი წერილის წამკითხველი კიდევ უფრო მეტს გაიგებს და დარწმუნდება, თუ რატომ უყვარდა და რატომ გრძნობდა თემო ჰაფარიძესთან სულიერ ნათესაობას 26 წლის ასაკში ტრაგიკულად, გმირის სიკვდილით დაღუპული დიდი ქართველი მწერალი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი გურამ რჩეულიშვილი, ვინც ბუნებით იყო დისიდენტი და ძალიან უყვარდა სხვაგვარად მოაზროვნებთან მეგობრობა.

მთავარი რედაქტორი

თემო ჰაფარიძე დაიბადა თბილისში 1937 წლის 27 მარტს და მთელი ცხოვრება ამ ქალაქში გაატარა. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ თბილისის ატმოსფეროსა და კოლორიტის ღრმა და სევდიანი განცდაა, რაღაც წარმავლის, უკვე არარსებულის და თანაც

ასეთი ძვირფასის ნოსტალგიური განცდა.

თემო ჯაფარიძემ სწავლა ვაჟთა მე-12 სკოლაში დაიწყო. შემდეგ ვერაზე, ხოშტარიას ქუჩაზე გადასახლდნენ და სწავლა მე-7 ვაჟთა (ახლანდელი 53-ე სკოლა) სკოლაში განაგრძო. ხატვა დედის, ვალენტინა ტუღუშის დაჟინებით დაიწყო. პირველი ნახატი ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნის, უიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილების“ ყდა იყო. ბავშვობაში ცელქსა და მოუსვენარს მეგობრებთან თამაშისას წიგნის ყდა შემოეხა. ბიბლიოთეკის თანამშრომლების საყველერითა და დედის რჩევით წაქეზებულმა თავად დახატა გემი ყდაზე და პირველი შექებაც დაიმსახურა. ამის შემდეგ დიდხანს არ მიჰკარებია ფანქსა და ფუნჯს. მწერლობამ გაიტაცა. ჯერ კიდევ ყმაწვილმა გაიცნო პოეტი ანზორ სალუქვაძე, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა. სწორედ მან წაიყვანა პირველად ვერის ბაღში, რომელიც იმ დროს სხვაგვარად მოაზროვნეთა თავშესაყარი იყო. აქ იკრიბებოდნენ მხატვრის მომავალი მეგობრები, მასზე უფროსები, უფრო გამოცდილები და ანტისაბჭოთა იდეებით განსჭვალულნი: შოთა ჩანტლაძე, ერლომ ახვლედიანი, ედიშერ გიორგაძე, ბესიკ ადემშვილი, ირაკლი რამიშვილი, ლევან მალაზონია, გურამ რჩეულიშვილი, ზურაბ კიკნაძე ... ვერის ბაღი ფაქტობრივად ანტისაბჭოთა კლუბი იყო. „ეს ხრუშჩოვის დროს ეწ. დათბობის პერიოდში ხდებოდა, თორებ მანამდე ქუჩაში ორი კაცი სალაპარაკოდ რომ

დადგებოდა პოლიციელი მივიდოდა და დაიშალეთო – უტყოდა“, – ივონებს მხატვარი. თემო ჯაფარიძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და მისი ლიტერატურული თუ მხატვრული შემოქმედების ფორმირებისთვის ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგი სიყმაწვილიდანვე გრძნობდა სიცრუეს, რომელშიც მთელი ქვეყანა ცხოვრობდა: სიყალბე და შიში, დამკვიდრებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მასში გაუცნობიერებელ პროტესტს ბადებდა. იცოდა „საბჭოთა კავშირი არ უნდა ყოფილიყო“. ახალგაზრდა ინტელექტუალებთან ურთიერთობა, მათთან ერთად დისკუსიებში მონაწილეობა კი უჩვენებდა გზას ამ სიცრუისგან თავდასახსნელად. თემო ჯაფარიძისთვის ამ გზად საკუთარი შემოქმედება იქცა.

პირველი ლექსები ანზორ სალუქვაძესა და შოთა ჩანტლაძეს წააკითხა. „კარგი რამ მითხვა, – ივონებს ამ უკანასკნელს მხატვარი, – გრძნობა არის, მაგრამ ფორმა არ არისო... აი, ასე დაიწყო ჩემი ფორმასთან ჭიდაობა“. განსაკუთრებული მნიშვნელობა თემო ჯაფარიძისთვის გურამ რჩეულიშვილის აზრს ჰქონდა. ლექსებს ხშირად უკითხავდა, მასაც მოსწონდა და აქეზებდა. გურამ რჩეულიშვილის საოჯახო ალბომში მეგობრების ფოტოებს შორის თემო ჯაფარიძის ფოტოც ინახება, რომელიც მწერლის მრავალტომეულში გურამის დის მარინე რჩეულიშვილის მინაწერითაა დაბეჭდილი: „მხატვარი თემო ჯაფარიძე თავის სახელოსნოში. გურამზე უმცროსი.

გურამს იგი განსაკუთრებით უყვარდა და აფასებდა მის ნიჭს, შემართებას, „უნარს“. თაობის ლეგენდასთან თემო ჯაფარიძეს სულიერი სიახლოვე აკავშირებდა. აკი ამიტომაც ასე მძმედ განიცადა მეგობრის მოულოდნელი ტრაგიკული სიკვდილი. კარჩაკეტილი ცხოვრება დაიწყო. გურამ რჩეულიშვილთან ერთად ამ თაობისთვის დამთავრდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული. „დამალული თაობის ცხოვრებით ვცხოვრობდი, რასაც ჩემს ლექსებსა და მოთხრობებში ავსახავდი“, – წერს მოგვიანებით თემო ჯაფარიძე. ეს განწყობა აშკარად ჩანდა მის ნაწერებში, რაც ცენზურის თვალსაც არ გამოეპარა. უურნალ „ცისკრის“ რედაქციაში ლექსები მოუწონეს, მაგრამ არ დაუბეჭდეს – პირქუში განწყობილებითაა დაწერილი და საბჭოთა ოპტიმიზმს არ შეეფერებაო. ბეჭნიერი ქვეყნისა და საზოგადოების შშენებლობა ხომ საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი მითი იყო. 1960-იანი წლების დასაწყისში ამავე რედაქციაში მოთხრობა „პატრიოტი“ მიიტანა და ოტია პაჭკორიას აღფვრთოვანება გამოიწვია. მოთხრობა ჩაუშვეს დასაბჭდდად, მაგრამ მალე ბეჭდვა შეაჩერეს. უურნალი ხელახლა დაბეჭდეს, ოღონდ ამჯერად „პატრიოტის“ გარეშე. 1961 წელს მაგული ხურციაზე დაქორწინდა. ქალიშვილი ლელა შეეძინათ. სწორედ ამ პერიოდში თემო ჯაფარიძის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა, რამაც გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც მისი ცხოვრების გზა. კინოთეატრ „სპარტაკში“ ფრან-

გული კინოს ფესტივალი ჩატარდა. ფილმი მოდილიანის შესახებ თემო ჯაფარიძისთვის ძლიერი იმპულსი აღმოჩნდა ფერწერით გატაცებისთვის: „იმ უსამართლო გარემოში განმაცვიფრა მოდილიანის გამბედაობამ, შეუსრულებელი სიყვარულის გამოხატვამ; ეს რაღაც ისეთია, რომელიც სათითოდ ყველას გვინდა. მაგრამ ცხოვრებაში თითქოს არ გამოდის: განსხვავებული ფორმით გადმოცემულმა ქალურობამ და კაცებში დიდმა სულიერებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. მოდილიანისადმი სიყვარულიც დამეხმარა იმაში, რომ გამებედა და ხატვა დამეწყო“. თუმცა, ფერწერისადმი შინაგან მიდრეკილებას ყველთვის გრძნობდა. 1960-იან წლებში მართალია, იდეოლოგიური წნეხი-და ტერორი შესუსტებული იყო, „არაოფიციალური“ ხელოვნება ძალებს იკრებდა, მაგრამ „რკინის ფარდა“ ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დახურული, ინფორმაცია დასავლური ხელოვნების შესახებ კი – ძალზე მწირი. ნებისმიერი შეხება დასავლურ კულტურასთან მასთან ზიარების იშვიათ შესაძლებლობას იძლეოდა. თემო ჯაფარიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დამთავრა. სპეციალური სამსატვრო განათლება არ მიუღია. თანამედროვე მხატვრულ მიმდინარეობებს ძირითადად მეგობრების მიერ შეძენილი მხატვრული ალბომების მეშვეობით ეცნობოდა. სახვითი ხელოვნება მას საზოგადოებასთან კომუნიკაციის, მისთვის საკუთარი აზრის, ნაფიქრალის გაზიარების სა-



შუალებას აძლევდა. პირველი წარმატება და პირველი დაპირისპირება ოფიციოზთან 1964 წელს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოწყობილმა

გამოფენამ მოუტანა, სადაც სწორედ მოდილიანის გავლენით შესრულებული ფერწერული პორტრეტები იყო გამოფენილი. მნახველთა აღფრთოვანება და კრიტიკა ერთმანეთს ცვლილა. არადა, ამ დროს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, მისი ადამიანები მოკლებული იყვნენ საბჭოურ პათეტიკას. თემო ჯაფარიძის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ლირიზმითა და ემოციურობით გამოირჩეოდა. ოფიციალურმა კრიტიკამ გამოფენას ანარქიზმი უწოდა. შეფასება პარადოქსული, მაგრამ დროის აღეკვატური იყო: „დააკვირდით თემოს ნახატებს. მის ადამიანებს – ასეთი გამხდარი, უსუსური ადამიანები სოციალიზმს და კომუნიზმს ააშენებენ?!“ მაგრამ იყო რადიკალურად განსხვავებული შეფასებანიც მათგან, რომელთა აზრსაც თემოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გამოფენის შემდეგ მოწყობილი განხილვისას ახალგაზრდა მხატვარი ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა დაიცვა: „რა ანაქრონიზმზე და ბურჟუაზიულ სამყაროზეა ლაპარაკი?! ესაა ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი ნიჭიერი მხატვრობა“. ლადო გუდიაშვილი მოგვიანებით წერდა: „უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ვინახულე ახალგაზრდა მხატვრის თემიმურაზ ჯაფარიძის სურათების გამოფენა. მეტად გამაკვირვა და გამაოცა მისმა ტალანტმა. ერთი თვალის მოვლებით დავნებდი კედელზე ექსპონირებულ ხელოვნებას. წარმოდგენილ ბრწყინვალე ნამუშევრებს და არც გამკვირვებია, რადგან ჩვენი სამ-

შობლო მდიდარია ნიჭიერი ახალგაზრდობით. თემო ჯაფარიძეს უდავოდ მტკიცედ აქვს ნაპოვნი თავისი სახე ფერწერაში. ფერის გამოყენებას, კომპოზიციის აკებასა და თემის გაშლას იგი ახერხებს მუდამ მისთვის ჩვეული ოსტატობით. თანამედროვეობას ხელოვნებაში გადმოგვცემს დამაჯერებლად, მხატვრული გამომგონებლური ნიჭით იცავს საჭირო სიზუსტესა და შესატყვისობას მოვლენებისა და სახეების გახსნაში“.

1960-იანი წლების მეორე ნახევარში თემო ჯაფარიძე აბსტრაქტული ხელოვნებით დაინტერესდა. საკუთარი მხატვრული ენის ძიებისას მხატვარი თანამედროვე დასავლური ხელოვნების მიმდინარეობების მხატვრულ-სახეობრივ სტრუქტურებს შეისწავლის. მის შემოქმედებაში აბსტრაქტული და სიურეალისტური ხელოვნების ტენდენციების გააზრებასა და მათვის ახალი ჟღერადობის მინიჭების საინტერესო ვარიაციებს ვხედავთ. მხატვარს თავის ფერწერაში ახალი სახვითი ფორმები და ელემენტები შეაქვს. ცდილობს გამოხატოს „არსის რეალური შეგრძება განზოგადებული ფორმებითა და ფერთა ლაქებით“. 1968 წელს თემო ჯაფარიძემ მეგობრების დახმარებით თავისი ნამუშევრები საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის შენობაში გამოფინა. საბჭოთა სივრცეში აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთი პირველი გამოფენა ბუნებრივად იწვევდა სუკის განსაკუთრებულ ინტერესს. ხელოვნებაში „ფორ-

მალისტური“ ძიებები ამ დროს უკვე თავაწერვა თუ არა, სისტემის წინააღმდეგ პოზიციის დაფიქსირება იყო. ახალი სახვითი ენის ძიების უკომპრომისო გზა იყო. გამოფენა სამ დღეში დაიხურა, მაგრამ ქართულ სახელოვნებო სივრცეში ეს თემო ჯაფარიძის, როგორც ნიჭიერი, თვითმყოფადი შემოქმედის პირველი გამოჩენა იყო. „გამოფენის გახსნა, უშიშროების კომიტეტმა, იგივე სუკმა კატეგორიულად აკრძალა, მაგრამ მანამდე ხალხმა ნამუშევრების დათვალიერება მაინც მოასწრო – ჩარაზული კარი ხალხის ტალღა რამდენჯერმე შეამტკრია“, – იგონებს მხატვარი.

თემო ჯაფარიძე მაძიებელი მხატვარია. მისი ხელოვნება ექსპერიმენტულია. ნაფიქრ-ნაზრევის სრულყოფილად გამოსახატავად იგი მუდამ ახალ გზას, ახალ ფორმებსა და მასალას ეძებს, რომლებიც მას თემის გააზრებისა და ფერწერული თუ საგნობრივი ფაქტურით „მანიპულირების“, „თამაშის“ საშუალებას აძლევს. 1972 წელს მხატვარმა შექმნა მოცულობით-ფაქტურული ფერწერის ნიმუში „საიდუმლო სერობა“. ამ სურათის ბედი მართლაც რომ ტრაგიკულია. მხატვარი იგონებს: „ჩემმა მეგობარმა, მწერალმა თამაზ ჩხერკალმა მათხოვა თავისი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბინა ხილიანის ქუჩაზე, მეხუთე სართულზე. აი იქ ვაკეთებდი „საიდუმლო სერობას“. უკვე „საეჭვო“ ადამიანად ვიყავი მიჩნეული და „კა-გე-ბე“-ც ხშირად ტრიალებდა ჩემს სიახლოვეს“. საიდუმლო სერობის თემა იტევს ადამიანთა განცდები-

სა და გრძნობების უღრმეს შრეებს. XX საუკუნეში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოიტანა საუკუნეების მანძილზე ფორმირებულ ღირებულებათა გაუფასურება, ადამიანის, როგორც ინდივიდის მნიშვნელოვნების ნიველირება. შედეგი საზოგადოებაში გამეფებული ნიპილიზმია.

თემო ჯაფარიძისთვის კი ადამიანი სამყაროს ცენტრია. მასში იგი, უპრეველეს ყოვლისა, შინაგან სილამაზესა და ღირსებას, სულიერ სიწმინდეს ეძებს. ამიტომ იყო ეს თემა ასეთი მნიშვნელოვანი „საიდუმლო სერობაში“. მისი მხატვრული განსახიერება კი – ამგვარად შთამბეჭდავი. ნამუშევარი დასრულების შემდეგ მხატვრის მეგობრის მალხაზ გორგაძის ავტოფარეხში ინახებოდა და მის სანახავად ბევრი დაინტერესებული პირი, მათ შორის, უცხოელი მოდიოდა. დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ გაზეთში სტატიაც დაიბეჭდა სათაურით – „ქრისტე ავტოფარეხში“. ოტია პაჭკორია, ქართველი მწერალი და კრიტიკოსი წერდა: „... მნახველში სურათი, დამოუკიდებლად მოწონებისა ან დაწუნებისა, გულწრფელი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას ბადებდა“. სამწუხაროდ, „საიდუმლო სერობა“ 1991-1992 წლებში, სამოქალაქო ომის დროს. „მხატვრის სახლთან“ ერთად დაიწვა, მანამდე კი, 1988 წელს, „მხატვრის სახლის“ ღირექტორ თემო გოცაძის ინიციატივით ეს ნამუშევარი თემო ჯაფარიძის პერსონალურ გამოფენაზე იყო ექსპონირებული, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

საზოგადოების წინაშე წარმოდგენილი იყო მხატვრის მრავალწლიანი შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე ხელოვნება: აბსტრაქტული კომპოზიციები, რელიეფური ფერწერა, „მუქი ფერწერა“, პეზაჟები, ნატურმორტები, ფერწერული და გრაფიკული პორტრეტები, სახვით ენაზე ამეტყველებული მხატვრისეული კონცეფცია სამყაროს არსისა და ადამიანთა ურთიერთობის მარადიული პრობლემების შესახებ ქართულ ხელოვნებაში თანამედროვე და ორიგინალური ხელწერის მქონე მოაზროვნე შემოქმედის სერიოზული განაცანდი იყო. მის ნამუშევრებში ვერ ვნახავთ გარეგნულ დინამიკას. მოძრაობის ექსპრესიულობას. მაგრამ ამ „სიჩუმის“ მიღმა იგრძნობა სახეობრივი თუ ფორმალური საშუალებების ავტორისეული მხატვრული წესრიგი, რომელშიც ცხადდება მხატვრულ სახეთა შინაგანი ენერგია და ექსპერსია. ეს სახელმწიფო საგამოფენო სივრცეში მხატვრის პირველი ვერნისაჟი იყო, რომელმაც მას იფიცილური აღიარება მოუტანა. თემო ჯაფარიძემ ახალ ქართულ ხელოვნებაში ადგილი დაიმკვიდრა როგორც ქართული ნონკონფორმისტული ხელოვნების აღიარებულმა ოსტატმა, თვითმყოფადმა, ნიჭიერმა შემოქმედმა, მომდევნო წლებში თემო ჯაფარიძე საქმაოდ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ გამართულ გამოფენებში.

თემო ჯაფარიძე მრავალმხრივი შემოქმედია. მისი ინტერესთა სფერო სახვით ხელოვნებასთან ერთად ლიტ-

ერატურასაც მოიცავს. უკანასკნელ ათწლეულებში ზშირად იბეჭდებოდა მისი მოთხრობებისა და ლექსების კრებულები, ესეები და ყველგან თემო ჯაფარიძისთვის – შემოქმედისა და პიროვნებისთვის უმთავრესი ხელოვნებაში არის რწმენა ადამიანის მიმართ, რწმენა სიკეთისა და მაღალზნეობრიობისა.

ხელოვნება თემო ჯაფარიძისთვის არის ერთგარი გზავნილი საზოგადოებას, მისი „ჩუმი ნახატის“ ჰუმანისტური კონცეფცია კი – პიროვნული საწყისის მხატვრულად განსახიერებული შემოქმედებითი სამყარო: „თუკი, თუნდაც ერთი ადამიანის წინაშე გავიხსენი ჩემი მხატვრობით ისე, რომ თვალთმაქობას არ დაინახავს ჩემში, ნდობით აღივსება და დამითმობს ყურადღებას, ჩავთვლი, რომ ჩემი პიროვნების შემოქმედებითი განხორციელება შედგა. კოცნებობ, ერთ ადამიანს მაინც მივცე ჩემს მხატვრობაში ყოველგვარი მზაკვრობისგან განწმენდილი თავშესაფარი, სითბო და სიყვარული“, – წერს თემო ჯაფარიძე.

თემო ჯაფარიძის მხატვრული ხედგა ყოვიერების ფილოსოფიურ გააზრებასა და ადამიანის პიროვნული მნიშვნელოვნების წარმოჩენას ემყარება. მისი ხელოვნების კრედო საკუთარი სულიერი განცდების მხატვრულ ფორმებად გადაქცევაა. „მხატვრული აქტი სამყაროს არსისა და მასთან ადამიანის (შემოქმედის) არამატერიალური შერწყმის, სიყვარულის ცხადყოფის აქტია“. ავტორიტარული რეჟიმისთვის ტიპიური, კლიმედ ქცეუ-

ლი, ხელოვნების საპირისპიროდ მხატვარი ახდენს პიროვნული განცდის ადეკვატურ მხატვრულ განხორციელებას და შემოქმედების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სრულიად განსხვავებულ ფორმალურისა თუ სახეობრივ რეალიზებას გვთავაზობს. უცვლელი რჩება მხოლოდ სამყაროსადმი მხატვრის დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის უაღრესად ინდივიდუალური და ღრმად კონცეპტუალურია.

თემო ჯაფარიძის შემოქმედება მხატვრულ ინტერესთა მრავალფეროვნებითა და ნოვაციისადმი სწრაფვით ხასიათდება. მხატვრის პრობლემატიკა ზშირად კონცეპტუალური თვალსაზრისით იდენტურია, მაგრამ სტილური თუ ფორმალურ-სახეობრივი გადაწყვეტის მოულოდნელობითა და გაბედულებით თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, უდავოდ გამორჩეულია, მისი სახვითი ენა წლების განმავლობაში ვითარდება და ახალ ჟღერადობას იძენს. ფერწერის პლასტიკური პრინციპები თანდათან ყალიბდება, მოცულობით-რელიეფურიდან ხაზობრივ-სიბრტყებრივისკენ ისწრაფვის.

შემოქმედების დასაწყისში თემო ჯაფარიძე გატაცებული იყო აბსტარქტული ფერწერით, სიურეალიზმითა და კოლაჟით. აბსტრაქტულ ფერწერაში იგი ცდილობს ფერთა და ფორმათა კომბინაციების გარკვეული ინდივიდუალობის მქონე სისტემის შექმნას – ხან გეომეტრიული აბსტრაქციის მხატვრულ ტენდენციებს ეყრდნობა და რიტმულად ორგანიზებულ მკაფიო სტრუქტურას აგებს, ხან ფერადოვანი



გადაწყვეტის თავისებურებებით ფორმის შლადობის შთაბეჭდილებას ბადებს, ზოგ შემთხვევაში კომპოზიციათა გამომსახველობა ფერის ლაქისა და მონასმის პლასტიკურობის, ფაქტურულობის ხარჯზე მიღწევა, რაც ხან-

დახან პუანტილის გამოყენებასაც გულისხმობს. განსაკუთრებით შთამ-ბეჭდავია კომპოზიციათა ჯგუფი, რომ-ლებშიც ავტორი თითქოს მუსიკალური ნოტებისა თუ ინსტრუმენტთა სიმები-სა და კლავიშების დინამიკურად მოძრავი ნახატით ქმნის პლასტიკურ წესრიგს. ამ ნამუშევრებში მხატვრის ამოცანა „პლასტიკური ფორმებით მუზიკირება“ სახვითი ელემენტების გააზრებული კომპონირება, თავშექავე-ბული ფერადოება, ფორმისა და ფერის მართლაცდა მუსიკალური რიტმიკა ერთიანობაში ქმნის უაღრესად საინ-ტერესო და ორიგინალურ მხატვრულ სტრუქტურას. გეომეტრიული ფორმე-ბით ორგანიზებული სიბრტყე თავისთა-ვად გულისხმობს მხატვრის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კომპოზიცი-ურ სტრუქტურას და, ამავე დროს, იმ-პროცეზირების დიდ წილს შეიცავს. აბსტრაქტული ხელოვნება მხ-ატვრისთვის მასალისა და ფორმის დაუფლების საშუალებაა. ამასთანავე, თ. ჯაფარიძე აბსტრაქტული ხელოვნების საკუთარ სისტემას ქმნის. სიურე-ალისტური „შეუცნობლის შეცნობის მეთოდი“ თემო ჯაფარიძის ამ პერიო-დის ნამუშევართა ჯგუფში ვლინდება. „აბსტრაქტული ფორმებიც კი ცნობა-დია, გაურკვეველი ფორმებით იქმნება მხატვრული გარემო, რომელშიც მხატ-ვარი გადმოსცემს თავის სუბიექტურ განცდებს ... ცნობადია სიურრეალისტე-ბის უცნაურობებიც. უბრალოდ მათ სურთ, რომ მათი ფორმების ცნობადო-ბა იწვევდეს უცნაურის, გაუცნობიერუ-ბელის, სიზმრისეულის, არამყარის, ბუნ-

დოვანის, ველურისა და შეუთვისებლურ, არალოგიკურის განცდას“. ადამიანთა და მათი განცდების მხატვრისეული ფანტაზიები ამ კომპოზიციებში შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებად გარდაიქნება. „მეტაფიზიკური“ ფიგურების სახის ნაკვთები ხშირად მხოლოდ თვალის შავი ხვრელით განისაზღვრება, ფორმათა სქემატიზმამდე მისული გამარტივება — დეფორმაციით გადმოცემული ფიგურები ქმნის „უცხოთა“ იდუმალ სამყაროს, რომელსაც მუდამ ახლავს განგაშის შეგრძნება. მხატვარი ამ ნამუშევრებში არასდროს აკონკრეტებს გარემოს. ფიგურათა ფონი ნეიტრალური, ფართო მონასმებიანი აბსტრაქტული კომპოზიციის სახით წარმოგვიდება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სურათთა ექსპრესიულ გამოსახველობას. 1960-იანი წლების დასასრულს ეს კომპოზიციები მხატვრის შემოქმედებაში უკვე დამოუკიდებელი ფერწერული სურათების სახითაც გვხვდება. მოგვიანებით ფერწერული ნამუშევრების უმნიშვნელოვანები ციკლი „მუქი ფერწერა“ სწორედ ამ კომპოზიციებში გამოყენებული მუქი კოლორიტით არის ინსპირირებული.

თემო ჯაფარიძის მიერ 1970-იანი წლებიდან დღემდე განვლილი შემოქმედებითი გზა სავსეა მოულოდნელი და ორიგინალური ექსპერიმენტებით. მხატვარი ეძებს და იყენებს ახალ სახვით ხერხებსა და მასალას საკუთარი მსოფლმხედველობისა და პოზიციის მხატვრული განსახიერებისთვის. 1960-იანი წლების ბოლოს ეს ძიება ფერწ-

ერის, სკულპტურის, კოლაჟისა და პოპარტის ელემენტების ურთიერეს სინთეზში გამოვლინდა. სურათი გადაიქცევდა ერთგვარ სამგანზომილებიან მატერიალურ ობიექტად და რელიეფურობას იძენდა. მოცულობით-ფერწერული კომპოზიციები, ჰორიზონტული კომპოზიციები (პორტრეტები და თემატური კომპოზიციები) ქართულ ხელოვნებაში ნოვაცია იყო. ამ ნამუშევრებით თემო ჯაფარიძე საქართველოში ვიზუალური ხელოვნების ახალ ესთეტიკას ქმნიდა. სურათთა სერიაში — „მოცულობა და ფერი“ მხატვარი შორდება სუფთა აბსტრაქციას და ეს ბუნებრივია, რადგან თემო ჯაფარიძის შემოქმედების მთავარი იდეა მატერიალური სამყაროს, ადამიანისა და მისი გარემომცველი ნივთიერი სუბსტანციის უპირატესობაა — ადამიანური სიკეთისა და ნივთიერი სამყაროს „გაადამიანურების“ შემოქმედებითი პროცესი. თემო ჯაფარიძის კონტრელიურებში მხატვრული სახის ღრმა ფსიქოლოგიზმი და შესრულების ძალზე ორიგინალური მანერა ქმნის განსაკუთრებულ ექსპრესიულ გამომსახველობას. აქ თანაარსებობს მხატვრულ სახეთა კონკრეტულობა და სკულპტურულ-პლასტიკურ ფორმათა აბსტრაქტობა. მხატვრის ეს ძიებები სრულყოფილად გამოვლინდა დიდი ზომის სურათში „საიდუმლო სერობა“ (1972). „ფერით ინტერპრიტებული მოცულობის მხატვრული მეთოდი“ — ასე უწოდებს ამ ნამუშევრას თავად მხატვარი. მან შეძლო სპეციფიკური მასალისა და მხატვრულ სახეთა განსაკუთრებული გამომსახ-

ველობის საშუალებით თემის ღრმად და დამაჯერებლად გახსნა. სიბრტყისა და მოცულობიანი ფორმების კონსტრასტებით იქმნება ნამუშევრის განსაკუთრებული, დრამატული დინამიკა.

1970-იან წლებში თემო ჯაფარიძე კვლავ უბრუნდება სუფთა ფერწერულ ენას, უცვლელი რჩება მისი დამოკიდებულება სამყაროსა და ადამიანისადმი, მარადიული ადამიანური ღირებულებები, სახარებისეული ცნებები თ. ჯაფარიძის შემოქმედების ამოსავალი წერტილია. მისი „მუქი ფერწერა“ (92-130) ფერებითა და ფორმებით გამოხატული სამყაროს თანაგანცდაა. ეს მხატვრის ფილოსოფიურ-ფერწერული ოპუსებია, რომლებშიც მუწი სახვითი ხერხებითაა გაცხადებული საბჭოთა რეჟიმით დამძიმებული საზოგადოების შინაგანი დრამატიზმი, ეგზისტენციალური შეგრძნება ადამიანის სიმარტოვისა სამყაროში: „ადამიანები, რომლებსაც „მუქი ფერწერით“ გამოვხატავდი, საბჭოთა სივრცისაგან გარიყული, გადაკარგული, შეიძლება ითქვას, გადაყრილი არსებები იყვნენ. ისინი გამოიჩინდნენ სრული უასპარეზობით. მიუხედავად დიდი შეჭირვებისა, საცოდავები არ იყვნენ, რადგანაც გააჩნდათ ღირსება და მძლავრი პიროვნულობა. ამ ნახატებში რეალობა უფრო საგრძნობი გახდა. ვცდილობდი თბილისის არაოფიციალური გარემოს გამოხატვით შემექმნა საქართველოს ჭეშმარიტი ყოფის რეალობა. ეს ოცნება იყო და რამდენად შევძლი მისი განხორციელება, არ ვიცი“. ფორმათა განზოგადება, გამოსახულე-

ბათა გამარტივება-პირობითობა, ცივი მონაცრისფრო-ლურჯითა და ოქროს-ფრით ნიუანსირებული მუქი კოლორიტი ქმნის ინტიმურსა და სევდიან ატმოსფეროს, ბინდით მოცული გარე-მოდან მომზირალი, თითქოსდა შინაგანი ოქროსფერი შუქით გასხივოს-ნებულ ადამიანთა პლასტიკურად დამუშავებული სახეები კომპოზიციათა აზრობრივსა და ფერადოვან აქცენტებს ქმნის და მაყურებელთან უშუალო კონტაქტს ამყარებს. კოლორიტი და მხატვრულ სახეთა ღრმა ფსიქოლოგიზმი განსაზღვრავს თემო ჯაფარიძის დროში გარინდული სამყაროს დრამატულობას, რაც ასე ძლიერ არის საგრძნობი მაყურებლისთვის.

თემო ჯაფარიძისთვის ნატურის გამხატვრულება მის აბსტრაქტირებულ, ყოველგვარი აღწერითი, მეორეხარისხოვანი ელემენტებისგან გაწმენდილ ფორმას გულისხმობს, რომელშიც გაცხადებულია საგნის, ობიექტის ძირითადი სტრუქტურა. მხატვრის სუბიექტური ნება განაპირობებს ობიექტის ინტერპრეტაციის ვარიანტებს. სიბრტყეზე ფორმისა და ფერის „თამაში“ მისთვის არასდროსაა თვითმიზანი, უმთავრესი მათი მეშვეობით ადამიანის სულიერი პლასტებისა თუ საგნობრივი სამყაროს სახასიათო ვარიანტების რეალიზებაა. თემო ჯაფარიძის მხატვრული ხედვა განაპირობებს მხატვრული სახეების დრამატულობასა თუ ლირიზმს. მისი სურათოვანი რეალობის მთავარი მახასიათებელი სწორედ ეს გრძნობაა. მიუხედავად ცხოვრებისეული სირთულეებისა, თან-

ამედროვე სამყაროში გამეფებული უსამართლობისა და აგრესისა, მუდამ არსებობს სიკეთე და ადამიანური ფასეულობები, რომლებიც შინაგანი სინათლით ასხივონებს ადამიანურსა თუ ნივთიერ სამყაროს. თემო ჯაფარიძის თეორიული მსჯელობანი ხელოვნებისა და მისი დანიშნულების შესახებ სახვით ხელოვნებაში მისი ძიებების კიდევ ერთი დასაბუთებაა: „რამდენადაც მნელია სულიერი სიწმინდის ცხოვრებაში განხორციელება, მთ უფრო მისასწრაფია და სანატრელი, რამეთუ სულიერ გზაზე დამდგარი ადამიანი გრძნობს, რომ სიყვარული თუ შეიძლება, სულიერი სიწმინდის სიყვარული შეიძლება“.

1970-იანი წლების ბოლოს დრამატულ „მუქ ფერწერას“ ცვლის „ნათელი ფერწერა“. ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ პალიტრის ცვლილებას არ გულისხმობს და სამყაროსადმი მხატვრის დამოკიდებულობის გამომხატველი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ადამიანისა და სამყაროს თანაარსებობის ურთულესი კოლიზიები მხატვრის შემოქმედების განმსაზღვრელი თემაა, მაგრამ აქ უკვე სინამდვილის ინტერპრეტაციისას დრამატიზმს პოეტურობისა და ლირიზმის განწყობა ერთვის.

თემო ჯაფარიძის პორტრეტული სახეები განზოგადების მაღალი ხარისხით სასიათება. მხატვარი მიმართავს ფორმის ასიტრაპირებას, გამარტივებას, მაგრამ ინარჩუნებს ნატურის სახასიათო ნიშნებს, მის ინდივიდუალობასა და განუმეორებლობას. ყოველი ადამიანი

მხატვრისთვის დამოუკიდებელი სამყაროა. პორტრეტებში ნატურის სუბიექტურ დახასიათებასთან ერთად მისადმი თავად მხატვრის დამოკიდებულება ჩანს – თბილი, ემოციური და ლირიკული. სურათების კოლორიტს მოქროსფრო ელფერებით გამდიდრებული ყავისფერი გამა განსაზღვრავს, რომელშიც ნათელი ფერების მცირეა აქცენტები ცხოველხატულ ეფექტებს ქმნის. საღებავის ფენა თხელია, ისე რომ, ხანდახან სახვით ფუნქციას თავად ტილოს სტრუქტურა ასრულებს. მატულობს წერის მანერის იმპროვიზაციულობა. „მუქი ფერწერის სახეთა პლასტიკური დამუშავებისგან განსხვავებით, „ნათელი ფერწერის“ კომპოზიციური გადაწყვეტა ხაზობრივ-სიბრტყობრივობით გამოირჩევა. გამოსახვის ხერხები – დენადი ხაზი, სიუჟეტის ექსპრესიულობა და მხატვრულ სახეთა მელანქოლიზმი ამ ნამუშევრებს მოდილიანის ესთეტიკასთან აახლოებს. იგივე სტილისტიკა ახასიათებს ამ პერიოდში შესრულებული ნატურმორტებისა და პეზაჟების სერიას. რეალური საგანი, ობიექტი, ხშირად ტრანსფორმირებული და სტილიზებული სახით გადმოცემული, ყოველთვის ინარჩუნებს ვიზუალურ ცნობადობას, რასაც ნახატში კონკრეტული ადამიანური განწყობა შეაქვს. ნატურმორტებში მხატვარი გულდასმით არჩევს ყოველ საგანს. ეს ერთი მხრივ, უბრალო საგანია. მისი სახასიათო, სპეციფიკური მხატვრული ნიშანი, ჯაფარიძისთვის ჩვეული მანერით შესრულებული. ამასთანავე, აშკარად საგრძნობია, რომ



ნებისმიერ საგანს, იქნება ეს ქოლგა, ყურმოტეხილი ფინჯანი თუ ძველი ფეხსაცმელი, საკუთარი ისტორია აქვს. ყველა ნატურმორტი საკუთარ ამბავს მოგვითხრობს და მაყურებელს მხატვრის განწყობისა და ჩანაფიქრის თანაზიარს ხდის. მისი ნატურმორტის ყველაზე უბრალო ყოფითი ნივთიც კი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სულიერების შეგრძნებას იწვევს. ნივთი მხოლოდ რეალური საგნის მხატვრული ნიშანი კი არ არის, არამედ გარკვეული კონცეპტუალური საწყისის მატარებელი, ხასიათი – დროისა და მისდამი მხატვრის განწყობის, დამოკიდებლების მაჩვენებელი. „ნივთე-

ბის სამყაროთი ადამიანმა შექმნა მეორე ბუნება, გეომეტრიულ-კრისტალური რეალობა. იგი გამსჭვალულია ყოველივე ადამიანურით, ადამიანურის გამომსატველია არა მხოლოდ იმთ, რომ მისი პირმშოა, არამედ იმითაც, რომ იმსჭვალება ადამიანთა ურთიერთობით, დროით. ნივთის ბუნება... გამსჭვალულია იმ ადამიანების ისტორიებით, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონია. მათში საიდუმლო, მელანქოლიური კვალი არის ჩამყუდროებული... მე ვცდილობ ნატურმორტში ნივთი უპირველესად კომპოზიციის შემაღებელი ფორმა იყოს. ვცდილობ შევქმნა ნივთის უწყინარობის ადეკვატური მხატვრული მდუმარება, რომელიც გამსჭვალული იქნება ადამიანურობით“, თემო ჯაფარიძის ქალაქური პეიზაჟები თემის ინტერპრეტაციის გამომსახველობით ხასიათდება. თბილისის ძველი უბნების კოლორიტს, მის განუმეორებელ პოეტიკას მხატვარი ღრმა ლირიზმითა და სევდით აღსავსე კომპოზიციებით გადმოგვცემს. ნებისმიერ შემთხვევაში მის ნამუშევრებს გამოარჩევს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ძველი ქალაქის ერთი რომელიმე კუთხის გასაოცარი სიმყუდროვე და განუმეორებელი ხიბლი. თემო ჯაფარიძის სახვითი ენის მინიმალიზმი ეფუძნება თემისა და მხატვრული სახის განზოგადებას, ძლიერ სახასიათო ფორმასა და თავშეკავებულ კოლორიტს. რბილი, ფერადოვანი ნიუანსებით გამდიდრებული მცირე ზომის მოცისფრო-ვერცხლისფერი და ოქროსფერი ფერთა ლაქებით აგებული კოლორიტი ქმნის

სურათის თითქოს ვიბრირებულ, მოცი-
მციმე ზედაპირს.

თემო ჯაფარიძე არასდროს კმაყ-
ოფილდება მიღწეულით. მისი სახვი-
თი თუ ფაქტურული ძიებები გაბედუ-
ლი და მოულოდნელია, შედეგი კი –
ძლიერი ემოციური მუხტის მატარებე-
ლი. მასალით ექსპერიმენტირება, კო-
მპოზიციების სახვით თუ ფორმალურ
სტრუქტურაში დეფორმაციის, სტილი-
ზების, გროტესკისა და იუმორის
თანაარსებობა, მხატვრულ სახეთა სტი-
ლური თუ სახოვანი მრავალფეროვნე-
ბა თემო ჯაფარიძის 1990-იანი წლების
ნამუშევრებს დინამიკურობასა და სი-
ცოცხლისუნარიანობას ანიჭებს. მისი
სახვითი ენის ორიგინალობას ლა-
კონურობა და სიზუსტე განსაზღვრავს.
ძუნწი სახვითი ხერხებით მხატვარი
საკუთარი ჩანაფიქრის მხატვრულ
რეალიზებას მაყურებლისთვის მოუ-
ლოდნელი და საინტერესო გადაწ-
ყვეტით ახერხებს.

1990-იანი წლებში შესრულებულ
პორტრეტებში მხატვარი ფერწერის
საფუძვლად ახალ მასალას – დაჭმუ-
ჭნილ ტილოს იყენებს. იგი მხ-
ატვრისთვის საშუალებაა საკუთარი
ხედვის ახალი ინტონაციების გადმო-
საცემად. დანაოჭებული ტილო
წინააღმდეგობრივ ფონს ქმნის. ტილოს
ნაეცები და ბზარები გაუხეშებული
და გაუფასურებული სამყაროს სიმ-
ბოლური გამოსახულებაა, ხოლო ად-
ამიანის სახე ამ დაბინძურებული გარე-
მოდან მზირალი მისი ნათელი ხატი.
მხატვარი იყენებს მასალის ფაქტუ-
რულ თავისებურებებსა და ობიექტის

ზუსტ სახვით-კონცეპტუალურ ნიშანს,
თეორი, დაგრუნტული ტილო, უხეშად
დაკრული მუქ ყავისფერ ჩარჩოზე, დაჭ-
მუჭნულია და დამსკდარი ისე, რომ
ცარცის გრუნტის ქვემოთ ყავისფერი
ბზარები ჩანს. კომპოზიციური ელე-
მენტების მაქსიმალურად თავშეკვებუ-
ლი ნაკრები და კოლორიტი, რომელიც
ეფუძნება ტილოს ფონის ხელუხლებელ
თეორისა და ფიგურულ გამოსახულე-
ბათა მორუხო-ყავისფერს, მხატვრის
კონცეფციის აღეკვატურ მხატვრულ
რეალიზებას წარმოადგენს. იგი
ჩანაფიქრის დამაჯერებელ, ორიგინალურ
მხატვრულ ვარიანტს გვთავაზობს. ამავე
სტილით არის შესრულებული ნატურ-
მორტებისა და პეიზაჟების სერია.
1990-იანი წლების ბოლოს შექმნილი
სერიის – „მდგომარენი და წაქცეულე-
ბი“ კომპოზიციები მეტაფორული გა-
მოსახულებაა ყოფიერებისა, სადაც ვი-
ღაც ყოველთვის დგას, ვიღაც კი ეცე-
მა. ამ თემის რეალიზებისთვის მხატ-
ვარი შეგნებულად მიმართავს პრიმი-
ტივისტული ხელოვნებისთვის დამახ-
ასიათებელ მხატვრულ-სახეობრივსა და
კომპოზიციურ სტრუქტურებს. კო-
მპოზიციათა პირობით-სიბრტყობრივი
გადაწყვეტა, ფორმათა დეფორმაცია,
ფანტასტიკური მოტივებისა და წარ-
წერების გამოყენება ამ ნამუშევრებს
გარკვეულ გულუბრყვილობას სტენს და
იმავდროულად, ამჟღავნებს ავტორის
ერთგვარ ირონიულ დამოკიდებულებას.
ამავე პერიოდს მიეკუთვნება მისი კიდევ
ერთი საინტერესო ექსპერიმენტი. ჯერ
კიდევ შემოქმედების დასაწყისში მხ-
ატვარმა ალბერტო ჯაკომოტის გავ-

ლენით შეასრულა მცირე ზომის ქანდაკება. 1990-იან წლებში ჯაფარიძემ იმავე სტილისტიკით შესრულებული ფიგურები სიბრტყესთან დააკავშირა და რელიეფური სურათის ახალი ვარიანტი შექმნა. ძელზე შემოხვეული, დაჭმუჭნილი ტილოს მუქი და ნათელი, აბსტრაქტული ფიგურები წაგრძელებული კიდურებით ქმნის ექსპრესიულ შთაბეჭდილებას. მხატვარი ამ ნამუშევრებით ადამიანთა, მათი განცდებისა და გრძნობების გადმოცემის ახალ ვარიანტებს გვთავაზობს. სერიაში „ოდისევის ახალი მოგზაურობა“ მხატვრის „მთავარ კონცეფტს ქმნის ბორბალზე შემდგარი, ქმედებაში მყოფი ადამიანის ფიგურა. დღეს ოდისევის თანამედროვე მაძიებელ ადამიანს გულისხმობს. ეს ბორბლიანი ფიგურა დაქრის ყველგან. ლოგიკურ და ულოგიკო სივრცეებში... იგი ფორმის მიღმა მყოფ უხილავ სივრცესაც ეძებს და ყოფიერების სხვადასხვა გამოხატულების წიაღებსაც. ოდისევისგან განსხვავებით ის ადამიანის შინაგან სამყაროში ცდილობს შესვლას. მაძიებელი კონცეფტი უბრალო სახვითი ნიშანია. იგი პატარაა ზომით და იუმორის ნიშნით აღიქმება“. თემის ინტერპრეტაცია თავისთავად ალოგიკური და, გარეკვეულწილად, ტრაგიკულია, ისევე

როგორც, სამწუხაროდ, ალოგიკურია თავად რეალობაც. თემო ჯაფარიძის ეს ფერწერული ნააზრევი მაყურებელსაც აქტიურად რთავს სურათის აღქმისა და თემის ინტერპრეტაციის პროცესში და საკუთარი ჩანაფიქრის თანაზიარს ხდის.

თემო ჯაფარიძე ქართული ნონკონფორმისტული ხელოვნების ერთერთი პირველი და აშკარად გამოხატული თვითმყოფადობის მქონე მხატვარია. მისი ყველა ნაწარმოები არის პასუხი სამყაროში ადამიანის არსებობის ურთულეს საკითხებზე. ყოფიერებისა და ადამიანის დანიშნულების ფილოსოფიური განსჯა მისი ნამუშევრების ძირითადი ტექსტია. ჯაფარიძის შემოქმედების კონცეპტუალური საფუძველი ყოველთვის მწვავეა და აქტუალური, ხოლო მხატვრული გადაწყვეტა – უსაზღვროდ საინტერესო და ორიგინალური. მისი „ნახატი ჩუმია და უწყინარი. იგი შეუმნევლად ჰქიდია კედელზე და ელის ადამიანებს, რომელთაც სიტყვით გამოუთქმელის თანაგანცდა ძალუბთ. ისინი კაცობრიობის ღრიანცელს გაურბიან და სამყაროს შინაგანი არსის ღიმილს, ანუ უბრალო, მაგრამ უანგარო სიყვარულს დაეძებენ“.

ნანა შერვაშიძე
ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

დგაწლმოსილი ადამიანის ბახსენება



ერთ-ერთი ასეთი პიონერთაგანია მე-20 საუკუნის ქართველ არქიტექტორთა შორის დამსახურებული არქიტექტორი ზაქარია ილიას-ძე მინდორაშვილი. მისი დგაწლი დიდია ქართულ არქიტექტურაში. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს უმწიკვლოდ ემსახურა თავის ქვეყანას და თავის ხალხს. მას ძლიერ უყვარდა საკუთარი საქმე და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა გეგმარება. ოსტატურად უთავსებდა ერთმანეთს იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ჩარჩოებში მოთავსებულ გეგმარებას და ნაგებობის სილამაზეს. ზაქარია მინდორაშვილი ყველა მის ახლობელს ახსოვს თავდახრილი მომუშავე თავის განუ-

შორებელ დაფასთან, ჩაფლული ნახაზებში, ჟურნალებში, წიგნებსა, თუ ცნობარებაში. მუშაობდა დღეც და ღამეც, თითქმის დილამდე, ისვენებდა ძალიან ცოტას. შუქი, თითქმის არ ქრებოდა მის სამუშაო ოთხში. როდესაც პროექტი დასაცავად გაჰქონდა, ასე ამბობდნენ, მის პროექტს რად უნდა დაცვა, იგი თავის თავს თვითონვე იცავს.

ზაქარია მინდორაშვილი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტორთა კავშირის წევრი 1935 წლიდან, მრავალი პრემიის ლაურეატი, დიდად განათლებული, დაწვერილი ინტელიგენტი, მორიდებული, საქმისადმი ერთგული პატიოსანი, პუნქტუალური, გულისხმიერი ამხანაგებისა და მეგობრებისადმი, სამაგალითო ქართველი და დიდი პედაგოგი, რომელმაც არა ერთი კარგი არქიტექტორი აღზარდა, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ბრწყინვალედ იცოდა გერმანული ენა. მან დაიმსახურა განსაკუთრებული პატივისცემა „საქსახპროექტის“ კოლექტივში, სადაც მუშაობდა 1935 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. ზ. მინდორაშვილის მოღვაწეობა ხასიათდება დიდი პროდუქტულობითა და უმაღლესი ხარისხით. მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა შეფასებულია უამრავი ჯილდოებითა და პრემიებით. ზაქარია მინდორაშვილის სახელი შეტანილია – „მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების“ ენციკლოპედიაში – „ისკუსტვო სტრანი ი ნაროდოვ მირა



ზაქარია ილიას-ძე მინდორაშვილი

— არქიტექტურა, უიგოპის, სკულპტურა, გრაფიკა, დეკორატივნოე ისკუსსტვო. მოსკვა — 1962 გ.“

„მოვალეობისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, თავმდაბლობით, პატიოსნებითა და პრინციპულობით ზ. მინდორაშვილმა თანამოსაქეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა“ — წერდა 1982 წელს გაზეთი „თბილისი“, რომელიც გამოეხმაურა მის იუბელეს.

1982 წ. 12 ნოემბერს „საქსახ-პროექტმა“ და „სახმშენმა“ ზ. მინდორაშვილს გადაუხადეს დაბადებიდან 80

და მუშაობის 55 წლის იუბილე, რასაც ახლდა მისი შემოქმედებითი ნამუშევრების და ფოტოების გამოფენა.

ზ. მინდორაშვილის უშუალო ზელმძღვანელობით და ავტორობით შესრულებულია მთელი რიგი პროექტებისა, როგორც სამოქალაქო, ასევე სამრეწველო მშენებლობის დარგში, ყველა მისი პროექტი შესრულებულია ნატურაში.

„ბატონი ზ. მინდორაშვილის შემოქმედებას ქართულ არქიტექტურაში საპატიო ადგილი აქვს მიჩნეული. იგი არა ერთი დიდი პროფესიული კონკურსის მონაწილე და ჯილდოს მფლობელია, მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის ავტორია. ქ. ჭიათურის დაგეგმარება-განაშენიანება და ცალკეული ობიექტები, თბილისში საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავალი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტი, ქარხანა და სხვა“.

არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტი — აკადემიკოსი ბატ. ვახტანგ დავითაძია.

შეუძლებელია ყველა გაზეთიდან, ჟურნალიდან და წიგნიდან გავაკეთოთ ამონარიდი. მის შესახებ თითქმის ყველა გაზეთში იძებლებოდა: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“, „თბილისი“, „გერმანი ტბილისი“, ჟურნალებში — „მეცნიერება და ტექნიკა“, „დროშა“ „იზესტია“, „ტრუდ“, „ოგონიკი“ და სხვა მრავალი.

მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა შეფასებულია უამრავი ჯილდოთი, მედლებით, საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიებით და სხვა.

ზ. მინდორაშვილის სახელი შეტანილია შემდეგში: 1. „ჭიათურა“ – ჯაოშვილი, 1959 წ. 2. „თელავი“, 1963 წ., 3. „თბილისი – 1961 წ. მოსკოვი – ქვირკველია“, 4. « » – 1951 .

,
– ვ. ბერიძე, შ. ქურდანი, ლ. რჩეულიშვილი, 5. « » –
- 1954. .

. 6. „სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება“ – 1983 წ. – თბილისი, ხელოვნება – ნიკოლოზ ჯაში.

და სხვა და სხვა ...

ზაქარია მინდორაშვილის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ულიანოვსკის ავტოქარხანას („ზავოდოუპრავლენიე“), რომლის 12 სართულიანი ადმინისტრაციული შენობის სიგრძე 100 მ-ია, ფართობი 93 000 კვადრატული მეტრი. ეს შენობა აღჭურვილია კონდიციონირებით, ჩქაროსნული ლიფტებით, ტექნიკის სახლით, კინო-საკონფერენციო, საგამოფენო დარბაზებით, სასადილოთი და სხვა. დაგეგმარებულია უახლესი ტექნიკით. როდესაც დამთავრდა ამ უზარმაზარი შენობის მშენებლობა და გადაეცა საექსპლოატაციოდ, ულიანოვსკელები აღფრთოვანებულები იყვნენ. აჭრელდა გაზეთები და ჟურნალები – არქიტექტორმა დიდი ეკონომია მისცა სახელმწიფოს მინდორაშვილმა დაიმსახურა მაღალი პრემია და

მასთან ერთად მსუბუქი მანქანა საჩუქრად, აღნიშნულ ქარხანაში აწყობილი.

ქართველ მემახტეთა ქალაქში – ჭიათურაში ძნელია დავასახელოთ რომელიმე ობიექტი, რომლის პროექტის ავტორი არ იყოს ბატონი ზაქარია ჭიათურის და თელავის კეთილმოწყობას მან 40 წელზე მეტი მოანდომა.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭიათურის პერევისის სამშერივ საბაგიროს, რომელიც აკავშირებს: 1. ნაგუთის ცენტრალურ კვარტალს, 2. რუსთაველის ქუჩას და 3. პიონერთა სახლს (ერთმანეთს), ამიტომ ეს საბაგირო ითვლება უნიკალურად.

ჟურნალი „დროშა“ 1956 წ. წერდა: „ამ ტიპის საბაგირო გზა პირველია საბჭოთა კავშირში. კიდევ 7 ასეთი საპარო გზა აღიმართება და ამგვარად ჭიათურის ძირითადი ტრანსპორტი იქნება პარაში დაკიდებული“.

გაზეთი „კომუნისტი“ 1980 წ. აღნიშნავდა: „50 მლნ მგზავრი გადაიყვანეს ჭიათურის ბაგირგზებმა. ერთი მეორის მიყოლებით ამოქმედდა ახალი გზები. მათ დაუკავშირეს ქალაქის ცენტრი გარეუბნებს, შორეულ საბადოებს“.

საბაგიროების ქვედა და ზედა სადგურების არქიტექტურული ნაწილი ეკუთვნის ზ. მინდორაშვილს, ხოლო ტექნოლოგიური – ბატონ გიორგი ფანცულაიას.

„ჭიათურის ცენტრს ამშვენებს ადმინისტრაციული შენობა“ „ჭიათურის ცენტრალურ მოედანზე აშენდა ოთხსართულიანი ადმინისტრაციული



**საცხოვრებელი სახლი 5 სართ.
69 ბინიანი, თბილისი, თამარ
მეფის 19, აშენებული 1950 წ.**

კორპუსი არქ. ზ. მინდორაშვილი. ფასადების გადაწყვეტაში გამოყენებულია ნაციონალური ფორმები და ორნამენტები, რომელიც კარგადაა ჩაწერილი შენობის კომპოზიციურ მთლიანობაში. შენობის კუთხე თავისი მსუბუქი კოშკით მკაფიოდ სახლვრავს მთელი არქიტექტურული მოცულობის მასშტაბს, ელფერს აძლევს შენობის მხატვრულ მხარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შენობის პროპორციულობა, მისი მთლიანობა და სილუეტის კარგი გამოსახულება ქალაქის ყველა კუთხიდან. შესედვისთანავე იპყრობს მნახველის ყურადღებას. გემოვნებითაა გადაწყვეტილი ფასადების ფრონტალური კომპოზიცია. ყოველი დეტალი თავის ადგილზეა და დიდ როლს თამაშობს ფორმათა საერთო ანსამბლში. მის გვერდით მაღლე აიგება 42 ბინიანი საცხოვრებელი სახლი ამავე არქიტექტორის მიერ. არქ. ზ. მინდორაშვილი ღრმად ჩასწვდა ქართული ხუროთ-

მოძღვრების ნიმუშებს და შესძლო მათი ახლებურად გააზრება. ამან უზრუნველყო არქიტექტურის შემოქმედებითი გამარჯვება“. **აკადემიკოსი გ. შანიძე**

„ჭიათურის მარგანტრესტის ადმინისტრაციული შენობა, რომელიც აშენდა 1955 წ. ცენტრში, ულამაზესია, უკანა პლანზე მისი ბელვედერი ოსტატურადაა ჩასმული „საშევარდენე“ კლდის ფონზე, სადაც პატარა კარსტულ ღრმულებში დღესაც ბუდობენ შევარდენები. ამ კლდის თავიდან იწყება მარგანტრესტის საბადოებით მდიდარი ზეგანი“.

გაზეთი „მაღაროელი“

არქიტექტორ ზაქარია მინდორაშვილის მიერ უმაღლესი ოსტატობითაა დაპროექტებული:

3. ჭიათურის საცხოვრებელი სახლები: 52 ბინიანი და სხვ.

4. საერთო საცხოვრებელი, გაუმჯობესებული სასტუმროს ტიპის 280 ადგილზე, 11 სართულიანი, ცენტრალურ ქუჩაზე;

5. საერთო საცხოვრებელი სასტუმროს ტიპის 300 ადგილზე 11 სართულიანი;

6. მიწისქვეშა გასასვლელები რკ/გზ ქვემოთ, ერთ-ერთ გასასვლელში – კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 8 სექციაა დაგეგმარებული;

8. ჭიათურის სპორტული კომპლექსი:

ა) სტადიონი 10 000 მაყურებელზე გადახურული ტრიბუნებით;



**ჭიათურის სამგზავრო საბაგირო
გზის ზედა სადგური**

- ბ) სპორტდარბაზი ორი განათებით;
- გ) გადახურული საცურაო აუზი.
- 1964 წ. 24 ოქტომბერს გაიხსნა ეს სპორტული კომპლექსი.
- 8. ჭიათურის საშუალო სკოლა;
- 9. ჭიათურის ცენტრალური ნაწილის გეგმარება და რეკონსტრუქცია;
- 10. საცხოვრებელი კვარტლების განაშენიანება;
- 11. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიების – ნაგუთი, დარკვეთი, ბუნიკაური, საფარა – გეგმარება;
- 12. ჭიათურის ცენტრალური ნაწილის განაშენიანება 1978 წ.
- 13. ჭიათურის საინჟინრო ლაბორატორიული კორპუსის გრ.პ.
- 14. ჭიათურის აღმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსი – „ჭიათურმარაგანეცი“;
- 15. ჭიათურის საავადმყოფოს კომპლექსი (ნაგუთი) 200 ადგილზე;
- 16. ჭიათურა-შუხრუთი – კულტურის და დასკენების ცენტრალური პარკი.

სამთო კარიერის ველის 18 ჰა ფართზე რეკულტივაციის პროექტი – მთ. არქ. ზ. მინდორაშვილი.

საჩხერის რაიონის კურორტი ავერეთი მდებარეობს ჭიათურიდან 20 კმ-ის დაშორებით მდ. ჩიხურას ხეობაში, მთებში.

აქ აშენდა დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი კომპლექსი უდიდესი მნიშვნელობის, სამი საცხოვრებელი (საძილე) კორპუსი, სააბაზანო, კინო-თეატრი, სპორტული კომპლექსი, სასადილო, პავილიონებით, საბაგიროთი, პატარ-პატარა ხიდებით, საცურაო აუზით და სხვ. ირგვლივ დაბურული ტყებია ფოთლოვანი და წაბლის, რაც ზღაპრულ იერს აძლევს ამ პაწაწინა ადგილს, რომელსაც ძალიან შესაფერისად უწოდეს „სამოთხის ნაწილი“.

დიდი ჩამონათვალია ზ. მინდორაშვილის საავტორო პროექტების: ჭიათურის სამრეწველო კვანძების გეგმარება, განაშენიანება, რეკონსტრუქცია და სხვ, ხაშური, ლენტები, ბზიფი, აპარმარა, აჯანტურა, დაშქესანი, ტყიბული, ტყვარჩელი, სამტრედია, ახალქალაქი, წყალტუბო, კასპი, ნაგუთი, დარკვეთი, ბუნიკაური, საფარა, შუხრუთი, აჯამეთი, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის გენერალური გეგმები და დასახლების საცხოვრებელი განაშენიანება, დასახლების, „ახალი-ითხვისი“ და სხვა ადგილების გეგმარება, განაშენიანება, რეკონსტრუქცია.

თელავი – თელავს ლამაზი მდებარეობა აქვს და ბორცვიანი რელიეფის წყალობით განაშენიანების მეტად



**წყალტუბო, სანატორიუმი
600 ადგილზე**

ეფექტურ სურათებს იძლევა. თელავი, როგორც ქალაქი, მე-2 საუკუნიდან მოიხსენიება.

ზაქარია მინდორაშვილს უნდოდა შენარჩუნებინა ქალაქის ძველი ფეოდალური ხანის კოლორიტი, რომელსაც პქმნის ერეკლე II-ის საზარბაზნე ბურჯები, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქვითკირით ნაგები და უფრო ადრინდელი გალავანი – ზღუდე. ამ ძველი ქალაქის ერთგვარ რომანტიკულ იერს უპირისპირდება ახლად რეკონსტრუირებული ქალაქის ცენტრი მოასფალტებული ქუჩებით თანამედროვე ქალაქისათვის დამახასიათებელი მოედნებით, მრავალსართულიანი სვეტებიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ბელვედერებით, სკვერებით, პრომენადით, რომელიც მიემართება „ერეკლე ბატონიშვილის“ ზღუდის გასწვრივ და გვაკავშირებს კინო-თეატრთან.

1. 1947 წ. მოხდა თელავის მოედნის, ცენტრალური ნაწილის გეგმარე-

ბა-რეკონსტრუქცია №. მინდორაშვილის მიერ.

2. თელავის სამრეწველო კვანძის გეგმარება;

3. თელავის „თავისუფლების მოედნის“ რეკონსტრუქცია მიმდებარე ქუჩებით;

4. საცხოვრებელი სახლები ცენტრალურ პროსპექტზე 48 და 46 ბინანი – 2 კორპუსი;

5. კომბინირებული საცხოვრებელი სახლი მაღაზიებით.

6. კინო-თეატრი 350 ადგილზე;

7. ადმინისტრაციული შენობა;

8. გამწვანება და განაშენიანება მთლიანად „თელავის შემოგარენის“ ჩათვლით.

ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისში აშენებულმა საცხოვრებელმა სახლმა 1950 წ. თამარ მეფის ქ-ზე №19 (ყოფილი ჩელიუსკინელების ქუჩა), რომლის შესახებაც გაზეოდი „ზარია ვოსტოკა“ წერდა:

„ჩელიუსკინელების ქუჩაზე აღიმართა ლამაზი 5 სართულიანი 69 ბინანი საცხოვრებელი სახლი, აშენებული არქიტექტორ ზ. მინდორაშვილის პროექტით. შენობის ფასადი გადაწყვეტილია სადა და მბლავრ ფორმებში, რომელიც პირველი შეხედვისთანავე იპყრობს მნახველის ყურადღებას. ჩანაფიქრი გადაწყვეტილია მიმზიდველი გემოვნებით“.

1957 წ. „ზარია ვოსტოკა“ – აღიმნავდა: „საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა ჩელიუსკინელების, უკანასკნელ წლებში გარდაიქმნა. ამ დღეებში დაამშვენა ახალმა ნაგე-



**კვერთის დასასვენებელი სახლის
მთავარი კორპუსი**

ბობამ — 5 სართულიანმა შენობამ. მან დაამშვენა ამ ქუჩის არქიტექტურული ანსამბლი. არქ-ი ზ. მინდორაშვილი“.

ჩამონათვალის გარდა ზაქარია მინდორაშვილის თავდადებული მუშაობის შედეგად ქვეყანაში გაკეთდა:

2. საცხოვრებელი სახლი 24 ბინიანი — ცენტროლიტი;

3. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის რეკონსტრუქცია კოსტავას ქუჩაზე;

4. „საქაბაგირგზების“ ლაბორატორიული და საინჟინრო კორპუსების კომპლექსი — ჯიქიას ქუჩაზე;

5. „სახკომსახეცტრანსი“ — « 』 — კომპლექსი.

სამტრედია — წყალთა მეურნეობის სამინისტრო

კასპი — ცემზნტის ქარხნის დასახლება — გენერალური გეგმა

ტყიბული — ა) ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატი (- - -).

ბ) საცხოვრებელი სახლი 18 და 24 ბინიანი — 2 კორპუსი.

ტყვარჩელი — გენერალური გეგმა და რეკონსტრუქცია.

ახალქალაქი — საცხოვრებელი კვარტლის გენერალური დაგემარება და განაშენიანება.

წყალტუბო — 1. ცენტრალური კვარტლის გეგმარება.

2. სანატორიუმი 150 ადგილზე (ნავთობის მრეწველობის სამინისტრო)

3. თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი.

„სანატორიუმების კომპლექსი 600 ადგილზე“ — საკონკურსო. II პრემია — 9 000 მან.

სამუშაოთა ჩამონათვალის შემდეგ მოკლედ შევეხებით სახელგანთქმული არქიტექტორის ბიოგრაფიულ მონაცემებს; დიდი ქართველი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე, სახელოვანი მამულიშვილი ზაქარია ილიას-ძე მინდორაშვილი დაიბადა 1902 წ. 2 ნოემბერს შეძლებულ ინტელიგენტ ოჯახში, ქ. თელავში, სადაც დასახლდა მისი ოჯახი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ.

მამა — ილია მინდორაშვილი იყო მშენებელი და აწარმოებდა მშენებლობას თელავში.

დედა — ნინო მინდორაშვილი იყო ცნობილი ხელოვანი, მეტად სათხო ადამიანი.

ილია მინდორაშვილის და ილია ჭავჭავაძის ოჯახები მეგობრობდნენ რასაც ადასტურებენ ფოტოსურათები, (ინახება თელავის მეფე ერეკლეს მუზეუმში).

დაწყებითი განათლების მერე ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა მამა, ბურჯი ოჯახ-

ისა. გარდაცვალების მიზეზი იყო ქვეყნის არეულობა და თავს დატეხილი განცდები.

1926 წელს ზაქარიაშ ჩაბარა თბილისის სამსატვრო აკადემიაში არქიტექტურულ ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ გადავიდა თბილისის ახლად ჩამოყალიბებულ ონდუსტრიულ ინსტიტუტში (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) სამშენებლო ფაკულტეტზე არქიტექტურის განხრით. დამთავრებდა ისთანავე ინსტიტუტმა გაგზავნა მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც სწავლასთან ერთად, პარალელურად, კითხულობდა ლექციებს და მუშაობდა საღისერტაციო თემაზე, ამის გამო დიდ კმაყოფილებას გამოსთვამდა მისი ხე-

ლმძღვანელი – მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის დირექტორი – პროფ. სერიოਜენკინი, რომელიც უმაღლეს შეფასებას აძლევდა მომავალი დიდი არქიტექტურის ნიჭა და შრომისმოყვარეობას.

1935 წ. ზ. მინდორაშვილი ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო მუშაობა „საქახაბროექტში“, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე მთავარ არქიტექტორად.

იგი გარდაიცვალა 84 წლის ასაკში 1987 წელს.

დიდი არქიტექტორისა და დიდი ადამიანის ხსოვნა კი სამუდამოდ დარჩა ეროვნული არქიტექტურის ისტორიასა და მაღლიერი ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ძედეა და დავით ჯაფარიძეები

ქართველი ხალხის მემობარი



გასული 2010 წლის ბოლოს, დეკემბრის თვის დასაწყისში, შემაძრწუნებელი ამბავი მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ნიუ-იორკში გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა საგამომცემლო გაერთიანება „ნოვა საინს პაბლიშეზის“ პრეზიდენტი, ცნობილი გამომცემელი, მწერალი და პუბლიცისტი, 35 წლის მანძილზე ჩემი უახლოესი მეგობარი, ქართველი ხალხის, საქართველოს დიდად მოყვარული ფრენკ კოლამბუსი. ის 70 წელს იყო გადაცილებული, აზროვნებითა და შემოქმედებითი მუხტით სავსე დღედაღამ შრომობდა, ახალი ინიციატივებითა და იდეებით იყო სავსე, უამრავი ჩანაფიქრი ჰქონდა განსახორციელებელი, სიკეთე და შექმნა მისი ნაყოფიერი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა იყო.

ფრენკ კოლამბუსი 1974 წლის ზაფხულში გავიცანი, ოდესაც საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტოს ანუ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამმართველოს უფროსად სულ

რამდენიმე თვის გადაყვანილი ვიყავი და უკვე მოსკოვს გამომიძახეს საკმად ხანგრძლივი მივლინებით. ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსთან ვიზიტისას გავიცანი ფრენკი, გამოცემების საკითხებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ქ. ნიუ-იორკიდან მივლინებით ჩამოსული მსხვილი გამომცემლობის ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტი. მაშინ ჩვენ კარგახანს ვისაუბროთ, მერე რამდენიმეჯერ სუფრაზეც შევხვდით და ჩვენს მომავალ მეგობრობასაც მყარი საფუძველი ჩავუყარეთ.

ფრენკ კოლამბუსი იყო მაღალი, კომუნიკაციური, კაცურად ლამაზი, უაღრესად კულტურული, თბილი, დაუღალავად მოფუსფუსე, ყურადღებიანი, ნაღდი სიკეთითა და კეთილშობილებით სავსე ინტელიგენტური პიროვნება, მასთან მეგობრული ურთიერთობა და საუბარიც კი ძალზე სასიამოვნო იყო.

1975 წლიდან მოსკოვში, ე. წ. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ დიდ პაკილიონში მუშაობა დაიწყო წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობამ. ჩვენ თითქმის 20-25 წლის მანძილზე ვმონაწილეობდით ამ ღონისძიების მუშაობაში, ასევე ფრენკ კოლამბუსი, ჯერ გამომცემლობის ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ კი უკვე ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნიუ-იორკის ცნობილი საგამომცემლო გაერთიანების პრეზიდენტი. სექტემბრის თვეში 15, 20, ხანდახან კი მთელი თვეც მოსკოვს გვიწევდა ჩასვლა და დამქანცავი საქმი-



**ფრენკ კოლამბუსი და ნუგ ზარ
წერეთელი, თბილისი, 2004 წ.**

ანობა, სანამ ეს მართლა დასაქცევი თიხისფეხბება კოლოსი საბჭოთა კავშირი არ დაინგრა და საბოლოოდ არ დასამარდა.


წიგნის პირველი საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის მუშაობის დროს, კერძოდ 1975 წლის სექტემბერში ფრენკ კოლამბუსმა გაიცნო საავტორო უფლებების კომიტეტის მხატვრული ლიტერატურის ღეპარტამენტის ექსპერტი მაღალი, სათხო და ულამაზესი ნადია გოცირიძე, მოსკოვში მცხოვრები ქართველი გოგონა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ყოფილი დირექტორის, მოსკოვის დიდი თეატრის ყოფილი სოლისტის, ცნობილი მომღერლის სერგო გოცირიძის ქალიშვილი. გულიან და უღალატო ფრენკს მთელი არსებით შეუყვარდა ქართული სილამაზითა და დირსებით სავსე ნადია გოცირიძე.

ჯერ კიდევ ტოტალიტარიზმით უხვად გაუღინთილ გპოქაში მნელი იყო იმის გაცნობიერებაც და შესრულებაც, რომ

უთავბოლო საბჭოთა კავშირის მოქალაქე ცოლად გაჟყოლოდა ბურუუაზოელ ყოფაში ჩარჩენილ „დამპალი“ კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგნელს, რის წინააღმდეგაც მაშინდექლი სახელმწიფო სახელმწიფოში ანუ მრისხანე „აგბ“ ხმალამოღებული იძრილდა და მონდომებით ცდილობდა ჩაემალა ყველა ამგვარი კეთილშობილური სურვილი. ჭეშმარიტმა სიყვარულმა მანც თავისი გაიტანა და

1981 წელს ნადია გოცირიძე და ფრენკ კოლამბუსმა იქორწინეს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იმ წელსვე თბილისში ჩამოვიდა და აქაც მეგობრული სუფრებით აღვნიშნეთ ახალი შშვენიერი ოჯახის შექმნა. მაღვე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შვილები შეეძინათ, ჯერ მაია მოევლინა ამ ქვეყნას, შემდევ კი ალექსანდრა. რესეტისათუ საქართველოში აქამდე მარტო ჩამოდიოდნენ, 1990 წელს კი უკვე ორი შვილით ეწვივნენ საქართველოს, სადაც უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბავშვები ქრისტიანული წესით მონათლეს.. ამ ფაქტის შესახებ 1990 წლის გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე დავბეჭდე წერილი „ნათლობა საქართველოში“, რომელსაც ქვემოთ ვაკვეყნებთ და ამიტომაც მოკლედ შევეხე ამ სუცხოო ფაქტს.

წლების მანძილზე ფრენკ კოლამბუსი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, აინტერესებდა ქართველი მეცნიერების ახალი შრომები, მეც სისტემატურად ვეხმარებოდი და ფაქტიურად ერთად გვიწევდა მუშაობა. გამომცემლობა „ნოვა საინს პაბლიშეზს“ ხელშეკრულება



**ნადია და ფრენკ კოლამბუსები,
თბილისი, 2004 წ.**

ჰქონდა გაფორმებული „საზოგადოება ცოდნასთანაც“, ინგლისურ-რუსულ ენგბზე კუვავნიდი ქართველი მეცნიერების, მთარგმნელების თუ საზოგადო მოღვაწეების ნაშრომებს. ამ ქმედითი გზით განვლილი ოცი წლის მანძილზე ამერიკაში ქართველი ავტორების სამოცავდის მონიგრაფია, წიგნი თუ ბუკლეტი დაიბჭიდა, ასევე დაიბჭიდა სტატიები ფრენკ კოლამბუსის ხელმძღვანელობით გამომავალ ორ სოლიდურ ჟურნალში.


მეუღლეები, ნადიაც და ფრენკიც, ერთნაირად თბილები, ადამიანურები, კეთილები და სიკეთის გამცემები იყვნენ. განვლილი წლების მანძილზე არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი თარიღი – შობა, ახალი წელი, აღდგომა თუ დაბადების დღე, რომ წერილობით არ მოელოცოთ ან არ დაერეკოთ. ყოველწლიური ვიზიტების დროს მუდმივ ახსოვდათ ოჯახის ყველა წევრი, დიდიც, პატარაც და სამახსოვრო საჩუქრები ჩამოჰქონდათ.

როდესაც დაშლილ-დანგრეული საბჭოთა კავშირისაგან თავდაღწეული

საქართველო საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა ფრენკი ნადიასთან ერთად ამას ძალიან განიცდიდა, ხშირად მირეკავდა, მეკითხებოდა რა გვჭირდებოდა, განსაკუთრებით ახალი წამლები ჩემთვის, წიგნები და სხვა რამ.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ფაქტი მინდა გავიხსენო. იმ საშინელ 90-იან წლებში ნიუ-იორკის ქართველთა სათვისტომოში ფრენკმა გაიცნო შვილებთან სტუმრად ჩასული ჩემი სტუდენტობის ახლო მეგობარი და მეზობელი, ცნობილი ჟურნალისტი, ტელეფილმების ყოფილი სტუდიის მთავარი რდაქტორი სოსო კორინთელი. საუბრისას ფრენკს უკითხავს ნუგზარ წერეთელს ხომ არ იცნობო. როცა სოსოს უთქვამს ჩემი მეგობარიაო, ძალიან გახარებია და უთხოვია რაღაც მინდა გაგატანოთო. მართლაც სოსომ ჩამომიტანა სრულიად ახალი წამლები და თანხა, რაც იმ გაჭირვების წლებში მართლა ძალიან გამომადგა.

ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა. ერთხელ ცნობილი მეგზევე, საავტომობილო გზების სამეცნიერო-კლევ-



**ფრენკ კოლამბუსი, ნუგზარ წერეთელი,
თბილისი, 2007 წ.**

ითი ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე შეხვედრია. მისთვისაც უკითხავს ნუგზარ წერტელს ხომ არ იცნობო, როცა გაიგო დიდი ზნის ამხანაგები ვიყავით, ძალიან გახარებია და მასაც გამოატანა ძალიან საჭირო წამლები და ნივთები, რაც იმ დროს საქართველოში საერთოდ არ იშოვებოდა.

ასეთი მეგობრული, ადამიანური ფაქტების გახსენება დაუსრულებლად შეიძლება.

2002 წელს თბილისში ჩამოსვლისას მისახსოვრა ნიუ-იორკში უმაღლეს დონეზე გამოცემული რომანი რუსეთში ჩატარებული 37 წლის სისხლიანი პერიპეტიობის შესახებ, რაც მისი ძვირფასი მეუღლის ოჯახს მთელი სიმწვავით დაატყდა თავს. მე სამწუხაროდ ვრა, მაგრამ ინგლისური ენის დიდი ხნის პედაგოგი ჩემი მეუღლე გაეცნო წიგნს და მოეწონა. ფრენქს ვუთხარი, რადგან შეს რომანში ქართული ამბებიცაა აღწერილი მოდი ვთარგმნოთ და ქართულ ენაზეც გამოვცეთ-მეთქი. ძალიან გაუხარდა, ეს ჩემთვის ყველაზე სასიამოვნოა, თან უაღრესად საპასუხისმგებლოც, რადგან ქართველი ხალხის და მათ შორის ჩემი ნათესავების ყველაზე მეტად მერიდებაო. ჩვენ მართლაც ვთარგმნეთ და 2004 წელს სოლიდური ტირაჟით გამოვცით შესანიშნავი რომანი მოხდენილად გადმოტანილი სათაურით „ყირა-მალა რუსეთი“. წიგნს კარგი გამოხმაურება მოჰყვა და ფრენქ კოლამბუსიც კმაყოფილი დარჩა.

ამ წიგნის საკმაოდ ვრცელ წინასიტყვაობასაც რეტროს სახით ვაქვეყ-

ნებთ ჩვენი უურნალის ამავე ნომერში, ამიტომ მეტს აღარ ვილაპარაკებ, რადგან მკითხველი თავად გაეცნობა ყველა საინტერესო ფაქტს და რაც მთავარია, ამით მოხდება ფრენქ კოლამბუსის უფრო სრული დახასიათება, დახასიათება იმ ადამიანისა, ვისაც მთელი გულით უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი. ამ სიყვარულის დასტური იყო ის, რომ ფრენკმა თბილისში, ყოფშიძის ქუჩაზე საკუთარი სამოთახიანი ბინაც კი შეიძინა, რომ შვილებთან და მეუღლესთან ერთად უფრო მეტი ხანი დაეყო მისთვის ძვირფას საქართველოში, თბილისში და საქართველოს ყველა კუთხე მოევლო. იდეაც ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხის ცნობილი წარმომადგენელებთან ინტერვიუების გზით, ყოფაცხოვრების, გეოგრაფიისა თუ ისტორიის ასახვით გამოეცა სქელტანიანი საინტერესო წიგნი, რაც დიდ დახმარებას გაუწევდა ინგლისურენოვანი სამყაროს წარმომადგენლებს საქართველოს უკეთ გაცნობასა და შემდგომი დახლოება-დამეგობრების საქმეში.

რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს „საზოგადოება ცოდნაში“ სისტემატურად მიგზავნიდა საკუთარ გამომცემლობაში დასტამბულ ბრწყინვალედ გამოცემულ წიგნებს, ძირითად და სამუნიციურო-ტექნიკური, სპუნქტისმეტყველო, პოლიტიკური სფეროდან. იმდენი წიგნი დაგროვდა, რომ ფრენქ კოლამბუს სახელით 200 ტომი საჩუქრად გადავეცი საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას.

როდესაც საქართველოში რამდენიმე წლის წინ სამწუხაროდ ცნობილი

მიწისძვრა მოხდა, აღელვებისაგან მისამართი ველარ ეპოვა და ჩემს სახელზე სასწრაფო წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოეგზავნა. წერილში თანაგრძნობის გამოხატვასთან ერთად დიდი თხოვნა ჰქონდა სასწრაფოდ მეცნობებინა დახმარების მიზნით რა და რა იყო საჭირო. მერე მართლაც გამოგზავნა წამლები, კარგები თუ სხვა სახის საჭირო მასალა. ამ ფაქტის შესახებ წერილიც დაიბეჭდა გაზეთში, რისი პოვნაც ველარ მოვახერხე.

კიდევ ერთხელ დიდი გულისტკივილითა და გაუნელებელი მწუხარებით მინდა ვთქვა, რომ ასეთი გამორ-

ჩეული, დიდბუნებოვანი, კეთილი და კეთილშობილი ადამიანი წავიდა ჩვენგან, ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და მისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაც ჰქონდა მიზნად დასახული.

როგორც აღვნიშნე, დაუგიწყარი ფრენკ კოლამბუს შესახებ დაწერილ მრავალ წერილთაგან ორს განმეორებით ვაქვეყნებთ. შეიძლება ზოგიერთი ფაქტის თუ მოვლენის გამეორებას ჰქონდეს ადგილი, თუმცა ვფიქრობ, ეს უფრო განამტკიცებს სათქმელს და რაც მთავარიასრულად წარმოგვიდგენს ბრწყინვალე ადამიანსა და უღალატო მეგობარს დაუგიწყარ ფრენკ კოლამბუსს.

ნუგ ზარ წერეთელი

ნათლობა საქართველოში

1989 წლის 22 ივნისს გაზეთ „თბილისში“, ტრადიციული რუბრიკით „დედამიწის ზურგზე“, გამოქვეყნდა „ამერიკის ხმის“ ქართული განკოფილების ერთ-ერთი გადაცემის შინაარსი სათაურით „ნიუ-იორკის ქართულ სათვისტომში“. აქ სხვა საინტერესო ფაქტთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ... „ნიუ-იორკის ქართულმა სათვისტომიმ საქართველოს დამოუკიდებლობის 71-ე წლისთავი ივნისის დამდეგს აღნიშნა. გადაცემის ავტორი წარმოგვიდგენს სამახსოვრო შეხვედრის მონაწილეს ფრენკ კოლომბოს, (უნდა იყოს კოლამუს – ნ.წ.). ერთ-ერთი გამომცემლობის პრეზიენტს, რომელიც ქართველი მათემატიკოსებისა და ფიქოლოგების წიგნებს გამოსცემს ამერიკაში. აი, როგორ ახსნა მან სათვისტომში იმ დღეს თავისი მცირეწლოვნი შვილების მიყვანის ფაქტი: „მართალია ჩემი გოგონები ამერიკაში დაიბადნენ და აქ იზრდებიან, მაგრამ მათ ხომ დედა ქართველი ჰყავთ. მალიან მინდა ისინი ქართველი ერის ტრადიციებზე აღიზარდონ. ჩემი აზრით, ამას ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძველი, სანამ ჯერ კიდევ პატარები არიან“. შემდეგ მისმა გოგონამ – პატარა მაიამ დამსწრეთა თვალწინ ათადე დათვალა ქართულად, მადლობაც ქართულად გადაიხადა და თქვა, მომავალში უკეთ ვისწავლი ჩემი დედიკოს მშობლიურ ენასო.

ამერიკელი გამომცემელი ფრენკ კოლამბუსი 1975 წელს მოსკოვის წიგნის საერთაშორისო პირველ საცდელ გამოფენა-ბაზრობაზე გავიცანი.

მაშინ ეს ახალგაზრდა, სიმპათიური, ენერგიული და საქმიანი კაცი ნიუ-იორკის მსხვილი გამომცემლობის „პლინუმ პაბლიშმინგ კორპორეიშნის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ფრენკი კარგად ლაპარაკობდა რუსულად, მასთან კონტაქტი ადვილად მყარდებოდა, ურთიერთობა სასიამოვნო იყო და ჩვენ მაღლე დავტეგობრდით.

ოდნავ მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, მოხდა მეტად სასიამოვნო ამბავი, ფრენკ კოლაბუსის ცხოვრების თანამგზავრი გახდა მშვენიერი ქართველი ქალი ნადია გოცირიძე, რომელიც მაშინდელ საკავშირო საავტორო უფლებების სააგენტოში – ვააპში უფროს კონსულტანტად მუშაობდა და, როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი, გამოფენა-ბაზრობების მუშაობაში სისტემატურად მონაწილეობდა. მასთან უკვე კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებდა.

ნადიას მამა, საქართველოს სახალხო არტისტი სერგო გოცირიძე, წლების მანძილზე დიდი თეატრის სოლისტი იყო, ბინაც მოსკოვში მიიღო და ამჟამად, თავის ოჯახთან ერთად იქ ცხოვრობს. ნადიას ძმა გოგი ერთხანს თბილისში მუშაობდა სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად, შემდეგ – ოდესასა და მოსკოვში, ამჟამად კი საზღვარგარეთ მოღვაწეობს.

მე თითქმის თორმეტი წლის მანძილზე ვხელმძღვანელობდი საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკურ დაწესებულებას. როგორც ცნობილია, ყოველ ორ წე-

ლიწადში ერთხელ იმართებოდა დიდი გვონიმიკური და კულტურული ხასიათის ღონისძიება – წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა, ყველა ათვე გამოფენის მონაწილე ვიყავი და სისტემატურად ვხვდებოდი ცოლ-ქმარ კოლამბუსებს. მეგობრობასთან ერთად გვქონდა ერთობლივი სამუშაო, მოლაპარაკებები, წიგნებსა თუ ცალგეულ სტატიებზე კონტაქტებისა და ოფიციონების გაფორმება, სამუშაო გეგმების შედგენა, სასურველი მიმართულებების განსაზღვრა.

გარდა ამისა, ისინი თითქმის ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ მოსკოვში და, ერთი სიტყვით, ჩვენს მეგობრულ, საქმიან შეხვედრებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

განვლილი წლების მანძილზე ფრენკ კოლამბუსი და მისი ძვირფასი ქართველი მეუღლე ხუთ-ექსჯერ მაინც იყვნენ საქართველოში. 1980 წლის შემდეგ გვქონდა მთელი რიგი კონტაქტები. მაგალითად მან გამოაქვეყნა ცნობილი ფიზიოლოგის, პროფესორ გიორგი მჭედლიშვილის ვრცელი მონოგრაფია თავის ტვინის შესახებ, აგრეთვე სხვა მეცნიერთა შრომები და გამოკვლევები.

1981 და 1983 წლებში ფრენკი, მისი მეუღლე და საკავშირო საავტორო უფლებების სააგენტოს – ვაპის წარმომადგენელი თბილისში ჩამოვიდნენ. ჩვენ მაშინ კონტაქტების დასამყარებლად ვიყავით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, აგრეთვე რამდენსამე სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებაში. იქ გვქონდა კონკრეტული მოლაპარაკება, რომ ამერიკული გამომცემ-

ლისათვის ინგლისურ ენაზე გამოსაქვეყნებლად შეერჩიათ წიგნები თუ სტატიები, მოემზადებინათ სარეკლამო მასალა, შესაბამისი საინფორმაციო წერილები. დანიშნული დროისათვის გაირკვა, რომ შეპირებული მასალა მოლაპარაკებული მხარის დიდ უმრავლესობას არ ჰქონდა მზად და არც მომსვალში გაგზავნით შეუწუხებიათ თავი.

ამის გამო სისტემატური შრომისა და შეთანხმებათა ზუსტი შესრულების უსაზღვროდ მოყვარულ ფრენკ კოლამბუსს ცოტა გულიც მოუვიდა და მითხრა: „არ გეწყინოს, ქართველები ბრწყინვალე ხალხი ხართ, გულთბილი, სტუმართმოყვარე, მიღებაც საუცხოო იცით, მაგრამ მიზანდასახული, ყოველდღიური შრომა არ გიყვართ; ამერიკაში როგორი გულმოლგინე შრომაც არის, იმას თქვენთან ვერ ვხედავ“.

არ მწყენია, სრულ სიმართლეს მეუბნებოდა, გული კი დამწყდა ...

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამუშაო პირობებიც საკამოდ განსხვავებული იყო და არის. მით უფრო იმ წლებში მიმოწერა და მასალების გაგზავნა საკმაოდ იყო გართულებული, შესაბამისი ორგანოს ბლანკის გაგზავნა გვეკრძალებოდა, წესიერი კონვერტიც კი არ იშოვებოდა, უცხოური შრიიფტით გაწყობილ საბეჭდ მანქანაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, საფოსტო ხარჯებიც ისე გაიზარდა, რომ მასალების გზავნისათვის თანხების შოვნას ვეღარ ავუდიოდით.

თანაც მასალებს ვგზავნიდით საკავშირო საავტორო უფლებების სააგენტოში, პირდაპირი გაგზავნა

შეზღუდული იყო, ამის გამო უამრავი ქართული მასალა იკარგებოდა, ხშირად შეგნებულადაც ეშლებოდა ხელი საქართველოდან გაგზავნილი წიგნის, სტატიების გამოცემის თუ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებას. ცენტრი არ იყო დაინტერესებული ჩვენი ავტორების ფართო პოპულარიზაციით, უცხოეთის ქვეყნებში სისტემატური გამოცემით. ამიტომაც ძალიან ხშირად ჩვენ არ ვემორჩილებილ დადგენილ წესებს, თვითონ ვგზავნიდთ რეკლამას თუ მასალებს და ხშირად უშუალოდ ვაფორმებდით კონტრაქტებს. ამის გამო, არცთუ იშვიათად, ავტორებისათვის კუთვნილი ჰონორარის მიღებაში ხელს გვიშლილნენ ... ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და თანამშრომლობის გაფართოებისათვის ახალი პრისტეტივები გაიშალა.

ამასობაში ფრენკ და ნადია კოლამბუსების ცხოვრებაში დიდი, სასიხარულო ძვრები მოხდა: ფრენკი გახდა ნიუ-იორკის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამომცემლობის „ნოვა საინს პაბლიშენის“ პრეზიდენტი, ნადია კი ვიცე-პრეზიდენტი და საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი. სხვა მიმართულებების გვერდით მათ მიზნად აქვთ დასახული ქართული მეცნიერების, აგრეთვე ნაწილობრივ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკთესო ნაწარმოებების თარგმნა, გამოცემა და პროპაგანდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამომცემლობაში ითარგმნება და გამოიცემა ორი რუსულენოვანი ჟურნალი, უშვებენ საკუთარ უურნალსაც.

კოლამბუს-გოცირიძეებს შეეძინათ ორი გოგონა – მაია და ალექსანდრა,

მათთან ერთად ამ სამი წლის წინათ თბილისშიც ჩამოვიდნენ.

ფრენკ კოლამბუს გასულ წელს შევხვდი მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე. მერე ბატონ სერგო გოცირიძის ბინაშიც შევიკრიბეთ მეგობრულ სუფრაზე. იქ მოვილაპარაკეთ ჩვენი თანამშრომლობისა და კონტაქტების გაფართოება-გაძლიერებაზე. ფრენკმა მითხრა, მალე თბილისშიც ჩამოვალთ და იქ დაწვრილებით მოვიფიქროთ ჩვენი თანამშრომლობის პირობებით.

ამჟამად თბილისში ჩამოსვლას სხვა არანაკლებ საპატიო მიზანიც ჰქონდა. საქმე ის არის, რომ კოლამბუსებმა გადაწყვიტეს მაიასა და ალექსანდრას მონათვლა ქრისტიანული წესით, საქართველოში.

ნიუ-იორკში ვიზიტით ყოფნის დროს მათ გაუცვიათ უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და პირადად მისთვის უთხოვიათ ამ კეთილი საქმის დაგვირგვინება.

ფრენკ კოლამბუსმა მოხოვა, რომ ჩახვალ, დაუკავშირდი კათოლიკოსს და მოახსენე ჩვენი თხოვნის შესახებო. ჩვენს საპატრიარქოში დავაზუსტე, რომ იქ მზად იყვნენ ნებისმიერ დროს მიეღოთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მეობრები.

მართლაც ივნისის ბოლოს თბილისში ჩამოფრინდნენ ნადია და ფრენკ კოლამბუსები. თან ჩამოიყვანეს 7 წლის მაია და 5 წლის ალექსანდრა.

1 ივლისს, კვირა დღეს, ყველანი ერთად დავესწარით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ-



**მაია და ალექსანდრა კოლამბუსები,
თბილისი, 2007 წ.**

ქის მიერ ჩატარებულ წირვას, შემდეგ
კი რეზიდენციაში მოეწყო მიღება.

ამერიკელ სტუმრებს ყველაფერი
აინტერესებდათ. უწმინდესი მთელი
საათი ესაუბრა მათ, აღნიშნა, რომ ჩვენს
ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდე-
ბა, უცხოეთის ქვეყნებთან კონტაქტე-
ბიც ფართოვდება, რომ საჭიროა ქართუ-
ლი კულტურის ცენტრები იყოს საზღ-
ვარგარეთის ქვეყნებში, უფრო მეტად
იერუსალიმში, სადაც ქრისტიანობის
ძირია ... საჭიროა სკოლებში ვასწავ-
ლოთ ფილოსოფიის, ღვთისმეტყველებ-
ის საფუძვლები, რათა სკოლის
დამთავრების შემდეგ მომზადებული,
გონიერი, ჰუმანური ახალგაზრდობა
გამოდიოდეს ასპარეზზე.

უწმინდესმა და უწეტარესმა კვ-
ლავ გაილაშქრა ადამიანის სიკვდილ-
ით დასჯის წინააღმდეგ, გაიხსენა
როგორ შეხვდა ერთ სიკვდილმისჯილ
ახალგაზრდა ლამაზ კაცს, შემდეგ
როგორ მისწერა პროტესტის წერილი

მ. გორბაჩოვს. საქართველოში ამ წერ-
ილს კმაყოფილებით შეხვდნენ, რუსეთში
კი გააფორმებით.

საუბრის დასასრულს ფრენკ
კოლამბუსმა ნახევრად ხუმრობით
იკითხა: მონათვლის შემდეგ ჩემი შვილები
ქართველები იქნებიან თუ არაო?.

ამაზე კათოლიკოს-პატრიარქმა
ლიმილით მიუგო: „იქნებიან ჭეშმარი-
ტი ქრისტიანები“.

მიღებისა და საუბრის დამთავრე-
ბის შემდეგ მამა ზურაბმა გააგრძელა
ეს კეთილი საქმე და სიონის საპა-
ტრიარქო ტაძარში ქრისტიანული
წესის ყველა ნიუანსის დაცვით
მონათლეს მაია და ალექსანდრა.

ფრენკ და ნადია კოლამბუსებმა
გოგონების ნათლიერადაც ქართველე-
ბი აირჩიეს. მაია მონათლა ნადია გო-
ცირიძის უახლოესმა ნათესავმა, თბი-
ლისელმა ჯონდო რაზმაძემ, ხოლო
ალექსანდრა ილია ჭავჭავაძის სახელო-
ბის თბილისის უცხო ენათა პედა-
გოგიური ინსტიტუტის ინგლისური
ენის კათედრის უფროსმა პედაგოგმა,
ჩემმა მეუღლემ აზა ანთელავამ.

ნათლობას ესწრებოდნენ ავრეთვე
ფრენკისა და ნადიას მეგობრები:
საქართველოს სახალხო არტისტი
ავთანდილ მახარაძე და მისი მეუღლე
ლერა ჩოგოვაძე.

მაია და ალექსანდრა შესანიშ-
ნავი ბავშვები არიან – ლამაზი, გო-
ნიერი, უაღრესად მოსიყვარულე გოგონე-
ბი, ძლერიან, ცუკვავნ, ლაპარაკობენ ინ-
გლისურად და რუსულად. სურვილი
აქვთ ჩამოვიდნენ საქართველოში, მთე-
ლი ზაფხული დარჩნენ და შეისწავ-
ლონ ქართული ენა. სამწუხაროდ, ხან-

გრძლივად მოსკოვში და ნიუ-იორკში ცხოვრების გამო დედას საქმაოდ დავიწყებული აქვს ქართული და ჯერჯერობით მათს მასწავლებლად ვერ გამოდგება ...

მშობლებს სურთ ქართული სულისკვეთებით აღზარდონ შვილები.

ფრენკმა გვიამბო: ნიუ-იორკის სკოლაში მაიასთვის საშინაო დავალებად მასწავლებელს მიუცია რომელიმე ქვეყნის დროშის დახატვა. მამის დახმარებით მას დაუხატავს საქართველოს ეროვნული დროშა. მასწავლებელს ნახატი ისე მოსწონებია, რომ უმაღლესი ნიშანი დაუწერია ...

ახლაც თან წაიღეს ამერიკაში საქართველოს სამფეროვანი ეროვნული დროშა, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლო.

ნათლობის მეორე დღეს ჩვენი მეგობრები, ახლა უკვე ნათესავები მოსკოვს მიემგზავრებოდნენ, იქიდან კი გზა ნიუ-იორკისაკენ ედოთ ...

თბილისში ყოფნისას მოვილაპარაკეთ. კონტრაქტის შესახებ, რომელიც ოფიციალურად დაიდება ამერიკის შეერთებულიშტატების გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბლიშეზისა“ და საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ხელმძღვანელობას შორის.

აგვიტოს ბოლოს უკვე მივიღეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული ეს კონტრაქტი. მისი ხელ-

მოწერის შემდეგ და მის საფუძველზე საზოგადოება „ცოდნა“, შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, შეარჩევს ქართული სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის სუვერენიტეტის ნიმუშებს – წიგნებს, გამოკვლევებს, სტატიებს, ნაშრომებს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსაცემად, რისთვისაც, ჩვენი მოლაპარაკების თანახმად, სათანადო ჰონორარიც გაიცემა – აღბათ, ძირითადად ვალუტით, რადგან საკავშირო ვააპი ასეთ საკითხებში ჩვეულებისამებრ ვეღარ ერევა. სპეციალურ უურნალში, რომელსაც მთელი ინგლისურენოვანი სამყარო კითხულობს, გამოქვეყნდება შესაბამისი რეკლამაც.

ასე გაჩნდა ერთი კარგი, ქმედითი არხი ქართული ეროვნული მეცნიერების და სხვა დარგების ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანი პოპულარიზაციისათვის. საჭიროების შემთხვევაში საქართველოში გამოვცემთ ამერიკელი ავტორების ჩვენთვის შესაფერის და სასარგებლო ნაწარმოებებს.

ეს არის თანამშრომლობისა და კონტაქტების განმტკიცების პირველი ეტაპი. იყო მოლაპარაკება და შემდგომ წლებში შეიძლება მოხდეს სამეცნიერო გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბლიშეზის“ ფილიალისა და სტამბის გახსნა საქართველოში, რითაც ორმხრივი თანამშრომლობის უაღრესად სასარგებლო საქმე გაკეთდება.

**ნუგ ზარ წერეთელი
გაზეთი „თბილისი“,
12 სექტემბერი, 1990 წ.**

მართალი და საინტერესო ფიბნი (ქართული გამოცემის წინასიტყვაობა)

დაშლილ-დანგრეული და უგზოუკვლოდ გამქრალი საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ იმპერიაში შემავალი ყველა სალხის ცხოვრების უდიდესი ტრაგედია 1937 წლი რომ იყო, ეს ყველასთვის ნათელია. რა თქმაუნდა, არც ოცდაჩვიდმეტი წლის წინა თუ მომდევნო წლები იყო ნაკლებ გამანადგურებელი.

სისხლით შეღებილი წითელი ქარიშხალი საქართველოსაც მთელი სიმძლავრით დაატყდა თავს, სულიერფიზიკურად მოსრა და გააცამტვერა საზოგადოებრიობა. ამ ბოლშევიკურ წარლვნას შეეწირა რჩეული ქართველი ინტელიგენცია. უდროოდ დაიღუპნენ დიდი ქართველი მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, დირიჟორები, მსახიობები, მომღერლები, სამამულო კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, ვინც ერის ღირსებასა და დიდებას წარმოადგენდა.

საქართველოში იშვიათია ოჯახი, ვისაც ფანატიკოსი კომუნისტების მსახვრალი ხელი არ შეხებია, ვისაც არ დაუკარგავს მამა თუ ძმა, დედა თუ რომელიმე ახლობელი. დაჭრას ვერ გადაურჩა თუნდაც სრულიად უდანაშაულო მამაჩემი აკაკი წერეთელიც. პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, მწიგნობარი და ბიბლიოფილი, პატიოსანი და ზედმიწევნით განათლებული ადამიანი ათი წლით გამოამწყვდის ციხე-კოლონიებში, კონფისკაციით ყველაფერი

წაართვეს, განთავისუფლების შემდეგ კი კვლავაც ხუთი წლით გადაასახლეს ქალაქ თბილისიდან. მსგავსი რეპრესირებული ოჯახი საქართველოში ათასობით არსებობდა, აյ მძაფრი პიროვნული ტრაგედია უზარმაზარ საზოგადოებრივ ტრაგედიაში მკვეთრად იყო გადასული.

არნაული რეპრესიების თემა ამიტომაც გახდა ორგანული მწერლობისათვის. იშვიათია კეთილი ნების ისეთი მწერალი, პოეტი თუ დრამატურგი, ვინც წარსულის ამგვარ შემაძრწუნებელ სიტუაციას არ შეხებია, თავისებურად აუსახავს, ხალხის ფართო სამსჯავროზე გამოუტანია.

ეს ყველაფერი ძველ თაობებს სისხლხორცულად ჰქონდათ შეთვისებული. ამ უკადაგავი თემით ასევე აუცილებლად უნდა დააინტერესდნენ ახალგაზრდებიც, მომავალი თაობაც, რათა კარგად იცოდნენ როგორი დამთრგუნველი შიშით ცხოვრობდნენ, წერდნენ, ქმნიდნენ მათი წინაპრები, დედები და მამები, მმები და დები.

რეპრესიების უსაშინლესი თემა ასპარეზს არ თმობს. ჯერ კიდევ არ დამცხრალა სახალხო გულისწყრომა, ჯერ კიდევ გრძელდება მრავალწახნაგოვნი მოძრაობა, რომ მსგავსი უბედურება არ გამოეორდეს.

დარწმუნებული ვართ სწორედ ამ კუთხით დააინტერესებს ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას ცნო-

ბილი ამერიკელი გამომცემლის, მწერლისა და უურნალისტის ფრენკ კოლამბუსის ამ ორიოდე წლის წინ ნიუ-იორკში მაღალ დონეზე გამოცემული მართალი და მეტად საინტერესო რომანი დამაფიქრებელი სათაურით „თავდაყირა რუსეთი“.

მაშინ მართლა ყველაფერი თავდაყირა იდგა, ყველაფერი უკულმართად იყო მოწყობილი, ადამიანის სიცოცხლესა და ცხოვრებას ფასი ჰქონდა დაკარგული, ღვთივბოძებულ სიკეთეს ბოროტი ძალა დაუნდობლად ართმევდა ხალხს.

საოცარ დამთხვევად, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი – ადამიანური სულების თანაზიარობად და თანალმობად მომეჩვენა ერთი საინტერესო ფაქტი: როცა ჩემი მეგობარი ფრენკ კოლამბუსი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკში წერდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებს, ამერიკიდან ათასობით კილომეტრით დაცილებულ საქართველოში, თბილისში მე ვწერდი რომანს ზუსტად იგივე თემაზე სათაურით „დაუსრულებელი ზამთარი“.

ახალ რომანში აღწერილი მძიმე და სასტიკი ამბები ბავშვობის წლებში უშუალოდ ცხადად განვიცადე, ანუ საკუთარ თავზე ვიწვნიე. ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო დემოკრატიის ციტადელად აღიარებულ ამერიკაშიც იგივე სამკვდრო-სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობდა, მაგრამ დამანგრეველი რეპრესია შეეხო მის ოჯახს, კერძოდ ფრენკის მეუღლეს ნადია გოცირიძის დედას და მამას, უსაზღვროდ კეთილ,

სიმპათიურ ადამიანებს. საერთოდ კი გლობალური მასშტაბით რეპრესიები მტკიცნეულად შეეხო ყველა წესიერ ადამიანს და მით უმეტეს შემოქმედის მგრძნობიარე სულს.

ფრენკ კოლამბუსი ამიტომაც სრულიად ბუნებრივად იჩენს მისაბაძ ადამიანურ სიკეთეს, როცა თავის ახალ რომანს უძღვის მეუღლის მშობლების, ანუ საკუთარი სიდედრ-სიმამრის ვალენტინა მიხეილის ასულ გოცირიძისა და სერგო ვიქტორის ძე გოცირიძის წმინდა ხსოვნას.

დამეთანხმებით ასეთი კეთილშობლიური შემთხვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში კი არა, საქართველოშიც ძალზე იშვიათად თუ მოიძებნება, ანდა შეიძლება საერთოდ არც მოიძებნოს. ეს მწერლის მდიდარ ბუნებაზე მიგვითითებს.

სანამ რომანს ცოტა უფრო ღრმად შევეხებოდე, მინდა ზოგიერთი ცხოვრებისეული რეალობის შესახებაც მოვუთხრო მკითხველს.

1959 წელს, მას შემდეგ რაც ყოფილი საბჭოთა კავშირი შეუერთდა საავტორო უფლებების საკითხებზე უნივერსიტეტის მსოფლიო კონვენციის მონაწილეობის სახელმწიფოებს, დღის წესრიგში მკვეთრად დადგა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების ექსპორტ-იმპორტის ანუ გატანისა და შემოტანის საკითხი, სახელმწიფოების თუ ხალხების მეტი დაახლოების, ურთიერთნდობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესის განმტკიცება.

1975 წელს ჩატარდა მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა. ამ საცდელ ღონისძიებაზე მსოფლიოს ორმოცდათამდე ქვეყნის ასობით გამომცემლობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გამოფენაზე მუშაობის დროს ახლოს გავიცანი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის საგამომცემლო გაერთიანება „პლინუმ პაბლიშიგ კორპორეიშენ ქომპანია ლიმითიდ“-ის ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტი ფრენკ კოლამბუსი, რომელსაც წინა შეხვედრებიდან უკვე ვიცნობდი. აქვე დაიწყო ჩვენი მეგობრობაც.

მე, საქართველოს მაშინდელი საავტორო უფლებების სააგენტოს ანუ კომიტეტის ხელმძღვანელს და ჩემს თანამშრომლებს სამსახურებრივად გვევალებოდა მოსკოვის წიგნის გამოფენა-ბაზრობების მუშაობაში მონაწილეობა.

სისტემატური თხუთმეტ-ოცდლიანი მუშაობის დროს რაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დიდი ზარ-ზეიმით ეწყობოდა, კიდევ უფრო დავუახლოვდი იშვიათ ინტელიგენტ ფრენკ კოლამბუსს, გამომცემლისა და შემოქმედს, სიკეთით, სითბოთი და იუმორით სავსე პიროვნებას.

ამავე დროს ყოფილი და დაშლილი საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების კომიტეტში ლიტერატურული ექსპერტის თანამდებობაზე მუშაობდა ულამაზესი ქართველი გოგონა, მოსკოვის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ნადია გოცირიძე, ცნობილი ქართველი მომღერლის, ომამ-

დე მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის, ერთ დროს საქართველოს ფილარმონიის გენერალური დირექტორის სერგო გოცირიძის უმცროსი ქალიშვილი.

მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, უფრო ზუსტად რამდენიმე წელი უყვარდათ. მერე დიდი მოწადინებით დაძლიერ ყველა როული ბარიერი, რაც აღმართული იყო უცხოეთის მოქალაქეებსა და „კომუნიზმის მშენებელ“ „ძლევამოსილ“ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს შორის, გაუძლეს დროის გამოცდას და 1981 წელს შეუღლდნენ. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდნენ და საზეიმოდ აღვნიშნეთ მათ მიერ ოჯახის შექმნის სასიამოვნო მოვლენა.

ფრენკ კოლამბუსი შემდეგაც იყო თბილისში უკვე ახალი გამომცემლობის საკითხთან დაკავშირებით. მაშინ საქმიანი შეხვედრები გვქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და სამედიცინო ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში სამამულო მეცნიერების საუკეთესო ნიმუშების ამერიკის შეერთებულ შტატებში პროპაგანდა-გატანის მიზნით.

ზემოთ აღნიშნული გამომცემლობის შემდეგ ფრენკ კოლამბუსმა ჩამოაყალიბა ახალი მსხვილი გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბლიშებ ინკომპანი“, გახდა მისი პრეზიდენტი, სადაც დღესაც წარმატებით მოღვაწეობს. ამ გამოცემლობაში ფუნქციონირებდა საქართველოს განყოფილება, მას პრეზიდენტის



**ნუგ ზარ წერეთელი, ქეთევან
ანთელავა, ფრენკ კოლამბუსი.
თბილისი, 2007 წელი.**

მეუღლე ნადია გოცირიძე განაგებდა და სწორედ ურთიერთგამდიდრების პრინციპებიდან გამომდინარე ბევრ კარგ საქმესაც ჩაეყარა საფუძველი.

საქართველო, ქართველი ხალხი კოლამბუსებს ძალიან უყვარდათ, მეორე სამშობლოდ თვლიდნენ.

1990 წელს ნიუ-იორკში ბრძანდებოდა უწმინდესი და უნტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქტი ილია II. ამერიკის ქართულ სათვისტომოში კათოლიკოსს ნადია და ფრენკ კოლამბუსებიც შეხვდნენ. მათ უწმინდესს სთხოვეს ლოცვა-კურთხევა, რათა ქალიშვილები საქართველოში ქრისტიანული წესით მოქათლათ. იმავე 1990 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის მეუღლეები ნიუ-იორკიდან თბილისს ეწვივნენ და თან ორი მშვენიერი გოგონა ჩამოიყვანეს, უფროსი მაია და უმცროსი ალექსანდრა.

კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით სიონის საკათედრო ტაძარში გოგონების ნათლობა ჩაატარა მამა ზურაბმა. უმცროსი გოგონა ალექსან-

დრა მონათლა ჩემმა მეუღლემ, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისურის ენის ლექტორმა აზა ანთელავამ. ამ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით მე ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე ქართულ რესუბლიკურ პრესაში იმავე წელს.

ჩვენი კავშირები კიდევ უფრო მტკიცე გახდა, როგორც ნათესაური ისე შემოქმედებითი. საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წარდგინებით გამომცემლობა „ნოვა საინს პაბლიშებში“ ქართველი ავტორების მრავალი მონოგრაფია, წიგნი, სამეცნიერო ნაშრომი თუ სტატია გამოაქვეყნა. თავად ფრენკ კოლამბუსის მიერ შენიშნული და აღნიშნული ქართული სიზარმაცე რომ არა, გამოცემების რაოდენობა შეიძლებოდა უფრო მეტი და ვრცელი ყოფილიყო.

ამავე დროს ბოლო წლების განმავლობაში გამომცემლობა „ნოვა საინს პაბლიშებში“ უმაღლეს დონეზე დასტამბული წიგნები ძირითადად სამეცნიერო-ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროდან, დაახლოებით 200 ტომის რაოდენობით, ფრენკ კოლამბუსმა თბილისში გამომიგზავნა. აღნიშნული ტომები სათანადო შესწავლა-ჩვენების შემდეგ საჩუქრად გადავეცით საქართველოს გ.შ. მიქელაძის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას, რისთვისაც მეგობარმა ამერიკელმა გამომცემელმა დიდი მოწონება და მაღლობა დაიმსახურა.

აქვე გარკვეულწილად იმედს ვიტოვებ, რომ ფრენკ კოლამბუსის რო-

მანსა და ჩემს წინასიტყვაობას ქართველი სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც გაეცნობიან. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ ვაცხადე: სამეცნიერო-ტექნიკური თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროდან საუკეთესო, ახალი, ღირებული ნაშრომები, წიგნები თუ მონოგრაფიები ინგლისურ ან რუსულ ენებზე (რა თქმა უნდა, ჯობია ინგლისური) დაბეჭდილ-დასრულებული სახით მოგვაწოდონ ჩვენ შეძლევ მისამართზე: თბილისი, 0179, მ. კოსტავას ქუჩა №47, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“. მასალები შეიძლება გადასცენ კავშირის თავმჯდომარეს ან მოადგილეებს. ყველა მასალა გაიგზავნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში. გამოცემის შემდეგ საავტორო ეგზემპლარები კვლავაც აღნიშნულ მისამართზე გაიცემა, ხოლო საავტორო პონორარის შესახებ მოლაპარაკება მოხდება უშუალოდ ავტორებსა და გამომცემლობა „ნოვა საინს პაბლიშებ“ ინ კომპანის „ხელმძღვანელობას შორის. პრობლემისადმი საპასუხისმგებლო მიდგომით ჩვენ გვექნება საშუალება პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართულ სამამულო მეცნიერებასა თუ პოლიტიკას მეგობარ ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქვე კიდევ ერთხელ ვაცხადეთ, რომ ბოლო პერიოდში ამერიკულმა გამომცემლობამ დიდი ადგილი დაუთმო თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას, რაც ჩვენში შეიძლება მოვი-

პოვოთ და საერთაშორისო არენაზე გავიტანოთ.

გასულ 2003 წლის ივლისის ბოლოსათვის კოლმბუს-გოცირიძეების ოჯახი კვლავ ეწვია საქართველოს უკვე ორი ქრისტიანი ქალიშვილით. თბილისის კარგად დათვალიერების გარდა ისინი იყვნენ ჭიათურაში, საჩხერეში, რაჭაში, პაპის მშობლიური სოფელი ბუგულიც მოინახულეს.

ამ პერიოდისათვის ჩემი მეუღლის დახმარებით მე უკვე წაკითხული მქონდა ფრენკ კოლამბუსის რომანი „თავდაყირა რუსეთი“. რომანი ძალიან საინტერესოდ იკითხებოდა, რეპრესიებისა და რუსეთის თემის გარდა აქ საქართველოს თემაც წინა პლანზე იყო წამოწეული. ღრმა დაფიქრებას იწვევდა ჩვენი განვლილი ურთულესი ცხოვრების ასახვა ამერიკაში მოღვაწე გამომცემლისა და მწერლის თვალით. სწორედ ამიტომაც მოვილაპარაკეთ რომანი ქართულ ენაზეც გამოგვეცა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომად გაგვეხადა, რისი განხორციელებაც უკვე მოხერხდა.

როგორც აღვნიშე და როგორც საერთოდ ხდება, რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა, ეს მხატვრული რომანიც დოკუმენტურ მასალაზე არის აგებული.

რომანში ნათლად ჩანს მწერლის ფანტაზიაც, მივნებებიც, მოსაზრებებიც, პოლიტიკური შეხედულებებიც, სიმპათიებიც და ანტიპათიებიც. თხრობა ბუნებრივია და შთამბეჭდავი, ტექსტი მიზნობრივად აღიქმება.

ამერიკელი მწერლის ნაწარმოებებში თავისებური დამაჯერებლობითაა ნაჩვენები შემაძრტუნებელი 37 წელი, სისხლიანი სამამულო ანუ მეორე მსოფლიო ომი, ომისშემდგომი რთული წლები, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟენევის, ანდროპოვის, გორბაჩოვის ბატონობის პერიოდები.

ამ საოცარი სპექტრის ფონზე ნაჩვენებია სამაგალითო, ღირსეული ქართველი კაცის სერგო გოცირიძისა და მისი ასევე სამაგალითო, ღირსეული უკრაინელი მეუღლის ნაყოფიერი ცხოვრება.

მე ღირებულ დოკუმენტურ მასალას, აღბათ, მხოლოდ იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ზოგი რამ ვიცოდი ნადია გოცირიძის მშობლების ცხოვრებიდან და პირადადაც დიდი სიამოგნებით მისაუბრია ამ დაუვიწყარ, ნათელ, გამორჩეულ პიროვნებებთან.

რომანის მოქმედება ყოფილი და დაუბრუნებლად დანგრეული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში ხდება. ეს ადგილებია რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, სტალინგრადი, საქართველო, თბილისი, ქუთაისი, მცხეთა. რაჭა, სოფელი ბუგუული. მოქმედების ეს საუცხოო რეტროსპექტული ცვლა მთავარ მოქმედ გმირს სანდრო სულაძეს მრავალ ცხოვრებისუელ განზომილებაში გვიჩვენებს, ხოლო ნაწარმოების მთელ მსვლელობას დინამიკურ, შთამბეჭდავ სახეს აძლევს, ამშვენებს და თხრობისადმი ინტერესს აძლიერებს.

ავტორი ბევრგან წარმატებით ცდილობს, რაღა თქმა უნდა, მირითადად

ამერიკელ მკითხველს საუკეთესო კუთხითა და თვისებებით გააცნოს საქართველო. საინტერესოა თუნდაც ნაწყვეტი სანდრო სულაძის მონოლოგიდან, როცა ის რეპრესიებს გამოქცევლი დროებით ბრუნდება სამშობლოში. აյ მწერალი ცნობილ ლეგენდას იყენებს: „ქართველებს ხშირად უყვართ ხოლმე თქმა – ღმერთი მიწებს რომ არიგებდა, ჩვენ ვქეიფობდითო. ბოლოს, ნაგვაინვად, მიწისათვის ღმერთს რომ მივაკითხეთ, მიწები უკვე ჩამორიგებული ჰქონდა, ამიტომ თავისთვის დატოვებული სამოთხის მიწა მოგვცაო. ეს ლეგენდა უცხოელებსაც სჯერათ და ამას იმით ამართლებენ, რომ გული მუდამ აქეთკენ მოუწევთ. მე კი იმიტომ დავბრუნდი, რომ ამ მიწის შვილი ვიყავი, ვიცოდი აქ არ მომაკლდებოდა თავშესაფარი“.

ანდა გავიხსენოთ ამაღლელებული პატრიოტული სულისკვეთებით სავსე აზრები რომანის დასასრულს, როცა უკვე მხცოვანი, დამსახურებული, ცნობილი ადამიანი სანდრო სულაძე მეგობრებთან გულთბილი და გულახდილი საუბრისას ამბობს: „მოსკოვში ნახევარ საუკუნეზე მეტია ვცხოვრობ, მიუხედავად ამისა, ქართველად დავრჩი და ასეთი ვიქნები ბოლომდე. უსაზღვროდ მენატრება ჩემი სამშობლო, უსაზღვრო სურვილი მავსებს იქ მოვკვდე და ჩემს მიწას მიმაბარონ. საშინელ ნოსტალგიურ გრძნობას განვიცდი. თუკი თქვენ საქართველოდან ხართ, არ შეგიძლიათ თავი სადმე სხვაგან შინაურად იგრძნოთ, რაც უნდა

ბედნიერი ცხოვრება გქონდეთ. ეს შეუძლებელია, ქართველები არ ვარგანან ემიგრანტების როლში. როგორადაც უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ქართველები ერთად უნდა ცხოვრობდნენ ღმერთის წილზედრ ქვეყანაში. ვიგრძნოთ, შვიტკბოთ და ვეთაყვანოთ მისი მზის სითბოს“.

პოლიტიკურად სწორი და გამართულია ამერიკელი მწერლის მსჯელობა უსახო და უნიადაგო საბჭოთა კავშირის დამლის შესახებ. მინდა ამ მსჯელობიდანაც ერთი ნაწყვეტი მოვიტანო: „ამდენი სხვადასხვა ტრადიციის, რელიგიის, ისტორიისა და ენების მქონე ერების ერთ სახელმწიფოში ყოფნა არაბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი ასე თუ ისე ერთგვაროვნებით გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში საერთო ენა, რელიგია ან ისტორია მაინც ჰქონდათ. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ხალხების გაერთიანებას ცდილობდა, რეარქისიებსაც ხშირად მიმართავდა, სინამდვილეში კი გამოვიდა შეუსაბამო „კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის“

უთავბოლო ნარევი. ამ უაზრო ნაკრებს არავითარი მომავალი არ ჰქონდა და ბაბილონის გოდოლივით დაიშალა“.

მოტანილი ნაწყვეტის გამოხმაურება ისმის ამერკული გამოცემის ბოლოსიტყვაობაშიც, სადაც მცირე რეზიუმეა გაკეთებული რომანში ასახული ისტორიისა და, კერძოდ, სულაძეების მეგობრული ოჯახის შესახებ:

„ეს რომანი ასახავს ერთი ოჯახის ისტორიას. ამ ოჯახმა ცხოვრება დაიწყო და დაამთავრა ისეთ საშინელ ქვეყანაში, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიძებნება დედამიწაზე...“ ვფიქრობთ ასეთი სახის საინტერესო და დამაფიქრებელი წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი არ დარჩება გულგრილი.

მეც დაახლოებით ივივე მინდოდა მეთქვა. რახან წიგნი ამერიკაში მოეწონათ, ჩვენთან კიდევ უფრო მეტი მოწონება უნდა დაიმსახუროს. დარწმუნებული ვარ ამერიკელი მწერლისა და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ფრენკ კოლამბუსის რომანი მკითხველთა ფართო წრის დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.

**ნუგ ზარ წერეთელი
2004 წელი**



მაია ნიკოლაძე ჩვენი ავტორია, უურნალ „სიტყვაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი საკუთარი ლექსებიც და თარგმანებიც. მაია უცხო ენების სპეციალისტია, ინგლისური ენის განხრით დაამთავრა ინგლისური ენის ფაკულტეტი და ამ ენიდან თარგმნის. რამდენიმე წელია სხვა ენამაც გაიტაცა, სწავლობს, უუფლება უაღრესად საინტერესო ჰინდის ენას, რომელზეც უამრავი საინტერესო ნაწარმოებია შექმნილი ინდოეთში.

გთავაზობთ მაია ნიკლაძის მიერ თარგმნილ ორ ლექსის, ერთს ჰინდიდან და ერთსაც ინგლისურიდან. იმედი გვაქვს ნიჭიერი და შრომისმოყვარე მაია ნიკოლაძე არა მარტო ინგლისურიდან, არამედ ჰინდის ენიდან თარგმანებითაც საკუთარ წვლილს შეიტანს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის გამდიდრების საპატიო საქმეში.

სურენდრა კრიშნა გოიალი

დაყოფა

თავად დედისგან ვინ განარჩია სითბო დედისა,
რად ვაქუცმაცებთ, მაშ, ჩვენს სამშობლოს,
ერთია მიწა, სისხლიც ერთია,
სარჩოს გაყოფაც ღმერთმა გვაშოროს.

ეს ჩვენი მიწა არ ყოფილა საბრძოლო ველი,
ბრძენთა ასკეტიზმს აღუმართავს აქ თვისი ბჭენი,
სად სიყვარულის გაისმოდა ჰანგები მარად,
ძალდაშრეტილი არასოდეს ყოფილა არა.

ახლა კი ნახეთ! მეომარნი შეუპოვარნი
და შემართული მათი მახვილი.
მათ ერთმანეთის სწყურიათ სისხლი,
რადგან სიცრუეშ აღაშფოთნა გულთა ძახილი.

ცალ-ცალკე მამულს თავთავისთვის მოითხოვს ყველა,
ერთად ცხოვრების სურვილიც კი მათში არ არი,
და ხომ სიცოცხლის მომცემია ეს წმინდა მიწა,
არათუ ნეშტთა უსიცოცხლო თავშესაყარი.

და მაინც, ითხოვს დაჟინებით თითოეული,
მიზომვით რომ მოქცევა უქონ,
საერთო დროშას ინაწილებენ,
რომ ენის ტვირთი სატარებლად შეიმსუბუქონ.

სად ერთობაა, ძალაც იქ არის,
თუ ვინმეს ესმის, თუ გაიგებს ამ სიტყვებს ვინმე.
ის, რაც დაინგრა, აღარ აღდგება
შენ ერთმა მარტო როგორ უნდა იცხოვრო კიდევ?
მარტო ცხოვრების სირთულეებს თუნდ ცდიდე კიდევ.

შენ რომ დახიე, ის ბაირალი,
სირცხვილიც არის და ქსოვილს ნაგლეჯიც მხოლოდ.
და თქვენ რომელთაც შეურაცხყვეთ დედის მანდილი,
ნუთუ არ გესმით, სითბოს დედურს რომ ბღალავთ ბოლოს?!

2001

უოლტერ დე ლა მარი

ვერცხლისფრთხი

ნელა და წყნარად კაშკაშა მთვარეზ
ვერცხლის ქოშებით გაკვალა ღამე;
აქეთ და იქით ყველგან თვალს ავლებს
ვერცხლის ბაღჩებს და მოვერცხლილ ალვებს.
სირმებმოვლებულ ისლის ქვეშ სარკმლებს
ავლებს რიგ-რიგად ვერცხლისფრთხ კანტებს;
მოკალათებულს თბილ ბუნაგში ვერცხლისთათებას
ნაგაზს სძინავს და ზედ მთვარე დაპნათის მშვიდად;
პაწაწა ბნელი სამტრედიდან თეთრი გულები –
მბრწყინავ ბუმბულში გახვეული სტვენენ – მტრედები.
სადღაც თაგუნა თავის ალაფს მიაცუნცულებს
ვერცხლის ბრჭყალებით და ვერცხლისფრად აკვესებს თვალებს,
ვერცხლის ლელქაშთან გარინდული ნაკადში ვერცხლის
ელავს ფარფლები მთვარის შუქზე უძრავი თევზის.

2001



ჟურნალ „სიტყვაში“ ვბეჭდავთ თბილისის 50-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის მზია ქაბზინაძის თარგმანს. მზიამ შემოგვთავაზა თანამედროვე ინდოელი მწერლის სატიშ გუპტას ჰინდი ენიდან ქართულად თარგმნილი მოთხრობა „დიდი“. მისასალმებელია, რომ მოსწავლეს მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძველესი და უძნელესი ენის შესწავლა გადაუწყვეტია. საქართველოში ბევრი შესანიშნავი მთარგმნელი ქალი გვყოლია და გვყავს, რომლებმაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრები აამეტყველეს.

მზია ქაბზინაძეს ვუსურვებთ მისი თარგმანებიც ქართულად ისე იყითხებოდეს, როგორც წინაპარი ქალები გვთავაზობდნენ.

დ ი ლ ი

მეც კი არ ვიცი, დიდის ნამდვილი სახელი რა არის? შეიძლება ჩვენს ქუჩაზე ეს არავის გაეგონოს. მისი წინა ცხოვრების შესახებ მხოლოდ წარმოდგენა თუ შეიძლება, ვიღაცა ამბობს, რომ ქვრივია, ვიღაცა ამბობს, რომ მიტოვებულია, ვიღაცა ამბობს, რომ გაუთხოვარია.

დიდი ჩვენს ქუჩაზე 15 წლის წინ მოვიდა. იმ დროს მას თეთრი, სიფრიფანა კანი ჰქონდა წითელი ლოფებით. იქნებოდა დაახლოებით 30 წლის. საკმაოდ განათლებული იყო. დიდის არ მოსწონდა სკოლაში ან ოფისში მუშაობა.

დიდიმ პირველ რიგში, ქუჩიდან აიყვანა რამდენიმე ბავშვი და სახლში სწავლა დაიწყო. ნელ-ნელა მათი რიცხვი 15–20-მდე გაიზარდა. ყველა ბავშვი მას დიდის ეძახდა და მთელ ქუჩაზე დიდის სახელით იცნობდნენ. მისი

ნამდვილი სახელი კი წარსულის სიღრმეში ჩაძირულიყო.

იმ დროს პატარა ვიყავი. მამას მცირე შემოსავალი ჰქონდა, რომელიღაც ოფისში კურიერად მუშაობდა. სწავლაში ძალიან სუსტი ვიყავი, ამიტომ გადაწყდა, რომ ქუჩის სხვა ბავშვებთან ერთად დიდისთან უნდა დამეწყო სიარული. დიდი სწავლის საფასურად 50 რუპიას² იღებდა. სწავლისთვის დრო დანიშნული არ ჰქონდა, ბავშვი რა დროსაც მივიღოდა, მაშინ იწყებოდა სწავლა. დიდი, ძალიან დიდი მონდომებით ასწავლიდა. მასწავლებელი მარტო ცხოვრობდა და საოჯახო საქმეებში დამხმარე არ ჰყავდა, ამიტომ ხშირად პატარ-პატარა საქმეებში დიდის თავი-სივე მოსწავლეები ეხმარებოდნენ.

დიდის ამ სამყაროში, ბავშვების გარდა, სხვა არავინ ჰყავდა. არასდროს მინახავს დიდი გარეთ სხვა

ქალებთან მოსაუბრე. ყოველთვის სერიოზული იყო. როდესაც რაიმე სასაცილო ხდებოდა, მხოლოდ მოკრძალებით იღიმებოდა და აჩენდა თავის მარგალიტივით ჩაწიკწიკებულ კბილებს.

გავიდა დრო. ჩვენ ნაქირავები სახლი დავტოვეთ და საკუთარი სახლი ავიშენეთ. დროსთან ერთად ჩვენი მდგომარეობაც შეიცვალა. მამამ სოფლის მიწა გაყიდა და ოჯახში ათასობით რუპია შემოვიდა. წინათ, თუ პური გვენატრებოდა, ახლა ყველანაირი პირობა გვქონდა კომფოტული ცხოვრებისთვის. მე საჯარო სკოლა დაგმოთავრე და განათლება მივიღე.

რამდენიმე წელი დიდი საერთოდ არ გამხსენებია. გუშინ, როდესაც „მისტერ მასწავლებელს“ ვკითხულობდი, სულ დიდის სახე მედგა თვალწინ. საღამოს დიდიზე დიდხანს ვფიქრობდი, გადავწყვიტე მას აუცილებლად შევხვედროდი, როგორ გაუხარდება!..

დღეს, დილით, 9 საათზე გამოვიყვანე მანქანა და გავეშურე დიდისთან შესახვედრად. მანქანა ქუჩის პირას გავაჩერე და დიდისკენ ფეხით მიმავალი ვფიქრობდი.- ნეტავ დიდი მიცნობს თუ ვერა, მისი სახლის კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო, იგი თავის ძველ სკამზე იჯდა, უკვე სათვალეც ეკეთა, თმა გასთეორებოდა, მისი ჭანსაცმელი უწინდელივით აღარ გამოიყურებოდა.

დიდი ისევ ბავშვების წრეში იჯდა, წამით წარსულში დავბრუნდი. გავიდა ხანი და მან თავი ასწია, დამინახა თუ არა მისასალმებლად წამოდგა. მე რე-

ალობას დავუბრუნდი და მივხვდი, რომ ვერ მიცნო. დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რათა გაეხსენებინა, ვინ ვიყავი. მთელი ჩემი სიხარული და მოლოდინი გამიცრუვდა, ვიფიქრე ტქუილად მოვედი – მეთქი. როცა მივდიოდი ვფიქრობდი, როგორც კი დიდი დამინახავდა სიხარულით გადამეხვეოდა. წამით დიდი დაიძაბული მიყურებდა, უცებ სახე გაუნათდა და სიხარულით გადამეხვია. ანუ³ შენ ხარ?! შენ დიდი სულ დაივიწყე. დიდი აფუსფუსდა მივხვდი მოხერხებულ ადგილს ეტებდა, რომ დავესვი. მივუხვდი საწადელს, და იქვე მდგომ სკამზე ჩამოვჯექი. საუბარს შევყვეით.

ცოტა ხნის შემდეგ დიდი ჩაის მოსამზადებლად შინ შევიდა.

ერთმა გოგომ დიდის სწავლის ფული მოუტანა. გარედან ხმა მკაფიოდ ისმოდა.

– მამაშენი ხომ მთელი თვე ავადიყო, ხელფასი მთლიანად აიღო?

– არა, დიდი, ჩამოაჭრეს, ნახევარი ხელფასი აიღო, –ჩუმად თქვა გოგომ.

– მაშინ ამ თვეისა არ მინდა, ჩემი გარჯა შენზე ალალი იყოს.

უცებ 15 წლის წინ მომხდარი ამბავი გამახსენდა. ერთხელ პირველ რიცხვში საღამოს, როდესაც მამა ოფისიდან ბრუნდებოდა, ძალიან აღელვებული იყო. გაირკვა, რომ მას ჯიბე გაუჭრეს და მთელი ხელფასი მოპარეს, სახლში ყველა შეწუხდა ამ ამბის გამო. ცოტა ხნის შემდეგ დედამ ხარჯების დაზოგვის მიზნით გეგმა შეადგინა. მან თვალი ჩემი სწავლის ხარჯებსაც დაადგა. ამიტომაც იყო, რომ

დიდისთან სასწავლებლად სიარული შევწყვიტე. მალიან მინდოდა დიდისთან სწავლა და ვცდილობდი ეს სურვილი ჩამეკლა, მაგრამ შინაგანი ხმა არ მასვენებდა და სულ მასსენდებოდა, რა მონდომებითა და სიყვარულით გვასწავლიდა დიდი, ათჯერ რომ გეპითხა, არ გაგვიძრაზდებოდა.

დიდიმ გოგო გამოგზავნა ჩემთან სახლში, მაგრამ დედაჩემმა დააბარა, აღარ ისწავლისო.

რამდენიმე დღის შემდეგ დიდი ბაზარში შემხვდა. დიდიმ დამინახა თუ არა, დამიძახა და ჩვეული ღიმილით მკითხა:

— სწავლა რატომ მიატოვე?

მამაჩემს რაც შეემთხვა დაწვრილებით ვუამბე, ისიც ვუთხარი, რომ ოჯახი სწავლის საფასურს ვერ გადაიხდის — მეთქი, ამას როცა ვეუბნებოდი თვალები ცრემლებით ამევსო. დღესაც ნათლად მახსოვს მისი ქათქათა ცხვირსახოცი, რომლითაც თვითონაც ცრემლები შემიშრალა. შემდეგ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— სულელო, რატომ არ მითხარი? ხვალიდან აუცილებლად გელოდები. გადასახადი კი ნუდარ შეგაწუხებს, გაიგე?!

ასე დაგბრუნდი ჩემს საყვარელ დიდისთან.

მეორე დღეს დავიწყე თუ არა სწავლა, მაშინვე ვიგრძენი, რომ დიდი ყველაზე დიდ ყურადღებას მე მაქცევდა. ალბათ, იმიტომ, რომ გადასახადის გადახდა არ შემეძლო და ეს არ მეგრძნო.

ცოტა ხანში რეალობას დავუბ-

რუნდი და სახლის დათვალიერება დავიწყე. მიგხვდი, რომ დიდის ეკონომიურად უჭირდა ვიფიქრე, იქნებ წასვლისას ცოტა ფული დამეტოვებინა: გავხსენი ჩანთა და ვნახე, რომ საფულეში მხოლოდ 100-იანი ბანქოტები მქონდა. გავიფიქრე, რატომ წვრილ კუპიურებს არ ვატარებ - მეთქი. მაგრამ გამახსენდა, რომ გუშინწინ მეორე ჯიბეში წვრილი ფული ჩავიდე. ჯერ 50-იანი ბანქოტი ამოვილე, მერე დავფიქრდი და 10-იანის ამოლება ვამჯობინე. ამასობაში დიდი დაბრუნდა და ჩაი მომიტანა, ჩამოვართვი თუ არა ფინჯანი, შევკროთ, რადგან პირი ჩამოტეხოდა მაგრამ მის მასპინძლობაზე უარს როგორ ვიტყოდი.

— როგორ არის სკოლის საქმე?

— სადღაა სკოლა?

— ცოტაოდენი დუმილის შემდეგ თქვა:

— დღესდღეობით გოგოებმა წერა-კითხვა კი იციან, მაგრამ საწყლებმა როგორ გამოიყენონ ეს ცოდნა არ იციან. რამდენიმე ბავშვს აიყვანენ და სწავლას იწყებენ. ფიქრობენ, რასაც გადაუხდიან, ისიც კარგი იქნებაო.

მე საათს დავხედე, დიდი დრო გასულა, ამიტომაც ავდექი და დიდის ვუთხარი: — დიდი ახლა უნდა წავიდე — მეთქი 10 ბანქოტი ხელში ჩავუდე. მერე დიდხანს ხელში ჭერისგან დასველებული. მასწავლებელმა ფული აიღო და მითხრა:

— ერთი წუთი მომიცადე.

როცა დაბრუნდა, 20-იანი ბანქოტი ხელში ჩამიდო და მითხრა:

— შენი დიდი, მართალია ძალიან

ღარიბია, მაგრამ ეს შენ გქონდეს. ამ-
ლენი წლის შემდეგ ჩემს სანახავად რომ
მოხვედი.

ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს
ჩემთვის სილა გაეწიათ, მივხვდი, რომ
დიდისგან კიდევ ბევრი რამ მქონდა
სასწავლი.

სატიშ გუპტა: დაიბადა 1951
წ. პენჯაბში, (ინდოეთი). განათლებით
ისტორიკოსია, წერს პინდიზე, გამო-
ქვეყნებული აქვს მრავალი მოთხრობა
და კრიტიკული სტატიები.

სატიშ გუპტა
1994 წელი

*თარგმნა პინდიდან
მზია ქაბზინაძემ*

რეზონ

გ ა მ რ ვ ხ ი ზ ე ბ ა გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას



შენ ახლაც 26 წლის ხარ. 26 წლის ასაკში ყველაზე მეტად ვფიქრობ შენზე და გეძებ ყველგან, შინ თუ გარეთ, ქუჩაში, სამსახურში, ყველგან, მოულს სამყაროში. ეს შენ ხარ, ჩემი თვალების შუქში, ჩემს მზერაში, ასი ათასი წელი რომ დაგატარებ, დაბადებამდე თუ დაბადების შემდეგ, ასე მაღალს და ასე მიუწვდომელს, როგორც იდეალს ჩემი თაობის ახალგაზრდა კაცისა.

„შენ ხარ ჩემამდე და კიდევ…

შემდეგ…

შენა ხარ სიტყვა, რომელიც ვერ ვთქვი…“

სიტყვა, ალაზნის ველზე გაჭრილ თეთრცხნიან მხედარზე თუ ალავერდის გუბბათზე ავარდნილ რაინდზე, ერის გამოსაფხიზლებლად მოვლენილზე, მოვლენილს საშველად ჩვენთა, ვისაც ბევრი უნდა გეთქვა ჩვენთვის ვაჟა-ცობასა და სიყვარულზე, დაბრკოლებათა გზაზე გავლისას იდუმალის უკეთ შეცობაზე (შენი გმირები ხომ ან მწვერვალზე იღუპებიან ან ზღვაში კვდებიან), ზღვარდაუდებელ სიკეთეზე, სიამაყესა და პირდაპირობაზე, ბუნებრიობაზე, თვალშეუდგამ სიმაღლეზე („ის თავიდანვე, დასაწყისიდანვე იტევდა თავის ბუნებაში სიმაღლეს...“).

უნდა გეთქვა, მით უფრო დღეს, როცა პოეტის თქმისა არ იყოს დრო „რუსულ გარმონივით გაიწელა“ და ყველაზე დიდი – სიკეთის შუქი თვალებში თითქოს გაუჩინარდა.... ქრება, გურამ, და მე მეშინია, ალავერდის ტაძარზე აღმართული ის შენი ხატებაც აღარავის ახსოვს, გურამ, და მე კიდევ უფრო მეტად მეშინია, მე თითქმის ვეღარ ვხედავ შენს მსგავსებას, აი, ისეთებს, ოტია პაჭკორია რომ წერდა შენზე: „ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და მე მიყვარდა ცქერა, როგორ დაუყვებოდა ხოლმე იგი დაღმართს ოდნავ დარწეული, თავისუფალი ნაბიჯით, ლალად მხრებგაშლილი, მზით გარუჯული, გახსნილი საკინძითა და

ბაგეთა კუთხეში ჩაწოლილი ირიბი ღიმილით. დაგინახავდა, ამაყო თავაზით ოდნავ მოიდრეკდა ქედს და გამოგიწვდიდა უხეშ, ძლიერ მარჯვენას.

იგი იმათგანი იყო, ვისაც ყოველთვის გრძნობ, წამოგეწევა გზაზე და ინაბები, თითქოს დგახარ ზურგით ზღვისკენ და შენს უკან დაბადებული ტალღის მოსვლას ელი“.

საოცარი შედარებაა, მართლაც, ტალღის მოსვლას ჰგავდი შენს ნაწერებში მოზღვავებული ეროვნული ტრაგედიის განცდა. თუ როგორც მერაბ კოსტავა წერდა შენზე, „ალავერდობაშ“, ქვეცნობიერად მახვილივით ამოწვდილი კვინტ-სენსაცია გვიჩვნა შენი არსებისა და დაგვანახა, თუ როგორ ვლინდება ერის სულის ხასიათი მის საუკეთესო შვილებში. იქ, აფხაზეთში, კიდევ შეიძლება სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული ვაჟეკაცების ხილვა. ცოცხალი რომ იყო, შენც იქ იქნებოდი, იმ რჩეულთა ლაშქარში და ისე უყოფმანოდ შეუშვერდი მკერდს ტყვიას, ერთი არ დაგცდებოდა მიშველეთო, როგორც მაშინ, შავი ზღვის ტალღებთან ბრძოლაში, სხვები რომ გადაარჩინე და საკუთარი სიცოცხლე დათმე, როგორც მაშინ არ თქვი, მიშველეთო, მაგრამ შენი სიკვდილით კი ყველაფერი გვითხარი.

და მე ახლა უფრო ძლიერ მიჭირს რაიმეს თქმა შენზე, ვინც წერდა:

„მე ისევ ბავშვი დავრჩი და ვერაფრით ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ ჩემ ტოლებს შვილები ყავთ!“

მიჭირს რაიმეს თქმა შენზე, ვისაც „სიყვარული ერთი პქონდა, განუმეორებული და გულიანი, როგორც საერ-

თოდ სჩვეოდა. მისი ბუნება ვერ იტანდა ამჩატებას, ცვალებადობას, დაუსრულებელ ოხვრა-წუწუნს. ისევე როგორც მშობლები, წინაპრები, ახლო მეგობრები, ქალის სიყვარულის ფენომენიც უწმინდეს, უზნაეს მოვლენად მიაჩნდა და დალატი ვერ წარმოედგინა“ (**ნუგ ზარ წერეთელი**).

ისევე შეგეძლო „სიყვარული გაზაფხულზე, როგორც ზამთარში“ (შენი სიტყვებია) და შეგეძლო გყვარებოდა როგორც ანა კარგინა, ვინც „ვერ დაეტია თავის სიყვარულში“, ისე ის გოგო, წაბლისფერი თმითა და დიდი, გაკვირვებული თვალებით, ყოველთვის რომ გაშინებდა...

იარაღის კი არ გშინებდა, ან რა შიშზე შეიძლება საერთოდ ლაპარაკი შენი სახელის გვერდით, როცა საკუთარ სიცოცხლეზე მეტად სხვისას უფრთხილდებოდი, სხვაზე ფიქრობდი. „იმათზე ილოცე, დედავ, მე თვითონ გავიტან თავს“, ძდევარს დასხლტომილი ეუბნები ტამარში მლოცველ ქალს და ალავერდის გუმბათისკენ მიისწრაფი, სადაც ასვლას იშვიათად თუ ვინმე შეძლებს... ისევ სხვაზე მინიშნება, შენ ისევ მარტო რჩები განსაცდელის წინაშე, როგორც 1960 წლის 23 აგვისტოს, გაგრაში, სხვების საშველად რომ შეებრძოლე ტალღებს, მაგრამ მდევარისაგან განსხვავებით, მათ ვეღარ აჯობე. შენი სხეული მეოთხე დღეს გაგრიდან 17 კილომეტრის მანძილზე იპოვეს. ხანდახან მგონია, რომ შენი ტრაგედია შემთხვევითი არ არის და ისიც გაგრასთან, რომ ბიბლიურად წყალში სიკვდილი დაბრუნებას და განახლე-

ბას ნიშნავს, რომ დღეს შენი წასვლიდან 33 წლის შემდეგ აფხაზეთში გმირულად დაცემული ვაჟკაცები შენი სულის გამოძახილია, გურამ, შენი დაბრუნების მაუწყებელია და ჩვენი დიდი გამოფხილების დასაწყისი. შენ თუ ერთი იდექ აღავერდზე, ახლა ათასები დგანან და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს... ბევრს ამბობს მერაბ კოსტავას სიტყვებიც შენზე: „უზარმაზარი ჯვარი, მის სულში აღმართული არ ასვენებდა, გულ-ღვიძლს უღადრავდა და ამიტომაც შლეგივით გამოენთო იგი ჯვარგუბბათოვანი აღავერდის ციცაბო სახურავზე, ჯვარცმის პოზით, მკლავებ-გაწვდილი ვითარცა იესო, ალაზნის ველისკენ პირმიქცევით, ინერტული

ლვინით გაბრუებული ბრბოს წინაშე, ხომ არ გამოხატავდა ეს მესისანური უქსტი ისტორიის ჯვარზე გაქრულ იბერიის სახეს?“...

ასე ჩააფიქრე მარტო მერაბი კი არა, ყველა, ვის სულსაც შეეხე, სამუდამოდ კი 26 წლის ჭაბუკად დარჩი. „შენ ხარ ჩემამდე, და კიდევ... შემდეგ“, სხვანაირად არ შეიძლება, სხვანაირად უბრალოდ არსებობასაც აღარ ექნება აზრი, აზრი, რომელსაც შენი სახელი ჰქვია და მოლოდინი, რომელსაც ისევ შენი სახელი ჰქვია, რომელსაც მაინც ვბედავ და ვამხელ ჩემს აღავერდზე მარადიულად აღამრთული რაინდის სახელს.

თამარ შაიშმელაშვილი
გაზეთი „თბილისი“,
17 თებერვალი, 1993 წელი

**„შაშას რევოლუცია“
ანუ
რევოლუცია ორთაჭალაში
„ბაზის რიგზე“**

26 წლის ასაკში ტრაგიკულად და გმირულად დაღუპული დიდი ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი რომ ლიტერატურული მოვლენა და გენიალური შემოქმედი იყო, ეს გარდაცვალების შემდგომ განვლილმა ნახევარმა საუკუნემ, ხალხმა, ახალგაზრდობამ, ქართულმა კრიტიკულმა აზრმა მთლიანად დაადასტურა მისი შემოქმედება ეროვნული მწერლობის ოქროს ფონდის საკუთრებად იქცა.

ეს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა თითქმის მთლიანად შევიდა 2006-2007 წლებში განხორციელებული აკადემიური გამოცემის ორჯერ დასტამბულ ექსტრომეულში, რაც განხორციელდა გურამის უმცროსი დის მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის რამდენიმე წლიანი თავდადებული შრომისა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების მცდელობის შედეგად.

უფრო ადრე, კერძოდ 1994 წელს, როცა ფართოდ აღინიშნებოდა გურამ რჩეულიშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის საიუბილეო თარიღი, ცალკე წიგნად გამოვიდა ფართო საზოგადოებრიობისათვის ჯერ კიდევ უცნობი ღრმა ფილოსოფიური მოთხოვობა „შაშას რევოლუცია ანუ რევოლუცია ორთაჭალაში „ბამბის რიგზე“. საინტერესოა ამ საოცარი ნაწარმოების ბედი. ის დიდხანს იღო გურამ რჩეულიშვილის არქევში, იღო თითქმის ოცდაათი წელი და შემდეგ ზღაპრული განძივით გამობრწყინდა. 1984 წელს, როდესაც გურამის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა მშვენიერი ერთტომეული „სად გაექცევი ზამთრის ლამეს“, „შაშას რევოლუცია“ იქც კი არ შესულა, რადგან ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი და გაცნობილი. 1994 წელს, უკვე ჩამოვარდნილი დიდი გაჭირვებისა და უქაღალდობა-უსახსრობის მიუხედავად, არა მარტო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები მაინც გამოიცა ცალკე წიგნად ათასიანი ტირაჟით, გამოიცა და სასწრაფოდ გაქრა კიდეც. მასზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო და არის, ამიტომაც უურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა კვლავაც გამოაქვეყნოს 24 წლის ბრძენი ახალგაზრდა მწერლის სულისა და გონების შემბრელი ნაწარმოები, რომლის ბადალი მნელად თუ მოიძებნება გნებავთ ძველ და გნებავთ ახალ თანამედროვე მწერლობაში.

ჩვენი პატარა წინათქმა გვინდა მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის შესანიშნავი შესავალი წერილის ჩამაფიქრებელი დაბოლოებით დავასრულოთ:

„მაშ ასე, მკითხველო! შენ გელის მწერალ გურამ რჩეულიშვილის სულიერი სამყაროს მნიშვნელოვან დოკუმენტთან ზიარება. იქნებ შენ მაიც, ჩემგან განსხვავებით, არა მხოლოდ გაიგო, არა მხოლოდ „აღმოიკითხო“ დაფარული, არამედ, როგორც უძღვები შვილი, ამ ნაწარმოების გმირის მსგავსად დაუბრუნდე შენს საკუთარ ოთახს – „სავსეს ნაცხოვრები სითბოთი“, დაუბრუნდე შენს სხეულს, როგორც მღვიმეს, როგორც ერთადერთ ადგილს, როგორც შენს კუთვნილ სივრცეს სამყაროში, რომელშიც შენი სულის ამაღლება უნდა მოხდეს“.

მთავარი რედაქტორი

შაშა აზაურაშვილი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ქვაფენილაყრილ ტროტუარზე, გაშტერებული უყურებდა ამოყრილ ქვებს შუა ჩამდგარ წყალს, ქვების შუაში ლიპი ნაფეხურები ჩანდა, შაშა ცდილობდა შიგ ნაფეხურების შუაში ჩაედგა ფეხი, როცა ამას ვერ ახერხებდა – ნერვიულობისგან ემანჭებოდა სახე, პატარა, უსიამოვნო სუსტისაგან დალურჯებული ცხვირი შუაში გატეხილივით ექცეოდა გვერდზე; ყოველი ასეთი მოძრაობისას შაშას თვალები ხედავდნენ ცხვირის წვერზე გამოსულ, სიცივისაგან გამაგრებულ თეთრ მომწვანო-თავა მუწუქს; უსიამოვნოდ იშმუშნებოდა შაშა, გალიპული ტანისამოსი მხრებზე ეკრობოდა და ახალ შეგრძნებებს იწვევდა მის ტანში, რომელიც სან იმართებოდა, სან თითქმის მიწამდე ეშვებოდა – როცა მოელი ხუთი სანტიმეტრით მოკლე ფეხს ეყრდნობოდა. ყოველი ფეხის გადადგმის შემდეგ მას ეგონა, რომ შემდეგი ნაბიჯი გამოვიდოდა სწორე, ასე ეგონა ბავშვობიდან, როცა დიდებიც კი ეძახდნენ ჩოლახას, ჩოლახას ეძახდა დედაც...

ბავშვობიდანვე იშვიათად ეფერებოდა დედა შაშას და სწორედ ამ იშვიათი მოფერების დროს ეძახდა იგი მას „ჩოლახას“, შაშამ პატარა ბავშვის ინტუიციით იცოდა ეს ზედმეტი სახელი, რომელიც მის ფიზიკურ ნაკლს გამოხატავდა, მხოლოდ საალერსოდ იყო ნათქვამი და ყველაზე ძალიან ესა წყინდა, წყინდა უფრო ძლიერად კიდევ იმიტომ, რომ დედა ამ სიტყვის თქმისას თავზე ხელს უსვამდა (ამ ნაკლში გამოხატავდა მთელ სინაზეს, რაც მისდამი ჰქონდა და თითქმის ეს ნაკლი რომ არა, საერთოდ არ მოეფერებოდნენ მას), ან კოცნიდა და ისევ ვერ ახერხებდა მთელი თავისი ბუნებით გაბრაზებულიყო გულში მაინც, როცა მთლიანად უძაბუნდებოდა ბრაზიანი სევდისგან სიტყვის მოსმენის დროს შიგნით რაღაცა ყველაზე ძვირფასი, მეორე ნაწილი ამშვიდებდა, ნიღბავდა მის სამართლიან აღშფოთებას იმ მიზეზით, რომ დედა ამ სიტყვას საალერსოდ ეუბნებოდა და სწორედ ამ სიბრაზის შეკავება აათკეცებდა მის ბრაზს, ნაღველს და მარტო დარჩენილი, ჩუმად ტიროდა ამის შემდეგ მთელი დამტე.



როცა სხვები ეძახდნენ შაშას ჩოლოხას, ის გულში მათ ათას სამაგიეროს უხდიდა, რაღაცებს ძებნიდა შეუგნებლად თავისივე თავში ისეთს, რაც მათ არ ჰქონდათ, ეჯიბრებოდა ოცნებით, ამარცხებდა მტრებს და მშვიდებოდა... მაგრამ დედის მოფერებისას იძულებული იყო ყველა თავისი შინაგანი გრძნობა შეეკავებინა.

დედებმა რომ იცოდნენ, რამდენ საწყენს ეუბნებიან თავიანთ შვილებს და ერთი გაუფრთხილებელი სიტყვითაც რამდენ ნაღველს, ბრაზი იწვევენ მათ პატარა გულებში, მაშინაც კი, როცა პატარებმა გონებით არაფერი იციან თავიანთი ამ გრძნობის შესახებ. დედის მიერ გაუფრთხილებელი სიტყვით გამოწვეულ წყენასთან შედარებით არაფერია მთელი უბნის ბავშვების დაცინვა.

დიდი ხნის წინ, როცა შაშა იყო ათი წლის, მისი ძმა კი რვა წლის, ძალიან აწყენინეს მას: შაშა კედელთან მიგდებულ, კდომისაგან თითოქოს მიტკუპნილ ქვაზე იჯდა, მისი ძმა სხვებთან ერთად „ქუჩურ ადგილზე“ თამა-

შობდა. შაშას გული სიხარულით ევსებოდა, როცა გაიოზი „ჟეშტი ის“ ყუთს ქვას მოარტყამდა და წრიდან შორს ისროდა, თვითონაც შედიოდა აზარტში, მაგრამ პატარას უფრო სუსტი ჰქონდა ფეხი, თითქმის კუტი იყო, ძლივს ათრევდა ხოლმე მოკლე ფეხს ხელების დახმარებით კიბეზე, რომლის ბოლოშიაც ახლა იჯდა. გაბრწყინებული

თვალებით უყურებდა ბიჭების თამაშს; ხაზიდან ესროლა „ქუჩურს“ ქვა მისმა ძმამ და ააცილა, სალკა შაშას ფეხთან დაეცა; წრეში ჩამდგარი „დედა“ თვალს არ აშორებდა გაიოზის „სალკას“, რომ ხაზის გადმოჭრისთანავე მოწინააღმდეგე ფეხში დაეჭრა. აქლოშინებული დარბოდა გაიოზი ხაზის გასწვრივ, ხან უცებ ფეხს შემოჰყოფდა, მიიტყუებდა „დედას“ და ისევ უკან გარბოდა, რომ სხვა მხრიდან შემოჭრილიყო. ძმის მაგიერ შიშით, სიხარულით იყო სავსე შაშას გული, თვალებს ხუჭავდა, როცა „დედას“ მისი ძმა ფეხში უნდა დაეჭირა და ისევ ებერებოდა ფილტვები, უბრწყინავდა თვალები, როცა გადარჩენილი ძმა უკან გარბოდა.

უცებ გაიოზმა პირდაპირ გადაჭრა ხაზი, მისკენ გამოქცეულ „დედას“ წინ გაურბინა, ისევ გადავიდა ხაზს იქით და ახალი ძალით გაექანა ქვისაკუნ. ქვა ეგდო შაშას ფეხთან, შაშა წამოიწია, „დედა“ მოწყდა ადგილს და ისიც ქვისაკუნ გაქანდა, ცოტაც და გაიოზი ფეხს დაადგამდა ქვას, მაგრამ, შაშას

მოეჩვენა, რომ დედა დაასწრებდა მის ფეხში დაჭრას. ენერგიული მოძრაობით წამოხტა ჯანსაღ ფეხზე შაშა, მეორე ფეხი ჰაერში დაეკიდა საცოდავად, დაიხარა, ხელებს დაუყრდნო და სამფეხა მოძრაობით გადახტა ქვისაკენ, წაიქცა, ძლივს მისწვდა ქვას და მმას გადაუგდო, მაგრამ მმა ასცდა ქვას, მან მოასწრო იმ ადგილას მირბენა, სადაც ადრე ქვა იდო: გაჩერება ვეღარ მოასწრო – დედამ თავისუფლად დასჭრა ის ფეხში, გამოქანებულივე დაუცა გაიოზი წაფორხილებულ შაშას ზევიდან და წაგებისაგან გამწარებულმა დაუწყო ცემა მუშტებით. აღელვებული შაშა უცებ გაბრუვდა. მუშტები ხვდებოდა სახეში, ფერდებში, „უ, შე ჩოლახა, უ, შე ჩოლახა, ჩოლახა, ჩოლახა, – ეძახდა გამწარებული მმა. „ჩოლახა, თარსო“, – იძახდნენ სხვა ბავშვები და გაიოზს აქეზებდნენ, რომელიც ზევიდან ეჯდა და სცემდა. „თავისზე დიდს ერევა“, – აღტაცებულები იძახდნენ ისინი. შაშა ფიზიკურ ტკივილს საშინლად გრძნობდა და თითქმის არ ესმოდა სიტყვები, ის მთლიანად გაბრუებული და გაოგნებული იყო მოულოდნელობისაგან, ის მმა, რომლისთვისაც ამდენს ღელავდა და რომელსაც მისაშველებლად წინ გადაუგდო ქვა, ახლა ზევიდან ეჯდა და ცემდა უწყალოდ, შაშამ მლაშე გემო იგრძნო პირში, მერე თავლი აეწირპლა, გარშემო ჰაერში დაავინათ და გაშვები, „ჯერ არ ტირის, არ ტირის“, – ყვიროდნენ ისინი. შაშას დაავიწყდა კიდეც, რომ ასეთ დროს ტიროდნენ. მხოლოდ ბავშვების ხმაზე გაახსენდა,

რომ ცემის დროს რაღაც ხდებოდა ხოლმე სამარცხვინო, არაკაცური, ის, რასაც მოითხოვდნენ მისგან და გაპერპლა, არ იტირა მაშინაც, როცა წიხლი მიარტყა მმამ მუცელში და უცებ სხვა ბავშვებთან ერთად გაიქცა. მთლიანად ძალაგამოლული, კრიჭაშეკრული აიყვანა დედამ შაშა ხელში და შინ მიიყვანა. საცოდავი სანახავი იყო იგი ამ დროს, ნაცემი, დალურჯებული, მაგრამ ამაყი გულში, ბავშვურად ამაყი, რომ ის, რასაც მისგან ელოდნენ – ტირილს – ის, რითაც ის დამცირდებოდა, ე.ი. ცრემლები, არ წამოუვიდა თვალებიდან. დედამ მობანა პირი, ცივი კომპრესი დაადო, მერე, უკვე ლოგინში ჩაწოლილს ხელი მოხვია, ოდნავ აიყვანა, აკოცა თვალებდახუჭულს ლოფაზე და ნაზად ფურში უთხრა, – „ჩემი ჩოლახა ბიჭი, ჩემი ჩოლახა ბიჭი“. შაშა უკვე გაანაზა დედის ალერსმა და ახლა უცებ ამ სიტყვების გაგონებისას, გაივსო, გაივსო, რაღაც დიდი, მძიმე სევდით, გაევსო თვალები ცრემლებით და ატირდა, არ ესმოდა რატომ, მის გონებას არ გამოუყვია ერთმანეთისაგან არაფერი, მხოლოდ მისი სხეული გრძნობდა, რომ ის იყო სუსტი, რომ ამ სუსტს ეფერებოდნენ, ეფერებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ეცემა მეორე – სხვა და თანაც ამ სხეულს ახსენებდნენ, რომ ის იყო მახინჯი, იყო ჩოლახა, იყო საცოდავი; შაშა უცებ ჩაეკრა დედას გულში და ატირდა, აქვითინდა. რაც უფრო ტიროდა, უფრო თრთოდა, ტანი და პატარა ფეხი დაეკრუნჩხა, დიდი ფეხი დაუგრძელდა. „ჩემი ჩოლახა ბიჭი, ჩემი ჩოლახა ბიჭი“, –

იმეორებდა დედა, ეფერებოდა, თავზე წელს უსვამდა, „ჩოლახა“ – ბუნდოვნად ესმოდა ალერსში შაშას, ვერ შორდებოდა დედის ტანს, რცხვენოდა ტირილის, თავს კალთაში მალავდა, იმ კალთაში, რომელმაც ყველაზე მეტი შეურაცხოვა მიაყენა, რომელმაც აიძულა იგი ეტირა და უფრო მაგრად ჩაკრული, დაღლილი, ფიზიკურად სუსტი და დედის სიტყვებისაგან სულითაც დაჯაბნული, საცოდავად თრთოდა. უნდოდა გაქცევა შორს, სადღაც, მაგრამ დედის კალთის იქით გზა არსაით ჰქონდა...

დედის გახსენებაზე უსიამოვნოდ შეიშმუშნა შაშა, აქამდე არ ესმოდა, რატომ ეძახდა დედაც „ჩოლახას“, ის დედა, რომლისთვისაც ახლა თავისი ხელით მიჰქონდა წამალი, „მიჰქონდა წამალი“ – ამ ორ სიტყვაზე მახვილი გააკეთა მისმა გონებამ, პატარა ფეხმა უბიძგა მოელ ტანს, გაიმართა, ისევ დაეშვა და ისევ გააკეთა ნერვიული მოძრაობა, ისევ გაიმეორა – „მიჰქონდა წამალი“, მერე ეს ორი სიტყვა რიტმში ჩაუჯდა მუსიკასავით და თითქმის ხტუნაობით წავიდა. იქით, ქუჩის ბოლო ნისლში იჯდა. ქუჩა ცარიელი, ანგრეული იყო; მის შუაში მთლიანად საკუთარი თავით დატვირთული მიდიოდა შაშა, ახლა თითოეული ბიძგისას, მისი გონება სამ ნაწილად იმეორებდა – „ჩოლახა“, „ჩოლახა“, ბოლო „ხა“ და წინა „ჩო“ მოდიოდა მარცხნა მოკლე ფეხზე, მერე ხმები გაიზარდნენ, ახლა ნისლიდან ისმოდნენ ისინი, „ჩოლახა!“ – შაშა მოულოდნელად გამხიარულდა, უცებ,

სრულიად მოულოდნელად დაასკვნა, რომ თავის მმას სწორედ იმით სჯობდა, რომ იყო ჩოლახა, თანაც რაც უფრო მაგარი ჩოლახა იყო, უფრო ჯობიდა, უცებ შეეცვალა დაძაბული ტანი, რომელიც კოჭლობის დამალვას ცდილობდა, მთლიანად მოეშვა, მთელ ბუქზე ჩაჯდა და გაიმართა, ჩაჯდა და გაიმართა, გამომწვევად აყოლა ტანი, შხრები; „აბა, რომელი ხართ ჩემსავით ჩოლახა, ა, ა?“ – იმეორებდა მისი გონება. თვალები აენთო, ხელები მოძრაობაში მოვიდნენ, გაყინული ცხვირი გაუხურდა, გალხვა და მოეშვა. უინუვლა წვიმაში გადავიდა, შაშამ გული ჩაიხსნა, თვალები უფრო გაუელვარდა, აენთო, გახურებული მკერდით ცდილობდა თვითონ დაჯახებოდა წვიმას, განგებ მაგრად ედებოდა მოსახვევებში გალი პულ თიხის კედლებს, ჯაგარივით თმა დაუსველდა, წყლით გაევსო, შუბლზე წურწურით წამოუვიდა წვიმის წყალი, გაბრუებული წავიდა წინ. მოსახვევთან გაჩერდა, სუნთქვაც შეაჩერა, ამოსული ჰაერი სახეში მიაწვა, „ფუუ“, – დაიძახა უცებ, ბავშვივით აენთო ისევ თვალები, მთელი მისი ტანი მოძრაობაში მოვიდა. ნისლით ჩაგუბებულ, უფერულ, გალი პულ ქუჩაში საოცრად აღელვებული და ამინდისათვის შეუფერებელი მოძრაობით მიდიოდა შაშა.

არიან ნატურები, განსაკუთრებით ფიზიკურად მახინჯები, რომლებშიაც ასეთი ამინდი უკუშეგრძნებას იწვევს. ისინი თითქოს არღვევენ ტრადიციულ დამოკიდებულებას ბუნების ზემოქმედებასა და საკუთარ განწყობას შორის

და რაღაც სიმეტრიულობაში რჩებიან მასთან; თუ ამინდი ცუდია, თვითონ კარგ ხასიათზე დგებიან, ხოლო თუ ამინდი კარგია, იწყებნ, ეშვებიან, შესაძლოა, ეს იმიტომაც ხდება, რომ სხვები კარგ ხასიათზე არიან ამ უკანასწერლ შემთხვევაში და მას, როგორც საერთოდ დაჩაგრულს, ე.ი. მათგან გამორჩეულს ცუდი მხრით, ისეთივე განწყობილების საშუალებას არ აძლევენ თავიანთი გარეგნობით, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად, ქვეშეცნულად მოქმედებს მგრძნობიარე ნატურებზე და რომელმაც ამ შემთხვევაში იმოქმედა შაშაზე.

რაღაც სიტყვების ლუდლუდით დაეშვა, შაშა ვიწრო, დაქნცულ შუკაში, ყოველი ნახტომ-ნაბიჯით სულ უფრო ხურდებოდა ის. თითქმის გაუბრუვდა, უჩვეულო სიმედგრე შეიგრძო, ვაუკაცური მელოდია დაიბადა მის გულში, რომელიც მისი ტანის არიტმულ მოძრაობას აპყვა, აყეფდა. წინ გადაგდებულ მოკლე ფეხს დაღმართზე გალიპულ თიხაში აცურებდა და ტლაპოს წყვეტილ ხაზებსა ტოვებდა. „ჩვენ და ჩვენ ეენ, წავაალთ იქ, მოვალთ და მოვაალთ“ — ღუდუნებდა მისთვისვე აზრით გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ არაჩვეულებრივად ნაცნობს ფიზიკურად, რადგან ამ სიტყვებში თვითონ სიტყვებს კი არ ჰქონდათ მნიშვნელობა, არამედ მელოდიას, რომელიც მასში იბადებოდა, მისთვისვე უჩვეულო სიმედგრეს, რომელსაც არავითარი საბაბი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ის იყო თავის თავში სხვა, ამაღლებულ ხასიათზე და ეს იყო ყველაზე

მნიშვნელოვანი. ასეთი გაზურებული, აღგზნებული შევიდა თავიანთ ვიწრო ქუჩაში შაშა. ეს ქუჩა ორ პარალელურ დიდ ქუჩას აერთებდა, შუაში შეგრებილი იყო პატარა მოქდნად, რაც მას დამოუკიდებელ სახეს უქმნიდა. ქუჩა ცნობილი იყო „ბამბის რიგის“ სახელით.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ ისეთივე აღგზნებით გაიარა შაშამ და უცებ მოეშვა, რაღაც უხერხული გაუხდა მოძრაობა, წყლის წვეთები საცოდავად დაეკიდნენ შებლზე, მკერდის შესაკრავად წაიღო ხელი, ქაფენილისაკენ გადაუხვია, კედლებს მიეკრო და შეეცადა რაც შეიძლება შეუმჩნევლად გაევლო თავისი ქუჩა. აქ, ამ ქუჩაზე, საღაც ის გაიზარდა, ყველა იცნობდა მას და ყველაფრის ეუხერხულებოდა თვითონაც. აქ ყველამ იცოდა, რომ ის კოჭლი იყო და „ს“-ს მაგიერ „შ“-ს ამბობდა, აქვე იცოდნენ, რომ რამოდენიმეჯერ სცემეს უსამართლოდ, მას კი თავის დაცვა არ შეეძლო, ამ ქუჩაზე მიჰქონდა ნაგავი შაშას გადასაყრელად და ყოველდღე გრძნობდა, როგორ უყურებდნენ და დასცინოდნენ თვალები მას, ემახდნენ უკნიდან რაღაცებებს.

ამიტომ შეეცადა ის, რაც შეიძლება ჩუმად გაევლო ქუჩის ეს მონაკვეთი, რომ არავინ არ შეხვედროდა; სულ ახლანდელი აღგზნებული ხასიათის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა ეს მისთვის, მით უმეტეს, რომ კარგს არავინ არაფერს ეტყოდა. ეტყოდნენ გაემეორებინა რაიმე უკვე ათასჯერ ნათქვამი, ისიც უარს ვერ უტყოდა, იმდენად იყო დამოკიდებული სხვებზე.

ყოველი მისი გამეორებული სიტყვის შემდეგ დაიწყებოდა ხარხარი, რომელ-საც პირდაღებული უყურებდა თვითონ, სიცილი მატულობდა – „შუ“, „შუ“, – უკნებოდნენ პირზე თითის მიღებით მოცინარენი ერთმანეთს, თვალებს აპაჭუნებდნენ და ახალი ძალით იგ-უდებოდნენ სიცილისაგან.

შაშას უცებ წამოახურა, წამლის შუშა საწვიმარ მიღს წამოსდო, ფეხი აუცდა და ძლივს შეიგავა თავი. აივნიდან ძაგანია, ქერა, გაწუმპული მეგრელი შუშის მოძრავი თვალებით იყურებოდა ქუჩაში. განსაკუთრებით არ სიამოვნებდა შაშას ამ თვალების დანახვა, მაგრამ ისე იყო დამოკიდებული მათზე, რომ ავაღმყოფურად უკერებდა მის პატრონს ყველაფერს, რის შემდეგაც დამცირებისა და სირცხვილის გრძნობისაგან მთელი დამე აღარ ეძინა. მეორე დღეს კი ისევ ეძებდა მათ, ცდილობდა ახლოს ყოფილიყო მათთან, ყოველთვის ეშინოდა არ დაეკარგა ისინი მხედველობიდან.

განსაკუთრებით ულმობელი იყო ძაგანია შაშას მიმართ, ის მეწაღე ალექსასავით გულუბრყვილოდ არ უკნებოდა მას ეთქვა თავისი სახელი, მერე თვითონ გაემეორებინა „შაშა“, „შაშა“ და სიცილი დაეწყო; ძაგანია ყოველთვის წესიერად მიმართავდა – საშა, მოდი აქ, გენაცვალე, დღეს მშვენიერი საუზმე მაქვს და დამეწვიე, დედაშენისგან ნებართვა ავიღე, რომ ჩემთან ისაუზმებ. მერე უდებდა კერძს, რაც შეიძლება ცხარეს, პირდამწვარი შაშა ცრუმლებს ჰყრიდა, სიმწრისაგან კოჭლ ფეხზე დახტოდა, ძაგანია მთელი არ-

სებით ერთობოდა, მაგრამ არ იტყობდა. მაშინ, როდესაც მისი სახე აღტაცებული იყო, თავის თავში ვერ ეტეოდა, მისი ხმა ირონიული სერიოზულობით ამბობდა – ოო, ღმერთო ჩემი, პირი დაგეწვა, ოი, მოვკლავ ქეთოს ასეთი კერძის დამზადებისათვის.

შაშამ არ იცოდა, რომელ სიტყვაზე უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ ელოდა რაღაც განსაკუთრებით მკაცრს და დამცინავს მისგან. ელოდა და თითქოს ცნობისმოყვარეობა – სადამდე მივიდოდა ამ კაცის სისაზიზლრე – საშუალებას არ აძლევდა მას უარი ეთქვა და არ გაყოლოდა სადილად, ან შეურაცხყოფის მიყენების მეორე დღეს თვითონვე არ დაეწყო მისი ძებნა. რაც უფრო დიდი იყო მისგან მიყენებული შეურაცხყოფა, უფრო გამწარებული ეძებდა მეორე დღეს. იყო წამები, როცა შაშას ეკარგებოდა ამ სიძულვილის ზღვარი, უჩლუკდებოდა, იმდენად შორს მიდიოდა ძაგნიას დაცინვა და თითქოს ყველაფერს ეგუებოდა რაც არ უნდა ექნა იმ კაცს, რაღან იმაზე მეტი შეურაცხყოფის ატანა, რაც მან – შაშამ ბავშვობაში ნახა მისგან, არ შეიძლებოდა, მაგრამ მან აიტანა ის და აიტანა სრულიად მშვიდად. ამ დროს მას (შეურაცხყოფას) არ ჰქონდა ისეთი ძალა, ხოლო შეძლებომში მისი ყოველი გახსნება, გაცილებით მეტად მოქმედებდა შაშაზე. ამ შეურაცხყოფაში თანაბარი წვლილი ედოთ როგორც ძაგანიას, ისევე დედამისაც, მაგრამ დედა – დედა იყო, მასზე მხოლოდ მისი გრძნობები ვრცელდებოდა, დედას შეეძლო ეტირებინა იგი, იმ კაცს კი პირიქით, მხ-



მივიდა საწოლთან, სადაც დედის გვერდით, მის აღვილას — ძაგანია იწვა. მხოლოდ შიშველი თავი მოჩანდა მისი. ძაგანიამ ფურებზე თოკებით მისამაგრებელი სათვალე გაიკეთა, თავი წამოყო საწოლიდან, შაშა კი სულ ეჭიდებოდა და ეჭიდებოდა მის საბანს, უნდოდა ეტირა, ეყვრა, მაგრამ ტკბილი ჰქონდა მიმხმარი ყელზე და არ

ოლოდ მისი გრძნობების გაქვავება შეეძლო სიძულვილისაგან. იმ შორეულ შეურაცხყოფაზე ფიქრს ყოველთვის გაურბოდა შაშა, არასოდეს არ ცდილობდა მთლიანად აესახა ის გონებაში. უბრალო გახსენებაც კი სრულიად საქმარისი იყო მისთვის. ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავი გახლდათ, მაშინდელი, როცა სამი-ოთხი წლის შაშა ძლივს დაფორთხავდა ერთი ფეხით და ხელებით...

ერთხელ იმ დროს მივიდა მათთან ძაგანია, საშა დედის გვერდით რომ იწვა ლოგინში. ძაგანიას სახე დაპრან-ჭული ჰქონდა, მან ფოჩიანი კანფეტი მისცა შაშას, მერე ხელში აიყვანა და თითქმის გადააგდო კუთხისკენ. საშას ცრემლები ყელში მოაწვა, მაგრამ ფოჩიანი კანფეტის ლოდნა დაიწყო. სიტკბომ ჯერ ყელი ჩაუწმინდა, მერე მიახმა ჭუჭყოთან ერთად ლოყებზე, წინსაფარზე, თითებზე, რომლებსაც ენით ილოკავდა; მთლიანად იტენიდა პატარა მუჭას პირში, მერე შეეცადა ორივე ერთად ჩაეტენა, ბოლოს ფორთხვით

შეეძლო; გული გაებერა საწყალ ბავშვს, საშინელმა შეურაცხყოფამ შეიპყრო, ხელებზე აიწია და საბანს მოჭიდებული, ცალ ფეხზე გაიმართა და თათთ სცადა მოეპორჭყნა ძაგანიას სახე, დედა იქით გადაბრუნებული, ჩუმად იწვა. შაშამ ნახა, რომ დედა არ იყო მის მხარეზე, რომ არაფერს არ ეუბნებოდა ამ თავტიტველა კაცს — ცრემლები აღრჩობდა. როცა დედა გადმობრუნდა, მასაც ცრემლები ჰქონდა სახეზე, შაშას ძალიან მოუნდა ჩაკვროდა დედას, ეკოცნა მისთვის, მაგრამ ეს გააკეთა ძაგანიამ, თვითონ ჩაეკრა და კოცნა დაუწყო შაშას დედას უსიამოვნო ცივი ხმით, მწ-მწ. „ბავშვი, ბავშვი, ბავშვთან“, — ლუდლუდებდა დედა. „ბავშვს რა ესმის, დღეს ნახა ხვალ — დაავიწყდება“, — უმტკიცებდა ძაგანია, რაღაც ძალიან დიდი, უცნობი გრძნობისაგან გაბერილი ცრემლებით სავსე უპეებით იჯდა ბავშვი საწოლის ფეხთით და ახლად მიცემულ კანფეტს ლორნიდა თავისი ფოჩებით. ძაგანია ისეთივე ჩუმი ნაბიჯებით

გაიპარა ოთახიდან, როგორითაც მოვიდა; პატარა, ხმელი ხელი ნიკაპში ამოარტყა შაშას, მწუ — უთხრა, მერე ლოფაზე უჩქმიტა, „კოჭლი დაიბადა, არა?“ — იკითხა თავისთვის და ოთახიდან გავიდა. დედა საწოლიდან გადმოიწია, ბავშვი ხელში აიყვანა და მკერდზე მიიკრა. მისი ცრემლები ლოფაზე კლვრებოდა შაშას და სატირლად იწვევდა. უცებ წავიდა ბუნდოვანში და წარსულში იმ ძიას ამბავი. მხოლოდ მისი დანახვისას იღვიძებდა უზარმაზარი შეურაცხყოფისა და რაღაცნაირი უსიამოვნო სიტყბოს გრძნობა, რომელსაც ვერავითარ სახელს ვერ არქმევდა. შემდეგ უკვე მიხვდა, რა მოხდა მაშინ, საერთოდ რატომ ვერ იტანდა ძაგანიას და რაც უფრო ეზრდებოდა სიძულვილი, მით უფრო დაქვემდებარებული ხდებოდა იმ კაცისგან.

ახლაც ძაგანიას ერთი დაძახება საკმარისი იყო, რომ შაშა მასთან ასულიყო და ათასი ახალი შეურაცხყოფა აეტანა, დაეგროვებინა თავის გულში, გაეზარდა საკუთარი სიძულვილი რაღაცისთვის — რისთვის, თვითონაც არ იცოდა კარგად, უბრალოდ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ძაგანიას კამოდზე ახლაც ეწყო ხოლმე ფოჩიანი კანფეტები.

* * *

მთელი ამ ხნის განმავლობაში შაშას ერთხელაც არ უგრძვნია, რატომ ეჭირა წამლის შუშა ხელში და რატომ მიდიოდა ასე გამალებული სახლისკენ. არაჩვეულებრივად მსუბუქად გაიარა ვიწრო, ბნელი კორიდორი, სა-

დაც უცებ შეუზვია, რათა გაქცეოდა მაგანიას მზერას.

სიბნელეში, როცა არავინ არ უყურებდა, გაცილებით უკეთ ხმარობდა კოჭლ ფქს. მერე გავიდა ოთხჯეობა, ცარიელ ეზოში, მთელი ქანით მივიდა ონკანთან, საიდანაც ოდნავ წვეთავდა წყლი, ნერვიული მოძრაობით მოუჭირა ონკანი, მერე ამოგდებული აგური ჩასვა ისევ შიგნით მექანიკურად, თითქმის უაზროდ და უკიბეოდ შევიდა ოთახში.

ოთახში შესამჩნევად ბნელოდა. მხოლოდ კარის ფანჯარა იყო გაჭრილი, რომელზედაც ჭუჭყანი ტილო გააკრა შაშას დედამ. თავად შაშასაც ასე ურჩევნოდა ბნელში ჯდომა, როცა მისკენ მიქცეულ თვალებს არა გრძნობდა; ახლაც უცებ იგრძნო სამშვიდობოს თავი და პირველად მთელი გრძელი, ნერვიული გზის შემდეგ დაისვენა. ის ფეხდგომელა ისვენებდა, როგორც მგელი, რომელიც გრძნობს, იცის, რომ ეს დასვენება მხოლოდ რამდენიმე თავისუფალი ამოსუნთქვაა, რის შემდეგაც ყველა კუნთი უნდა დაჭიმოს და გაექცეს რაღაც უხილავს, მძიმედ, ოღონდ შეუჩერებლივ, საშიშად. ცოტა ხანს ისვენებდა შაშა ნახევრად ბნელ ოთახში, რომლის ბუნდოვანი განათებაც გარკვეულ ღრომძე ამშვიდებდა მას, შემდეგ ისევ ამოძრავებდნენ მისი ნერვები — წამლის შუშა მაგიდის კიდეში დადგა, მაშინვე სტაცა ხელი და შუაში გადაიტანა, ცოტა ხანი დაუდგმელად ეჭირა და რაღაცას ყურს უგდებდა, მერე განგებ ტკაპანით დადგა.

— ოო — მოისმა შირმის უქნიდან. შაშა უცებ დაამშვიდა ამ ხმაშ. „შეიძლებოდა მომკვდარიყო აქამდე“ — გაურბინა თავში და სიჩუმეში გაგონილი უაზრო ბეგრებიდან ფიზიკურად შეიგრძნო, რომ მართლა შეიძლებოდა საერთოდ არ გაეგონა ეს ბეგრები, იმდენად ყრუ და უაზრო იყვნენ ისინი, მაგრამ იმ ამბავმა, რომ საერთოდ მაინც გაიგონა ეს ამოკვნესა, რომელსაც გაბმული ზმუილივით ხმა მოჰყვა — იგი დაამშვიდა, რომ შეუძლია ცოცხალი ადამიანი წარმოიდგინო მგვდრად, და მას, რასაც აქვს ხმა — ის აღარა ჰქონდეს. ერთხანს ასე უგდებდა გაბმულ კვნესას ყურს და ელოდა. მის გონებაში შექმნილი სიჩუმის მთელი სიმეტრია დაირღვა — დედა ცოცხალი იყო და კვნესოდა, კვნესის ხმა მოდიოდა შირმის უქნიდან და ავსებდა მთელ ოთახს. აკსებდა შაშას უსიამოვნო შიშით, რომ ეს კვნესა არ გათავდება არასოდეს და ვერასოდეს ვერ იქნება შაშა მშვიდად, თავისთვის, როგორც იყო სულ რამდენიმე წუთის წინ, როცა ოთხში იდგა სიჩუმე; ესეთი წუთები იშვიათი იყო მის ცხოვრებაში — როცა სულ მარტოა, მაშინ მშვიდად არ არის, როცა ვინმე წევს და ხმას არ იღებს სიმშვიდე მაშინაა. ცოტა ხნის შემდეგ კვნესა ისევ მიწყდა და ოთახი განსაკუთრებით ჩაჩუმდა. შაშა დაჭიმული იდგა ჯანსაღ ფეხზე, ბარძაყზე საცოდავად ჩამოკიდებული მოკლე ფეხი უაზროდ უქანავებდა. პირველად თავის დაჩაგრულ, უფერულ ცხოვრებაში შაშამ შეიგრძნო, რომ ცრემლები აწვებოდა ყელში და თვითონაც იბერებოდა რა-

ღაცა დიდი, მძიმე დარდისაგან, რომელიც თითქოს მისგან დამოუკიდებლად, საერთოდ არსებობდა უხილავად, მუდმივად და რომელიც მხოლოდ ახლა შეიგრძნო მან. ეს ცრემლები არა ჰგავდნენ იმათ, რომლებსაც ის კარგად იცნობდა, რომლებსაც ის მალავდა სხვებისაგან; ისინი არ ჰგავდნენ სხვაზე წყენისაგან გამოწვეულებს, რომლებითაც ის ტიროდა ჩუმად, მორიდებით, რომლებითაც ის სამაგიეროს უხდიდა ვიღაცებს, რომლებმაც მას პირადად აწყენინეს.

ეს ახალი დიდი ცრემლები არ იყო არავიზე ჯავრი, არც წყენა, ამიტომ არ მალავდა მას შაშა, ამიტომ არ მალავდა ის თავის ხმას, თავის სიცოცხლეში პირველად ხმამაღლა, ზმუილით ტიროდა შაშა, დიდ თავს უაზროდ აქანავებდა ცალ ფეხზე დამდგარი, საცოდავად ეხლებოდა მაგიდას მისი ავადმყოფი, მოკლე ფეხი, თრთოდნენ და „უჰუ, უჰუ, უჰუ“, — ზრიალით, ყვითნაირ იძახდნენ მისი დიდი, ოთხკუთხა მხრები. ერთხანს ასე იდგა, ის ვერ არჩევდა თავის ხმას, იმდენად ერთი იყო ის მის გრძნობასთან. შემდეგ სადღაც იგრძნო, რომ ის, რაც აწვალებდა შეუმჩნევლად — გაქრა, მხოლოდ მყიფე ხმა დარჩა მარტო-უცრემლოდ, რომელიც მას გამოეყო და შორიდან მოესმა თვითონაც. უჰუპ, უჰუპ — გააკეთეს მისმა ფილტვებმა. მან მშრალ თვალებზე მოისვა ხელი და გაუკვირდა, რომ ეს ხმა მას ეკუთვნოდა. ახლა ის, რასაც ელოდა, შეიგრძნო ერთი სიტყვით — „მოკვდა“, ახლა იგი ამ სიტყვაში ვეღარა ხედავდა ვერავითარ უაზრობას, რასაც რაიმე გრძნობა შეი-

ძლებოდა გამოეწვია მასში; გრძნობებიც, განცდებიც სადღაც შორს, უკან დარჩნენ, წინ კი იდო ცარიელა სიკვდილის გაგება, ოთახი დედის სხეულით.

შაშამ ოიხკუთხა თავი მხრებში ჩააგდო, ტუჩები მოებრიცა და მოულოდნელი უცნაური ირონია გამოეხატა ზედ. მერე ისევ ამოწია თავი მხრებიდან და უკანვე ჩააგდო შიგ „ჰეთი“ – დაუსტვინა ნელა. ხმა ყურისმომჭრული სიმკრივით გაისმა ოთახში. „ჰეთი“, – გაიმეორა საშამ და თვითონვე გაუკვირდა, რომ ამ ხმამ არავითარი ზემოქმედება არ მოახდინა მასზე. ისევ დაუელამდა ტუჩები, თმები ჩამოეწერა შუბლზე, გაელიმა და არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო ტანში.

– შვილო მე კევდები, – მოისმა შირმის უქნიდან დედის ჯანსაღი, გაუყოფელი ხმა.

– წამალი ვერ ვიშოვე, – ისეთივე ტონით უპასუხა შაშამ. მთელი მისი განცდები უკალოდ გაქრნენ, მხოლოდ იმ განცდის მშრალი მოგონებები ჩარჩა მის გონებაში.

– წელან შენ რატომ ტიროდი?
– ცივად იკითხა დედის ხმამ.

შაშას გაახსენდა, რომ ის მაშინ ატირდა, როცა იგრძნო – დედის ხმას ვეღარასოდეს გაიგონებდა და მშვიდად უპასუხა – მე მეგონა მოკვდი, კვნესა როცა შეწყვიტე მის შემდეგ.

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მოიტანე სამფეხა საწოლთან, ან არა, ჯობია იდგე! სად არის, ა?

– ვინ? – უფიქრებლად იკითხა საშამ და მაშინვე დაავიწყდა დედის კითხვა. მივიდა საწოლთან, დადგა, ისევ

ჩააგდო თავი მხრებს შუაში და ირონიულად დაუწყო დედას ყურება. თვალები გაუცოცხლდნენ, აუმოძრავდნენ – „სულ ეგ იყო სიკვდილი“, – ფიქრობდა ის და უცებ შეშინდა, უნებურად დაიხია უკან, თავი ვეღარ შეიკავა, „შირმა“ გადაყირავდა, ის ზედ დაეცა, მერე ცალ ფეხზე აიწია, ისევ დასუსტდა და დაეცა, მთელმა იმ სიმშვიდემ, რომლითაც ის ელაპარაკებოდა მკვდარ დედას და რომელიც თითქოს გამოიგლოვა, თავისი გავლენა იქონია მის მგრძნობიარე ნატურაზე და უცებ გამოაცალა მთელი ენერგია; „შირმაზე“ საცოდავად დავარდნილი, გამდნარი სანთლისაგან გაკეთებული ჭადრაკის ცხენივით წელში მოხრილი – თრთოდა, ისედაც დიდი თავი შიშისა და გაოცებისაგან სულ გაეზარდა, პირზე ლორწო მოადგა და კანკალი დაიწყო. ნელა, ფორთხვით სცადა უკან გახობება, მაგრამ დედის ცივმა ხმამ შეაჩერა.

– რას კანკალებ? ახლავე დაჯექი სკამზე, თუ დგომა არ შეგიძლია მაგ ჩოლახა ფეხზე.

– ?! – თავისგან მოულოდნელად ამოუშვა საკმარისზე ძლიერი ბგერები საშამ და უფრო შეიშმუშნა.

– შაშა! – მოისმა დედის ცივი, მბრძანებლური ხმა.

შაშა სკამთან მთფორთხდა, წინ გაწეული თავით და დაღებული პირით მიაშტერდა დედას.

– შაშა, მე შენ ყოველთვის მეჯაგრებოდი შენი სიმახინჯისთვის, ახლაც მმულხარ იცოდე, არ გევონოს, რომ ვტყუივარ, იმიტომ რომ ახლა მოგვდები და თუ ასე კარგადმყოფივ-

ით ვლაპარაკობ იმიტომ, რომ არ მინდა ვინმეს ვახსოვდე სუსტი – დედას თვალები უბრწყინავდა, ხელებზე დაყრდნობილი წამოიწია, სახე მოკრუნჩა ბოროტად, თვალებიდან სიცივე მოდიოდა, ყველას შეაშინებდა მისი იერი, შაშას გარდა, რომელიც იმდენად იყო გაბრუებული ამ რამდენიმე წამში მომხდარი ამბებით, რომ მეტს ველარაფერს ვეღარ გრძნობდა – შაშა, – განაგრძობდა დედა, – მე არ ვიცოდი ვინ იყო მამაშენი, – შაშა იმდენად გამოფიტული იყო ამ წამში, რომ ვერაფრით ვერ მიხვდა, რა საჭირო იყო საერთოდ ასეთი ამბის ცოდნა დედამისისთვის, როცა ამას მისთვისაც არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა.

– შაშა, – ხმას აუწია დედამ, – შენმა გაჩენამ მე გამაწამა, მომაყენა აუარებელი უსიამოონება, შაშა, მე შენ მბულხარ, გესმის შენ! ხი, ხი, ხი, – უცებ მოეშვა დედის სხეული მოკლე, ხველებისნარი ხითხითისაგან და ისევ შეიკრა ბოროტად, – მე ვამბობ, შაშა, გესმის, – ხმა დაიწვრილა, გასცინა ვიღაცას უფრო ნაზ გამოთქმას და გაიმეორა – შაშიკო, საყვარელო, გესმის? შაშუნი, ჰა? ხი, ხი, ხი, – შაშა აბსოლუტურად გაუგებრად, უაზროდ უყურებდა. მას თითქმის არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო, იგი მხოლოდ გრძნობდა, რომ ის, ვინც ყველაზე ძალიან აწვალებდა მთელი სიცოცხლე და ვინც ეგონა რომ სტულდა, მაგრამ მაინც ემორჩილებოდა, იყო მისი დედა და ეს დედა, მიუხედავად თავისი მოჩვენებით სიყოჩაღისა ჩქარა მოკვდებოდა, შაშას მხოლოდ უკვირდა, რომ

ეს არსება კიდევ ლაპარაკობდა, თანაც მისი ჭეკუთ რაღაც საწყებს და ისეთს, რასაც უნდა ემოქმედა შაშაზე. ამან სულ მთლად უაზრო გახადა შაშას შეგრძნება. მის გამოხედვას უაზრობას მატებდა კიდევ ის, რომ ის, რასაც ერქვა დედის სიკვდილი, უკვე გამოიგლოვა, იტირა, გულიდან მოიშორა, ყოველი ახალი გამეორება იმ დიდ განცდაზე პატარა იყო და უაზრო გაკვირვების გარდა არავითარ შეგრძნებას არ იწვევდა.

დედა უფრო წამოიწია, ბოროტად დაკრუნჩებული თითები წაიღო ნახევრად ბნელში შაშას თვალებისკენ, რომლის უაზრო იერის ყურება მართლა აუტანელი იყო ამ წუთში და მოწყვეტით დაეცა საწოლზე. „ბუმპ“ დაიძახა ძველმა საწოლმა. შაშაში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. „ნეტა რა იქნება ახლა“, – გაიფიქრა მან, ეს იყო პირველი აქტიური გრძნობა, რომელიც მან გამოამჟღავნა დედის დალაპარაკების შემდეგ. შაშა ზევიდან უყურებდა დედის თავს, რომელიც ღრმად ჩაეფლო ბალიშში, დაპატარავდა, მოიკრუნჩა, მოეშვა. შაშას თვალები გაუფართოვდა – დედის სახე მიდიოდა სიღრმეში, ქრებოდა. ამ მუნჯმა, მოძრავმა სცენამ ახლებურად იმოქმედა მასზე – სუსტი დედის დანახვამ აამოძრავა გაკვირვებისგან მოდუნებული გრძნობა. დედის თვალებიდან თავისით იღვრებოდნენ ცრემლები. ამ გამხმარი, მთლიანად დაშრეტილი სახიდან ასეთი სავსე ცრემლები ისეთივე საოცარი იყო, როგორც ენერგიული ხმები, რომლი-

თაც წელან ლაპარაკობდა დედის მისუსტებული სხეული.

— შაშა, — მოულოდნელად შეაშრა დედას ცრემლები თვალებზე, ღაწვებზე, თითქოს ბალიშიც კი გაშრა და უბრალოდ წარმოუდგენელი იყო, რომ ეს სხეული საერთოდ ცრემლებს ღვრიდა, ახლა იგი უცრემლოდ სლუკუნებდა — შა-შა, შა-შა, შვილო, მაპატიე, რომ ასე დავსუსტდი — ძლივს გამოოქამდა ბგერებს, ყოველი სიტყვის შემდეგ სუნთქვა უხშირდებოდა, ცდილობდა ხელში დაეჭირა შაშას თმა, თითები გაეტარებინა შიგ, მაგრამ შაშა ისევ უმოძრაოდ იჯდა. საოცრად აშორებდა მას ბგერების გაგონება იმ სხეულიდან, რომელიც მან უკვე გამოიტირა. ბგერები და სიცოცხლის ყველა სხვა ნიშანი საიდანლაც შორიდან მოდიოდა. ყოველივე ამაში მხოლოდ დედის უმოძრაო სხეული იყო ნამდვილი, დანარჩენი მას, (ამ სხეულს), არ ეკუთვნოდა და ამიტომ უცხო იყო შაშასთვის.

— შაშა, შვილო, მე ბევრი ჭირი ვნახე, მე ბევრჯერ მაწყენინეს... შენ ეგ არ იცი, ან იცი... შაშა, შენ ყველაფერი იცი... მე ბევრი შეურაცხყოფა მომაყენეს... შენი გაჩენაც ჩემი შეურაცხყოფა იყო... შაშა, შენ ეგ არ იცი, შაშა, შენ ეგეც იცი ალბათ... შაშა, მაპატიე, მე შენ გიზდიდი სამაგიეროს, სხვა არავინ არ იყო ჩვენს გარშემო. სანამ გაიოზი ცოცხალი იყო, მას შენზე მეტად ვცემდი. მერე შენ მე მაპატიებ, შაშა, ვიცი. მე ბევრი შეურაცხყოფა მომაყენეს... მე... საწყალი გაიოზი, შაშა... — შაშა გაშტერებით უყურებდა ჩარჩოს, სადაც გაიოზის სურათი უნდა

ყოფილიყო ჩასმული, მაგრამ უფულობის გამო ვერ გააკეთეს, შაშა უყურებდა გაიოზის სურათს, მაგრამ არ ფიქრობდა გაიოზზე, ის არ ფიქრობდა დედაზეც, ორივენი დიდი სანია მოკვდნენ მისთვის, ორივე გამოიგლოვა მან. ძველი ნაცნობი დაგროვილი გრძნობით ივსებოდა მისი არსება, იბერებოდა, ეწყობოდა, ერთ გარკვეულ ფორმას იღებდა და უცებ იპოვა; ის ადრევე ჰქონდა ნაპოვნი, ისიც იცოდა რა ერქვა მას, იცოდა, რომ ეს იყო შეურაცხყოფა, რომელსაც სხვებისგან იტანდა, იტანდა საკუთარი დედისგან, მმისგან, მაგრამ ამ სახელს ყველანი უმაღლავდნენ. ახლა კი აშკარად გაიგო დედისგან, რომ მას — დედასაც აყენებდნენ შეურაცხყოფას. ეს დიდი სანია იცოდა შაშამ, მაგრამ ის შეურაცხყოფას მხოლოდ საკუთარ შეურაცხყოფას არქმევდა სახელს, ახლა კი სხვისიც გახდა, სხვამაც გაიყო მასთან ერთად; მათ აყენებდნენ შეურაცხყოფას. მას, მის დედასაც, მის ძმასაც, მან იცოდა კიდეც რომლებსაც ერქვათ ეს სახელი (ისინი ძალიან ბევრი იყვნენ), ისიც იცოდა, რა უნდა ექნა.

ცოტა ზანს კიდევ იჯდა შაშა, სანამ დედა სულ შეწყვეტდა სუნთქვას. მერე ნელა დაიწყო გმართვა, ჯერ საღი ფეხი ავადმყოფის სიგრძეზე გაჭიმა, მერე მოულოდნელად სულ გაიმართა, თითქმის თითის წევრზეც კი აიწია და უცებ მიხვდა რაღაცას. „ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია“, — ტყვიამფრქვევით მიაყარა მისმა გონებამ. ის სულ დაიძაბა და მოეშვა. „ჰო, ძაგანია“, — თქვა ხმამაღლა, საკუ-

თარი ხმის გაგონებამ დაამშვიდა და ძალა მისცა. „პო, ძაგნია“, – გაიმურა. საოცრად ცხადი და გასაგები იყო ყველაფერი, ანთებული თვალებით გადახტა მაგიდისკენ, წაიმორმიკა, ხელებით დაეყრდნო იატაქს და რამდენიმე ნახტომი გააკეთა ქლოშინით მაგიდის ირგვლივ. დაჯდა პირდაპირ იატაკზე და მძიმედ, მაგრამ საღად დაიწყო სუნთქვა. აქამდე რუხმა ცამ ოდნავ დაგარგა გარეთ ფერი, მზემ გამოანათა და სხივი შაშას ოთახთან დაეცა, ნელა შეიპარა მის შეგრძებაში სინათლის გრძნობა და სამარისებურ სიჩუმეში მოესმა თავისივე ხმა – ვინ?... ერთხანს ყური მიუგდო და მერე ხმის მოსვლას თვითონ დაასწრო – ხმამაღლა იკითხა – ვინ? რა ვინ? შეეკითხა საკუთარ თავს და ვერაფრით ვერ ალიქვა საიდან მოდიოდა ეს კითხვა. ნელა გაიმართა, ოთახში გამოდარებულზე შემოსულ ცივ, ჯანსაღ ჰაერს ხარბად იწოვდნენ მისი ფილტვები. ის გარინდული, დააბული და შინაგანად სიცოცხლით ავსილი იდგა. „ვინ უნდა მოსილიყო“ – ცხადად გამოხატა მისმა გონებამ მთელი მისი „ვინ“ – ის აზრი, რომელიც მოუკიდა დედის კითხვაზე – არ მოსულა ის? მაშინ ყურადღება არ მიუქცევია იმ სიტყვებისათვის და ახლა სადღაც სიღრმიდან ამოხეთქა – თუ არ მოსულა, მოვა – დაასკვნა მისმა სხეულმა. შაშამ დანა გამოიღო, რომელსაც ბავშვობიდან ლესაგდა, დანის პირი ბევრი ლესვისგან თითქმის სულ დაწვრილებულიყო, ელავდა. შაშამ ნაცნობი მოძრაობით მოუსინჯა პირი მთელ თავის წლების

ნაშრომს (ის მას ლესავდა იმიტომ, რომ არა პქონდა სხვა საქმე, ე.რ. არ შეეძლო ემუშავა და ლესვა გახდა მისი საქმე), სიამოვნებით შეიგრძნო ფხა და მაგიდაზე დადო. ახლა უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის, ვინც იკითხა დედამ სიკვდილის დროს, მოვიდოდა აქ, მოვიდოდა თავისი ფეხით. დანარჩენებს აღარ ეუბნებოდა შაშა თავისთავს, დანარჩენს მხოლოდ მისი სახელი გრძნობდა და დანარჩენი მის სხეულს სწამდა.

ასე გარინდული, თითქმის უაზროდ იჯდა შაშა მაგიდაზე, დედის ცხედართან ზურგით და ელოდებოდა ძაგანიას მოსვლას.

* * *

აივანზე მდგარი ძაგანია, რომელმაც ასე იმოქმედა შაშაზე, არანაკლებ აღელვებული იყო თვითონაც. საერთოდ, ბოლო დღეებში ვერაფრით ვერ ეტეოდა მეორე სართულზე გამოკეტილ თავის ორ ოთახში. ცდილობდა უმეტესად აივანზე მდგარიყო, ან დილაადრიან მიდიოდა შუკის ბოლოში, დიდი ქუჩის კუთხესთან და იქ, კედელთან ატუზული, საეჭვო სახით იდგა. იცვამდა იმაზე უბრალოდ და ცუდად, ვიდრე საშუალება პქონდა. როცა ვინმეს დაინახავდა დაიწყებდა წინ და უკან სიარულს, თან უსტვენდა არაჩვეულებრივად საეჭვო სახით, მთელი მისი არსება ლაპარაკობდა, რომ ის რაღაცას მაღავს.

ზედიზედ მიეწყო ნესტიანი ამინდები, დაბლა დაწყობილი ნისლი ბოლს არ უშვებდა ქალაქიდან. თვალები ეწვო-

და ძაგანიას, ერთი ბეწო გუგები წირპლისაგან უფრო ეკრობოდნენ ერთმანეთს, ძველ შლაპას შუბლზე უფრო იფხატავდა. ტროსტი, რომელიც თვითონ არ იცოდა რატომ ეჭირა ხელში – შარვლის ტოტთან დამალა, მერე ზემოდან მომავალ ბადრაგს თავი აარიდა და „პადიეზდში“ დაიმალა; ერთი პოლიციელი დაწინაურდა.

– ვინ არის მანდ! – დაიყვია ხმამაღლა. ძაგანიას სუნთქვა შეეკრა, ხმის ამოღება სცადა, მაგრამ ბერა ხრინწიანი და სუსტი გამოუვიდა.

– გამოდი, გამოდი, – მხარში სტაცეს ხელი. „პადიეზდის“ სიბნელის შემდეგ უფრო მოჭუტა თვალები ძაგანიამ და აშკარად ჩავარდნილი კაცის სახე მიიღო.

– შენი პასპორტი.

– მე, მე ძაგანია ვარ. აი, აქ ვცხოვრობ, შეკაში.

– ვიცი.

– აი, ჩემი პასპორტი, იმედია ყველაფერი რიგზე იქნება, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, არა?

პოლიცილმა უკან გაუწოდა პასპორტი. ძაგანიას ესიამოვნა. პოლიციელი გამოცოცხლდა, ლაპარაკის გაჭიანურება სცადა.

– ნეტავ ვის ემალება, ა? – მიუბრუნდა ამხანაგს.

– თავის ჩრდილის ეშინია მაგუბედურს, – გაიცინა მეორემ...

ტროტუარზე მარტო დარჩენილი ძაგანია უფრო მოიბუზა. ახლა მართლა ეშინოდა მას, ეშინოდა სიმარტოვის, სიცივის, რომელიც ჩქარა დაიწყებოდა და კიდევ რაღაცის. ძაგანიამ, ისევე

როგორც თითქმის ყველა სხვამ, იცოდა, რომ დღეს უნდა დაწყებულიყო სროლა, გამოსვლა, დღეს უნდა დაწყებულიყო მდიდრების ხოცვა. ძაგანია შიშმა აიტანა. მას საჭმლის ფულზე მეტი არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ ეშინოდა, ეშინოდა ყველაზე ძალიან – ხომ შეიძლებოდა ისიც მდიდრად ჩაეთვალათ; ამიტომ იდგა ახლა აქ დახეულ შარვალ-ხალათში, რათა ყველას დაენახა, რომ ის ღარიბი იყო, ბოგანოდა არაფერი არა ჰქონდა წასართმევი. ქუჩის იქით ცხოვრობდა მექარხნე. იქ დარაბა ღია იყო – იყო თუ გააღეს, ფიქრობდა ძაგანია.

ისევ შეიძმუშნა, შორიდანვე იცნო – ქუჩას გამაღებული ჭრიდა ამქრის უფროსი, ის ძაგანიაზე ძველ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და პირდაპირ მისკენ მიდიოდა თავდახრილი. უცებ შეამჩნია, რომ მის წინ კაცი დგას, წამით დაშტერდა, გვერდზე გაუხვია და მიიმალა.

ძაგანიას გააურეოლა, „ლმერთო ჩემო, შენ უშველე საწყალ კაცს“ – გადაიწერა გულში პირჯვარი. აშკარად ვერ გაბედა, რადგან მოაგონდა, რომ ისინი, ვინც დღეს გამოსვლას დაიწყებენ – ლმერთს არ ცნობენ, პირჯვარს არ იწერენ და ეკლესიაში არ დადიან. „ლმერთო ჩემო“ – განაგრძობდა მისი გონება მუშაობას – „ხომ შეიძლება მაგათ გაიმარჯვონ, მდიდრებმა მაშინ, მაშინ რა იქნება... ხომ იტყვიან რომ ძაგანია დახეულია, ღარიბია, რომ ძაგანია იმათ მხარეზეა, ძაგანია იმათი მზეგრავია“.

ძაგანიამ ვერც კი იგრძნო, ისე მოწყდა ქუჩის კუთხეს და სირბილით გაუყვა თავის სახლისკენ ქვაფენილაყრილ გზას. მისი გონება ათას ლანძღვას უგონებდა საკუთარ თავს იმის გამო, რომ სახლში ჯდომა ვერ აიტანა და გარეთ გამოვარდა. რა მისი საქმე იყო ასეთ დროში ხეტიალი.

მორჩა, სისულეებს აღარ ჩაიდენს, მივა სახლში, გამოიკეტება და სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, არ გამოვა, არაფრის გულისთვის არ გამოვა. პური საკმარისი აქვს, ახლა მივა თუ არა, წყლასაც აიტანს და შეიკეტება. „ჩი ხი“, — გულში ესიამოვნა საკუთარი ფიქრები — რა უბრალო და ადვილი ყოფილა ყველფერი, ის კი დარბოდა, რაღაცებს იძახდა, ხან ვისთვის, ხან ვისთვის. რასაკვირველია ტყეილად აქვებდა ხალხს, ვათუ, უკვე სჯერათ, რომ ის, ის... რა ის — ვერაფრით ვერ აუხსნა საკუთარ თავს. „მე ჩემთვის ვარ, მე ჩემთვის“ — დუღუნებდა თავისთვის.

სახლთან ახლოს შეჩერდა. გუნებაში ტანსაცმელი გაისწორა, მერე ტუჩები მოკუმა, როგორც სტვენის დროს ისე, ხელი მოამზადა ვითომ ტროსტის სატრიალებლად, ვიღაცას სრულიად დამშვიდებული მიესალმა გუნებაში და არ ხეინი ნაბიჯით წავიდა „პადიეზდისაკენ“. ყოველნაირად ცდილობდა არაფრით არ აეჩქარებინა ნაბიჯი. წინ წასულ ფეხებს ძალით იკავებდა, რის გამოც ეჩვენებოდა, რომ უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ. რატომდაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახლში შესვლის მომენტს. მთელი მისი

არსება სავსე იყო ათასი თვალით, რომლებიც დაუხამსამებლად უფრებდნენ მას და საკმარისი იყო მისი ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ან აჩქარება, რომ ამოუცნოთ „ის“, „რაღაც“, რასაც ასე მალავდა, რისთვისაც ამდენს იმცირებდა თავს. რა იყო „ის რაღაც“, არ იცოდა ძაგანიამ, არც სხვამ არავინ იცოდა, ოღონდ „იმის“ ამოცნობა სხვებს აბსოლუტურად არ აინტერესებდათ, ისევე როგორც მთლიანად ძაგანია. ძაგანიას კი, პირიქით ტანჯავდა მისთვის შეუცნობელი ძალა, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა დაემალა სხვებისგან. ამ „საიდუმლოებაზ“ მისცა გასაოცარი გამძლეობა და დარჩენილი ათი ნაბიჯი გარევნულად სრულიად მშვიდად გაიარა, ტროსტიც კი შეათა-მაშა ჰაერში და ოღნავ დაუსტვინა. აი, ის გაუსწორდა „პადიეზდს“, უცებ მოატრიალა თავი, განსაკუთრებულად საშიშად ეცა თვალში ცარიელა, ნისლ-ში ჩაწოლილი ქუჩა თავისი სიჩუმით. ბოლოს ძალებმა უღალატეს ძაგანიას, ის მოწყდა ადგილს და სირბილით ავარდა კიბეზე და უცებ რაღაცა ძალამ შეაჩერა შუა საფეხურზე, ძაგანია მთელ ქანზე შეაჩერა ვიღაცის ხელმა, თვალები გაუფართოვდა, სიბნელეში „პადიეზდის“ კედელზე გამოხატული ხე ნამდვილად ხედ აღიქვა. მძიმე რაღაც დააწვა გონებაზე. ერთი წამით მოეჩვენა, რომ მოჩენებები გაქრნენ და „ის“ რაღაც ცხადი გახდა ყველასთვის, ცხადი გახდა მისთვისაც; „ოოო“, — ამოიძახა ძაგანიამ და წინ გასაქცევად გაიწია. უხილავმა ძალამ ისევ დაქაჩა ისეთივე ძალით, როგორითაც თვითონ

მოინდომა წინ გაქცევა, ის მთელ სვლაზე შემოტრიალდა, ხელები გაასვასავა და უკან გადმოვარდა გასწორებული „პი, პი, ხი“ ალმაცერად უყურებდა კარს და იცინოდა ძაგანია. „მაინც არ ვარგოდა ეს პლაშჩი, ახალი იყო, თანაც ასეთ დროში კი არ ვარგა“, – ლაპარაკობდა თითქმის ხმამაღლა, მერე უცებ გაჩერდა მოაჯირს წამოდებული პლაშჩი მოხსნა, სწრაფად დაახვია და ჩქარი ნაბიჯებით ავიდა კიბეზე. უწვალებლად გააღო კარი, შევიდა ოთახში, იმავე გასაღებით ჩაკეტა, მერე ურდულით გადარაზა და მაგიდა მიადგა. უცებ მოეშვა, პირდაპირ ჩაჯდა შუა იატაკზე, წელში მოიკუნტა მისი სხეული, სულ დაპატარავდა და სხვებთან ბრძოლაში გამოვლილი ამდენი განცდის მერე მარტომ საცოდავად დაიწყო კანკალი.

კანკალებდა ძაგანია, ტიროდა ძაგანია. მას ეცოდებოდა საკუთარი თავი, რომელიც სულ მარტო იყო, რომელსაც სულ ვიღაცის ეშინოდა და რომელიც გრძნობდა – მთუხედავად იმისა, რომ მას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული, მაინც აგებს პასუხს. ვის წინაშე უნდა აგოს პასუხი, არ იცოდა მან – ეს გაურკვევლობა უფრო ზრდიდა მის შიშს.

იჯდა მარტო, კარზე მიდგმულ მაგიდის ფეხთან შლაპაჩამოფხატული ძაგანია და კანკალებდა. ნელა გადაუარა კანკალმა. გარეთ არავითარი ხმაური არ ისმოდა. შეუმჩნევლად დაიწყო გათენება, ოთახმა საკუთარი სინათლის შუქი დაკარგა და გარედან შემოვიდა რუხი, ნესტიანი სინათლე.

მაგიდის ფეხზე მიყუდებული თვლებდა დაღლილი ძაგანია. ოთახში გაღებული ფანჯრიდან სინათლესთან ერთად ნესტიანი ნისლი შემოვიდა და დაგუბდა. უფრო მიელი პა ტანისამოსი ძაგანიას, მთლიანად აიტანა კანკალმა მისი სხეული; ნისლინ ჰაერში ქუჩის თავში შემოსული დროვის ბორბლებისა და ცხენის ფლოქების ხმა ყრუდ შეიჭრა, შიგ დაგუბდა და უფრო დაამძიმა ჰაერი, ძაგანიამ კანკალი შეწყვიტა, ნახევარძილში გული გაიხსნა, ნახევრადლია პირიდან ორთქლი წამოუვიდა, შესამჩნევად დაუწითლდა საფეთქლები, მოკლე, თხელი ფეხები სულ მოეკუმშა ტანის ქვეშ; სამაგიეროდ თავი გაეზარდა, საფეთქლების შეძლევ ცხვირი გაულურჯდა, დაუწითლდა, მერე მთელი სახე აუჭრელდა. „აჩ, აჩ, აჩ“, – აგზნებული იმახდნენ მისი ტუჩები, უზარმაზრი დარდი ეხატებოდათ ზედ, რომელსაც შესამჩნევად ცვლიდა საკუთარი უძლურების შეგრძნება. „აჩ, აჩ... უუუ იპკო“ – ისმოდა ქუჩიდან ცხენის ყრუ ხვიხვინი, რომელიც გარედან აწვებოდა ოთახს და კიდევ უფრო აგუბებდა.

ნახევრად მძინარე ძაგანია ხედავდა სიზმარს: მისი სხეული მიფორთხავდა თხელ ჭაობში, სველი შალაფა უსერავდა ხელებს, სახეს და წითელ ზოლებად აჩნდებოდა ზედ, წამოსული სისხლი ჩადიოდა ჭაობში და ჭაობი ხურდებოდა, ორთქლი ასდიოდა, იწვოდა სიცხისგან ძაგანია, წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, მერე ოფლი წყდებოდა, შალაფის დასერილი სახიდან მარტო მშრალი სისხლი მოდიო-

და, მშრალი სისხლი ისეთი იყო როგორც ფხვნილი, ის იყრებოდა ჭაობში, წითელ მტვერს უშვებდა და მის ოფლიან სახეს ეკვროდა, სახე იხრუკებოდა სიცხისგან, ყელი უქმებოდა წყურვილისგან, მაგრამ მის ქვევით სისხლის ფხვნილი ჰკრავდა ჭაობს და წყლის დალევა შეუძლებელი იყო, წინ კი მოჩანდა სუფთა ჭაობის წყალი, რომლის ნაპირებზეც მშვიდად ისხდნენ ბაყაყები; ძაგანია მთელ სხეულს ძაბავდა, რომ როგორმე მიესწრო იმ ადგილისთვის, სანამ ისიც შეიკვრებოდა. ის აღარ ზოგავდა თავის სხეულს, ხელებს, სახეს, შალაფა იჭრებოდა მის ხორცში და ღრმად აჯდებოდა შიგ. „კიდე ცოტაც, კიდე ჩქარა... აჩ, აჩ“, – ესმოდა ხები, – „ააა“, – უცებ გაიმართა ის, მის მარცხნივ მშვენიერი ცხენი ება, შვებით ამოისუნთქა მიწაზე გაწოლილმა, ახლა ველარსად გაექცეოდა წყალი, ხოხვით წავიდა მისკენ, აქამდე უზომოდ მძიმე ბეჭები, რომლებიც ხოხვაში ხელს უშლიდნენ, გაიშალნენ ფრთებივით და ის მაღლა აიყვანეს. როგორ დაჯდა ცხენზე არ უგრძნია, „აჩუ“, – დასძახა ძაგანიამ და უცებ გადაუარა წყურვილმა, „აჩუ“, – დასძახა ძაგანიამ და მუხლამდე ჭაობში საკუთარ ფეხებზე ხტუნაობით გავარდა, „აჩუ“, – იძახდა ის და მირბოდა, ხელში აღვირი ეჭირა და მათრახს მხედრულად იქნევდა, „აჩუ!“ – იძახდა უფრო ხმამაღლა, ოღონდ უკვე ყელში მოწოლილი ბოლმით. ეშინოდა, რომ თავისთაგს გამოტყდომოდა, რომ ის, რასაც მიაჭენებდა იყო საკუთარი ფეხები და არა ცხენი. ეშინოდა დაეკარგა

ეს საბოლოო იმედიც. „აჩუ, ჩუ, უუ“, – იძახდა გამწარებული უაზროდ, საკუთარი ხელით იცემდა თავში მათრახს, იბრუებდა საფეთქლებს, ოღონდ არ შეეგრძნო სიმართლე, ოღონდ არ გამტყუნებოდა ეს უკანასკნელი იმედიც. ისევ გაიღვარა ოფლში და ვერ მიაღწია წყალს, წყალი იყო ახლა მისი ერთადერთი მიზანი. ფეხებმა უღალატეს, მოკრუნჩულს დაუბუჟდა ისინი, ერთიც შემოჰკრა ძილში თავს მათრახი და მუხლმოსხლეტით დაეცა წყლის სველ ჭაობში.

უკან გადავარდნილმა ძაგანიამ წყლის სურას თავი დაარტყა. სისხლი შიგ ჩაგუბდა ქალაში და მხოლოდ ცოტათი გამოუონა გარეთ. სურის მოტხილი თავიდან გადმოსული წყალი ქვეშ შეუდგა; გამოღვიძებულმა უსიამოვნოდ შეიგრძნო სისველე, გაცილებით უფრო უსიამოვნოდ, ვიდრე სიზმარში – სიზმარში ადამიანს ქვეშუნეულად კიდევა აქვს იმედი, რომ გაიღვიძებს, ეს იმედი ყოველთვის დევს გონების კუნჭულში სიზმრის გვერდით.

ცივ ოთახში გამოღვიძებულმა, სველში ჩამჯდარმა ძაგანიამ განსაკუთრებით კარგად შეიგრძნო ეს; უცებ გაასწორა დაბუჟებული ფეხები, სისხლი მიაწყდა კიდურებს და ჩხვლეტა დაუწყო. თავისდა სამწუხაროდ ძაგანიამ იგრძნო, რომ ძალა უბრუნდებოდა ფეხებში, რომ ისევ უნდა ამდგარიყო და საკუთარი თავისთვის თვითონ მოევლო. ო! რა კარგი იქნებოდა რომ ფეხები წართმეოდა საერთოდ და სულ უძლური ყოფილიყო ყველაფრის

წინაშე, მაშინ მარტო იოცნებებდა, მის მაგიერ სხვა რაღაცა იზრუნებდა მისი სიკვდილ-სიცოცხლისათვის, მაგრამ დიდი ხნის დაბუუბულმა ფეხებმა იგრძნეს თუ არა ძალა, ფეხზე ადგომაც მოითხოვეს; ძაგანია უსიამოვნოდ აიზლაშნა, რამდენიმე ნაბიჯი გააკეთა კედლის კენ და მოულოდნელად სწრაფად დაიწყო წინ და უკან სიარული, უცებ მთლიანობაში აღდგა მის თავში ცოტაშნის წინ ნანახი სიზმარი და ისე აღიქვა, როგორც ფიზიკური წყურვილი; ახლა მართლა მოწყურდა წყალი ძაგანიას, თვალები გაუფართოვდა, ნაბიჯს მოუმატა, წყალი თავწამტვრულ სურაში იდგა, რომელსაც თავი დაარტყა, კუფაზე ამოსულმა კოპმა უფრო შეაწუხა და კიდევ უფრო მოაწყურა. რატომდაც პირდაპირ არ მივიდა წყალთან, კიდევ რამდენიმეჯერ გაიარა კუთხიდან კუთხემდე, ახლა მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო ერთი გრძნობით: დაელია წყალი, დაელია წყალი, ოღონდ ცივი, გემრიელი და რაც შეიძლება მეტი, თვითონ არ იცოდა რატომ ყოყმანობდა; როცა თითქმის სავსე სურა იდგა კუთხეში. „მეყოფა კი?“ გაუელვა თავში, უცებ გაქრა ყველა სხვა შიში, გრძნობა, თურმე წყალი ნდომებია ძაგანიას, წყალი. აღტაცებულმა გააკეთა აღმოჩენა, აღგზნებული მივარდა კუთხეში, თავწამტვრული სურა აიტაცა, ხარბად დახედა წყალს, რატომდაც კიდევ შეისვენა და უცებ სულმოუტელად დაეწაფა, პირველი სურაში იყო ერთი ყლუპი ისე გადაყლაპა, რომ არავითარი სიამოვნება არ უგრძნია, ნაწლავები ხარბად იწოვდნენ სითხეს, ძაგანიამ

ამოისუნთქა და სიამოვნებით, სვენებით, ოღონდ ტუჩმოუშორებლივ განაგრძო სმა, წყალი მძიმედ გადადიოდა ყელში და უცებ დაკარგა გემო, ძაგანიამ პირდაბა მოიშორა სურა, ყელში ისევ იგრძნო რაღაცა სიგამხმრე „კოდევ გდომებია“, აღმოჩენისგან გახარებულმა ისევ მიიყედა და დადგა, უაზროდ დახედა სურას, რომელსაც წყალის ნახევარიც არ აკლდა. „წყალი კიდევ არის?“ – აღიქვა თავისთვის და უაზროდ წამოვიდა კედლისკენ. „ესეც ასე, ახლა აღარ მწყურია“ – რაღაცნაირი ნერვიულობით გააკეთა დასკნა და უცებ ინანა, ინანა რომ ასე დაუფიქრებლად, პირდაპირ მიიყედა წყალი და წყურვილი მოიკლა. ახლა ყველაზე ტებილად წარმოუდგა ის წუთები, როცა სწყუროდა და როცა თავისი თვალით ხედავდა, როგორ იდგა წყლით სავსე სურა კუთხეში, რომელსაც ყოველ წამში შეეძლო მოეკლა მისთვის წყურვილი. ახლა ძაგანია ისევ ცახცახმა აიტანა, მთლიანად დაეკარგა შიშის რაიმე კონკრეტული შეგრძნება, ისიც აღარ ახსოვდა რაზეც დილით ფიქრობდა მისი გონება; მექანიკურად იმეორებდა – „ესეც ასე... წყალი დავლიე შპგე“. ახლა, ახლა ფეხებს რიტმულად დაჰქონდათ იგი აღგზნებული თვალებით და ნერვიულობისგან აფერადებული ტიტეველა თავის ქალით, რომელიც შუბლთან ერთად მთლიანად იპყრობდა მის სახეს და მხოლოდ ქვევით, უმნიშვნელო ნაწილი ჰქონდა დათმობილი უფერულ, თხელ ცხვირპირს, თვალებს და პატარა ნიკაპს. მთელი ამ ხნის განმავლობაში იატაკს უყურებ-

და ძაგანია, მერე უცებ ასწია თავი მაღლა ჭერისკენ, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქმის მისი თვალებით მისსავე, ზემოდან წამომდგარ შუბლს უფრებდნენ, ძაგანია შუა ოთხში იდგა, მერე ნელა მოტრიალდა და სწრაფად წავიდა კართან მიღმული მაგიდისაკენ, ორივე ხელით დაჭიდა მას, უნდოდა ხელში აედო და ისე გადაედგა უკან, ძაგრამ ფეხები იატაქს ვერ ააცილა, მაგიდა ჭრიალით გაცურდა უკან და ტახტის წინ, ძველ ადგილზე დადგა. „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ვინ ჩამიდო ეს აზრი თავში, მაგიდა კარისკენ რომ მიმედგა, ანდა ურდული დამედო“, ის ანთებული მივარდა, უცებ ამოაძრო კარიდან ურდული; მერე ხელა, უხმაუროდ დაუშვა ადგილზე, „ღმერთო ჩემო, ვინმე რომ მოსულიყო და დაეკაკუნებინა, ხომ შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ძაგანია განგებ ჩაიკეტა, რომ ძაგანიას რამე აქვს, რომ ძაგანია ცუდი კაცია და მალავს, ყველაფერს მალავს“. მან გასაღები გადაატრიალა, კარი თავისით გამოიღო და „პადიეზდიდან“ შმორის სუნი შემოიტანა. ძაგანიამ ოდნავ გაჰყო თავი შიგ, იქ დილანდელიგით ბნელოდა, მხოლოდ ქუჩის პირა ფანჯარა იყო თავისთვის დღისით სინათლით განათებული, ისე რომ შიგ „პადიეზდში“ შექის ნატამალსაც არ უშვებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფანჯარა შეღებილი იყო ბაც რუხად და მიკერებული ბნელი „პადიეზდის“ კედელზე.

„პფი“ უცებ გაყო თავი, ტუჩები უშმაკურად დააელამა ძაგანიამ და შეუსტვინა – სანამ ექოს გაიგონებდა,

სწრაფად მიხურა კარი. გასღები ორჯერ გადაატრიალა, კარს მიაწვა. „ეს იყოს ჩაკეტილი“ – დაასაბუთა ჩაკეტვა საკუთარ გონებაში – „ეს იყოს ჩაკეტილი, საერთოდ კარს ერთი საკეტით ყველა კეტავს“. ამ დასკვნამ ცოტა დაამშვიდა ის და რაღაც ხუმრობის მსგავსიც კი მოუვიდა თავში, რამაც საგრძნობლად აამსუბუქა, მისი ძალად მოჭმუხნული სახიდან მხოლოდ ფარული შიშიღა დარჩა, რომელმაც დროებით მიიძინა, ძაგანიამ შუბლი გახსნა და კარადას მიეყუდა – „რა უცნაურია პეტრე, პეტრე რომ ყოველთვის პეტრეა“. თავისთვისვე გასაოცარი მსუბუქი აზრები მოსდიოდა თავში. „არა, რა მოყვა გუშინ“, ხი, ხი, ხი, ხეტა ვინ იყო ის სულელი,... რაც მართალია – მართალია, კარგი ანეგდოტი იყო, რა სულელი ხალხია ქვეყანაზე“. ძაგანიას ჩვეულებრივად ჰქონდა ყველაფერი მოყოლილი ცხოვრებაში გადაეტანა, ის ანეგდოტს ნამდვილ ამბად აღიქვამდა და მერე დიდხანს აწვალებდა ფიქრი, ვინ იყო ის სულელი, რომელსაც ანეგდოტი დასცინოდა, აფასებდა თავის ნაცნობებს და ვინმეს ადარებდა მას, ახლაც იმ ანეგდოტის გმირად თავად მისი მომგონი პეტრე დაისახა, „მარტო პეტრეს შეეძლო მაგის გაკეთება, სხვა ვინ იზამდა მაგ სისულელეს ხი, ხი“, ფიქრობდა თავისთვის.

ის გუშინ იყო, დახლოებით ერთი-ორი წლის წინ და მაშინ პეტრე მოყვა ანეგდოტს, რომელიც ახლა გაახსენდა ძაგანიას და რომლის შინაარსიც ასეთი იყო: ერთხელ თურმე (ძაგანიამ მაშინვე წარმოიდგინა ის „თურ-

მე“ რა დროს იყო) ხიდის თავში (ძაგანიას ეჭვი არ შეპარება, რომ ის ხიდი იყო ვირის ხიდი) ერთი კაცი იღრჩვებოდა და ყვიროდა, „არიქა მიშველეთ, მიშველეთ“, მეორე თურმე მივარდა და ვედრით დაიწყო მდინარიდან წყლის ამოღება (უეჭველად პეტრე იქნებოდა, აბა სხვა ვინა ისეთი მოხერხებული, რომ მტკვარი ვედრით დაშრიტოს; არ ვიცი, სწორე გითხრა, პეტრე კი უჭკუა, მაგრამ ეგ იმან იკითხოს, ვინც იღრჩვებოდა). ძაგანიას თვალწინ წარმოუდგა დაღრჩობა, როგორ იძრგვის კაცი და ვერ აღწევს ნაპირს. „ნეტა ვინ იყო? ნეტა ვინ იყო?“ — შეუჩნდნენ კითხვები, ა?“ — თქვა თავისდა მოულოდნელად და კარისკენ დაიხია. „ღმერთმა დამითაროს“, სამჯერ გადაიწერა პირველი ზედიზედ. „პეტრე ხო კაცი არ არის“ — მოულოდნელად გადაანთხია მთელი ჯავრი პეტრეზე, რომელსაც შეეძლო მისი ამოყვანა წყლიდან (წარმოიდგინა, რომ თვითონ იღრჩვებოდა უეჭველად), პეტრე კი, ხალხის გასაცინებლად და ანეგლოტის მოსაგონებლად ვედრით დაიწყო წყლის ამოღება მტკვრიდან. „ღმერთო დიდებულო, მტკვარს რა დამრიტავს“. ისე წამოახურა სახეზე ძაგანიას და მთელი არსებით შეზიზდდა პეტრე, რომელიც გულგრილად უყურებდა მის დაღრჩობას. წარმოიდგინა, ხიდის მოაჯირზე გამობმული ვედრით როგორ იდგა პეტრე, მერე ვედრას წყალში უშვებდა, ავსებდა თქაფანით, აპქონდა მალლა ის კი, ძაგანია, იღრჩვებოდა ქვეყით, — აფსუს — აფსუს — ვედრიდან წყალი იღვრებოდა და ერთი ათად

ემატებოდა მტკვრის წყალს. ზევით, ხიდზე კი ხალხი იდგა, ემატებოდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ, ხითხოთებდნენ, ხარხარებდნენ, ერთმანეთს ასხდებოდნენ მხრებზე, უფრო კარგად რომ დაქანხათ მისი, ძაგანიას საცოდაობა და პეტრეს უხამსი ოხუნჯობა, ძაგანიას ოფლმა დასხა, რამდენიმეჯერ სწრაფად გაზომა ოთახი, ასეთი აზრების გასაფანტავად თავი გააქნია და აივანზე გავარდა.

* * *

სწორედ ამ დროს მოდიოდა ზევიდან შაშა. თავის შუკაში შემოსული კედელს აეკრა და მიპარვით დაიწყო მოძრაობა თავისი სახლისკენ, თან ცალი თვალი ძაგანიას ფანჯრებისაკენ ეჭირა. ოთახიდან გამოვარდნილი ძაგანიას დამფრთხალი მზერა შეეფეთა მისას, წამით ორივენი გაჩერდნენ, მერე შაშამ ისეთი სახე მიიღო, ვითომ არც დაუნახავს ის და „პადიეზდში“ მიიმაღა.

ძაგანია დიდხანს, დაშტერებით უყურებდა იმ შავ ხვრელს, რომელშიაც შაშა გაქრა. ქუჩაზე სრული სიწყნარე იდგა, ჯერ ისევ ძალიან ადრე იყო, მარტო, უკაცურ ქუჩაში, თანაც მეორე სართულის აივანზე დარჩენილი ძაგანია შიშმა იატანა, ამ სიმაღლეზე, სიცარიელეში ის ისე იყო გამოკიდებული, როგორც სამიზნე, სწორედ ასე დალაგდა მის გონებაში ახალი შიში. ერთხელ კიდევ სცადა მოპირდაპირე „პადიეზდის“ სიბნელეში რამე დაენახა, მერე თვალები ზევით ასწია, ვითომ იქ არ იყურებოდა და არც აინტერესებდა იქ რა ხდებოდა, შეუმჩნევ-

ლად დაიწყო შემობრუნება ოთახში შესასვლელად, მაგრამ უცებ კუფა აექავა და ზურგიდან ღალატის, ზურგიდან სროლის საშინელმა უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. ფეხსაკრეფით დაიწყო უკანუკან წასვლა, უკან გაწეული ხელები შეაშველა კარს, ხელებზე ტანი მოიზიდა. ის ოთახისა და ქუჩის საზრვარზე იდგა, ახალმა შეუცნობელმა შიშმა შეიპყრო მისი სხეული, ახლა ის შიში მოდიოდა ოთახიდან და კუფას უწვავდა.

ერთი მთლიანი მოძრაობით შეხტა ტა ოთახში, უცებ მიტრიალდა მისი სიღრმისკენ და ქშენით მიეყუდა ქუჩის მხარის კედელს.

უცებ ნერვიულმა ღიმილმა მოუბრიცა სახე „ჰე, ჰე, ნეტა ვინ გერჩის“ — უკბინა მის გრძნობას რაღაცამ და უცებ მოეშვა მისი სხეული. საიდან-დაც გულის სიღრმიდან ამოვორდა ის შიშმი, რომ შესაძლოა მას მართლა არავინ არ ერჩის და ის ამ შიშმიც კი სულ მარტოა.

კარიდან შემოსული სინათლე უკვე კარგად ანათებდა მის ოთახს. ეს ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ მარცხენა კედელთან იდგა ტახტი და მაგიდა, რომელიც წელან უკან გადადგა კარიდან, თითქმის ჭერთან მის პირდაპირ, მეორე ოთახის კარს ზემოთ, მისი ოჯახის სურათი ეკიდა. სურათი უკვე ძველი იყო, გაყითლებული, მუხის მძიმე ჩარჩოში ჩასმული, უშუშოდ, მრგვალი, ღრუბლისმაგვარი ნესტის რგოლებით. სურათზე აღბეჭდილები იყვნენ მისი დედ-მამა, რომლებიც იდგნენ მათ წინ, სკამზე იჯდა თვითონ ის — ძაგა-

ნია. წლოვანებითაც პატარა, დაბლა სკამზე დამჯდარი ბავშვი სულ ერთი ბეწო ჩანდა ზევიდან დაყუდებულ დედმამასთან შედარებით; მიუხდავად ამისა, სურათის პირველივე შეხედვისას მხოლოდ ის გეცემოდათ თვალში, ისეთი საოცარი იერი ჰქონდა მის დიდ თავს, რომლის ქვევიდანაც ძლივს მოჩანდა ცხვირპირი და სახე. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო თითქოს მკრთალი ცხვირის კონტური და დაკუმული ტუჩები, რომლებიც რაღაცნაირ სასოწარკვეთილებას, უნდობლობას და შიშს გამოხატავდნენ ყველაფრისადმი, რაც მათ გარშემო ხდებოდა. ოთახის მოწყობილობას ემატებოდა ორი მასიური მუხის სკამი, მაღალი ზურგებით, ერთზე კიდევ იყო დარჩენილი მსაჯულის გერბი, მეორისთვის აღრევე მოეძროთ, ისინი ისე იდგნენ, რომ ეტყობოდა მათზე არასოდეს არავინ არა ჯდებოდა. ყველაფერი ეს ინახებოდა უჩვეულო სისუფთავეში. გაპრიალებულ იატაგზე ჩანდა აღრე დაღვრილი წყლის პატარა გუბე და სურის ძირის ნაწილი; ძაგანია სწრაფად მივიდა სურასთან, ნერვიული მოძრაობით გადადგა მაგიდაზე, მერე ტილოს სტაცა ხელი და დაღვრილი წყლის მოწმენდა დაიწყო. შემდეგ ისევე ფაცაფუციო მოწმინდა ყველაფერი, რაც ისედაც სუფთა იყო და დაღლილი, სკელი ტილოთი ხელში, მიეყუდა ისევ იმავე კედელს.

ასეთი ხაზგასმული სისუფთავისაგან განსაკუთრებით ცივი და არამყუდრო ჩანდა მოელი ოთახი, რომლის ერთ კედელთან იდგა ძაგანია და

გულზე მიკრულ ჭუჭყიან ტილოს ჭმუჭნიდა. მისი თვალები რაღაც ახალი ძალით ანთებულნი ელავდნენ, რომელსაც წმენდისგან გამოწვეული ფიზიკური დაღლაც ემატებოდა.

დიდხანს იდგა ასე ძაგანია, უმოძრაოდ, უფიქრებლად, მთელ მის არსებას უზომოდ უნდოდა რომ ეს უგრძნობელი დგომა უსასრულობამდე გაგრძელებულიყო, მაგრამ მივიდა თუ არა მის გონებამდე აზრად ჩამოყალიბებული – ასეთი დგომისაგან გამოწვეული სიამოვნება, შეგრძნება – „რა კარგია ასე დგომა, უფიქრებლად“, მან სიამოვნების ზღვარი განიცადა და ისევ დაიწყო აფორიაქება – „ნეტა, როდემდე ვიდგები ასე, ნეტა, დიდხანს გაგრძელდეს ეს“. გონებით ცდილობდა სიამოვნების გაგრძელებას. „რა?!“ – უცებ წერტილივით შეეკითხა ვიდაცა. „არაფერი, არაფერი“, თავისთვისვე მოულოდნელად, სრულიად წყნარად თქვა მან და მეორე ოთახისკენ წავიდა. არც შეუხედავს შიგ, ისე შეისროლა ჭუჭყიანი ტილო. ამ ოთახში ისევ ბნელოდა, იქ ბნელოდა ყოველთვის. იქ დიდხანს დარჩენას ყოველთვის ერიდებოდა ძაგანია, მისთვის სრულიად საკმარისი იყო ხელი შეეყო შიგ, რომ ეპოვა ის ნივთი, რომელსაც ეძებდა, რაც იმ წარმოუდგენელ არეულობაში, იმ ოთახში რომ სუფევდა, არც ისე ადვილი იყო, იმ ოთახში ინახებოდა მთელი მისი განძულობა: დამტვრეული სკამები, მაგიდა, კარადა, ორი სკივრი – გამოტენილ მშობლების ტანსაცმლით, ბალიშები, მათი ლეიბები, დიდი სარკე, რომელზედაც შავი სუდარა იყო ჩამო-

ფარებული დედის სიკვდილის დღიდან, მაგრამ ძაგანიას აღვზნებული გონება მაინც ხედავდა თავის გამოსახულებას ამ სიბნელეშიც, ოღონდ პატარას, ისეთს, როგორიც იყო დედ-მამის სიცოცხლის დროს და ყოველთვის ცდილობდა ჩქარა გამოსულიყო იქიდან, დაეტოვებინა ანგრეული ქვაბები, იატაზე დაყრილი ჭურჭელი, ნავთქურა, ჭუჭყიანი ტილოები და შეფარებოდა სუფთა, ცივ ოთახს. როცა აქეთ, სიცარიელეში იჯდა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა ძაგანია, როგორ უყვარდა და რა სითბოთი იზიდავდა ის ანგრეული ოთახი თავის ნაცხოვრები სითბოთი, რომელშიაც სიამოვნებით გაატარებდა მთელ სიცოცხლეს და რომელშიაც ერთი წამითაც კი ვერ ძლებდა. ძაგანიას თავისდა შეუგნებლად ეშინოდა დაეკარგა ის ერთადერთი იმედი ოდესლაც მყუდრო ცხოვრების მოგონებისა, რომელსაც იწვევდა ის პატარა, ანგერული ოთახი.

ახლაც აქეთ ცარიელ ოთახში გამოსული ძაგანია მთლიანად შეცვლილი ჩანდა ანგრეულ ოთახში ყოფნის შემდეგ. ასეთი შეცვლა იმ ოთახის ნახვით, მის ბუნებაში ყოველთვის შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით – მღელვარე დღეებში. ამ დროს ჩვეულებრივ ის კარგავდა შიშის გრძნობას, რომელიც ყველაში გარკვეულ წინააღმდეგობის გრძნობასთან და თავდაცვის სურვილთან არის დაკავშირებული; ახლა ამ ორმა უკანასკნელმა შეგრძნებამ დატოვა ძაგანია, ის უცებ გახდა ბედის მორჩილი, მისმა არსებამ დაუშვა ცუდის ყველაზე, უკანასკნელი ზღვარი; მისთვის სულ

ერთი იყო გინდა ახლა დაეხრჩოთ კიდეც იგი, ის შეიპყრო რაღაცა დიდის და მარადიულის შეგრძნებამ, რომელიც დაკავშირებული იყო მის დჯე-მამასთან, მის ბავშვობასთან – რის დავიწყებაც არ შეიძლებოდა, ისევე როგორც, რომ ამ ქეყნად ცხოვრობდა ოდესმე თვითონ ძაგანია, რაც არ უნდა შემთხვეოდა მას მაინც, და ამ ფაქტის ამოშლა არ შეიძლებოდა არც მისი მოკვლით, ისევე როგორც ამ ფაქტის ზედმეტი დადასტურება სრულიად უსაფუძვლო იყო, რამდენიც არ უნდა უცხოვრა მას.

მოშვებული, მხრებში მოხრილი გამოვიდა იგი ოთახის შუაში, ჩამქრალი სახე შემოატარა იქაურობას. საოცარი სიკეთით გაჩერდა დედ-მამის სურათზე და რამდენადაც შეეძლო კეთილდად გაუღიმა რაღაცას. მერე ასე-თივე სუსტი, არაამქეყნიური მოძრაობით წავიდა დიდი, მაღალი ზურგიანი მუხის სკამისკენ, რომელიც მეორე სკამის გვერდით იდგა შიშველა კედელთან და რომელსაც მსაჯულის გერბი ჰქონდა შერჩენილი, მოუხერხებლად ჩამოჯდა მის კიდეზე. სულ ერთი ბეჭო, წერტილივით ჩანდა ნახევრად ბნელ, ცარიელ და სუფთა ოთახში უზარმაზარი სკამის კიდეზე მჯდარი ძაგანია, რომლის მიმქრალ თვალებში მოგონებებისაგან გამოწვეული ნაპერ-წერი (არა საშიში და მშვიდი), ჩანდა. ეს მოგონებები მოიცავდნენ მის წარსულს, ბავშვობას, დედ-მამას, მის აწმყოს და მის მომავალს, და საერთოდ – ყველა მომავალს, რომელსაც ის უყურებდა ახლა, როგორც უკვე დიდი

ხნის წარსულ ამბავს – სწორედ ამიტომ იყო მთელი მისი არსება უზომოდ დამშვიდებული.

* * *

ბაგანიამ თავისი ბავშვობა გაატარა იქითა, პატარა ოთახში ისე, რომ მხოლოდ მონაყოლით იცოდა აქეთა დიდი ოთახის არსებობა, რომლის კარის ფანჯარაც ნათელ აივანზე გადის. პატარა ოთახის კართან, რომელიც ახლა ამ ოთახს უკავშირდება, ჩამოფარებული იყო ჩრჩილისაგან შეჭმული ოთხეუთხა, ფიგურებიანი ფარდავი. მის მეხსიერებაში ახლაც იყო ჩარჩენილი, როგორი ცნობისმოყვარეობით იყურებოდა იგი გამოჭმულ აღგილებში, რომლის უკანაც რაღაც მასიური და შავი, აბლაბუდის ქსელით დაფარული მოჩანდა. ამას ბავშვი ყოველთვის მარტო აკეთებდა, როცა მას არავინ არ უყურებდა, გვიან დამით, როცა ყველას ეძინა, ან დღისით, დედის არყოფნის დროს. მამა ძაგანიასთვის თითქმის არ არსებობდა. ეს კაცი თხელი, მოშვებული წვერით არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ოჯახის ცხოვრებაში. ის დღეში ორჯერ ჩადიოდა ეზოში, ფანჯრიდან თითქმის შვეულად ჩაშვებული კიბით, რომელიც ხალხმრავალ ოთხეუთხ ეზოში ჩადიოდა. (ძაგანიანთ ძველ ოთახს ცალკე შესასვლელი არა ჰქონდა, კარის გაჭრა კი რატომლაც ვერ მოხერხდა. თითქმის აღარავის ახსოვდა როგორ შემოსახლდა მათი გვარი ამ ოთახში, საიდან აიტანეს მუხის უზარმაზარი „შიფონერკა“, კომოდი და ხის საწოლი, როდის გად-

მოუშვეს კიბე და დაიწყეს მასზე სიარული), დანარჩენი დრო მამა წამოწოლილი უყურებდა ჭერს, მთელ მის მოვალეობას შეადგენდა თავი ექნია ცოლის ყველა სიტყვაზე, ის რაღაც შინაგან სიამოვნებასაც კი განიცდიდა, როცა ვინმეს ეთანხმებოდა; მთელი დღე მარტო იყო შვილთან ერთად გამოკეტილი ოთხ კედელში. სამუშაოზე დილით წასული ცოლი გვიან დამით ბრუნდებოდა შინ და მოუსვენარი სიცოცხლით აფორიაქებდა ოჯახს. ყველანი ცდილობდნენ რაც შეიძლება ხმამაღლა ელაპარაკათ, რადგან მარტო ყოფნისას მამა და შვილი მხოლოდ ჩურჩულით სცემდნენ ხმას ერთმანეთს. ეს სიჩუმე, რომელიც გადაშენების, სისწყლის შეგრძნებას იწვევდა, დიასახლისზე დამამცირებლად მოქმედებდა ისც, რომ ყოველ დილით მეზობლების დასანახად გრძელი კიბით უნდა ჩაშვებულიყო ეზოში, ამიტომ იყო, რომ შინ დაბრუნებისას ხაზგასმული მაღალი ხმით ჰყებოდა აშ्वებს, ხელოვნურად უწევდა ოჯახს სიცოცხლისუნარიანობას, რაც მამა-შვილში ისედაც იყო საოცრად დიდი რაოდენობით, ოღონდ ფარულად, შეუცნობლად. ლაპარაკის ძირითადი თემა ყოველთვის ის იყო, რომ მათი ოჯახი ერთ დროს ორივე ოთახს ფლობდა და „სუფთა ჰაერით სუნთქავდა“ – რასაც განსაკუთრებით ხაზს უსვამდა დიასახლისა. „სუნთქავდა, სწორედ სუნთქავდა“ – კვერს უკრავდა საწოლზე წამომჯდარი მამა. „ჰოდა, ახლა“, – განაგრძობდა დედა, – „ფანჯარაზე კი არ არის საქმე, ან ჰაერზე, მთავარი ის არის, ვინ გყავს მეზო-

ბლად. მაგისთანა ბინძური ხალხის გვერდით“ – ეს სიტყვები ითქმებოდა განსაკუთრებული პათოსით, რომელსაც დანაწევრებული, ხაზგასმული მარცვლები მოსდევდა – „აყრო-ლე-ბუ-ლების, და რაც მთავარია, უსინ-დი-სო-ების“. „ნადვილად, რომ უსინდისოების“, – გაბრწყინებული თვალებით იქნევდა მამა თავს, მაგრამ კარგად რომ დაკვირვებოდა კაცი, შეამჩნევდა, მის აზრებს არავითარი კავშირი არა ჰქონდა მის სიტყვებთან. მისთვის ავადმყოფურობამდე სულ ერთი იყო, ვინ ცხოვრობდა იქით, მას შხოლოდ უნდოდა – დათანხმებოდა რაღაცას, რადგან იგი საერთოდ ყველაფრის თანახმა იყო, ოღონდ არ ყოფილიყო უთანხმება, ოღონდ ყოფილიყო მის გარშემო მისგანვე შექმნილი სიმშვიდე და ეს სიმშვიდე არ დარღვეულიყო მისკენ მიმართული პირადი შეურაცხყოფით, რაც ჩვეულებრივ, მხოლოდ გულს ტკბნდა ხოლმე მას იმითი, რომ მისი არ ესმოდათ, მისი არ ესმოდა არავის – ეს არ იყო ტრაგედია მისი არსებობისათვის, მაგრამ ისევე როგორც ყველაზე ნერვიულ კაცს აქვს წუთები, როცა ის საოცრად შშვიდია – მასაც ჰქონდა აღელვების წამები. ამ წამების დროს ის საწოლზე წამომჯდარი დაშტერებით უყურებდა პატარა შვილის მახინჯ სხეულს, რომელზედაც წამოსკუპებული დიდი თავი, მიუხედავად მოჩვენებითი უმოძრაობისა, ერთი წამით ვერ ისვერებდა. ამ სხეულს ჰქონდა მამის შინაგანი სიმშვიდის გარეგნული გამოსახულება და დედის შინაგანი თუ გარეგნული მოუსვენრობა

სადღაც ღრმად, მაგრამ საფუძვლიანად დამარხული. აღელვების წუთებში მამა უყურებდა, როგორ მიძვრებოდა ბავშვი მაგიდაზე, რა წვალებით ათრევდა სამუჟესა სკაშს, როგორ ფორთიხდებოდა ზედ და როგორი დაშტერებით იყურებოდა ფარდის იქით, ჭუჭრუტანაში. მაშინ მამას თავის გარშემო მდგარ აბსოლუტურ სიჩუმეში თითქმის ცხადად ესმოდა დედის სიტყვები – „ის ოთახი ჩვენი იყო, ის ისევ უნდა დავიბრუნოთ, იმ ოთახის კარი ნათელ, დიდ აიგანზე გადის“ და უფრო აღელვებით – „წარმოგიდგნიათ, ჩვენი საკუთარი კუბოს გასატანი ადგილიც კი არა გვაქვს, პო, კუბოს გასატანი ადგილი არაა. „ეს კარგია, რომ გადის, ნამდვილად გადის“ – წამიერი დაძაბვის შემდეგ მშვიდად ეთანხმებოდა მამა ხმებს. არაჩვეულებრივად უმართლებდა მას ასეთი გამოგონება, დათანხმებამყოლის პოლიტიკა საკუთარ თავთან, სწრაფად იკრეფდა სულიერ სიმშვიდეს და უკვე აღარ უყურებდა, რა წვალებით ჩამოდიოდა შვილი უკან, რა სახით იჯდა იატაკზე ან კიბესთან და რა მოუთმენლობით ელოდა დედის მოსვლას, რომელსაც დაუსრულებელი მასალა ჰქონდა მოსაყოლი იმ ოთახის ღარიბების და შიგ მაცხოვრებელი ხალხის სიბოროტის გამო. მონაყოლი იმ ოჯახის სიბოროტის შესახებ ძაგანიაში გროვდებოდა როგორც ერთი მთლიანი ცნება ცუდი ძალის, რომელსაც უნდა ებრძოლოს და რომელზეც ის უეჭველად გაიმარჯვებს.

თოთხმეტი წლისამ შეგირდად დაიწყო მუშაობა. დადიოდა მარტო,

თავისი თავის პატრონი: დილით ადრე ჩამოიპარებოდა ლანდივით კიბეზე და ღამე, როცა ყველას ეძინა, აი პარებოდა უკან; მეზობლებს საერთოდ დაავიწყდათ კიდეც მისი არსებობა, იმდენად უნახავი გახდა დედ-მამის სიკვდილის შემდეგ. ძაგანიას კი ახსოვდა. ყველა ახსოვდა და ყოველდღე, დაწოლის წინ, გონებაში იმეორებდა მათ სახეებს: პეტრემ, დიდმხრებიანმა მოხუცმა საკუთარი თოკი მოიტანა კუბოს ფანჯრიდან დასაშვებად, თვითონვე შეუდგა ქვევით დაშვებულ დედის კუბოს და დაქირავებულ ფურგონამდე მიიტანა მარტომ. ზევიდან დაშვებაში მესაფლევები ეხმარებოდნენ, მათი დიალოგი სამუდამოდ ჩარჩა გონებაში ბავშვს. დედის კუბოს ჩაშვების შემდეგ მამის კუბოს ეძგერნენ – „ჩქარა, ჩქარა“, – აჩქარებდა ერთი მეორეს – „დღეს კიდევ სამი გვყავს დასამარხი“. ბავშვს ვერაფრით ვერ წარმოედგინა, რომ ამ დღეს სხვისი დამარხვაც და საერთოდ ხმამაღლა ლაპარაკი შეიძლებოდა, მაგრამ მათი სიტყვები მაშინ არ აღწევდა მის გონებამდე, ისინი მხოლოდ იბეჭდებოდნენ, რათა შემდეგ აღმდეგარიყვნენ მის სულში და მოსვენება დაეკარგათ მისოვის. „ვა, რა სიმძიმეა ეს მამაძაღლი, წინა ბუნბულივით იყო...“ „ლობიო ექნებოდა ნაჭამი სიკვდილის დღეს...“ ბავშვს ეს ფრაზაც დაამახსოვრდა და ზოგჯერ ახლაც გულუბრყვილოდ დეტალურად იგონებდა დედ-მამის გარდაცვალების წინა დღეს. უნდოდა გაეხსენებინა, მართლა ჰქონდა ნაჭამი ლობიო მამას თუ არა. „ჰა, დაუშვით“, – მოისმა ქვევიდან პე-

ტრეს ხმა. მესაფლავები ერთად ეტაკნენ, იდაყვებამდე ძლიერს აიტანეს მძიმე კუბო, ფანჯრამდე მიათრიეს და დადგეს. ძაგანია საწოლის შუაში იჯდა და ყურადღებით ადევნებდა საინტერესო ამბავს თვალყურს. „მოდი ესეც გავაყოლოთ, ამქვენის ფერი მანც აღარ აქვს“ – ეხუმრა ერთი მეორეს და ორივემ ხმამალლა გაიცინა. სიცილი პატარა ოთახში დაგუბდა, ძაგანია მიიყუეა და აკანკალდა, ახლაღა მივიდა მის შეგრძნებამდე, რომ შეიძლებოდა ისიც პატარა ბავშვი აღარ ყოფილიყო და მაშინ მასაც ისევე გადაიტანდნენ ფანჯრიდან, როგორც მის მშობლებს – სიცილით და ლანძღვით. ლოდივით მძიმედ, კერპად ჩაჯდა ბავშვის გულში რწმენა, რომ თავის კუბოს ფანჯრიდან გადატანის საშუალებას არავის არ მისცემდა. „ერთით... ორით... სამით...“ – თვლიდა ერთ-ერთი მათგანი. მესამე დათვლაზე უცებ ასწიეს კუბო, ერთმა მათგანმა სტაცა მობმულ თოქს ხელი, მეორეს კი აუცდა იგი წაჭრილი თითებიდან და გასხლეტილი კუბო თავისით გადაეშვა ფანჯრიდან; კუბო, პირველის თოკზე გამობმული, ჰაერში ეკიდა, როცა ცხედარი უკვე ძირს ეგდო, ტლაპოში – გულაღმა, მძიმე, შშვიდი, ოდნავ გაოცებული სახით, რასაც დაცემისაგან მიღებული, წარბზე გადასული ჭრილობა სძენდა, გაოცებული, რომ ეს წყნარი კაცი ასე უკადრისად, სულსწრაფად გადაუშვეს. ქვევიდან კივილი მოისმა. ერთი მესაფლავე სწრაფად დაეშვა კიბეზე. მეორეს თოკი ეჭირა. ახლა მოელი ეზო იცინდა, ძაგანია მიხვდა ყველაფერს, მიხვდა

რატომ დაიკივლეს და რატომ იცინოდნენ. დაცარიელდა მისი ოთახი, დაცარიელდა ეზო და მარტო დარჩენილ ბავშვთან შეანათა დამებ – საშიშმა, უცნობმა, ახალმა თავისი სიმარტოვით. დიდი ლოგინის შუაში ეგდო და ციებცხელებისაგან კანკალებდა დიდთავა ბავშვი ძაგანია. იმ დღის შემდეგ მის გონებას დაეპატრონა აზრი, რომ ის იცხოვრებდა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი კუბო არ გადაეშვათ ისევე სამარცხინოდ, მეზობლების სასაცილოდ თუ დასაცინად, არამედ გაეტანათ ჩვეულებრივი გზით და თან სწორედ იმ „პადიეზდიდან“ და იმ ოთახიდან, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდა დედამისი. იზრდებოდა ძაგანია და ნელნელა დემონურად იპყრობდა ეს აზრი, მაგრამ დიდხანს, ძალიან დიდხანს აზრის იქით არ წასულა მისი განზრახვა... იმდენად ძლიერი იყო მის გულში ეს სურვილი, რომ იგი დიდხანს არ დაინტერესებულა იმ ხალხის ბედით თუ ვინაობით, რომლებიც მის გვერდით ცხოვრობდნენ. მისთვის ცხადი იყო მათი სიცუდე და მათ მიმართ მხოლოდ მტრობას გრძობდა. მტრობას, რომელიც მათი დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო. იმდენად ბრიყვული და თვითდაჯერებული იყო გამარჯვების რწმენა მასში, რომ თითქმის მარტო მაგიტომ გაიმარჯვა ყოველგვარი ზედმეტი, მოგონილი ცდების გარეშე. ერთ დღეს ძაგანიამ შურით შენიშნა, რომ იმ „პადიეზდიდან“ კუბო ჩამოჰქონდა ოთხ კაცს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. უცებ წარმოუდგა დედ-მამის გასვენება, საკუთარი თავი მათ მდგო-

მარეობაში და უკან მოუხედავად გაუყვა ქუჩას; მეორე წელს ისევ ჩამოიტანეს კუბო იმ „პადიეზდის“ ფართო კიბეზე – მშვიდად, ჩუმად, მოწყენილი სახეებით, რამაც სულ დაუკარგა მოსვენება მას; დრო კი მიღიოდა და ისევ იმ ოთახში ცხოვრობდა. დრო მიღიოდა და ძაგანია გრძნობდა, რომ შეიძლებოდა ისიც ფანჯრიდან გადაესვენებინათ. ამან განსაკუთრებით შეაწუხა აკადმოფობის შემდეგ, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა და ლოგინს მიაჯაჭვა იგი. საშინელი კოშმარები ესიზმრებოდა ღამე:

... როგორ ისროდნენ მას მაღლა, გაქანებით – ერთი, ორი, სამი, პირდაპირ ფანჯარაში, როგორ ელოდნენ პირდალებული მეზობლები მის ვარდნას. მაგრამ მათ ჯიბრზე ის არ ეცემოდა, არაადამიანური ენერგიის დაძაბვით იკავებდა სხეულს ჰაერში და იდგა ასე, ვიდრე ისინი უყურებდნენ. ისინი უყურებდნენ დღისითაც, ღამითაც, მერე ადგილებზე ეძინებოდათ. მაშინ უდუნდებოდა ძაგანიას სხეული, დაჭიმული ძარღვები უსკდებოდა და სისხლში შერეული ოფლი რწყავდა მის ტანს, რომელიც მოცელილივით ვარდებოდა მოუკირწყლავ ეზოში...

ვარდნით გამოწვეული ტკივილისაგან ეღვიძებოდა აკადმყოფ ძაგანიას, საწოლში წამომჯდარი კიდევ დღიძეანს ხედავდა მეზობლების გაბრწყინებულ სახეებს, რომლებიც ხითხითებდნენ, ხარხარებდნენ, ხტოდნენ, მერე მის მზერას ვეღარ უძლებდნენ და ჩუმად იპარებოდნენ. „მე კიდევ ცოცხალი ვარ“ – ხმამაღლა, საკუთარი ეჭვების გასა-

ფანტად იძახდა ძაგანია და ახალი, ცოცხალი ეჭვები ღრღნილნენ მის გულს – თუ ახლა თვალებმა იხსნეს ის დაცინვისაგან, რა იხსნიდა მას სიკვდილის შემდეგ?“ კიბიდან, შენი კუბო კიბიდან უნდა ჩაასვენონ“ – უმეორებდა მას შინაგანი ხმა და უზარმაზარი ხანგრძლივი ბრძოლისათვის ემზადებოდა მისი სხეული. ამ დროს ის უკვე ორმოცს მიღწეული კაცი იყო. ავადმყოფობის შემდეგ სულ შეიცვალა ის გარენულად – დიდი, საშიში, მახინჯი თავი თითქოს გაუთხელდა, ზედ შლაპა დაიფარა, ტანისამოსი გამოიცვალა, ადრე დაიწყო სახლში დაბრუნება და ზოგიერთ მეზობელთან გამოლაპარაკებასაც კი შეცადა. უცებ გამოჩნდა მასში მეორე ბუნება – ლაპარაკის მოყვარული, ნერვიულად მხიარული და წარმოიდგინეთ გულუხვიც კი.

აქამდე თითქმის მივიწყებულმა, საშიშმა და გამოუცნობმა – უცებ მოიპოვა მეზობლების კეთილგანწყობა, რადგან ადამიანი ყოველთვის მოხარულია რაიმე ახლობელი და ნათესაური შეიგრძნოს იმაში, ვისაც განსხვავებულად და მიუწვდომლად თვლიდა, რა მხრივაც არ უნდა იყოს ეს, მეზობლებმა სწრაფად დაივიწყეს ძაგანიას წლობით სიჩუმე, სიმარტოვე და ერთგვარი ქებითაც დაიწყეს მასზე ლაპარაკი, აღარც კი ახსენებდნენ როგორი იყო ერთ დროს. ახლა ის ხშირად იჯდა შუა ეზოში, თამაშობდა ნარდს და საუბრებში ჩუმად აგროვებდა ცნობებს იმ ოთახში მცხოვრები ხალხის გარშემო და ეს ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, რომ არავის, წარ-

მოიდგინეთ თვითონაც კი ეფანტებოდა ეჭვი – როგორი არაადამიანური გეგმა იყო დამზადებული მის გულში.

და აი, დადგა ის დღე, როდესაც მაგანიამ აჯობა ყველა სხვა გრძნობას და მიუკაკუნა იმ ოთახს, რომელსაც მხოლოდ წარმოდგენით იცნობდა. კარი შუახნის, შავებში ჩაცმულმა ქალმა გაუდო. „მობრძანდით“, – თქვა მან წყნარად და ოთახში შეუძლვა. მაგანია უხმოდ შეჰყვა და მიჯაჭვულივით გაჩერდა ზღურბლთან, მას ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი საოცარი დამთხვევა შეიძლებოდა ყოფილიყო მის გონებაში შექმნილ ოთახსა და ნამდვილს შორის, ის გაშტერებული უყურებდა ტახტს, რომელიც კედელთან იდგა – ამ ხარვეზის გამოსწორება იმავე წამს შეიძლებოდა, როცა მაგანია აქ შემოსახლებოდა – ტახტს უზარმაზარი ოთახის შუაში დადგომდა. „აი, აქ იდგა კუბო“, უტრიალებდა მას თავში, „აქ კარგი ადგილია, აქ იდგება ჩემი კუბოც“ – გაიმტკიცა აზრი, უცებ მოავლო თითქმის ცარიელ ოთახს თვალი და სტუმრის უცნაური ქცევით შეშინებულ დიასახლისს გაუღიმა. „მაგანია, თქვენი მეზობელი“, – გაუწოდა მან ხელი. ქალმა უხერხულად გაუწოდა თვისი მარჯვენა – „დაბრძანდით“, – თქვა მან, „ახლავე, ახლავე“, – მაგანია დაფაცურდა, გულისჯიბიდან ფოჩიანი კანფეტები ამოიღო, იატაკზე წამომჯდარ პატარა შაშას გაუწოდა – აიღე, ტკბილია, – თქვა მან და განაგრძო – ალბათ გიკვირთ, არა, ჩემი მოსვლა, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, იტყვით, როგორ მოვიდა ეს კაცი დაუპატიჟე-

ბლად, არა? მაგრამ თქვენი ქართველური სტუმარომოყვარეობა ნებას არ გაძლევთ გამავლოთ, არა? აი, კანფეტი. პატარა, რა გქვია შენ? – პატარა უაზროდ უყურებდა – შაშა ჰქვია – ძლივს გასაგონად თქვა დედამ. ძაგანია სკამზე ჩამოჯდა – შაშა, ჰმ, მშვენიერი ბავშვია, იცით რა მე ამდენ ბოდიშს არ მოვიხდიდი არასოდეს, გარწმუნებთ, არასოდეს, რომ გარკვეული საქმე მქონოდა თქვენთან, გარდა იმ ქრისტიანული, მე ვიტყოდი – ნამდვილი ქართული კეთილი გრძნობისა, რომელიც მეზობელს ავალებს ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში მყოფ თავის ახლობელს. ო, ძალიან გთხოვთ, ნუ მიწყენთ ზღდტეტად გულახდილობას, მე თქვენი მდგომარეობა მშვენივრად მესმის, ამ ასაკში დაქვრივება, ორი ბავშვი, თითქმის ახალგაზრდა დედა, ჰმ, ჰმ, მხოლოდ მეზობლობით, მერწმუნეთ, მხოლოდ მეზობლობით... რა ვქნა, ასეთია ჩემი ბუნება, სიკეთე, დიახ სიკეთე... ჰმ, ჰმ, არ გეგონოთ ხაზს ვუსვამდე, მე ისევ ბავშვებისთვის მხოლოდ – ძაგანიამ ოქროს თუმნიანი ამოიღო, სწრაფად დადო მაგიდაზე და უცებ აარიდა თვალი, რომ ძალიან არ დანაწებოდა, ისევ უცებ მოათვალიერა ოთახი და სანამ ქვრივი მადლობის თქმას მოასწრებდა ოთახიდან გავიდა. „პალიეზდის“ კართან ნარდის ახლადგაცნობილი პარტნიორი შეეგება. „სად იყავი, ქვრივთან?“ – ეშმაკური ღიმილით ჰკითხა მან. „რა ვიცი“, – მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ძაგანიამ, იმან თვალი ჩაუკრა და ერთმანეთს დასცილდნენ.

ამ დღის შემდეგ კიდევ რამდენ-იმჯერ მოინახულა ძაგნიამ ქვრივი და ბავშვები და ყოველთვის ცდილობ-და უკან ჩამოსვლისას რაც შეიძლება მეტ ხალხს დაქასა. ამასობაში ქვრივის სახლში გარკვეული სხვისი გავლენის ქვეშ მოქცეული ატმოსფერო შეიქმნა, იმ სხვისი ეშინოდათ აქ, მით უფრო ეშინოდათ, რაც უფრო მეტი სიკეთის გაკეთებას ცდილობდა ის. ბოლო ხანებ-ში თითქმის კეთილი მეზობლის ხარ-ჯზე მცხოვრებმა ქვრივმა ვერაფრით ვერ აიძულა თავი – მაღლობის გრძნო-ბით გამსჭვალულიყო მისდამი, რაღაც გამოუთქმელი შიში, დაეუფლა მის არსებას, შიში რომლისადმი ყოველგ-ვარი წინააღმდეგობის გაწევა უშედევო იყო. ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ ბრუნდებოდა უკან ძაგანია, „პადიეზდ-თან“ გაიოზი იდგა ბურთით ხელში, მან ფოჩიანი კანფეტი მიაჩეჩა, გაიოზი გაიქცა ქუჩის ბოლოსკენ, თან ენას უყოფდა მას და მის მიცემულ კან-ფეტს ჭამდა. „ახ, ასე?!... მოულოდ-ნელად გაბრაზდა ძაგანია და თითქოს-და ახლა მოაგონდა მთელი თავისი გეგმები, სწრაფად მოტრიალდა, უცებ ავარდა კიბეზე და დაუკავუნებლად შევარდა იმ ოთახში, საიდანაც სულ ორი წუთის წინ გამოვიდა.

ქვრივი ნახევრადგახდილი იდგა შუა ოთახში და გაკვირვებული უყურებდა შემოჭრილ მეზობელს, მერე თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა, შავ კაბას ხელი სტაცა და გულზე აიფარა, „აქედან გადით“, – აღელვებით და მუდარით თქვა მან, მაგრამ ძაგანია ფურს აღარ უგდებდა. „დიახ, დიახ“, – ნერვ-

იულად იმეორებდა ის თავისდაუნებ-ურად მოგონილ ამბავს – დიახ, ეს ყველაფერი თქვენი ბრალია, საინტერე-სოა, რაში დაგჭირდათ რომ გელაპარ-აკათ ჩემი დახმარების, თქვენი ოჯახ-ისადმი ჩემი კეთილგანწყობის შესახ-ებ, მე ეს მხოლოდ კეთილი გულით, გულწილობით – ქვრივი თვალს ვერ აშორებდა მის ყინულივით ცივ თვალებს და უფრო გრძნობდა, ვიდრე ესმოდა მისი ხმა... და რაც ყველაზე საშიში იყო გრძნობდა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი დაკარგული ჰქონდა. დიახ, განაგრძობდა ძაგანია – სწორედ ამის გამო, ახლა ათას, ათას ცუდ და არასაკადრის რამეს ლაპარა-კობს ხალხი. ათასს, გიმეორებთ და მე მინდა, იცით რა, მე მინდა, რომ ყვე-ლაფერი ის იყოს მართალი. უცებ მოტყედა იგი და ქვრივის ხელი გულზე მიიკრა უხერხული, უსიამოვნო მოძრაო-ბით ნახევრად უგონოდ მინებდა მას ქვრივი.

ისინი იწვნენ დიდ, განიერ ტახტზე, რომელიც იდგა ოთახის შუაში, სწორედ ამ დროს მიხოხდა დედასთან შაშა და სწორედ ეს მომენტი ჩაებეჭდა მის გონებას სამუდამოდ, აქ მისცა ფოჩიანი კანფეტი ძაგანიამ მას; სულ ერთი წამით შეყოფმანდა კოჭლი ბავშვი, სულ ერთი წამით დაინახა ძაგანიამ მის ბავშვურ თვალებში რაღაცა საშიში და უცნობი, რის შემდეგაც მან კანფეტი აიღო და ლოლვნა დაუწყო. მაშინ ძაგა-ნიას შაშასთვის ყურადღება არ მიუ-ქცევია, მხოლოდ შემდეგ, უფრო გვიან, მას უკან, რაც მან მოახერხა პირდა-პირ ეზოში გადასახლება და ამ ორი

ოჯახის საბოლოოდ ხელში ჩაგდება, მოიგონა რამდენიმეჯერ თავისი პირველი ცოდვა ქვრივთან, მთელი ის ამბავი, რომლიდანაც ყველაფერი მოგონებას მიეცა, ყველაფერი, გარდა ბავშვის სასოწარკვეთილი სახისა, რომელიც ყოველი შეხვედრისას ახსენებდა ახლიდან იმ წუთებს.

* * *

ცარიელი ოთახის კიდეში მსაჯულის დიდ ხის სკამზე მიკრულ ძაგანიას გააურეოლა, ცხადად წარმოიდგინა დღეს დილით აიგიდან დანახული შაშას თვალები. „ღმერთო ჩემო“ – დაუტრიალდა თავში – „ნუთუ კიდევ ახსოვს, ნუთუ ახსოვს“. ეს აზრი ჭანჭავდა წლების მანძილზე მას და ახლა განსაკუთრებული სიცხადით იგრძნო. ეს გუშინ წაკითხულ პროკლამაციაში ნათლად ეწერა – „ყველა მიიღებს საკადრის სასჯელს“. ნუთუ ეს იყო შურისძიება, მან მხოლოდ დედის ანდერძი შეასრულა, მან ხომ მხოლოდ, მხოლოდ იმიტომ დაიბრუნა ეს ოთახი, რომ აქედან გაესუნებინათ ის, ისევ დატოვა ყველაფერი, აქ მარტო ზედმეტი ბარგი მოაშორა, რომ გასვენების დროს მეტი ხალხი დატეულიყო მისი კუბოს გარშემო. ამდენი წელი ამ ოცნებით ცხოვრობდა, რომ მას ქრისტიანული წესით ჩაიტანდნენ კიბეზე, ახლა კი უცებ საიდანდაც გაჩნდა ახალი შიში, რომელიც დღეს დილით აშკარად ამოიკითხა შაშას თვალებში: შაშას თვალებსაც ისევე ეშინოდათ შურისძიების, როგორც თავად მას და ეს შურისძიება უნდა დამდგარიყო რაღაც დიდი ცოდვის შემდეგ, რომელ

საც შაშა ჩაიდენდა. ძაგანია უცებ მოშორდა სკამს და ტახტისკენ წავიდა. „ღმერთო, დიდებულო, ნუთუ იმ ცოდვის მსხვერპლი მე ვიქნები“ – გაურბინა თავში, მთელი ის შიში, რომელსაც ამდენი წელი გრძნობდა, გარეთ გამოვიდა, მან ქურდულად მიმოიხედა და ხელები უძულრად გაასავსავა. არავინ, არავინ, მტერიც კი არ იყო გარშემო, ის იდგა მარტო თავის საკუბოვე ოთახში და თრთოდა, მერე მოწყვეტილი ჩამოჯდა ტახტზე, სადღაც ღრუბელი გაიხლიჩა, სხივი შემოიპარა შუკაში და ტახტთან დაეცა, თოვნაკრავივით წამოვარდა ძაგანია, „არ მინდა, არა“ – დაიხრიალა, ახლა აღარ უნდოდა ეს ოთახი, არც ეს ტახტი, არც კიბებიდან ჩასვენება, თითქოს ყველაფერ ამას ხელი შეახო და უცებ მიხვდა, რომ ის, რაზეც ოცნებობდა იყო ბოლო და იმ ბოლოს არ ჰქონდა მის-თვის არავითარი აზრი. მან დაკარგა საბოლოოდ რწმენა, რწმენა, რომელსაც თავის გულში ზრდიდა, უვლიდა, რომელზედაც ამყარებდა მომავალ სიმშვიდეს, იმდებს და არათუ დაკარგა, არამედ მთელი არსებით შეიჯავრა უცებ. ისევ გაასავსავა ხელები და კარს ეცა. კარი დაკეტილი იყო. ამ მოულოდნელმა დაბრკოლებამ, „უშიშარი ადგილიდან“ გარეთ გავარდნის უნაყოფო ცდამ წარმოუდგენელ სასოწარკვეთაში ჩააგდო, უცებ ჩაეკეტა გონება და წარმოიდგინა რომ ეს იყო ბოლო, რომ აღარსაოდეს გაიღებოდა კარი და მის კუბოს ისევ ფანჯრიდან გადასვენებდნენ. ახლა ამ აზრს წინანდებურად აღარ შეუშფოთებია ის, ავადმყოფურად მინებდა ბედს, საცოდავად გაიღიმა და კოპები შეიკრა – უზარმაზარ ნაოჭად

შეიყარნენ მის ბრტყელ შუბლზე ხორცი, ნელა დაიწყო მუშაობა გონებამ, თან მარჯვენა ხელს ახმარდა, ყოველი ახალი აზრის შემდეგ ერთ თითს კუმშავდა, პირველი აზრი იყო, რომ დარჩა აქ – ეს ერთი, მეორე აზრი, იყო რომ გაასვენებდნენ ისევ ფანჯრიდან, რამაც მოულოდნელად დაამშვიდა, მესამე აზრად მოუვიდა, რომ ეს იყო ყველაფერი საერთოდ უზარმაზარი უაზრობა, რაზეც ის ფიქრობდა საერთოდ, რის შემდეგაც გონებამ დაიწყო ბურუსიდან გამოსვლა. „რატომ?“ – შეეკითხა ის თავის თავს, მოკუმშა მეოთხე თითი, მუჭა მოჭიმა, მერე წყნარად დააკრო ცერი ზევიდან, ერთხანს ასე იდგა, შემდეგ ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღები ამოიღო, მშვიდად გადაატრიალა საკეტში ერთხელ, ორჯერ, გამოიხურა, ისევ ჩაკეტა და კიბეებზე დაეშვა.

მშვენიერი დღე იდგა. დილით შეკრული ცა სამ-ოთხ ადგილას იყო გახლეჩილი, ნაწვიმარზე მზე ხალისიანად ანათებდა გუბურებს, ძაგანიამ ღრმად ამოისუნოქა და მზეს მიუშვირა სახე. ერთხანს სრულიად უფიქრელად თბებოდა ასე. მზე უვლიდა მთელ ტანში და უზარმაზარ სიამოვნებას გვრიდა მის მღელვარებისაგან დაღლილ ტანს.

* * *

იდგა ძაგანია, მზით გამობარი და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს მზე მარტო მას არ ათბობდა. მთელი მისი სხეული განიცდიდა რაღაც ზოგად სიამოვნებას, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა. ამას მოწმობდა ცარიელი, გარინდული ქუჩა, რაც ამ დროისთვის

უჩვეულო იყო. ძაგანია მთლიანად მინებდა თავის განცდას და ამ განცდამ იგი დაიყვანა მხოლოდ ერთ – სიჩუმის, სრული ისწყნარის შეგრძნებამდე. შეშფოთდა, უზარმაზარი ნაოჭები ისევ მოეყარა შუბლზე, მზეზე გახურებული ხორცი ერთმანეთს მიეკრო, რამაც დუმილით გამოწვეული სიამოვნება გაახანგრძლივა. კიდევ რამდენიმეჯერ მოიყარა მან შუბლზე ნაოჭები და თავისდაშეუმჩნევლად ამოძრავდა, აუტანელმა სიჩუმებ საბოლოოდ გატეხა მისი დროებითი სიმშვიდე. გაცილებით მეტი ხმები, შიში გაიგონა მან ამ სიჩუმეში, ვიდრე შეიძლება წარმოედგინა ყველაზე დიდ ხმაურშიც კი. ხმები უცებ მიაწყდნენ მის სხეულს და ადგილზე გააქვავეს, თავის ოდნავი მობრუნებაც კი გვერდზე, საიდანაც ათასი საფრთხე ემუქრებოდა, უზარმაზარ ძალდატანებას მოითხოვდა მისი ნერვებისაგან. უცებ გაუელვა თავში, რომ ახლავე საჭირო იყო ავარდნილიყო მაღლა სახლში და მოეცადა, სანამ გარკვეულად რამე დაიწყებოდა, მაგრამ ცარიელა, სუფთა ოთახის მოგონებამ შუაში დადგმული ტახტით, ახლა უკვე ცუდად იმოქმედა მასზე; ძაგანიამ ქუჩას გახედა: რასაკვირველია აქ მეტი საშუალება იყო დამალვის, გაქცევის, თუ ეს საჭირო იქნებოდა, ვიდრე იქ, იმ ხაფანგში, რომელშიც ძალით იგდებდა თავს. რა გაქცევა? რა ხაფანგი? – უცებ დაუსვა კითხვა გონებამ. ძაგანია აქამდე დარწმუნებული იყო, რომ ორივე ეს კითხვა სულმოლად ცხადი იყო მისთვის და პასუხიც დიდი ხანია გაცემული ჰქონდა მათზე. „ნეტა ვინ მოგდევს?“ – გაისმა იორნია ახლა კითხვაში და მის გარშემო თითქოს დაეშვნენ ქუჩის

ბოლოები, სახლის კედლები გაიხსნა, ყველაფერი დაცარიელდა და მას შეეძლო წასულიყო სათაც სურდა, ოთხივე მხარეს, და არა ჩანდა არსათ ბოლო, არა ჩანდა მიზანი, რის შემდეგაც ძაგანია იტყოდა, რომ მივიდა – მეტი სიარული აღარაა საჭირო, და დაღლილი, სამართლიანად დაისვენებდა. ყოველი მხრივ ახალ ადგილას მას ხვდებოდა სიმარტოვე უზარმაზარი ცარიელი სახლებითა და მინდვრებით და ახლა, ამდილანდელი ამდენი განცდის შემდეგ ძაგანია მიხვდა, რომ მას უღმერთოდ უნდოდა დალაპარაკებოდა ვინმეს, ხმა გაეცა ვინმესთვის ქრისტიანულად, ადამიანურად, ეთქვა ვინმესთვის, რომ ის დიდი, დიდი ხანია ცდილობს გაიჩინოს მეგობარი, მაგრამ საქმეები, სულ ეს საქმეები არ აძლევენ ამის საშუალებას. ძაგანიას აღგზნებული გონება უკვე ხედავდა როგორ ისხდებოდნენ თვითონ და ის მეგობარი ყავის სმისას, ჩუმად ან მოკლე სიტყვებიანი საუბრით, რა ნაზი იქნებოდა მათი მიმართვა, როგორ მამაშვილურ რჩევებს მისცემდა თავად – საკუთარი წარსულიდან, რა მადლობელი იქნებოდა ამ რჩევების გამო მისი მეგობარი და რა სავსე იქნებოდა ცხოვრება, კმაყოფილი, ჩუმი, მხიარული. ძაგანიას უპვირდა და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, უფრო უკვირდა, რომ ასეთი უბრალო რამე აქამდე ვერ განახორციელა, შეეცადა გაერკვა, რა უშლიდა ხელს, მაგრამ ყველა მიზეზი იმდენად უშნიშვნელო, წვრილმანი იყო, რომ არც ერთზე შეჩერება არ ღირდა. „უბრალოდ დრო არ მქონდა“, დაძაბა მან კუნთები, შეიშმუშნა, სიამოვნებისგან ატკაცუნდა მისი სხეული, რომელსაც ახლა

დრო ჰქონდა და ე.ი. ის რაც სჭირდებოდა მის მეგობრობას, იყო დრო, ხოლო სურვილის არსებობის გამეორება საჭიროდ აღარ ჩათვალა.

მან სრული სიმშვიდით გაიარგამოარა თავისი „პადიეზდის“ წინ, მერე ნელა, ისეთივე აწონილი, ოღონდ კარგი დამკვირვებლისათვის ოდნავ ატაცებული და მსუბუქი ნაბიჯებით გადაჭრა ქუჩა და იმავე „პადიეზდში“ დაიმალა, რომელშიც დილით გაქრა შაშა.

ვინც ძაგანიას შაშასაკენ სკლას დააკვირდებოდა, იფიქრებდა, რომ ის დიდი, ძალიან დიდი ხნის შემდეგ მიდიოდა მეგობართან, რომელიც არ ენახა მთელი საუკუნე, იმდენი შეკავებული სიყვარული, სითბო იყო მის არსებაში; და ის, რომელიც არ ენახა, აუცილებლად ასეთივე გულისფრიალით ელოდა მის მოსვლას, რათა გულში ჩაეკრა ახლობელი, ეთქვა თავისი ვარამი, რაც პირველზე ნაკლები არა ჰქონდა სათქმელად თუ სატირლად დაგროვილი და მით შეემსუბუქებინა თავისი მძიმე განწყობა.

ამასობაში კი ისინი ფაქტიურად ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, შაშა ადიოდა ძაგანიასთან და იჯდა უმოძრაოდ მანამდე, სანამ ძაგანია არ თხოვდა მას გაეკეთებინა რამე, რაც სრულიად არ სჭირდებოდა ძაგანიას, ან გაემეორებინა რამე სასკილო, რაც ასო „ს“-ს „შ“-დ თქმაში იყო და რაც სიცილს დიდიხანია აღარ იწვევდა ძაგანიაში, ოღონდ აკეთებდა ამას იმიტომ, რომ უბრალოდ, აუტანელი ხდებოდა სიჩუმე და მასში ჩაგუბებული ბოროტება, რომელსაც ყოველწამს ელოდა ძაგანია შაშას დაშტერებული თვალებიდან... ამ თვალებისა ქვეშეც-

ნეულად ეშინოდა და ამ შიშს ზრდიდა არცოდნა იმისა, ახსოვდა თუ არა შაშას ის ამბავი: დედა, საწოლი... ყოველივე ამაზე ფიქრობდა ის შაშას ღუმილისას. როცა შაშა ლაპარაკს იწყებდა, მაშინ მას სახეზე ეხატებოდა ბაგშვილი, სიკეთე და ძაგანია მშვიდებული და. შაშას წასვლისას დატოვებული მზერა შიშში, ეჭვებში აფლობდა და ის ნანობდა ხოლმე, რომ ადრე გაუშვა, რომ მხედველობის არიდან მოიცილა, რომ უფრო საშიშია მტერი, როცა არ ხედავ და არ იცი, რას გიმზადებს.

მეორე დღეს თვითონ გადადიოდა მათთან ძაგანია და იჯდა. ოჯახის საქმეებით დატვირთული საშა თვალს არ აშორებდა მის მელოტ თავს და რაღაცას, თავისთვისევ გაურკვეველს ამზადებდა გულში, აწყობდა გეგმასავით და ელოდა, სულ რაღაცას ელოდა, ელოდა გამოსულიყო იმ გავლენიდან, რაც მისდაუნებურად აიძულებდა დაეჯერებინა ძაგანიასთვის, ეხუმრა მისი სურვილის მიხედვით, გაეკეთებინა მისთვის საქმე, და თუ ძაგანიას მაშინ ეშინოდა, როცა ვერა ხედვადა შაშას, შაშას პირიქით, მაშინ ეშინოდა, როცა ხედავდა მას, ეშინოდა იმიტომ, რომ შურისძიების გეგმა, რომელიც ასე ადვილად შესასრულებელი იყო გონებაში, თითქმის წარმოუდგენელი ხდებოდა კაცის დანახვისას; მიუხედავად ამისა, მაინც სულმოუთქმელად დაექცდა ძაგანიას, უნდოდა რაც შეიძლება მეტი დამცირება აეტანა მისგან (ბოლო ხანებში არავითარი დამცირება აღარ იყო, მხოლოდ შაშა ეძახდა მას ამ სახელს და ზრდიდა თავის გონებაში ყველაფერს იმისგან მიღებულს, როგორც შეურაცხყოფას რომ მეტი სიძულვილი

დაუგროვდებოდა და დაეძლია თაგმეკავების ის ზღვარი).

ახლა დედის სიკვდილის შემდეგ, თითქოს თავისთავად ჩამოსცილდა ეს ზღვარი. სრულიად მშვიდად იჯდა შაშა თავის მაგიდაზე, გვერდზე ალესილი დანა ედო და დარწმუნებული ელოდა ძაგანიას მოსვლას. დედის სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ მას გამოსასყიდავად შურისძიება მიაჩნდა, მის სიკვდილში ძაგანიას, როგორც ბოროტ სულს საერთოდ დებდა ბრალს.

ძაგანია მიდიოდა ბნელ კორიდორში, მიდიოდა ოდნავ მსუბუქი ნაბიჯებით, რათა ეპოვა მეგობარი და ეს მეგობარი რომ შაშა იყო, ოდნავაც არ ეპარებოდა ეჭვი, რადგანაც მის გარშემო მყოფ ადამიანთაგან მხოლოდ შაშას არსებით იყო ის გატაცებული და მასზე ფიქრობდა მთელი წლები. ის, რომ ფიქრობდა შიშით, უსიამოვნო ეჭვებით გაქრა ძაგანიასთვის და დარჩა მხოლოდ ფიქრი, რომელიც გამოწვეული უნდა ყოფილიყო დიდი სითბოთი და როცა ის ბნელი კორიდორიდან ოთხკუთხა ეზოში გადიოდა, დარწმუნებული იყო, რომ ის იჯდა და ელოდა მას ასეთივე მეგობრული გრძნობით; შაშაც ასევე იყო დარწმუნებული, რომ დღეს დიღით სწორედ ამ დროს მოვიდოდა მასთან ძაგანია, რათა ერთხელ კიდევ დაეცინა, დაუმცირებინა დედამისის ცხედარი.

უჩვეულო ჩუბი იყო ეს ეზო. ფარდიდან გამოჩენილი გაბურძგნული თავი გაქრა – მტრულად, უნდობლად და ძაგანიას გულში რაღაც დიდი და თბილი გაიკაწრა, წაიბილწა, ოღონდ მის სხეულს და გამომეტყველებას ინერციისათვის არ უღალატია. ის ფრთხილად მივიდა კართან, რატომ-

ღაც თითის წვერებზე აიწია და ტროსტით დააკავუნა.

შაშას გააურეოლა. უეჭველად ძაგანია იყო, ძაგანია, რომელსაც ამდენი ხანი ელოდა, რომლისთვისაც ამდენი წელი იგროვებდა გულში ბრაზს და ლესავდა დანას, ძაგანია რომელმაც მთელ მის არსებას უზარმაზარი შეურაცხყოფა მიაყენა და რომელიც ამ დილით მივიდა მასთან, რათა კიდევ ერთხელ დაუკინა დედამისის ცხედრისთვის, მიეცა მისთვის მოთმინების ჯილდოდ ფორჩიანი კანფეტი, რომელსაც ის ძალლივით დაუწყებდა ლოდნას და ეს ასე იქნებოდა, თუ მის დანახვას მოასწრებდა ის კაცი, რომელიც რაღაც ფიიქოლოგიური უფლებით სარგებლობდა მასზე ამდენი წელი. შაშა მოიხარა, ხელში მოიბლუჯა დანა და კარის უკან აიტუზა. საჭირო იყო არ დაენახა ის, არ დაენახა, თორემ ისევ დაკარგავდა ძალას, ისევ მოექცეოდა მისი გავლენის ქვეშ და ეს იქნებოდა სამუდამოდ, სიკვდილამდე, ის რაღაც საშინელი, სისხლიანი უნდა მომხდარიყო სწორედ ახლა, დედის ცხედარი ჯერ გაცივებულიც არ იყო და თუ ძაგანია ასე უცებ მოვიდა ბედისწერის ძახილზე, ეს იყო მისი ბრალი, მხოლოდ მისი ბრალი და შაშა ამაში არ იყო დამნაშავე. კარს უკან ცალ ფეხზე ატუზული შაშა გაქვავდა, ქანდაკებად იქცა დანით ხელში, მეორე, უკან გაშვერილი, მოკლე, უძალო ფეხი კედელს ებჯინებოდა და პროპორციას უნარ-ჩუნებდა სხეულს.

ძაგანია შეჩვეული იყო, რომ მას შიგნიდან არ ეპატიუებოდნენ, არასოდეს არ იმეორებდა კაკუნს, ისე შედიოდა, პირდაპირ, მაგრამ ახლა როცა ამდენი

სითბო დარჩა მის გულში, მიუხედავად წამიერი ეჭვისა, შეყოფინდა, აღვილზე შეიშმუშნა, მერე გაიღიმა, ღრმად ჩაიყო ჯიბეში ხელი, რამოდენიმე ფოჩიანი კანფეტი ამოიღო, წინ გაშვერილ პეტვ-ში დაიჭირა სამუდამო სიტკბოსა და ზავის ნიშნად, დაავიწყდა, რომ იგივე კანფეტები მტრობისა და ვერაგობისათვის ემსახურებოდნენ მას, მაგრამ ეს ახსოვდა შაშას და საბოლოოდ სწორედ ამ ფოჩიანი კანფეტების დანახვამ გამოიყვანა ის მოთმინებიდან.

იმდენად მოულოდნელი იყო მომხდარი, რომ დიდხანს კურ მოვიდა შაშა გონზე. მას, რომელიც ასეთი მოთმინებით ელოდა ამ დღეს, მაინც ვერ წარმოედგინა, რომ ეს დანა, რომელზეც სისხლი იყო ახალი, თბილი, ჩაერჭო ძაგანიას მთელი ძალით დაუნდობლად და იმ მომენტში, როცა ის ზღურბლზე გადმოიდოდა. ასე რომ არც კი დაუნახავს მისი სახე. შაშამ კარისკენ გააპარა ალმაცერი მზერა, ზღურბლთან ეყარა ფოჩიანი კანფეტები და ჩანდა სისხლის წვეთები, ბნელ კორიდორში ტორტმანით შევიდა ძაგანიას ფიგურა. თმაამლილი, ცალფეხზე მთლიანად გამართული, დამტერებით უყურებდა შაშა იმ ადგილს, სადაც მიიმალა ძაგანია. მისი გონება სავსე იყო დიდი, გაბერილი და დაუნაწევრებელი შეგრძნებით, რომელიც ძალიან წააგავდა ძროხის ამოუსუნთქველ ბლავილს „უუმუშუ“, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა, მიუხედავად თავისი უახრობისა, სურვილი, სურვილის შესრულება — რომ ამ ბლავილზე მგელი მოვა თუ ბალახი, მისთვის გარკვეულ მომენტში სულ ერთია, რადგან მან აისრულა თავისი ნდომა, მან დაიბლავლა, როცა შეუძლე-

ბელი იყო არდაბლავლება და გააკეთა თუ არა ეს ყური მოუგდო – რომლის რამდენიმე წამი სავსე არის ხოლმე უაზრობით, მხოლოდ ცოტა გვიან აღ-წევს შეგრძებამდე ხმები.

შაშა დიდი ხანია გრძნობდა ქუ-ჩიდან მომავალ ხმაურს, ყვირილს, სიმ-ლერის ხმს, მავრამ ვონებით ანალიზს ვერ უკეთებდა მომზდარს. როცა აშკარ-ად შეიგრძო, რომ იქ ხმაურობდა ხალხი, პირველი მისი ფიქრი იყო, რომ ცხადი გახდა მისი მოქმედება, ამიტომ ხალხი ღელავს, ხალხს უნდა – გაუსწორდეს მკვლელს, რადგან ხალხმა მხოლოდ სისხლი დაინახა, რომელიც დაღვარა შაშამ, ხოლო ვინ იყო ამის მიზეზი (ის მიზეზი ძაგანია იყო, შაშას ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი) არ აინ-ტერესებდათ მათ, ისინი მხოლოდ იმას უცდიდნენ რომ შაშას დანა გადაეგდო (დანის ძაგანიც ეშინოდათ, მით უმეტეს რომ ნახეს მისი ნამოქმედარი) მაშინ შებოჭდნენ მას, გაუსწორდებოდნენ.

შაშამ ეზოდან გასასვლელს გახდა, სიბნელეში კედელს მიყუჟებული ძაგა-ნიას სხეული ამოძრავდა და ისევ მი-იმალა სიღრმეში, ახლა ის შაშას არ აინტერესებდა, მან დანის დარტყმით მოკლა ძაგანია, ამ დარტყმის დროს იყარა მთელი ჯავრი, მომავალი მისი ბელი შაშასთვის სულ ერთი იყო, პირი-ქით, სადღაც გაუელვა კიდეც, რომ ჯობდა კიდეც, ძაგანია რომ დადიოდა.

კუთხიდან ხმაურმა იმატა, შაშამ თვალი მოავლო ოთახს სამალავის მოსაძებნად და უცებ სმენად იქცა. ერთიანი, დიდი, დაუნაწევრებელი, მხ-ოლოდ სურვილიანი ძროხის ბლავილივ-ით მოდიოდა ქუჩიდან სიმღერის ხმა, სწორედ ისეთი, როგორითაც სავსე იყო

შაშას არსება, რომელმაც უზარმაზრი ნათესაური აღიქვა იმ ხმებში, მან დან-ას მოუჭირა ხელი, ფილტვები დაე-ბერა და აღმუვლდა, ეზოში უფრო მკაფ-იოდ შემოვარდნილი სიმღერა აკსებდა, იერთებდა შაშას ღმუილს თავის რიტმ-ში, მელოდიაში აქცევდა, საკუთარ ხმას უკარგავდა მას, ზრდიდა თავის ხმის მასას და მიდიოდა წინ, მიდიოდა გვერ-დებზე, მიდიოდა მაღლა, მხოლოდ მის უკან რჩებოდა განსაკუთრებული სი-ჩუმე, რომელსაც ხაზს უსვამდა, რომ წამების წინ აქ იყო რიტმი, მელოდია. თავდავიწყებით შევარდა ქუჩისკენ გასასვლელში შაშა, გასასვლელის ბოლოდან სინათლე სცემდა; დაუღა-ლავად, თითქმის კოჭლობის გარეშე გავარდა შაშა ქუჩაში, რომელშიც ცხ-ელი სუნი იდგა ახლად გავლილი ხალხისა და გამოუდგა მათ მძიმედ და ქლოშინით, მაგრამ თავდავიწყებით, რად-გან ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძ-ლო მას თავი შეეფარებინა, რისგან – ახლა თვითონაც აღარ იცოდა, იყო მასა. მასა, რომელიც მოდიოდა, რომელიც მდეროდა და რომელსაც უნდოდა რა-დაცა, და სწორედ ამ სურვილით უნ-ათესავდებოდა წინწასულ მელოდიას შაშას შინაგანი ბლავილი.

ბნელ, ვიწრო კორიდორში ხტუნანბით მიმავალმა შაშამ ვერც კი შენიშნა ძაგანია, რომელიც მოხრილი, სანახევროდ მწოლიარე უდღო შეღრმავე-ბულ კედელთან. დანის დარტყმის წუთიდან არაჩვეულებრივი სიცხადით ამუშავდა ძაგანიას გონება, სისხლმა ის სწრაფად გამოიყვანა იმ გაბრუებულო-ბიდან, რომელიც დაემართა შაშასთან შესვლისას. სწორედ ამიტომ მისდა გასაკვირად, მომხდარს სულ არ უმოქ-

მედია მასზე, არ უგრძვნია ფიზიკური ტეკვილიც კი. მან საღი გონიერი აღიქა, რომ მოხდა ის, რასაც ელოდა დიდი ხანია, მოხდა გარდაუკალი და იყო წმი, როდესაც სწორედ ამიტომ მისი სხეული მაღლობელიც კი იყო შაშასი. მაგრამ უცებ ამომრავდნენ მასში ძველი ინსტიქტები, ახლა მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო სანამ შეეძლო მომრაობა, აესწრო თავის ოთახში, ჩაკუტილიყო და ოთახის შუაში მდგარ ტახტზე ამოსვლოდა სული. ტორტ-მანით გაიარა ვიწრო გასასვლელი, ბორბიკით მივიდა ქვაფენილამდე და ახალი დიდი ძალისაგან შეშინებული შედგა, ძროხის ბლავილის მსგავსი სურვილიანი ხმა ისმოდა ქუჩიდან, ეს ხმა თხოვდა მას შეუძლებელს, ეს ხმა ავსებდა მის სხეულს, რომელსაც ახლა სურდა შეერთებოდა მას, ჰქონდა ისეთივე სურვილის უნარი, მაგრამ ის უკვე სისხლისგან იცლებოდა, სხვა ქვეყნიდან მოსულივით აღიქვამდა ყველაფერს მძაფრს და ცოცხალს ძაგანია.

ნელა დაიხარა უკან, სწორედ ამ დროს გაიგონა შაშას ნაბიჯის ხმა. უზარმაზარმა შიშმა, რომ აქ, ამ ადგილას მოუსწრო სიკვდილმა, შეიპყრო მთელი სხეული და ის ინსტიქტურად, უფრო უძლურობისგან მიწვა კედლის შეღრმავებულში.

დიდი ხანია მიწვდა სიმღერა და შაშას ნაბიჯების ხმა, მაგრამ ძაგანია რაც შეიძლებოდა იგრძელებდა მათ, იწვევდა საკუთარი ფახტაზით და ბოლოს შეიგრძო, რომ გარშემო სრული სიჩუმე იდგა. წამოიწია და სისხლისგან დაწრეტილი ისევ მიჯდა, მძიმედ, მოწყვეტით. „დუმპ“ — გაისმა

სხეულის ხმა და სიბნელეში მოვიდნენ ჩუმი შეგრძნებები, თითქმის ჯანმრთელივით წამოვარდა, სიბნელიდან პირდაპირ გაიქცა ქუჩაში. ქუჩა სავსე იყო მზერით, სინათლით, ის დაბნეული იდგა აყრილი ქვების შუაში და რაღაც საიდუმლოს უგლებდა ყურს, მერე ფეხაკრეფით წავიდა თავისი „პადიეზდისკენ“, რაც შეიძლებოდა ჩუმად ადგამდა ნაბიჯებს, რადგან სულ უმნიშვნელო ხმაც კი მკვეთრად ისმოდა ამ სიჩუმეში, „პადიეზდთან“ ის გაჩერდა და ყური დაუგდო სიჩუმეს, როცა ხმები არ ისმის შეგიძლია გაიგონო ის ხმა, რომლისაც ყველაზე მეტად გეშინია, სწორედ ის ხმა მივიდა ძაგანიამდე, მაგრამ მისი აზრი ახლაც ვერ გაიგო მან. ხმა კი სულ იზრდებოდა, რადგან გარშემო არ იყვნენ სხვა ხმები, რომლებსაც შეეძლოთ გაეჩუმებინათ, ნახევრად მაინც ჩაექროთ მათი ძალა. უდიდესი სიამოვნებით გაცვლიდა სიცარიელეს, სიჩუმეს ძაგანია ისევ იმ მდგომარეობაზე, როცა ხალხსა და შაშას შუა იყო მოქცეული, მაშინ უფრო უშიშრად გრძნობდა თავს და უცებ აღიქვა მისმა სხეულმა, რომ იქ მართლაც გაცილებით უშიშმარი იყო. ახლა მას უკვირდა, რომ ხალხს არ დაუძახა, არ აუხსნა თავისი გაჭირვება, არ უთხრა ყველაფერი, არ ამხილა შაშა, რომელმაც ის მოკლა, დანის დარტყმის შემდეგ პირველად ახლა შეზიზლდა, შეძულდა შაშა, რადგან მან მოკლა ის, ძაგანია, რომელსაც რაღაცა კარგის გაკეთება უნდოდა. უნდა დაეძახა მას ხალხისთვის, ხალხს უნდა ეთქვა, ვინ იყო დამნაშავე, ამ აზრებმა შეიპყრო იგი, აახმაურა მისი გონება, მაგრამ გარშემო სიცარიელე და სიჩუმე იდგა. ახლა ძაგანიას ხმები აღარ

ესმოდა, ის წარმოიდგენდა მხოლოდ ხალხს, აუკრებელ ხალხს, ათ-ოც-ოცდაათ რიგად დაწყობილს, რომელიც ასამართლებდა შაშას, კოჭლს, დებილს, რომელმაც ნორმალურ ძაგანიას მოუსპო სიცოცხლე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ დანას დაარტყამდა. ხალხი ააღელვა ძაგანიას ცოდვამ, ხალხმა დაინახა მისი სიმართლე და სწორედ მაშინ გაქრა ოცდაათივე წყება, როცა ძაგანიამ მათი ნდობა მოიპოვა.

ძაგანია ცარიელ ქუჩას უყურებდა, ახლა მას სიამოვნებდა, რომ იქ აღარავინ აღარ იყო, რადგან დებილმა შაშამ ვერ მოასწრო რაღაცის თქმა, რაღაც მნიშვნელოვანის, რომელსაც შეეძლო საქმე შეებრუნებინა მის საწინააღმდეგოდ. სადარბაზოს კარს მიყუდებულმა ღრმად ამოისუნთქა, ის საიდუმლო, რომელიც თავად არ იცოდა რაში მდგომარეობდა, რჩებოდა მასთან ერთად, სიჩუმეში, წყნარად, თავისთვის, ისე... საოცარმა სინაზემ შეიპყრო ძაგანია, ნელა დასწია თავი და უხერხულად დაისვა ზედ ხელი, არაჩვეულებრივად ესიამოვნა მოფერება, ახლა ხელზე გადაისვა ხელი და ფორთხვით აუყვა კიბის საფეხურებს. დაღლილი, სისხლისგან თითქმის მთლიანად დაცლილი აღებდა თავს ყოველ საფეხურს და უეცბ იგრძნო, რომ ცრემ-

ლებმა გამოჟონა. მან სახლის წინ დადებულ ფეხის საწმენდს ხელი გადაუსვა, სველმა ტილომ ისევ დაუბრუნა შეგრძნება, მაგრამ ეს შეგრძნებაც იყო ახალი. მას აღარ ახსოვდა აღარც ხალხი, აღარც შაშა, აღარც ის, რომ ძალიან აწყენინეს – იმდენად, რომ მოკლეს კიდეც, და რაც ყველაზე მთავარია, მას დაავიწყდა შიში, ყველაფერი ეს გაიფიქრა იმ წამში, როდესაც სველ ტილოს გადაუსვა ხელი, მაგრამ გაეღიმა ყველა იმ ტყუილ შფოთებზე და გაუკვირდა, რომ ოდესლაც მათზე გამრაზება შეეძლო. დიდხანს იჯდა სუფთა, ცარიელა ოთახის შუაში დადგმულ ტახტზე ძაგანია, მერე უკვე სისხლისგან თითქმის მთლიანად დაცლილი ფორთხვით გავიდა პატარა, ანგრეულ ოთახში, ხის დიდ საწოლზე აძვრა და აბლაბუდებს დაუწყო ყურება, რომლებიც ჯვარედინად გაიზარდნენ მის გონებაში, გადაეწნენ ერთმანეთს, მერე დაკარგეს ძაფების ფორმა, გაერთიანდნენ, ღრუქელივით, სქელი ნისლის ქულასავით ჩაწვნენ მთელ ოთახში და გაქრნენ.

პროლოგი: ბნელი ოთახის კუთხეში, უზარმაზარ ხის საწოლზე იწვა ძაგანიას პატარა ფიგურა მიტკალივით თეთრი სახით და მშვიდად, უშიშრად უყურებდა ჭერს.

ფარდა

თბილისი, 1958 წ. 2-5
აგვისტო

ახალგაზრდა ბელა კოკაია, ორი შვილის დედა, მარტვილის რაიონიდან ჩამოვიდა, ეროვნული გამოცდები ჩააბარა და საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მეორე კურსიდან კი სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გააგრძელა. მისი ლექსები სარედაქციო პორტფელში გვქონდა და ჩვენი ჟურნალის ახალ ნომერში ვაქვეყნებთ.

* * *

ისევ სიჩუმე და მდუმარება,
ნაწყენს ტკივილი არაფრით მიკლებს,
უიმედობა და სიახლოვე,
იქვე სიკვდილი, სიცოცხლეც იქვე,
კვლავ გულის ფეთქვა ჩამესმის შენი,
ხმაც მესმის, მესმის და შენ დაგეძებ,
მაგრამ შორსა ხარ, მიუწვდომელი
სუნთქვა ახლობლის მწყდება ბაგეზე.
გთხოვ, ერთხელ მაინც მოხვიდე ჩემთან,
შევიგრძნო შენი გულის სიმშვიდე,
მერე კი მჯერა, თვით ზეცის ფერში
გაქრობა-ტირილს არ შევუშინდე.

* * *

ჩემო პატარა,
ძლიერ მიყვარხარ.
ჩემი ცხოვრების,
დიდი სივრცე ხარ,
თვალებაჭუნა,
სავსე ღიმილით,
თბილი გულით და
სხარტი სირბილით.
ჩემო პატარა,
ძლიერ მიყვარხარ,

ნეტავ იცოდე,
რა ცხოვრება ზარ.
პაწია ხელით,
რომ მეუერები.
რომ მეუძნები,
ჩემი დედა ზარ.
ჩემო პატარა,
ძლიერ მიყვარზარ,
ჩემი მფარველი,
ანგელოზი ზარ.
სული წმინდა და
გული კამკამა,
ზარ მხიარული დედას პატარა.

* * *

გულის ტკივილი, აჩქარებს სუნთქვას,
თვალი ცრემლებით ივსება მუდამ.
სიახლესავით ყოველთვის გელი,
მომიახლოვდი ჩამკიდე ხელი,
და წამიყვანე უდაბნოსაკენ,
რომ ამარიდო საშიშ მოსახვევს,
რომ ყოველ დილით გაღვიძებისას
ვხედავდე ვარდებს ვინაც უვლიდა
და მაშინ გეტყვი, მე შენ მიყვარზარ,
სევდას განვაგდებ ძალით გულიდან,
ქვიშას გავივლი შიშველ ფეხებით.
ვიპოვი გულს და ჩავიკრავ გზნებით,
ჩაგიკრავ შენც და გეტყვი მჭირდები,
არ მოგიშორებ არაფრით არა,
მეყო ტკივილი, მეყო ტირილი,
და მეყვარები მხოლოდ შენ მარად.

* * *

ტირის თვალები ცივი ცრემლებით,
რა გატირებსო, რაო?

მწარედ ეცემა დაწვს მარგალიტი,
იწვის, ინათე, გზაო ...

წინ ნისლია და მას ვერ ვპოულობ,
სად წასულხარო სადო?

მას სული ტანჯავს და ვერა ზვდება,
გაუჩინარდა ცადო.

რა ცხოვრებაა, რა სიცოცხლეა,
ღმერთო, სად არის სადო?

გუშინ ვხედავდი, დღეს ალარ არის,
ნუთუ გაქრა? და რატომ?

შენც გჭირდებოდა? მეც ხომ მიყვარდა,
რატომ წამართვი, რატომ?

ძლიერ მიყვარდა, ძლიერ მიყვარდა,
არ დამიბრუნებ? მაშ გევედრები
რომ მოუარო მარტომ.

* * *

ღამე თენდებოდა,
დილა ბნელდებოდა,
შენზე ფიქრებშიც კი,
გული ჩერდებოდა.
ცრემლი მომდიოდა,
თვალი სველდებოდა,
მივხვდი უშენობა,
ჩემთვის ძნელდებოდა.
გული შენ გნატრობდა,
ალარ ჩერდებოდა,
ცრემლი მომდიოდა,
ლოყა სველდებოდა.
ღმერთო უშენობა,
როგორ ძნელდებოდა.

* * *

ფიქრი, ფიქრია
სული კი წმინდა,
ფიფქები სცვიგა, სცვივა და სცვივა.
ერთი აჩრდილი და ერთი ფიქრი,
თოვლზე ნაბიჯი, მივდივარ, მივალ?
ცივა სიცივეს
გული ჯერ უძლებს,
გონება ფიქრობს, აჩრდილი მიღის,
ფიფქი კი სცვიგა, დააფენს ფურცლებს
ნაბიჯებს ტოვებს აჩრდილი მშვიდი.

* * *

თუკი ცხოვრებამ ცრემლი დაგანახა
და თანაც
ეკლიან გზაზე გატარა,
ნუ მიენდობი მის უცაბედ გაღიმებას,
რადგანაც იცოდე გატირებს, პატარავ ...

* * *

... შენ რომ გამშვიდებდი,
მე გული მე მტკიოდა.
შენ რომ გაცინებდი,
ცრემლები მცვიოდა.
შენ რომ მიღიოდი,
ლანდებს გატოლებდი,
და შიში მავსებდა —
მარტო დატოვების.

* * *

... მე არ მინახავს, მსგავსი მშვენება,
რაც დამანახა, ამ ჯავახეთმა,
სილამაზეა სადაც გაწედავ,
მე არ მინახავს, მსგავსი მოები და
რუხი კლდეების შერწყმა ხეებთან.
ეს მაშინ იყო როცა შებინდდა
და არემარე თითქოს შეერთდა.
ლიდი მხატვარიც ვერ დახატავდა,
ასე ლამაზად, ფერთა შერევას.
და მეც სიტყვებით ვერ გადმოვცემდი
ჩემს მიერ ნანახ მშვენიერებას ...

* * *

ისევ დღე და ისევ ღამე,
ისევ სველი თითები,
ისევ შენი ნაზი სახე,
ღამეს როცა მითევდი.
ისევ მოხვალ, ისევ მნახავ,
ისევ მეტყვი მჭირდები,
ისევ იგრძნობ ჩემს სიობოს და
სიყვარულსაც მპირდები.
ისევ შენ და ისევ ღამე,
ცრემლიანი თვალებით,
ისევ მკაცრი განშორება,
წამი შეუბრალები.
ისევ მე და ისევ ღამე
თვალებს სევდა მედება
ისევ გეტყვი ნულარ წახვალ,
კოცნაც მეიმედება.

პატარა ბიჭის ფიქრები

გიორგი შალამბერიძე თბილისის 21 საჯარო სკოლის, ე.წ. გერმანული სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. სკოლის გარდა ის უამრავი საქმით არის დაკავებული: სისტემატურად მუშაობს ინტერნეტში სპორტული თემების, ძირითადად ფეხბურთის ახალი ამბების გასაშუქრებლად, ეუფლება ინგლისურ და გერმანულ ენებს, ცოდნას იღრმავებს ქართული ლიტერატურის წრეში შესანიშნავი პედაგოგის დოდო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, დადის ცურვაზე, ფეხბურთზე, წარმატებით მონაწილეობს ქ. თბილისის მოსწავლეთა ეროვნული სასახლის ქართული ცეკვის ანსამბლის საქმიანობაში. პატარა ბიჭი გასტროლებით უკვე მოიარა პოლონეთი, უკრაინა, თურქეთი, ევროპე.

ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებს ყოველთვის გვაინტერესებს და აუცილებლად უნდა გვაინტერესებდეს რას ფიქრობს, რითიც ცხოვრობს ნორჩი თაობა, ჩვენი შვილიშვილების, ანუ 21-ე საუკუნის მოქალაქეთა თაობა. ყველასთვის თვალყურის დევნებას ძნელად თუ შეძლებს ვინმე. გიორგი შალამბერიძე კი ჩემი საყვარელი შვილიშვილია და ცოტად თუ ბევრად მაქვს საშუალება მის უკვე ძალიან საინტერესო, სისხლსავსე ცხოვრებას მივადევნო თვალი. გასულ წელს რვეულების გროვაში შემთხვევით აღმოვაჩინე გიორგის 2009 წლის საშინაო დავალებების რვეული, როცა ის თერთმეტი წლის იყო. რვეულში დიდი ადგილი

ეკავა რელიგიის თემებზე დაწერილ დავალებებს: „ქრისტეს ცხოვრება“, „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“, „გიორგობა“ და სხვ. მათ შორის იყო საკუთარი ჩანახატები, უშუალოდ 11 წლის ბიჭის მიერ გადმოცემული საყურადღებო აზრები, რამაც ძალიან დამაინტერესა და მომინდა საილუსტრაციოდ დაგვებეჭდა სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალის ფურცლებზე. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ გიორგი შალამბერიძეს ყავს ორი წლით უმცროსი და თამანა შალამბერიძე, იგივე 21-ე სკოლის მე-5 კლასის ფრიადოსანი მოსაწავლე, ის ყველას უყვარს, კლასელებსაც, მეგობრებსაც, მშობლებსაც, მასწავლებლებსაც, ნამდვილად შესანიშნავი, გნებავთ საამაყო გოგონაა, ბევრითობითა და სანიმუშო ყოფაქცევით გამორჩეული. ბავშვები სკოლიდან დაბრუნების შემდეგ თავისით ამზადებენ გაკვეთილებს, წერენ დაგალებებს, მუშაობენ კომპიუტერთან, თამაშობენ და რაც ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, ძალიან ბევრს კითხულობენ, უამრავი წიგნი აქვთ წაკითხული, ყველაფერს ღირებულს ეცნობიან. საბედნიეროდ კომპიუტერის სიყვარულმა ვერ დაჩრდილა წიგნის სიყვარული, წიგნი მათვის მთავარია. ალბათ, აქ დიდი როლი ითამაშა მშობლების – ქართულ ენასა და ლიტერატურაში მეცნიერებათა დოქტორების მაგალითმა, მათმა ყოველდღიურმა მზრუნველობამ. როგორც რაიმე მნიშ-



ვნელოვანი მოვლენის დროს ხდება ხოლმე, მეც მინდა რწმენით, იმედითა და სიყვარულით, ყოველგვარი მიკერძოება-ამბიციურობის გარეშე განვაცხადო — გიორგი და თამარ (თამუნა) შალამბერიძეები, დაიმახსოვრეთ ეს სახელები.

შესვენება

ჩვენს სკოლაში კაბინეტური სისტემაა, ალბათ ამიტომაც კარგად შესვენებას ვერ ვასწრებთ. სამაგიეროდ, ათწუთიანი შესვენების დროს ყველანი ბუფეტისაკენ გავრბივართ. ძალიან გვიყვარს, როცა შრომის, ბუნების, ხატვის

თუ მუსიკის გაკვეთილების შემდეგ ზარი ირეკება.

ჩვენი კლასი ისე ვერ ისვენებს, როგორც სხვები, ეს ცუდია. საერთოდ მინდა ვთქვა, რომ „შესვენება“ ჭკვიანმა კაცმა მოიგონა, ყოველ ბავშვს შესვენება ჭირდება, შესვენება და დასვენება შეუძლია კადეც.

ჩვენთან შესვენება საკმაოდ არეულია, ხმაურიანი და ზოგჯერ შარიანიც. მაგალითად, ერთხელ სკოლის დირექტორთანაც კი მიმიყვანეს უბრალო ბიჭური ცელქობის გამო.

თუ გინდათ გაიგოთ თავისუფლების ფასი, შემოიარეთ სკოლაში დასვენების დროს. როგორც ვთქვი, ჩვენს სკოლაში კაბინეტური სისტემაა, ამიტომ გადაადგილების გამო შესვენებას თითქმის ვეღარ ვასწრებთ, რასაც ვინაზღაურებთ ე.წ. დიდი შესვენების დროს. მე და ჩემს მეგობრებს, ჩემს თანაკლასელებს თითქმის ერთდროულად გვშივდება. მსიამოვნებს ასეთ დროს ზარის დარეკვა. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ დარაჯს შეუძლება და ზარს არასწორად, მცირე დროით ადრე რეკავს. ბაგშვებს ეს პატარა მოულოდნელობაც გვიხარია და სასწრაფოდ გავრბივართ კარისაკენ. მასწავლებელიც აღარ ცდილობს ამ ნაკადის გაჩერებას, ან რა ძალას შეუძლია მათი გაჩერება, როცა დამნაშავეები არ არიან. ფსიქოლოგებიც კი ამბობენ, რომ ზედიზედ რამდენიმე გაკვეთილის ყურადღებით სმენა, გონებას ღლის და ამიტომაც არის დაწესებული ბავშვებისათვის დასვენება.

მზის დღე და საპრალური ოცნები

„თინათინ მზესა სწუნობდა,
მაგრამ მზე თინათინობდა“,
„ჰე, მზეო, ესე უსტარი არ
ჩემგან ნამოღვაწევი“.
(შოთა რუსთაველი)

„მზევ შინა და, მზევ ვარეთა,
მზევ შინ შემოღიო,
ვაჟის მამა შინ არ არის,
მზევ, შინ შემოღიო“.
(ხალხური).

„მზე დედაა ჩემი, მთვარე
მამა ჩემი, გუნდი და გუნდი
ვარსკვლავნი და და მძანია ჩემი“.
(ხალხური)

მზის დღე უქმე დღე იყო. კვირა
დღეს ინგლისელები შუნდაყ-ს, ხოლო
გერმანელები შომტაყ-ს უწოდებენ.
ქართულში კვირა დღის აღსანიშნა-
ვად სიტყვა „მზე“ შემონაზული არ
არის, მაგრამ გვაქვს „მზგეფსი“, რაც
ნიშნავს ერთ სრულ კვირას – ორშა-
ბათიდან-ორშაბათამდე, სამშაბათიდან-
სამშაბათამდე და ასე შემდეგ. მთვარე
მეგრულად არის „თუთა“, ისიც ღვ-
თაებრივი იყო. სამეგრელოში ზეიმი
ტარდებოდა, რომელსაც ეწოდებოდა
„თუთარჩელობა“. ქართულ ენაში ასევე
გვაქვს წმინდა საკრალური ციფრები:
სამი, შვიდი, ცხრა: „ცხრა მთა“, „ცხრა
წყარო“, „ცხრა მძა ხერხეულიძე“, „
ცხრათვალა მზე“... აქ შეიძლება გა-
ვიხსენოთ პწკარები ქართველი პოეტ-
ის ლექსიდან:

„ჩვენ რატომღაც ყველაფერი ცხრა
გვიყვარს,

ცხრა მზე, ცხრა მთა, ცხრა მუხა
და ცხრა კარი,
აგვაფრენს და ცხრა მთას იქით
წაგვიყვანს

ცხრათვალა მზის ცხრაფრთიანი
ზღაპარი“.

ასევე საკრალური ციფრია შვი-
დი. „შვიდფერა ცისარტყელა“, „შვიდ
სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის
შვიდფერი“. (აკაკი წერეთელი –
„თორნიკე ერისთავი“).

ზღაპრებში გვხვდება „სამი გზა“,
რომელიც ასარჩევია, სამი ძმა, სამი გოჭი
და ასე შემდეგ. ეს საკრალური ციფრები,
როგორც ჩანს, ხალხის რწმენამ და
ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დან-
ერგა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მიღეა, შენ გგავდე, დედა

დედა ამქვეყნად ყველასათვის
უძვირფასესი ადამიანია. მე მეცოდები-
ან ისინი, ვისაც დედა არ ჰყავს, ობლე-
ბი არიან. ძალიან მინდა ვგავდე დედას
თითქმის ყველაფერში – წესრიგში,
ნიჭირებაში, თავისი საქმის სიყვარულ-
ში, შრომაში, სიკეთეში...

დედა ჩემთვის უძვირფასესი ად-
ამიანია, რაღენ ის დედაა და ამით
ყველაფერია ნათქვამი. „დედის ჩაწვეთ-
ებულ ცრემლზე ია ამოდისო“, – წერს
დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლე-
ონიძე. ვფიქრობ, დედას სამ მარტს
სწორედ ია უნდა აჩუქო.

მინდა, შენ გგავდე დედა! მე შენ
ძალიან მიყვარხარ! სასაცილოა, რომ



**გიორგი და თამუნა შალამბერიძეები
პაპასთან ერთად.
მანგლისი, 2010 წ.**

ვამბობ მიყვარხარო, რადგან ბუნებრივია დედა ყველას უყვარს, უმაღურების და არანორმალურების გარდა. სამწუხაროდ, ზოგი ბავშვი უდედოა, ეს მართლა გულსატკენია.

დედა, შენ იმდენი კარგი თვისება გაქვს, ვერც ჩამოვთვლი. ამ თვისებების გამო მინდა შენ გგავდე, დედა. ხანდახან მეჩხუბები, მაგრამ ვიცი, რომ ამას ჩემს სასიკეთოდ აკეთებ. უშენოდ ვერ ვძლებ, ამიტომ, როცა სახლში გარ, მუდმივები, მოხვალ და სიხარულით ცას ვეწევი.

შენ ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი ხარ, რადგან, ერთხელ კიდევ გავიშეორებ, დედა ხარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. კი არ მიყვარხარ, გაღმერთებ!

**„ქარმა ბუდიდან ჭვავის ბახალა, ზაფხულის ტჯობს გადახალა“
(გალაკტიონ ტაბიძე)**

აშარმა და მოუსვენარმა ქარმა ბუდიდან გადმოაგდო უმწეო ყვავის

ბახალა. ტყეში შრიალებდნენ ფოთლები, გალობდნენ ფრინველები, გაისმოდა ცხოველთა ერთგვარი გადაძახილი, მოულოდნელობით შეშინებული ყვავის ბახალა კი მწარედ ტიროდა. ტყე ისეთი მაღალი და მშვენიერი იყო, როგორც ტაძარი. ქარის ქროლვის ხმაზე იკეცებოდა ბალაზი და ცეკვაზდა თავის საყვარელ ცეკვას. სიმშვიდე ირგვლივ ისეთი მშვენიერი იყო, როგორც წმინდა სარეცელი. „ველად ბალაზი იყო კეცილი, როგორც სიმშვიდე და სარეცელი“. ყვავის ბახალას მაინც მწარე ცრემლები სცვიოდა. ალბათ, ამის გამო განრისხდა ბუნება, შეეცოდა უსუსური ბახალა, გავარდა მეხი, ატყდა ქეხილი, ტყე გამოეხმაურა მეხის ჭექის ხმას. ხევში და ხრამებში ექისავით გაისმა მეხის გავარდნის ხმაური. შეშინდა ცა, შავი ღრუბლებით დაიფარა და წამოვიდა შხაპუნა წვიმა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უდიდეს ქართველ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს სხვა ლექსშიც ყავს მოხსენიებული ყვავის ბახალა:

„მთაც მაღალია, ცაც მაღალია და პაციც უნდა იყოს მაღალი,

გამოირღვევა მთების გალია, გადმოფრინდება ქორის ბახალა“.

ალბათ, პოეტი ბახალას ბედით დაინტერესებას პატარა ბავშვების, მომავალი თაობისადმი ზრუნვას და სიყვარულს უკავშირებდა, ან ვინ იცის, იქნებთავის საფიცარ პატარა სამშობლოსაც გულისხმობდა.

55 წლის შემდეგ ...

1954 წლის ნოემბრის დასაწყისში გურამ რჩეულიშვილმა მიგვიპატიუა კახეთის დასათვალიერებლად და საქეიფოდ. გურამმა ხშირად იცოდა ასე, მოუხედავად იმისა, რომ თბილისი უსაზღვროდ უყვარდა, დიდხანს ერთ ადგილზე ყოფნას, უმოძრაობასა და ერთფეროვნებას მაინც ვერ იტანდა, სულ მოგზაურობა, ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთვა, მოძრაობა და მოქმედება უნდოდა, სხვა ცხოვრება ეძახდა. უახლესი მეგობრები ხელად აგვიყოლია და სამი დღე ვიმოგზაურეთ გვიანი შემოდგომის მშვენიერ კახეთში. გურამ რჩეულიშვილს ვახლდით ედი რჩეულიშვილი, ქართლოს სვანიძე, მე და ხუთი ჩვენი მეგობარი გოგონა. ამ მოგზაურობით აღტაცებულმა პატარა ლირიკული პოემა დავწერე, მერე და მერე ეს პოემა სადღაც გამებნა, ვერაფრით ვეღარ ვიპოვნე, მაშინ 19 წლის ვიყავი, ნაწერების შენახვასა და საკუთარი არქივის შექმნაზე არც ვფიქრობდი. გასულ წელს მამაჩემის ძალიან დიდ არქივში შემთხვევით აღმოვაჩინე მომცრო ბლოკნოტის ფურცლებზე ჩაწერილი ახალგაზრდულ-მეგობრული ლირიკული პოემა. როგორც სათაურშია ნათქვამი, დაკარგულის ეს აღმოჩენა ზუსტად 55 წლის შემდეგ მოხდა. მართალია პოემას დიდი ლიტერატურული ლირებულება არ აქვს, უფრო გასართობი და გასახსენებელი ხასიათისაა, მაგრამ რედაქციაშ მაინც გადაწყვიტა მისი გამოქვეყნება, რადგან მეგობრობის, ბუნების, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან ერთად აქ ახალგაზრდა ოცი წლის გურამ რჩეულიშვილის დაუდგრომელი სული ტრიალებს და მისი მარადიული ხსოვნის ერთი შორეული ფურცელი იშლება, მართალია ეს უშუალოდ არ ჩანს, მაგრამ ორ-სამ ადგილას მაინც არის ნახსენები გურამ რჩეულიშვილის გვარი.

ნუგზარ წერეთელი

პახეთისაპვე

**გურამ, ედი რჩეულიშვილების,
ქართლოს სვანიძის ხსოვნას**

სიახლეებს მოველით
 და გავყურებოთ მთაგორებს,
 მზიანი დღე ნოემბრის
 ზაფხულისას გვაგონებს.
 თეთრი ღრუბლის აკვნში
 მზე ჩანს გადარწევული,

და მკლავების გადაშლით
გვხვდება პატარძეული.
ჩანს მიდამო ნახატი
ველებით და კორდებით,
თბილისს ვუთვლით ნახვამდის,
და დროებით ვშორდებით.
სიმაღლისკენ მივდივართ,
ვტოვებთ ღამეგანათევს,
მწვერვალებზე ბინდია,
გულს ცისკარი ანათებს.
გულს იმედიც ანათებს,
რომ დაგვტოვონ დარდებმა,
ხალისს შემოგვამატებს
კახეთს განავარდება.

* * *

არ აგდებენ აინუნში
სიცივისგან დაზრობას,
ჩამომსხდარან ჩაილურში
და ჩაღდება ბაზრობა.
აქ მტევნები ქარვისფერი,
უხვად ღვინოც აქავე,
მოფარფატე ქარის ფრთები
აკიდოებს აქანებს.
კახურ პურის სურნელებას
მოუხდება მაჭრობა,
პურმარილის მსურველებმა
არ დავიწყეთ ვაჭრობა.
გული განა ისე გაძლებს
არ მოუნდეს გიუობა,
სუფრას ვაფენთ ნაციხარზე
ისე როგორც გვიჯობდა.
წინაპართა ხმებიც გვესმის,
ჩაფლულნი ვართ ყელამდი,
მადლიერი სიტყვით, ლექსით,

გავიხსენეთ ყველანი.
 დავტკბით მზერით ლამაზ მხარის,
 მთებით — ღრუბლებს რომ ერთვის,
 ნეტავ ასე განახარნი
 ვიწნებოდეთ ყოველთვის.
 მომავალის გზებზე გვევლოს,
 სულში აღარ გაწვიმდეს,
 ბევრი ქარგი სადლეგრძელო
 სიყვარულით ავწიეთ.
 კვლავ გავხედეთ ტურფა მთა-ველს,
 მზე თაღამდის მისულა,
 წასასვლელად ავიშალეთ
 მძიმედ, დარბაისლურად.

* * *

ღრუბელი არ ჩანს ჯერაც, ტიალი,
 მზე კი გვიღიმის ისევ უცვლელად,
 ლექსები ლადო ასათიანის
 ალბათ, მეასედ გადიფურცლება.
 ზეცას ლამაზად გააქვს კრიალი,
 სასიამოვნო სითბო იღვრება
 და გვესმის მუდამ ომახიანი,
 ლადოს დაფერფლილ სულის სიმღერა.
 ხან გვეძალება სიცოცხლის ეშნი,
 ზოგჯერ გვინდოდა ჩუმად გვეტირა,
 ეს ტკბილი განცდა ქართული ლექსის
 ბაკურციხემდის არ შეწყვეტილა.
 სადაც გახედავ ყველგან მთებია,
 სულიც მაღლდება მთათა მახლობლად,
 გუშინდელივთ გაგებსენებია
 დაუვიწყარი ჩვენი ბავშვობა.
 დავტკბით ბუნებით ჯერ არნახულით,
 რითმებმა თითქოს სიმებს ჩამოკრეს,
 მაღე გაშალეს სუფრა კახური,
 ღვინოც ღოქებით უხვად ჩამოდგეს.
 გამოცდილებით შეფერებულით
 არ დაგვავიწყდა ყველას დალოცვა,

და რქაწითელით მართლა ქებულით
სავსე ყანწების გვერგო გამოცლა.
თითქოს უდარდო გულიც მღეროდა,
როცა შევერთეთ ხალისს ერთიანს,
ხან საქართველოს სადღეგრძელოა,
ხან სიყვარულის ალავერდია.

ვთქვით ყველაფერი,
რაც კი ვინდომეთ,
თანაც სიტყვებით ახლად ნარჩევით,
მერე კი ოჯახს დავემშვიდობეთ
ტრადიციული წამსკლელ-დამრჩენით.
მივქრივართ გზებით მთისკენ მიშლილით,
ზოგან სწორით და ზოგან განივით,
წინ გვიზის გურამ რჩეულიშვილი
გემის გამოცდილ კაპიტანივით.
სწორუპოვარით ვტკბებით ბუნებით,
კუთხის სიუხვე გადმოგვცემია,
მთები ნიკალას მოხატულები
ამაყი მზერით გადმოგვცერიან.
მზემ გამოსულმა სამფლობელოდან
თეთრი მწვერვალი თითქოს დაზეთა,
ჰა, წინანდალიც,
იქნებ გველოდა
დიდი ოჯახი ჭავჭავაძეთა.
თუმც ოცნებიდან არავინ არი,
გმირი, პოეტი,
არც ეს, არც ისა,
თავზე სურათი დაგვცერს მღიმარი
ეკატერინე ჭავჭავაძისა.
მათი სულები თუმცა აქვეა,
ძალზე შორს არის ახლა მთავრინა,
და სინანული გადმოგვაფრქვია
გზამ საუკუნით ადრე გავლილმა.
მათი ძალაა რომ არ ვეცემით,
ჩვენც ვიტყვით სათქმელს შეგვიანებით,
გზა კი მოკლდება
და იკეცება,
ძალე თელავში შევგრიალდებით.

* * *

კვლავ თელავი, ცივგომბორი ცასთან ისევ აღიმართა
ძველი გრძნობის წარუშლელი კვალი მხვდება ნადიკვართან.
იმ გრიგალებს გავედევნე,
სად წახვედი, საითა ხარ,
ვით ცა ღრუბლით, უშენობით სიხარული დაითალხა.
ვიცი სულში ეს წუთები სევდას ხმირად ამოწნავენ,
როგორც მაშინ ქარი მთვარეს ატოკებს და ამოძრავებს.
მთვარევ, თექად თეთრი ნისლი თუმცა უცებ გადიკარი,
მაინც რაღაც საოცნებოდ ნათელია ნადიკვარი.
ქარო, აგრე იფარფატე, მეტად ნუღა გაცხარდები,
კვლავ უკრავენ ქარის ხმაზე
ტაშს ცაცხვები, ტაშს ცაცხვები.
ვერცხლის სიმებგადავლებულს ისევ ვხედავ კავკასიონს,
ვნატრობ ტრფობას, თუგინდ დარდი ძველებურად დამასიოს.
ასე მარტო, ასე კენტად
მე ოცნება არ მჩვევია,
მინდა ვინმეს ცეცხლი ვარგო გულს რომ უხვად დარჩენია.
მინდა ლექსით, სიყვარულით მომსკდარ დარდის დაოკება.
რა ხანია ეს სურვილი
თან მომდევს და თან მომყვება.
ლექსებს ვამბობ გატაცებით ფაქიზ განცდით დაწერილებს,
მას რა ვუთხრა, ვინც მრავალჯერ
ცხელ სტრიქონებს მაწვევინებს.
ვისაც გრძნობა სიყვარულის სანთელივით გაუქრება,
ვინც შეუწყო ბევრჯერ ხელი სტრიქონების გაუქმებას.
არც მე მინდა სიყვარული ვით ფერია ვინც არ მოღის,
რაც გინდ იყოს, დღეს კი დავტკბეთ ამ დიდებულ მიდამოთი.
თელავს ისევ გადავხედოთ ულამაზეს გორიდანა,
მსურს ლხინი და სიხარული
დარდმა ან რა მომიტანა
მსურს ტკივილის დავიწყება, გული მაინც გამთელდება,
რა სჯობია ნადიკვარზე დამის თეთრად გათენებას.

* * *

დილა გათენდა საოცრად თბილი,
 ცაცხვმა ტოტები ცისკენ ამართა,
 რა ლამაზია თელავი დილით
 მზემ რომ ოქროსფრად გადაანათა.
 ქარმა ნისლები მთიდან გახვეტა
 და აქვს სურვილი ტყეში მიმალვის,
 საოცნებოა გადასახედად
 ნადიკვარი და ეს აივანი.
 ვით ხელისგულზე მოჩანს კახეთი,
 ჩვენც აღტაცებით ვათვალიერებთ,
 მწვერვალს დაეგო ღრუბლის ნახევი
 რომ აღმართულა დასალიერზე.
 შეფენებია ფერდობს ფერდობი,
 მიწას ღუნავენ მთები სიმძიმით,
 სიახლისაგან ისე ვერთობით,
 როგორც ცახცვები სხივთა ციმციმით.
 დარდი თუ მაინც დამყვა წუხელის,
 დღემ სიხარული არ დამამადლა
 მალე სუფრასაც შემოვუსხედით
 რჩეულიშვილი დაჯდა თამადად.
 სადღეგრძელოსთან, ალავერდებთან
 ვტკბებით მშვენიერ დაკვრით, სიმღერით,
 ასეთი ლხინით არ დაბერდები,
 და რა თქმა უნდა, არ დაიღლები.
 ქართული სუფრის მადლით ვივსებით,
 მწვანეს და ცისფერს ხვრეპენ თვალები,
 ზოგი მშვიდი და დარბაისელი,
 ყველა ერთად კი შეუდარები.
 გიშერს წააგავს ღვინის სიშავე,
 ჩანან ყანწები დარაზმულები,
 შუადღით ფეხზე წამოვიშალეთ
 და ისევ ვხარობთ ლამაზ ბუნებით.
 წამოვიშალეთ, მზემ კვლავ დაგვხედა,
 არ აქვს სურვილი ალბათ დამალვის,
 ჩამოვიტოვეთ უკან ახმეტა,
 ჩანს ბახტრიონიც, მთაც და ალვანიც.

დგანან ქედები ჩვეულ სიმშვიდით,
 ქარი ჩამდგარი ფრთასაც არა შლის,
 ხინკალზე კახი ჩოლოყაშვილი
 წამოგვეწია კიდეც ალვანში.
 ჰორიზონტისკენ თეთრად ციალებს,
 ელავენ მთებიც ვერცხლის ბეჭდები,
 შემდეგ ლოპოტა გადავიარეთ
 რჩეულიშვილის ფართო ბეჭებით.
 და მანქანამაც იგრძნო მხნეობა,
 გზა გადაკეცა ისე ადვილად,
 ალბათ ქარიც ვერ დაგვეწეოდა
 დადევნება რომ მოეწადინა.
 თავს დავადექით მშფოთვარ ალაზანს,
 ტალღების ჰანგიც გვეხმიანება,
 ხეები მიჯრით აქ ვინ დარაზმა,
 ჩაიშრიალეს ვერხვიანებმა.
 მორევში მწვანე წყალი ტრიალებს,
 თითქოს მოუნდა კლდესთან ანცობა,
 აქ ვერაფერი გაგვატიალებს,
 თუ სიყვარულმა არ გაგვაცოფა,
 დაქანებულზე წყალი იხუვლებს,
 კლდე გააყოლებს თვალებს განდევნილს,
 ალაზნის წყალი მკერდზე ვისხურეთ
 მაღალ მთებიდან ჩამონადენი.
 მზე ოქროსავით ისევ კრიალებს,
 მთებისკენ შუბის ტარზე დახრილი,
 მიდამოს მძაფრად აახმიანებს
 მამაპაპური შემოძახილი.
 ისევ გიზიდავს ცხელი მწვადები,
 ვით ალაზანის სწრაფი დინება,
 გინდაც წავიდნენ წელიწადები,
 ასე არასდროს მოგეწყინება
 მზემ მთებთან ოქროს გაავლო ხაზი,
 ღრუბელი ქარით განაფრენია,
 და კვლავ ვირწმუნეთ: ახალგაზრდობის
 ფასი,
 ამ ქვეყნად არაფერია.

* * *

დრო გავიდა და უკან ვბრუნდებით
 სამი დღის განცდით ნაირ-ნაირით,
 ისევ ვბრუნდებით,
 ისევ ვბრუნდებით
 შუამთისა და თურდოს ჰაერით.
 გზას შევუდექით უღელტეხილის,
 შორს მწვერვალებზე თითქოსდა ბარდნის,
 ეს სილამაზე რომ არ გვეხილა
 დაგვაკლდებოდა რამხელა მადლი.
 მადლი მამულის,
 მადლი კახეთის,
 ზეზვას, ლუხუმის, ლელას, სანათას,
 ბევრჯერ ნანახი გადასახედით
 კახეთმა კვლავაც შემოგვანათა.
 ამ სილამაზით თვალისმომჭრელით,
 გამაოგნებლით,
 ისევ გავხევდით,
 თმას აგვიწეწავს ქარი მოჭრილი
 და სურნელებას გვაფრქვევს კახეთის.
 სამშობლოც სწორედ ასეთი უნდა,
 ვინც თავდადებამ ხალხისამ იხსნა,
 შემოდგომის მზის წითელი გუნდა
 ქედებს ადევს და
 ჰორიზონტს სისხლავს.
 ალაზნის ველზე ბურუსი წვება
 და ზეცისფერი აქაც იღვრება,
 არის მაღალი განგების ნება,
 რომ აქ ყოველთვის ისმის სიმღერა.
 ამამაღლებელს მღერიან „ზამთარს“,
 აგუგუნებენ მეფურ „ჩაკრულოს“,
 ხმების გრიალი ახლაც კი გვმართავს,
 როცა გომბორის გზას ვართ დაკრული.
 დაე, ამ ხმებმა ასწლობით გვმართოს,
 კვლავაც დაზრდოდეს არწივს მართვენი,
 წინ გადაშლილი გზებია ფართო
 და თბილისისკენ მივემართებით.

07.11.1954 წ.

პერშემდგარი... პერშემდგარი... პერშემდგარი...

კარგად მახსოვს დიდი ქართველი მწერლის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი კლასიკოსისა და უახლეს ქართულ პროზაში ახალი გზების გამგვალავის, 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი გურამ რჩეულიშვილის დაბადებიდან 50 წლისთავის საიუბილეო დღეები. ხალხმრავალი იუბილე ჩატარდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, შემდეგ 1984 წლის 4 ივლისს ნამდვილად გრძნდიოზული იუბილე გაიმართა თელავის სახელმწიფო თეატრში გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეს. ამასთან ერთად საიუბილეო საღამოები გაიმართა ქუთაისში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ბორჯომში, სოხუმში და მრავალ სხვა ადგილას.

ეს იყო ტრაგიკულად დაღუპული დიდი მწერლისადმი გულწრფელი სიყვარულით განპარობებული ნამდვილი სახალხო დღესასწაული.

სამწუხაროდ, ეს იყო უკვე შორეულად ქცეულ 1984 წელს.

1994 წელს მაშინდელი მძიმე, სულიან-ხორციანად დამთრგუნველი არეულობის დროს, როდესაც არც სინათლე იყო, არც წყალი, არც გაზი, არც გათბობა, რაც მთავარია, ხალხის ძირითადი საკვები პურიც კი არ იშოვებოდა და საშინელ დონეზე შემოყრილი უხარისხო თურქული პროდუქციით ვიკვებებოდით, მაინც გამოიძებნა საშუალება, მაინც გაკეთდა აუცილებლად გასაკეთებელი საქმე. საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს გურამ

რჩეულიშვილის საზოგადოების ერთობლივი ძალებით დიდი ქართველი მწერლის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დიდ დარბაზში. იუბილე კვლავაც ხალხმრავალი იყო, ჩვენი თანამედროვე მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები გამოდიოდნენ სიტყვებით, მოგონებებით, ლექსებით, შემდეგ კი გაიმართა მეორე განყოფილება, სადაც გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებს კითხულობდნენ და მის საყოველთაოდ ცნობილ გმირებს ანსახიერებდნენ თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი მსახიობები.

1994 წელსვე, ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში გურამ რჩეულიშვილის საიუბილეო საღამოები გაიმართა წყალტუბოში, ბათუმში, ზუგდიდში, ბორჯომ-პარკში, თელავში, სადაც ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა მონაწილეობდა, მოსახლეობის ინტერესი შესაბამისად ძალიან დიდი იყო, ყველას პირზე ეკრა გურამ რჩეულიშვილი, ყველა აცხადებდა, რომ მისი ბადალი თვითმყოფადი მწერალი საქართველოში არ მოიძებნებოდა. ამავე პერიოდში დაიწერა უამრავი ლექსი, მოთხოვა, წიგნი, სტატია თუ გამოკვლევა გურამის სისხლსავსე ცხოვრებისადმი სიყვარულით შექმნილი.

გურამ რჩეულიშვილს პროზის, პოეზიისა და კრიტიკის მრავალფეროვანი ჟანრებიდან საკუთარი ნაწარმოებები მიუძღვნეს ირაკლი აბაშიძემ, გიორგი შატბერაშვილმა, თამაზ ჭილაძემ, ოთარ ჭილაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გურამ გეგეშიძემ, ჯან-

სულ ჩარკვიანმა, ზაურ ბოლქვაძემ, ესმა ონიანმა, დათო ჯავახიშვილმა, თემო ჯაფარიძემ, ერლომ ახვლედიანმა და მრავალმა სხვამა.

სამოცი წლიდან სამოცდათხუთმეტ წლამდე განვლილ პერიოდში გურამ რჩეულიშვილის უკვდავი სახელი ახალი მარავანდედით შეიძოსა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ცალკე წიგნები და სტამბული მისი „მოთხოვები და ნოველები“, „შაშას რეკოლუცია“, ღრმა ფილოსოფიურ-დრამატული პიესა „იულონი“. კიდევ უფრო საყურადღებოც და სასიხარულოც იყო ის გარემოება, რომ გურამ რჩეულიშვილის უმცროსი დის – მწერლისა და მეცნიერის მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის თავდადებული შრომისა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების აქტიური ხელისშეწყობით 2006-2007 წლებში განხორციელდა გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა ექვს ტომად, თანაც შესანიშნავად გაფორმებული ეს ბრწყინვალე ექვსტომეული ორჯერ ზედიზედ გამოვიდა. ექვსტომეული მაღალ დონეზე გაფორმა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ.

საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამსახველმა აღნიშნულმა ექვსტომეულმა, რისი რეალური განხორციელებაც მოხდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის მხარდაჭერით. ახალგაზრდობის შორეულ წლებში გურამ რჩეულიშვილი და ზურაბ წერ-

ეთელი ახლო მეგობრები იყვნენ, შემოქმედებითი გეგმების ერთად გაკეთებაც პქონდათ მიზნად დასახული.

ქართველმა ხალხმა, სრულიად საქართველომ ჩვენგან ტრაგიკულად წასული გურამ რჩეულიშვილი, 9-10 მოთხოვების დაბეჭდვისა და 1961, 1965 წლებში გამოცემული წიგნებით ერთხმად აღიარა დიდ მწერლად, დიდ კლასიკოსად, ანუ როგორც ძალიან ხშირად ტრიბუნიდან ამბობდნენ ხოლმე ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები – ძალიან დიდ მწერლად. ეს იყო თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, სამოციან წლებში, ექვსტომეულის აკადემიურმა გამოცემამ კი უფრო მეტად აღამაღლა მისი სახელი და შემოქმედებითი თაობის წინამდოლის საპატიო წოდებაც დაუმკვიდრა. ამგვარი იდეებითა და იმედებით აღსავსენი მოვედით 2009 წლამდე, როდესაც გურამს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო თარიღი. ამას ემატებოდა ისიც, რომ 2010 წლის 23 აგვისტოს სრულდებოდა 50 წელი დიდი ქართველი მწერლის ტრაგიკული დაღუპვიდან. ეს ორი თარიღი თავისთავად განაპირობებდა და მოითხოვდა კიდეც იუბილეს ძალიან მაღალ დონეზე აღნიშვნას, რაშიც მისი ოჯახი და უახლოესი მეგობრები დარწმუნებულები ვიყავით. თუმცა იუბილე ვერ ჩატარდა ვერცერთ თარიღთან დაკავშირებით. იქნებ 80 წლისთავისათვის მოხდა იუბილის გადადება საყოველთაო აღნიშვნის მიზნით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უძრავი საქმის გამო იყო დაგავებული, საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის

საზოგადოებამ კი საჭირო ფხა ვერ გამოვიჩინეთ, პრინციპულობა და დღე-ისათვის ასე საჭირო შემტევი ხას-იათი დაგვაკლდა, თუმცა გასაკეთებე-ლი საქმე არც ამ ორგანიზაციებს აკ-ლდათ.

აქვე ისიც აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლისათვის და ამ შემთხვევაში კონკრეტულად გურამ რჩეულიშვილის მაღალი სახელისათვის იუბილე მაინცდამანც დიდი მოვლენა სულაც არ იქნებოდა, ეს უბრალოდ ხსოვნის, დაფასებისა და დაკანონებუ-ლი პატივისცემის გამოხატულებად უფრო ჩაითვლებოდა. იმასაც უნდა გავუსვა ხაზი, რომ გურამ რჩეულიშვი-ლის ახლობელ ადამიანებსა და მეგო-ბრებს ვისაც ის დიდ პატივს სცემდა და მათი სიტყვის სხვებზე მეტად სჯეროდა – ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ ჭილაძეს, თამაზ ჭილაძეს, გურამ გეგე-შიძეს და სხვებს არც არასოდეს მონ-დომებით, არც უცდიათ, არც უძებნიათ მათვის იუბილეების ჩატარების გზე-ბი, იუბილეების ჩაუტარებლად ისინი ისედაც არიან დიდი მწერლები, ხალხ-ისათვის უაღრესად საყვარელი და ახ-ალგაზრდობისათვის სწორი, შეუმც-დარი სამაგალითო კაცური გზების მაჩვენებელი ნიშანსვეტები. ამიტომ შინაგანად ნასიამოვნებიც კი ვარ, რომ იუბილე არ ჩატარდა, ის გურამ რჩეულიშვილის მაღალ სახელს ბევრს ვერაფერს შემატებდა.

წერილის სათაურშივე გამოტანილ სიტყვა „არშემდგართან...“ დაკაგშირე-ბით ერთზე უკვე ვთქვით, ახლა ორი თითქმის არშემდგარის შესახებაც ძალზე მოკლედ მოგახსენებთ.

ეს არის 2009 წელს გამოცემუ-ლი „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით დასტამბული 800 გვერ-დიანი წიგნი. აქ 400-მდე პოეტია წარმოდგენილი, მათ შორის ბევრი საერ-თოდ უცნობი პოეტია, რომელთა პოე-ტური ნათლობაც სამწუხაროდ, ქართუ-ლი პოეზიის ანთოლოგიის ფურცლებზე მოხდა. ამ დროს არ არის წარმოდგე-ნილი გურამ რჩეულიშვილი. ზოგმა დაბალი დონის პიროვნებამ შეიძლება გაიკვირვოს რა შუაშიაო, ამ დროს ყველამ იცის, რომ გურამი წერდა მშ-ვენიერ თეორ ლექსებს ქართულ და ხანდახან რუსულ და გერმანულ ენაზეც კი. ლექსების ნაწილი არაერთხელ დაიბეჭდა უურნალ-გაზეთებში, გამოვი-და პატარა წიგნად, მთლიანად შევიდა მწერლის ექვსტომეულის თხზულებე-ბის აკადემიურ გამოცემაში და სხვა-განაც გამოქვეყნდა. მისი ლექსების დაბეჭდვა ანთოლოგიას გაცილებით მეტ მნიშვნელობასა და ფასეულობასაც შესძნდა, რაც არ მოხდა ზედმეტად თავის არშეწუხების გამო.

თუნდაც ერთ მაგალითს მოვიტან საილუსტრაციოდ: 2007 წელს დიდი ქართველი მომღერლის პაატა ბურ-ჭულაძის ფონდმა „იავნანაში“ გამოსცა ბრწყინვალედ შედგენილი და ბრწყინ-ვალედ გაფორმებული ანთოლოგია „თბილისი ქართულ პოეზიაში“, საერ-თო სათაურით „პოეტების სამეფო“. ამ ულამაზეს ანთოლოგიაში, თუ არ ვცდები, ორასამდე პოეტის ნაწარმოე-ბებთან ერთად შევიდა გურამ რჩეულიშ-ვილის სამი საინტერესო თეორი ლექსი: „აღმართი“, „დაღმართი“ და „ქუჩაში“. მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტ-

თან ერთად ჩემის აზრით შემოქმედებით-საგამომცემლო ხარისხის მთავარი ან გადამწყვეტი მომენტია ის, რომ თბილისისადმი მიძღვნილი ანთოლოგიის იდეის აუტორია მსოფლიო დონის მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ცნობილი ბიბლიოფილი გურამ ახალაია, რედაქტორ-შემდგენელია გამოჩენილი ქართველი პოეტი ემზარ კვიტაშვილი, საოცრად მაღალი დონის მხატვრობა და გაფორმება კი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, უმაღლესი დონის გრაფიკოსს გოგი წერეთელს; უახლესი ქართული პოეზის ანთოლოგიის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი კი არის გაუა ოთარაშვილი, გაფორმება – დამწყებ დიზაინერებს: ლექსო ოთარაშვილსა და სალომე პაიშაძეს ეკუთვნის, მხატვარიც კი არ მოუწვევათ ძლივს ერთხელ გამოცემული ანთოლოგიის მაღალ დონეზე გასაფორმებლად, ამიტომაც არის რომ ერთად დალაგებული ანთოლოგიები აგურებს ან ბლოკებს უფრო ჰგავს.

სანამ პოეზის ანთოლოგიაზე კიდევ ვიტყოდე რამეს და 2010 წელს გამოცემულ უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიასაც მოკლედ შევეხებოდე, აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ მე მწვავე კრიტიკას და ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას არ ვაპირებ, მხოლოდ აუცილებლად მიმაჩნია კანონის ძალის მქონე საავტორო უფლებების კუთხით რამდენიმე შენიშვნის თქმა, რასაც არავინ არ შეხებია, საავტორო უფლებები კი, როგორც ორგანიზაციის ისე პიროვნების პასუხისმგებლობას ერთნაირად განსაზღვრავს. ყველაფერს რომ თავი

დავანებოთ, თითქმის თორმეტი წელიწადი გხელმძღვანელობის ყველა ეტაპზე ძალზე აქტუალურ საავტორო უფლებების მაკორდინინებელ ორგანოს. საავტორო უფლებები, იგივე კანონია, მისი დარღვევა არავის არ ეპატიება, დამრღვევი კი ისჯება ან კანონისა და სასამართლო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის წესით ან მწერლური მორალისა და ეთიკის კუთხით, რაც ადმინისტრაციულ საჯელზე არა ნაკლებია.

იმ ანთლოგიაში სადაც გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურის ისტორიის საკუთრებად ქცეული მნიშვნელოვანი პოეზისათვის ადგილი არ მოიძებნა, როგორც ვთქვი, სრულიად უცნობი ავტორების, დამწყებებისა თუ დაწყებულების, ოღონდ მაინც უცნობების ლექსებითა სავსე. ლიტერატურული ან თუ ხმამაღლა არ იქნება ნათქვამი, ისტორიული სიმართლის უტყუარობის მიზნით ისიც უნდა ითქვას, რომ გურამ რჩეულიშვილი იმ დროს წერდა თეთრ ლექსებს, ანუ ქმნიდა 1955 წლიდან, როცა ქართული თეთრი ლექსის წარმომადგენლები ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული და ამ მიმდინარეობის სხვა მიმდევრები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული ლიტერატურულ სარბიელზე. ამრიგად, ამ საქმეში, მე-20 საუკუნის ორმოცდათიანი წლების პერიოდში ვერლიბრის დანერგვის საქმის მებაირახტრედ გურამ რჩეულიშვილი უნდა მივიჩნიოთ.

უახლესი ქართული პოეზის ანთოლოგიის თუნდ ზერელე თვალის გადავლებითაც კი დაინტერესებული პირი აუცილებლად შენიშნავს ერთ

საოცარ დიფერენციალის, შემდგენლების თუ მთავარი შემდგენელის მიერ არასწორად მოძებნილს, ნაჯახით მუშაობასა და უშნო ჭრასთან გაიგივებულს: დიდ პოეტებს დათმობილი აქვთ ოთხი გვერდი, გამოჩენილ პოეტებს – სამი, ცნობილ პოეტებს ორი, მათი აზრით ისე რა პოეტებს კი ერთი გვერდი. შეიძლება ამგვარი მიდგომა ადამიანურად კიდევ რაღაცით გაამართლო, მაგრამ იმას კი არავითარი გამართლება არ მოექცება, რომ მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი, ანთოლოგის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგის წევრი და თავმჯდომარე ვაჟა ოთარაშვილი, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის საკმაოდ უცნობი თავისი პოეზით, ოთხ გვერდზე წარმოდგენილი, ხოლო სარედაქციო კოლეგის წევრის საერთოდ უცნობი პოეტის, ამ ბოლო დროს ბევრ წერილში მოხსენიებული ვერა ზამთარაძის პოეზია სრულ სამ გვერდზეა განთავსებული. ე.ი. საერთოდ დაბნეული საზოგადოებრიობისათვის ერთი დიდი პოეტის რანგშია აყვანილი, მეორე კი გამოჩენილის. ამ დროს ორი გვერდი ძლივს აქვთ დათმობილი მართლა გამოჩენილ, თვითმყოფად პოეტებს – ზაურ ბოლქვაძეს, ოთარ მამიშვილის, რევაზ მარგარიანს, თედო ბექიშვილს და სხვებს, შესანიშნავი ქართველი პოეტი ოთარ ჭელიძე კი საერთოდ ერთ გვერდზე ძლივსაა წარმოდგენილი, რაც სამარცხვინო ფაქტია. „უახლესი ქართული პოეზის ანთოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიასა და ხელმძღვანელობას, ახალ ხელმძღვანელობას და საერთოდ ყველას უნდა

შევახსენოთ, რომ არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ სავტორო უფლებების მსოფლიოს მასშტაბით აღიარებულ კანონებშიც ბუნებრივია, არსებობს თანამდებობის ბოროტად გამოყენების ცნება და მსგავს არაფრის მომტან, პირიქით საქმის გამაფუჭებელ არააღეკვატურ ცდუნებებს თავი უნდა ავარიდოთ. ასევე სავტორო უფლებების კანონის შესაბამისად, რაც უწევისა და ბერნის კონვენციების გადაწყვეტილებათა თანახმად მთელ მსოფლიოში მოქმედებდა და მოქმედებს, ყველა ავტორს აქვს ხელშეუხებელი უფლება მისი ავტორობით თუ ავტორთა ჯვუფის მიერ გამოცემული წიგნებიდან უფასოდ მიიღოს აუცილებელი საავტორო ეგზემპლარები. ადრე ეს უფლება წიგნის 10 ეგზემპლარს შეადგენდა, მერე ფორმაციათა ცვლისა და არეულობის შედეგად საავტორო ეგზემპლარების რაოდნობამაც დაიწია, მაგრამ 2 ეგზემპლარს მაინც არასოდეს ჩამოსცილებია. ანთოლოგიის შემთხვევაში კი, მთავრობისა და მერიის გარდა, ყველა ავტორისათვის ერთი ეგზემპლარი ოცდაათ ლარად და ბევრ შემთხვევაში მეტადაც იყოდება. პირადად მე ორ ეგზემპლარ პოეზიის ანთოლოგიაში სამოცი ლარი გადავისადე, თან დამადლებით, რომ სხვაგან კიდევ უფრო ძვირად გაიყიდება და ასეთი შელავათი მხოლოდ მწერლებისთვის არის დაწესებული. არაერთი საწყალი ან შეჭირვებული ავტორი 30 ან 50 ლარს ნამდვილად ვერ გადაიხდის ანთოლოგიებში. გამოდის რომ მერია საკმაოდ უხვად აფინანსებდა ანთოლოგიების

გამომცემლებს, ისინი კი კვლავ მუქთი ფულის შოვნაზე იყვნენ გადასულები.

გადაწყვეტილი მქონდა საქართველოს მწერალთა კავშირსა და გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობას“ შორის მომხდარ მეტად უსიამოვნო შეხლა-შემოხლაში საერთოდ არ მიმეღო მონაწილეობა, მით უმეტეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან შეხვედრისა და მართებული ჭკვის დარიგების შეძლება, მაგრამ ზოგიერთმა სრულიად არასწორმა, არაკოლეგიალურმა გულგრილობამ თუ დანაშაულებრივმა ქმედებამ მიბიძგა საავტორო უფლებების დაცვის კანონისწინერი პრიზმიდან შემეხედა ფაქტებისათვის. ბუნებრივია, რაც თქვა იმას აღარ ვიმეორებ, ზედმეტად კრიტიკას გვერდს ვუვლი, აუდიტის თუ პროკურატურის ურთულეს ფუნქციებში ოდნავაც არ ვიჰრები, არც არავის ვიცავ, არც ვემხრობი, მხოლოდ სიმართლის და პატიოსნების ფენომენს ვითვალისწინებ. აქვე მინდა ისიც მიუკიბ-მოუკიბავად განვაცხადო, რომ გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი ნებსით თუ უნებლივდ, მცირედ თუ მეტად შეხებისას, მისი დიდი შემოქმედების ნებისმიერი დოზით ხელყოფას თუ უგულებელყოფას ვერავის ვაპატიებ, გინდ მწერალი იყოს, გინდ კრიტიკოსი, გინდ დეპუტატი თუ მინისტრი. ამას გავაკეთებ არა მხოლოდ როგორც უახლოესი მეგობარი, არამედ როგორც საქართველოს გურამ რჩეულიშვილის იცწლიანი საზოგადოების პრეზიდენტი.

და აი, „უახლოესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემიდან

მგონი ერთ წელიწადში გამოვიდა „უახლოესი ქართული პროზის ანთოლოგიის“ ორტომეული. გადავათვალიერე და გაოცებული, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი შეურაცხყოფილი და გაოგნებული დავრჩი. ანთოლოგიაში არ არის შეტანილი, დღევანდელი ბევრისთვის საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმარო, ქართული პროზის მეგა-ვარსკვლავი გურამ რჩეულიშვილი. ე. ი. არც ამ შემთხვევაში შეიწუხეს თავი და სახელის სასწრაფო მოხვეჭის მსურველი ნაცნობ-მეგობრებით გაუწვალებლად გაჭიდეს ტომეულები. მე რომ არ ვიყავი პროზის ანთლოგიაში სულაც არ მწყენია, თავი რომ გავანებოთ ჩემი ავტორობით გამოცემულ სამ რომანსა და ათ პროზაულ წიგნს, მათ შორის მეოცე საუკუნის ბოლოს 71 ათასი ტირაუით გაყიდულ წიგნებს გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ: „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ და „აი, მე, გურამი ვდგავან თქვენს წინ“, არ მწყენია-მეთქი ვთქვი და ვთქვი იმიტომ, რომ ასეთი დონის ანთლოგიებში დაბეჭდვას ჯობია საერთოდ დაუბეჭდავი დარჩეს შენი ნაწარმოებები. გურამ რჩეულიშვილის არშეტანა კი ვერ ავიტანე და ამას ვერცერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ვერ აიტანს. ეს ფაქტი არის არა მარტო საავტორო უფლებების უხეში დარღვევა, არამედ შეკრებელობაც და დანაშაულიც კი ქართველი ხალხისა და ქართველი ახალგაზრდობის წინაშე, ვისაც უსაზღვროდ უყვარდა და უყვარს ტრაგიკულად კი არა გმირულად დაღუპული მათი თანატოლი დიდი მწერალი. აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ სიჩქარისა თუ ნაცნობ-

მეგობრებთან თავის გამოჩენა-დამსახურების დროს ანთოლოგიდან გამორჩათ ისეთი საინტერესო მწერლები, როგორებიც არიან: დათო ჯავახიშვილი, ერლომ ახვლედანი, კარლო კობერიძე, ფრიდონ ხალვაში და ალექსანდრე სამსონია აჭარიდან, გურამ ბათიაშვილი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, გიორგი პაპუაშვილი, ლევან მალაზონია და სხვები.

ისევ გურამ რჩეულიშვილთან დაკავშირებით გამახსნდა: მგონი ამ ათითორმეტი წლის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ვაჟა ოთარაშვილის წერილი. წერილი ვერსად ვეღარ ვიპოვე. ეს თუ არ ვცდები მაშინ იყო, როცა ვახტანგ რჩეულიშვილის უკვე ყოფილი სოციალისტური პარტიის ხაზით ვაჟა ოთარაშვილი დეპუტატობისთვის ემზადებოდა. მახსოვს ავტორი აქებდა და ადიდებდა უბრწყინვალეს პროზაიკოსს გურამ რჩეულიშვილს და იმასაც ამბობდა, რომ დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ნუგზარ წერეთელს, გურამ რჩეულიშვილი სწორედ მან შემოუნახა და აჩუქა საქართველოსო. ახლა კი, როცა ვაჟას ხელში სამწუხაროდ უსაზღვრო ძალა-უფლება პქონდა ჩაგდებული და შეეძლო საკუთარი წერილის ადრესატისათვის ჯეროვანი, საჭირო, უფრო ზუსტად დამსახურებული პატივი მიეგო, მერკანტილური მიზნებით გატაცებულს „ათას ცოცხალზე უფრო ცოცხალი“ და ბევრ თანამედროვე მწერალზე ათასჯერ მეტად მოაზროვნე გურამ რჩეულიშვილი საერთოდ დაავიწყდა, ანდა მეტისმეტად დაკავებულ კაცს მხედველობიდან გამორჩა.

კარგად მახსოვს, სწორედ ჩემი საავტორო უფლებების რესპუბლიკურ დაწესებულებაში მუშაობის დროს ჩვენი ძალიან რთული და დამღლელი მუშაობის შემდეგ, პოლონეთში უკეთ მზად იყო გამოსაცემად ქართული პოეზიის ანთოლოგია. ამ ანთოლოგის უდიდესი მნიშვნელობის საკითხს მოსკოვშიაც კი მიხვდნენ და ზოგიერთი საკითხის დასახუსტებლად თუ პრობლემის გადასაჭრელად 1984 წლის სექტემბრში პოლონეთს გაემზავრა ოფიციალური დელეგაცია, სადაც შევდიოდით მე, მწერალი გურამ გეგეშიძე და საავტორო უფლებების კომიტეტის – ვაპის წარმომადგენელი უურნალისტი ვადიმ დუნინი. ვარშავიდან ლომში ჩავედით, იქ დიდ და ცნობილ გამომცემლობაში მაღე უნდა დასტამბულიყო 635 გვერდიანი ქართული პოეზიის ანთოლოგია პოლონურ ენაზე, რომელსაც ამზადებდნენ საქართველოს დიდად მოყვარული და ჭეშმარიტად უანგარო მეგობრები: გამოჩენილი პოლონელი პოეტი იგორ სიკირიცკი, პოეტი ტადეუშ ხრუშჩელევსკი, პროფესორი ფლორიან ნეუვაზნი, მთარგმნელი ელეონორა კარპუკი, გამომცემლობის დირექტორი პოეტი იაცეკ ზაორსკი და მრავალი სხვა. დიდხანს მოვუნდით კითხვებზე პასუხის გაცემას, გაცნობას და საჭოჭმანო საკითხების გადაწყვეტას. მერე გვითხრეს საჭიროა ანთოლოგიას ვრცელი წინასიტყვაობა წავუმდღვაროთ და ვინ იქნება ავტორიო. ჩვენ ვერაფერი ვერ ვუპასუხეთ, საკუთარ თავზე ვერ ავიღეთ პასუხისმგებლობა და შევპირდით თბილისში ჩამოსვლისთანავე ვაცნობებდით პასუხს. თბილისში შედგა საქართვე-

ლოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს საავტორო უფლებების კომიტეტის სხდომა, სადაც მრავალი კანდიდატურა იქნა განხილული და ბოლოს დადგინდა, რომ პოლონეურ ენაზე გამომავალ ქართული პოეზიის ან-თოლოგისათვის ვრცელ წინასიტყვაობას დაწერდა გამოჩენილი ლიტ-ერატურათმცოდნე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი სარგის ცაიშვილი. მართლაც ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში დაიწერა 60 გვერდიანი ვრცელი შესავალი წერილი, დროულად გაიგზავნა პოლონეთის საავტორო უფლებების სააგენტოში და 1985 წელს საქმაოდ სოლიდური ტირაჟით გამოვიდა შესანიშნავად გაფორმებული ანთოლოგია, რაც გაცილებით მაღალ დონეზეა გამოცემული ვიდრე ჩვენი უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია, უბრალოდ სქელი წიგნი.

ეს გახსენება აქ იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა როგორი სიფრთხილით, პასუხისმგებლობითა და მაღალი დონის გათვალისწინებით ვუდგებოდით ანთოლოგიისათვის განკუთვნილ წინასიტყვაობის საკითხსაც კი. გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“ დასტამბულ უახლეს ქართული პოეზიასა და პროზის ან-თოლოგიებს წინ უძღვის ერთი და იგივე ავტორის ვაჟა ოთარაშვილის წინასიტყვაობა. რამდენიმემ იკითხა კიდევ ვინ არის ასეთი უნივერსალი ან რას წარმოადგენს ეს ვაჟა ოთარაშვილი ორივე ანთოლოგისათვის წინასიტყვაობის დაწერას საკუთარ თავზე რომ იღებსო. მართლა საინ-

ტერესოა სად გადაწყდა, ვინ გადაწყვიტა ან რატომ გადაწყვიტა, რომ ორივე წინასიტყვაობა მაინც და მაინც გამომცემლობის დირექტორს დაწერა, ვისი კომპეტენციაც და მწერლობის დონეც სრულიადაც არ არის საკმარისი ამგვარი საპასუხისმგებლო საქმი-სათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხელა ანთოლოგიების გამოცემის ყველა მსხვილმან-წვრილმანი საკუთარ თავზე აუღია ვაჟა ოთარაშვილს, აი, ნახეთ: ის არის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი, მერიასთან ურთიერთობის აღმდეგნი და საჭირო თანხის მშოგნელი, წინასიტყვაობის ავტორი, სარედაქციო კოლეგიების წევრიც და თავმჯდომარეც. ეს ფაქტიც საავტორო უფლებების დარღვევისაკენ მიუთითებს, რაც კვლავ გადაჭარბებასა და გადამეტებაში გამოიხატება. ამით იგივე საავტორო უფლებების მიხედვით კვლავაც თვალსაჩინო დარღვევას აქვს ადგილი. შეიძლება ვინმებ მისცა ასეთი რწმუნება ან მწერალთა კავშირმა მიიღო საჭირო დადგენილება, ან სარედაქციო კოლეგიამ მაინც იმსჯელა ამ საკითხზე და წერილობითი თანხმობა გასცა, ეს ზუსტად არ ვიცი, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ.

უახლესი ქართული პოეზიის ერთტომეულსა და უახლესი ქართული პროზის ორტომეულს ყველგან გარკვევით აწერია © ვაჟა ოთარაშვილი – უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია; © ვაჟა ოთარაშვილი – უახლესი ქართული პროზის ანთოლოგია. კიდევ კარგი ეს საერთაშორისო დაცვის ნიშანი © მაინც არ გამორჩენიათ, არ დავიწყნიათ, საერთოდ საავ-

ტორო უფლება გარეშე პირებს არ ეძღვათ, ამ უფლებით სარგებლობს პირადად ავტორი, შემდეგ მისი მემკვიდრე, მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში კი ყველა საავტორო უფლება რჩება სახელმწიფოს, ან ასეთი რამ შესაძლებელია საავტორო უფლების სახელმწიფო კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ. აქ კი რა საოცრება ხდება, თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის წარმომადგენლობა, ყველა უფლება საკუთარ ხელში აუღია ვაჟა ოთარაშვილს და შემდგომ ამ უკვე განთავისეუფლებულმა კაცმა თუ მოინდომა და ქოში უკუღმა ყარა, შეიძლება არავის არ მიეცეს უფლება ანთოლოგიებში წარმოდგენილი მასალა გამოიყენოს. როცა რაიმეს ვაკეთებთ და ყველაფერში საკუთარ პოპულარობას ვეძეთ, კანონებსაც უნდა დავუკვირდეთ და არ მოვახდინოთ მათი იგნორირება, განსაკუთრებით ისეთ ფაქიზ და საპასუხისმგებლო სფეროში, როგორიცაა პოეტების, მწერლების და საერთოდ შემოქმედებითი ადამიანების კანონის ძალით დაცული საავტორო უფლებები.

შეცდომებსა და გადახვევებზე ლაპარაკი შეიძლება დაგვიანებულია, მაგრამ დაგვიანებული სწორი მითითე-

ბებიც კი ძალიან ხშირად სასარგებლოა და უეჭველად გასათვალისწინებელი. საავტორო უფლებების განუხრელი დაცვისაკენ მოწოდება მაგალითად, უეჭველად გამოადგება საქართველოს მწერალთა კავშირს, სხვა კავშირებსა თუ გამომცემლობებს, ეს აუცილებლად დასჭირდება, თუნდაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალ ხელმძღვანელს, ახალგაზრდა მწერალს გენრი დოლიძეს და მის კოლექტივს.

ამ არცოუ ისე სასიამოვნო წერილის დასასრულს ჩვენი შურნალის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის დეპარტამენტს, რომელთა ინიციატივითა და მხარდაჭერით დაწესდა დიდი ქართველი მწერლის, ახალგაზრდობის უსაყვარლესი შემოქმედის, ლეგენდარული გურამ რჩეულიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია, რაც ყოველწლიურად მიენიჭება 18-დან 35 წლამდე ასაკის თვითმყოფად, იმედის მომცემ, გამორჩეულ მწერალს. ამით ძალიან კარგი, სასარგებლო საქმე გაკეთდა ახალგაზრდა მწერლების წახალისებისათვის. უამრავი შეცდომების დაშვებას თუ უსაფუძლო ამბიციების გამოვლენას სჯობია ასეთ ცხოვრებისეულ პრობლემებზე ვიფიქროთ და ვიმრომოთ.

**ნუგზარ წერეთელი —
საქართველოს გურამ რჩეულიშვილის
საზოგადოების პრეზიდენტი**

**გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიის მონაწილე ახალგაზრდა
პროზაიკოსთა კრებულის წინასიტყვაობიდან**


„ალავერდი“ ასე ჰქვია ახალგაზრდა მწერალთა კრებულს. წიგნში გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო ნაწარმოებებია დაბეჭდილი. მკითხველი ბევრ ახალ ავტორს გაეცნობა. გვჯერა, გაივლის წლები და არაერთი მათგანი ქართული მწერლობის საუკეთესო წარმოადგენელთა გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.

დიდ მადლობას მოვახსნებთ ქალაქ თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას და მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსს ბატონ მამუკა ქაცარავას ამ მეტად მნიშვნელოვანი პრემიის დაარსებისა და ახალგაზრდა მწერლების თანადგომისათვის.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მუნიციპალიტა კავშირის გაზეობი

№3 (203) 25 მარტი - 25 აპრილი, 2011



„ალავერდის“ გამარჯვებულები

17 მარტს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობითა და თბილისის მერიის ხელშეწყობით, უკვე მეორედ, გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიის „ალავერდი“-ს გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. კონკურსში 200-მდე ახალგაზრდა პროზაიკოსი მონაწილეობდა. აქედან 83 ავტორის კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოები შევიდა კრებულში – „ალავერდის“. გამარჯვებულებს ჯილდოები, დიპლომები და საჩუქრები გადასცეს და გამარჯვება მიულოცეს თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის სამსახურის უფროსმა მამუკა

ქაცარავაშ. მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსმა შოთა მალლაკელიძემ, უიურის წევრებმა: მაყვალა გონაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, (უიურის თავმჯდომარე), ნუგზარ წერეთელმა, ბალათერ არაბულმა, დავით შემოქმედელმა, ზაალ ბოტკოველმა.

საუკეთესო რომანი

ნინო სადღობელაშვილი
გურამ მეგრელიშვილი

საუკეთესო მოთხოვნა

ბაჩო კვირტია

ნათია ჯანაშია

საუკეთესო მინიატურა

ნინო თარხნიშვილი

ლიკა საჯაია

სამი ფამასალისშემაღლი პრემია

ნომინაცია – ეპოქის სულიერება

ლადო კილასონია

ნომინაცია – შიურის სიმაჟათია-

გორგი შერვაშიძე

ნომინაცია – ლეგიტი

რუსუდან ტყემელაძე

გურამ რჩეულიშვილის

სახმალობის კონკურსში

ფარმატებით მონაცილეობის

დიპლომები გადაეცათ:


1. გეგა აბულაძეს
2. ქრისტინე ბებიას
3. მარიამ აღამაშვილს
4. ირაკლი შამათავას
5. მზია სალვარიძეს
6. დათუნა დგებუაძეს
7. უჩა ზაქაშვილს

ქართულმა ფარმაცევტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორების - მათა ქურციკიძისა და ნაზი სურმავას გარდაცვალების გამო. ეს ორი ბრწყინვალე ადამიანი და სპეციალისტი უდროოდ გამოაკლდა ფარმაცევტთა დიდ ოჯახს.

მაია ქურციკიძის გამოსათხოვარი

13 მარტი

ტელეფონის გაბმული ზარი —
ყრუ კივილი და საშინელი ტკივილი
გულში,
უფერულდება ყოველივე დღესა თუ
გუშინ.
უბედურება . . .
მიინავლა სპეტაკი ალი
მორჩა სოფელი . . .
ვისთვის ბალი



ვისთვის ცხელი "ქვაბები რვალის".

მოკვდა ჭკვიანი, ღირსეული
დასაყრდენი ყველასთვის მყარი,
უებრო დედა და უბრალოდ
პატარა და ლამაზი ქალი.
რა მასკარადი, რა ნიღბები
ან ისრები შხამით და გესლით . . .
(თურმე ის უფრო მართალია
ვინც ამას გესვრით).

ერთმანეთს მაშინ მოვუსმინოთ
როდესაც გვესმის,
პასუხი კითხვის
—რომელი არის პირველადი
ძაფი თუ ნემსი? . . .
ძნელია თუმცა
უნებურად არ უნდა შევცდეთ! . . .

13 მარტი

ტელეფონის გაბმული ზარი —
ელდა, თავზარი,
ყრუ ტკივილი კიოტობს სულში,
უფერულდება მოგონება დღესა თუ
გუშინ . . .

რამ გვანუგეშოს,
მომავალსაც ეს ტკივილი
საშინლად უშლის . . .
გაზაფხულია . . .
მზეა რაღაც ცივი და მკაცრი,
ჯერ არ გამქრალა სიცივე ზამთრის,
ზეცა თეთრია ზეწარივით,

ყვავილობს ნუში . . .
 ვერც ვხედავთ თითქოს,
 ახლა ყველა იმ დარდს დავეძებთ,
 ჩაბუდებულებს იმ ტკივილებს
 ლუკახოს გულში.

რით ვუმკურნალოთ? რით
 ვუწამლოთ?
 ხელს არვის უშლის.
 . . . ვგონებ გვიშველის
 თუ შევერთდებით, არ დავიშლებით,
 მაიკოს ბიჭი
 სიყვარულით ჩავიკრათ გულში.

გაზაფხულზე ფასული და ლექსებში დარჩენილი ლალი სურმავას გახსენება

ძალიან ხშირად, ქალს გაზაფხულის ყვავილს ან კოპტია ჩიტს ადარებენ, რასაც უფრო უპითეტური დატვირთვა აქვს, თორებ ქალი მართლაც ყვავილს რომ ჰგავდეს, დამჟანხმებით, ნაძღვილად იშვიათია. ასეთი იშვიათობანი იყო ყველასთვის ძალიან საყვარელი, მართ-

ლა ნაზი – ლალი სურმავა – კოპტია ქალბატონი, კეთილშობილური გარეგნობით და პოეტური სულით.

ლალის ადამიანური თუ პროფესიული ღირებულებები ყველამ ვიცით და ყველას გვახსოვს, მაგრამ ცოტამ თუ იცის როგორ ცხოვრობდა იგი ლექსით და ლექსში, რაც შემდგომში მისი ტრაგიკული ბედის გარკვეულ წინათ-გრძნობად იქცა.

წესით არ უნდა ეთქვა ორი კარგი ბიჭის დედას "ბედნიერება არის მირაჟი, ცას ღრუბელივით ვაწყდები მაღლა" ან კიდევ "სიკვდილთან ბრძოლით არ დავიღლები, და დროც სულელურ დავაში გავა" – თითქოს ბრძოლის უიმედო ბოლოსაც შეგუებია. . . რომ „მარტობის ზღვაში“ „წყნარად დაითვალოს დარჩენილი დღეები“ – როგორც იქ



იყო სინამდვილეში – „პალიატიურიში“.

მხოლოდ ერთხელ უმტყუნა წინათგრძნობამ: „ტაატით ჩავალთ სიბერის კიბეს“, ამბობს ლექსში "სიბერე", – ამ კიბეზე თავის თავსაც გულისხმობს, მაგრამ ეს აღბათობა არ შედგება, სიბერემდე მას ბევრი დააკლდა, იგი 60 წლის წავიდა ჩვენგან.

"ო, მეც ცასავით ცრემლს ვეღარ ვიშრობ,

სული ქცეულა ნაცრისფერ ბაღად", – მუხთალია ბედი, თორემ რატომ უნდა ეთქვა ლალისნაირ ადამიანს, მეგობარს, დედას ან მეუღლეს ეს სიტყვები. . .

დასანანია, რომ „საზოგადოება ცოდნის“ ჟურნალ "სიტყვის" 2009 წლის 8-9 ნომერში გამოქვეყნებული არც ერთი ლექსი დათარიღებული არ არის, არა და თითქმის ყველა მათგანი უნაზესი სულის "უიმედო ტკივილია", მაგრამ ვერ იგებ როდის "დაიწყო დონბა" "უსპეტაკესმა ფიფქმა", – მის სევდიან "ნაცნობ მონოლოგს" იშვიათად თუ მოისმენდა ვინმე.

უზენაესია ღმერთის ნება, იქნებ ნააღმდევად იმიტომ წაიყვანა რომ „რჩეული“ იყო ან მეტ ძალას ვერ მიანიჭებდა ამქვეყნად სათუთი სულის „გულდაწყვეტილ დედას“, რათა „ქარდაქარ გაფანტული ფიქრი“ მიეწვდინა შველისთვის, რომ მოეხდინა „სასიკეთო ფერისცვალება“. . .

„იქნებ შენაც გადაიქცე მზედ და წვიმის წვეთი შემისრუტო ცქერით“.

გაზაფხულის თაიგულივით ლამაზი და გაზაფხულის სიყვარულით მოსული, გაზაფხულზე აღესრულა. ერთერთ უსათაურო ლექსში ის ამბობს:

„შემდეგ ვიქცევი უნაზეს სიოდ, იმედს ბალდივით ვერავინ მართმევს, ღმერთის ტაძარში ჩამოვიქროლებ, ბედნიერებას დავუნთებ სანთლებს“.

ღვთის ნებით, ეს უხილავი „სანთლები“, დედის იმედია, ისინი ბიჭებს გზას გაუნათებენ კეთილი და ბედნიერი მომავლისკენ.

**პროფესორ-მასწავლებლების
სახელით
ნელი (ნესტან) ნიკურაძე
13.03.11**

თავს უფლებას მივცემ და ყველა იმ სასწავლებლის სახელითაც, სადაც დიდი სიყვარულით გელოდნენ სტუდენტები და კოლეგები.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო
უნივერსიტეტი;
სასწავლო უნივერსიტეტი-ტეტი
"ინტერფარმა+";
სასწავლო უნივერსიტეტი
"მიმი".**